

საქართველოს ილია ქაჯიძეების სახელობის
საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-
საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება
ცოდნის“ ჟურნალი

სიტყვა

„როცა საზოგადო მნიშვნელობის
აზრი ამოქმედებს სიტყვას, მაშინ
თვითონ თქმა ქმნად გადაიქცევა
ხოლმე“



**№3-4(54-55)
2006**

ჟურნალ „სიტყვის“ გამოცემა გრძელდება საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ წესდების საფუძველზე, რაც საჭირო ცვლილებებით დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებით №366, 30.09.2005 წ. მოწმობა №00541/12/0293

სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო ჟურნალი „სიტყვა“

თუ რედაქციაში შემოსული მასალები არ ემთხვევა რედაქციის პოზიციას, გამოქვეყნებულ წერილებში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი

ჟურნალში გამოქვეყნებულ მასალებზე საავტორო უფლება ეკუთვნის „სიტყვის“ რედაქციას. შეუთანხმებლად რაიმეს გადაბეჭდვა კანონის ძალით აკრძალულია. ჟურნალი აიწყო, დაკაბადონდა და დაიბეჭდა საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ სტამბაში

სარედაქციო კოლეგია:

ნუგზარ ფირეტიელი (მთავარი რედაქტორი),

ნოდარ ზედელაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი),

კონსტანტინე ბეთანელი, ნანა გაფრინდაშვილი, გურამ გეგეშიძე, გურამ გოცირიძე, ემზარ კვიციანი, ნიკო ლეონიძე, თეიმურაზ მიბჩუანი, ტარიელ სტურუა, რევაზ უზუნაძე, გარი ჩაფიძე, თამარ ყურაშვილი, ნინო წერეთელი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა №47.

საკონტაქტო ტელეფონები:

99-00-35, 99-94-46, 93-43-10

899-51-62-60, 877-50-29-84

ISBN 5-89512-248-5

Ÿ საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“

შინაარსი

წინასიტყვაობა -----	4
ყველაზე აღმატებული დმერთის სიყვარულია	
სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნ- ეტარესის	
ილია II საშობაო ეპისტოლე -----	
--- 5	
პოლიტიკა	
„გათავსებულის დასჯის სურვილი -----	
---- 14	
ლიტერატურა	
ალექსანდრ ბლოკი – ძერა -----	
- 24	
სერგეი ესენინი – XXX -----	
24	
ემზარ კვიციანიშვილი – დღიურები -----	
-- 25	
ივანე ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი ქართველი პოეტების ლექსები -- ----- 45	
ომარ სოხაძე – „კოლხეთის ისტორიის ფურცლები“, ნაწვევტი რომანიდან ---- 51	
მეცნიერება	
ბონდო არველაძე – ვიდრე გვიან არ არის მივხედოთ ძველ ქართულ ეკლესიებს! ----- 61	
ვიქტორ ფრანკლი -----	
- 69	
ხსოვნა, მოგონება	
ნუგზარ წერეთელი – ქართველი ებრაელები და ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი -----	
- 87	
ბევრის მშველელი -----	
94	
ნუგზარ წერეთელი – უმძიმესი წლების გახსენება -----	
---- 103	
შაღვა მჭედლიშვილი – იყო თუ არა სხვა პოეტი აკაკი წერეთელი?! --- ----- 106	
ახალგაზრდობის შემოქმედება	
ნესტან გელაშვილი – „სვეტიცხოველი“ -----	
-- 112	
თამთა კობიაშვილი – „კახეთის წმინდანები“ -----	
---- 113	

წინასიტყვაობა

ჟურნალი „სიტყვა“ არ არის ახლად დაფუძნებული ჟურნალი. ათეული წლების მანძილზე საქართველოს „საზოგადოება ცოდნისა“ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეგიდით გამოიცემოდა ყოველთვიური ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“, ასევე ყოველთვიურად გამოდიოდა „საზოგადოება ცოდნის“ ჟურნალი „გულახდილი დიალოგი“. განახლებული ჟურნალი „სიტყვა“ სწორედ ამ ჟურნალების ტრადიციების გამაგრებელი და გამავრცელებელია.

ჟურნალი „სიტყვა“ არის მრავალმხრივი და შეუზღუდავი, იგი თავად „საზოგადოება ცოდნის“ სფეროებისა და ინტერესების შესაბამისად იფუნქციონირებს, შეეცდება მოიცვას მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების თუ ტექნიკის უამრავი ჟანრი.

ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე საქართველოს „საზოგადოება ცოდნის“ წევრი ლექტორები, მეცნიერების მრავალი სფეროს მოღვაწეები, ხშირად მოგვმართავენ ნაშრომების რეფერირების საკითხზე, რადგან ძალზე მცირეა ამგვარი დანიშნულების ჟურნალები. სათანადო შეთანხმების შემდეგ, ჟურნალ „სიტყვის“ მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმოა სწორედ რეფერირების აქტუალურ პრობლემას. რეფერირების ორენოვანი მასალები ქართულ-ინგლისურ, ქართულ-გერმანულ, ქართულ-ფრანგულ თუ ქართულ-რუსულ ენებზე წესების თანახმად გაიგზავნება ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, უკრაინაში, რუსეთის ფედერაციაში – მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში, ბელორუსიაში, ბალტიის ქვეყნებში, აზერბაიჯანსა და სომხეთში.

ვფიქრობთ, ამ საჭირო საქმით დახმარებას აღმოუჩინებ ქართველ მეცნიერებს, აგრეთვე მცირედ მაინც ხელს შეუწყობთ სახელმწიფოებს შორის საქმიანი ურთიერთობების გაღრმავებას.

ყველა ახალი, სიკეთის კეთებისკენ მიმართული ჟურნალის გამოსვლა ნამდვილად მისასალმებელი მოვლენაა. ჩვენ იმედი გვაქვს, სწორედ ასე წარიმართება ჟურნალის მოღვაწეობა, უპირველეს ყოვლისა, იქნება მონდომებული ცდა საერთო-ეროვნულ საქმიანობაში საკუთარი წვლილის შეტანისა, რაც „საზოგადოება ცოდნის“ წევრებისა და მკითხველების უმთავრესი ამოცანაა.

ჟურნალ „სიტყვის“ სარედაქციო კოლეგია

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის 5
უწინდელის და უწინარისი ილია II
საზოგადოებრივი განცხადება

ყველაზე აღმატებული ღმერთის სიყვარულია

ღმერთი, სამშობლო, მოყვასი, – ეს არის
ერთმანეთისაგან გამომდინარე იერარქია და
უწყვეტი ჯაჭვი „შეიყვარე უფალი ღმერთი
შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა
სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა;
შეიყვარე მოყვასი, ვითარცა თავი თვისი“
(მათე 22, 37, 39)

ქრისტესმიერ საყვარელნი
მღვდელმთავარნი, მოძღვარნი, დიაკონ-
ნი, ბერ-მონაზონნი, პატრიარქულნი
ხელისუფალნი, მართლმორწმუნენი,
მკვიდრნი საქართველოსა და სამშობ-
ლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნი
თანამემამულენი, სიყვარული და სიხ-
არული განგმრავლებოდეთ, რამეთუ ჩვენ-
თან არს ღმერთი!

აღსრულდა ყოვლადწმინდა სამე-
ბის საღვთო განგება, ახლა ძველი აღთქ-
მის წინასწარმეტყველება, – „ღმერთი
გამოჩნდა ხორციით“ (1 ტიმ. 3,16).
მაცხოვარი მოვიდა წუთისოფელში,
რომელიც ძალადობით, დაპირისპირე-
ბითა და ბოროტებით არის სავსე.
მოვიდა, რათა სრულიად გარდაექმნა
იგი. თვინიერ ცოდვისა მიიღო ჩვენი
დაცემული ბუნება, რომ საღვთო სიყ-
ვარულის ძალით მოეხდინა ჩვენი ში-
ნაგანი ფერისცვალება, შეიმოსა ადამი-
ანური სხეულით, რომ მარადიული
ტანჯვისგან ეხსნა კაცთა მოღვაძე.

ბეთლემში შობილი ყრმისაკენ
მიმავალი გზა ხსნილია ყველასათვის.
ერთნი ცოდნისა და ინტელექტის, ანუ
მოგვთა, გზით მიდიან; სხვანი გან-
საცდელისა და მწუხარების ბილიკს
მოუყვებიან, მესამენი, მწყემსთა მსგავსად,
თავმდაბლობითა და ლოცვით მი-
ემართებიან. რა თქმა უნდა, არსებობს
სხვა გზებიც.

საზოგადოების ნაწილი კი სა-
პირისპირო მიმართულებით მიდის და
ბნელეთისაკენ მიექანება, თუმცა ამას
თავიდან თითქმის არავინ აცნობიერებს,
რადგან ეშმაკი ათასგვარი საცდურით
აბრუებს ადამიანებს და ცოდვის ჭაობ-
ში ღრმად ითრევს.

ჩვენს დროში მისი ქმედება უფრო
დახვეწილი გახდა და სიკეთისა და
ბოროტების გარჩევა კიდევ უფრო
ვაჭირდა. ამიტომაც აუცილებელია, კარ-
გად ვავაცნობიეროთ, რა გარემოში ვცხ-
ოვრობთ, რომელი ტენდენციებია მნიშ-
ვნელოვანი; რა არის მისაღები და რა

უარსაყოფი; ქვეყნისთვისაც და ჩვენთვისაც რა არის პირველი რივის ამოცანა, რა შექმნის გასაკეთებელი საქმე?

ტელევიზიის, მობილური კავშირ-გაბმულობის, კომპიუტერისა და ინტერნეტის განვითარებამ მანძილი და ღრო მკვეთრად შეამცირა. ეკონომიკა თანდათან კარგავს მხოლოდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას და იქმნება ტრანსნაციონალური კომპანიები, რომელთაც, ძირითადად, საკუთარი მიზნები ამოძრავებთ და არა სახელმწიფო ინტერესები. მიმდინარეობს კულტურათა ასიმილაციის პროცესიც. ეს ყველაფერი მრავალსაზოვანი გლობალიზაციის გამოვლინებაა.

ასეთ ვითარებაში ჩვენი ხალხი ახალი პრობლემების წინაშე დადგა. ეს არის ღრის გამოწვევა. კონკრეტული ძალა არ ჩანს, მაგრამ ცრუთავისუფლებაზე დაყრდნობით, მასშედიის საშუალებებით (სერიალებით, მდარე ტელე-პროდუქციით) ხდება ზემოქმედება ჩვენი საზოგადოების, განსაკუთრებით კი მომავალი თაობის, ცნობიერებაზე, რათა მათში დაინერგოს არაეროვნული, არაქრისტიანული მსოფლმხედველობა, რაც შედეგად გამოიწვევს ჩვენი ეთნოფსიქიკის შეცვლას და ერთიანი ქართველი ერის დაშლასა და გადაგვარებას.

უნდა გავაცნობიეროთ, რომ შეტევა ზორციელდება თითოეული ადამიანის აზროვნებაზე, ამიტომაცაა ყოველი ჩვენგანის გული და გონება ამ ბრძოლის ასპარეზი. ესა თუ ის

პიროვნება ან რჩება ქართველად, ან, თავისი შინაგანი სისუსტისა და მიმბაძველობის გამო, იცვლის ღირებულებათა სისტემას.

ეს ისეთივე მნიშვნელობის ომია, როგორც ჩვენს მამა-პაპათ გამოუვლიათ.

მოვმართავთ ყველას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, შეინარჩუნეთ ჩვენი თვითმყოფადობა, ჩვენი ტრადიციული, ქრისტიანული ცხოვრების წესი. გახსოვდეთ, მთავარი ბრძოლა ბოროტთან მოგებულებაა. უფალი ბრძანებს: „ნუ გეშინინ, რაძეთუ მე მიძლევიეს სოფელსა“ (ინ. 16,33). მაშ, იბრძოლეთ, ჩვენი გმირი წინაპრების მსგავსად, რათა საკუთარ თავში და თქვენს გარშემო ღაიცვათ თქვენი წილი საქართველო. დღეს ეგ ომია თქვენი დიდგორი, თქვენი ბასიანი.

უნდა იცოდეთ, რომ ქართული იდეა ორ უმთავრეს სვეტს ეყრდნობა. ესაა სულიერი ღირებულებები (რაც გულისხმობს მართმადიდებლურ სარწმუნოებას და მის წეს-ჩვეულებებს) და ეროვნულ-კულტურული ფასეულობები, რითაც ასე მდიდარია ჩვენი ქვეყანა.

ქართულმა იდეამ რომ ზორცი შეისხას და განვითარდეს, საჭიროა გაერთიანდეს სახელმწიფოს, საზოგადოებისა და ეკლესიის ძალისხმევა.

ახლა კი შევჩერდები იმ მიმართულებებზე, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს:

ტერიტორიული მთლიანობა მუდამ იყო ქვეყნის პრიორიტეტი. იგი დღესაც ჩვენი ხელისუფლებისა და

ყოველი ჩვენგანის მთავარი საზრუნავია. თანამედროვე ეტაპზე ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო ურთიერთობები და მსოფლიო თანამეგობრობაში ღირსეული ადგილის დამკვიდრება. თუმცაღა, უპირველეს ამოცანად, მაინც საქართველოს ერთიანობისთვის ზრუნვა რჩება და არ არსებობს მისი სანაცვლო სხვა ღირებულება.

ქვეყნის განვითარების აუცილებელ პირობას ეკონომიკური სიძლიერე წარმოადგენს. ეს ის მთავარი საკითხია, რომელიც ჩვენმა სახელმწიფომ დროულად უნდა გადაჭრას. ჩვენ უნდა მოვძებნოთ ჩვენი ადგილი მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში.

არაერთხელ გვითქვამს, რომ საქართველოს გააჩნია მეტად ძვირფასი ბუნებრივი რესურსი მტკნარი წყლის სახით, რომლის მნიშვნელობაც და ღირებულებაც ახლო მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. ამიტომ, ვფიქრობთ, საყოველთაო პრივატიზაციის პროცესში, ეს ბუნებრივი რესურსი და მისი ექსპლუატაცია სახელმწიფო სექტორში აუცილებლად უნდა დარჩეს და გამოყენებულ იქნას ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის.

ცნობილია, რომ მთელ მსოფლიოში მოთხოვნილება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე მკვეთრად გაიზარდა და დიდი მოვების მიღების მიზნით მრავალფეროვანი და გენური ინჟინერიით მიღებული პროდუქციის წარმოებაზე ორიენტირებული ქვეყნების სოფლის მეურნეობა ძალად სტანდარტ-

ებს ვეღარ აკმაყოფილებს. ჩვენ საერთაშორისო ბაზარს უნდა შევთავაზოთ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი. ეს დიდ მოვებას მოუტანს ხალხს და ააღორძინებს სოფელს. ზოგიერთმა პატარა სახელმწიფომ თავი დაიმკვიდრა მოწინავე ტექნოლოგიების ათვისებით, მაგ. სამხრეთ კორეამ, ისრაელმა, ფინეთმა... ეკონომიკის ამ დარგში სერიოზული განაცხადისათვის ჩვენს ქვეყანასაც გააჩნია ინტელექტუალური რესურსი. ქართული ფუნდამენტური მეცნიერული სკოლები აღიარებული იყო როგორც ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ასე რომ, ჩვენი მეცნიერული პოტენციალი შეიძლება პრაქტიკულად იქნეს გამოყენებული, თუკი მას სათანადო პირობები შეექმნება.

საერთოდ, მეცნიერებასთან ერთად, განათლებას ქვეყნის განვითარებისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან სწავლის პროცესში ხდება მომავალი თაობის ფორმირება პიროვნებად. ამიტომაც სკოლა და, ზოგადად, სასწავლებელი მარტო ცოდნას კი არ უნდა აძლევდეს მოზარდს, არამედ მან უნდა აღზარდოს იგი და ჩამოაყალიბოს თავისი ქვეყნის ღირსეულ მოქალაქედ. ამ საქმეში მეტად დიდია ოჯახისა და ეკლესიის როლი. სასწავლებელი, როგორც ხალხის მიერ დაქირავებული დაწესებულება, ვაღიარებულა, თავისი საქმიანობა წარმართოს საზოგადოების ინტერესების შესაბამისად და რადგანაც საზოგადოება ფაქტობრივად არის ოჯახთა ერთობლიობა და ეკლესია (რომლის

წვევრია ჩვენი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა), განათლების სისტემა უნდა შეესაბამებოდეს ეკლესიასა და ოჯახის ტრადიციულ ღირებულებებს (ვისაც სურვილი აქვს განსხვავებულ გარემოში აღზარდოს შვილები, შეუძლია ეს კერძო სასწავლებელში განახორციელოს). ეს არის სწორედ იმის გარანტი, რომ მომავალი თაობა ავაცილოთ თუნდაც ისეთ საშინელ სენს, როგორც არის ნარკომანია და სხვა მანკიერი გამოვლინებები.

ნარკომანია ჩვენი დიდი ტკივილია, რომელიც ერის სულიერ და დემოგრაფიულ გენოციდს იწვევს. ჩვენ არაერთხელ შევხებივართ ამ თემას და ყოველთვის აღვნიშნავდით, რომ ამ მძრთულეობით პირველი რიგის ამოცანაა პრევენციული ნაბიჯების გადადგმა. ჩვენ ყველამ ერთად უნდა შევქმნათ ნარკოტიკის მიმართ უარყოფითი განწყობა. უნდა დავანერვიოთ ცრუ სტერეოტიპი იმის შესახებ, თითქოს ნარკომანობა პრესტიჟულია.

ნარკომანობა სირცხვილია!

ნარკომანი არის ავადმყოფი, საცოდავი, ლაჩარი, სუსტი ადამიანი, რომელიც ეშმაკის ბაღეშა მოხვედრილი და, წამალზე მიჯაჭვულობის გამო, ხშირად ბოროტმოქმედებასაც სჩადის; შემდეგ კი ციხეში ხვდება და კიდევ უფრო იძვირებს თავის მღვდმარეობას. მინდა, ციხეში არსებულ მღვდმარეობასაც ნაწილობრივ შევეხო.

დღეს იქ მძიმე პირობებია. ცივილიზებულ ქვეყნებში ციხე გამოს-

წორების ადგილს წარმოადგენს. იმედია, ჩვენი პენიტენციალური სისტემაც მალე ამ სტანდარტებს დაუახლოვდება. ამისთვის კი, პირველ რიგში, უნდა გაიმკვინოს საშიში ბოროტმოქმედი ეკონომიკური და სხვა შედარებით მსუბუქი სახის დანაშაულის ჩამდენისაგან. კარგი იქნება, თუ ასეთი პატიმრებისათვის აღდგება სასჯელის მოხდა და მიმავლების ადგილებში და ამისთვის საქართველოს მაღალმთიანი დაუსახლებელი რეგიონები გამოიყენება. ეს, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს პატიმართა გამოსწორებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას და მეორე მხრივ, ამ ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკურ ათვისებასა და განვითარებას. რაც შეეხება მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევეთ, ციხეში მათთვისაც უნდა არსებობდეს ისეთი გარემო, რომ გაუჩნდეთ განწყობა ცხოვრების წესის შეცვლისა.

ვფიქრობთ, პენიტენციალურ სისტემაში შრომის დანერგვა და სასულიერო პირის უფრო აქტიურად ჩართვა დიდი შედეგს მოიტანს, რისი გამოცდილებაც უცხოეთის ქვეყნებში კარგა ხანია აქვთ.

ცნობილია, რომ ციხის გავლენა მის გარეთაც ვრცელდება. ზოგიერთისთვის კრიმინალური მსოფლმხედველობა ერთგვარ დადებით მოვლენასაც კი წარმოადგენს, რაც შეცდომაა. ეს არის ღვთის მცნების უარყოფელი დიდი ცოდვა. ეს არის დანაშაული მოყვასის წინაშე. წმინდა პავლე მო-

ციქული გვასწავლის: „ნუთუ არ იცით, რომ უსამართლონი ვერ დაიმკვიდრებენ ღვთის სასუფეველს... ვერც მპარავნი, ვერც მტაცებელნი...“ (I კორ. 6,9,10).

სამწუხაროდ, ქუჩა, უბანი, გარემო, ზოგჯერ მანე ჩვევების განვითარებას უწყობს ხელს, რაც მათში ცრუ ღირებულებების დამკვიდრებით არის გამოწვეული. ახალგაზრდების ნაწილი მიმბაძველობით ან თავისი წრის ზემოქმედებით, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ იქცევა. თუმცა ბევრი მათგანი ეკლესიაში დადის (ხოლო ვინც არ დადის, რწმენის მიმართ პატივისცემა მინც აქვს), მაგრამ ეს სათანადოდ ვერ აისახება მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე. სამეგობროებაში არსებულ ასეთ ძღვომარეობაზე, მისი თითოეული წევრი არის პასუხისმგებელი, განსაკუთრებით კი ისინი, რომელნიც ყველაზე დიდი გავლენით სარგებლობენ. ისინი კარგად უნდა დაუფიქრდნენ თავის ცხოვრებას, რომ, ნებისთი თუ უნებლიეთ, ეშმაკის მსახურნი არ გახდნენ.

საზოგადოება ისეთია, როგორი ავტორიტეტებიც ჰყავს მას.

ფაქტია, რომ ღირსეული პიროვნებები ჩვენთან სათანადოდ არ არიან დაფასებულნი. მათ ნაცვლად წინ წამოწეულნი არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც მნიშვნელოვანი არაფერი აქვთ გაკეთებული (ყოველ შემთხვევაში დღეისათვის), ან ისინი, რომელნიც უგულვებელყოფენ სულიერ ღირებულებებს. ახალგაზრდები უფრო იცნობენ ტელეშოუების გმირებს, ვიდრე თავი-

სივე თაობის ნიჭიერ პოეტებს, მხატვრებს, კულტურის მოღვაწეთ, მეცნიერებს და, ზოგადად, ღირსეულ ადამიანებს. ეს ძირითადად მასმედიისაგან მომდინარე ნაკლია და იგი უნდა გამოსწორდეს.

მიუხედავად ასეთი პრობლემებისა, პიროვნებასა და საზოგადოებას მაინც ბევრი რამის შეცვლა შეუძლიათ.

XX საუკუნის დასაწყისში, გასაბჭოების პერიოდში, როცა აქტიურად შეუტეეს ტრადიციულ ღირებულებებს, ახალგაზრდა მამულიშვილებმა, რომლებიც შემდეგ ცნობილი საზოგადო მოღვაწენი გახდნენ (პავლე ინგოროვცა, კონსტანტინე გამსახურდია, ვახტანგ კოტეტიშვილი, ალექსანდრე აბაშელი), ჩამოაყალიბეს „ჩოხოსანთა“ საზოგადოება. ეროვნული სამოსის ტარება იყო ერთგვარი პროტესტის ფორმაც და მათი მსოფლმხედველობის დემონსტრირების საშუალებაც. შემდგომ პერიოდში ამ მაგალითს, მართალია ერთეულებმა, მაგრამ მინც სხვებმაც მიბაძეს. დღეს ეს მოძრაობა ახალ ეტაპზე გადავიდა და საზოგადოების ფართო ფენა მოიცვა. მისასაღმებელია, როდესაც ცნობილი ადამიანები საერო და საეკლესიო დღესასწაულებზე ეროვნულ ტანსაცმელს იცვამენ (ეს კარგი ტრადიცია ვეროპის ბევრ ქვეყანაში დიდი ხანია არსებობს), სულ უფრო იზრდება ახალგაზრდების რიცხვი, რომელნიც ჩოხით იმოსებიან და ჯვრისწერისასაც ამ სამოსს იცვამენ. დღეს ჩოხოსანთა საზოგადოებას გაცილებით მეტის გა-

კეთება ძალუძს, ვიდრე მათ წინამორბედთ. რა თქმა უნდა, ჩვენ მარტო ეროვნული სამოსის ტარებით არ უნდა შემოვიფარვლოთ. როგორც აღვნიშნეთ, აუცილებელია ავადორძინოთ ქართველი კაცის ჩვეული ცხოვრების წესი, საჭიროა, თუნდაც ჩვენი ყოფისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის პირვანდელი სახით აღვგენა, როგორცაა ქართული სუფრა. დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ იგი ისევე, როგორც სხვა ტრადიციები, გარკვეულწილად, შეიღასა; სინამდვილეში კი მისი არსი მთლიანად ქრისტიანულია და გამორიცხავს როგორც თრობას, ისე დღეს არსებულ სხვა მანკიერ გამოვლინებებს. კარგად აღზრდილი ადამიანი არ დათვრება და ამით თავს არ დაიმცირებს.

ეკლესიური ცნობიერებიდან გამომდინარე, კარგია, რომ ჩვენს სუფრაზე თანდათან მკვიდრდება სადღეგრძელოთა შინაარსი და ტრადიციული თანამიმდევრობა, რაც იწყება უფლის სადიღებლით და მთავრდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხსენებით. ამასთან ყოველი სადღეგრძელო დალოცვაა, ლოცვის ერთგვარი სახეა. ქართული სუფრის ღრმა სულიერ ხასიათზე მიუთითებს ისიც, რომ ყოველთვის ხდება გარდაცვლილთა მოხსენიება.

ქრისტიანული სუფრა არის ადამიანთა ერთობისა და თანადგომის, ჭირისა და ლხინის გაზიარების ადგილი, სადაც უფალი მყოფობს. ამიტომაც პურობა იწყება და მთავრდება ლოცვით.

ქართული სუფრა არის ქრისტიანული სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის გამოხატვის უნიკალური ინსტიტუტი.

ყოველ ერს, ისევე როგორც ცალკეულ პიროვნებას, ღვთისაგან სხვადასხვა მადლი და ნიჭი აქვს ბოძებული და მასზეა დამოკიდებული, თუ როგორ გამოიყენებს მათ.

ქართველმა კაცმა სიყვარულის ნიჭი განავითარა.

ახალ აღთქმაში ღმერთის ყველაზე მთავარ თვისებად სწორედ სიყვარულია დასახელებული. „ღმერთი სიყვარული არს“ (I იოანე. 4.8).

აქვე ვკითხულობთ: სიყვარული ყოვლისმომცველია, არ ამპარტავნობს, არ ზვაობს, სულგრძელია და ტკბილი, არ ძრისხანებს, ყოველივეს ითმენს, არავისი შურს, ჭეშმარიტებით ხარობს, იგი ადამიანის მთავარი მამოძრავებელი ძალაა, რომელიც უკვდავებასთან არის წილნაყარი. იმედი და რწმენა სიკვდილის შემდეგ განქარდება, ხოლო სიყვარული მარადიული ჰგვის.

პავლე მოციქული იმასაც ბრძანებს, რომ, თუ სიყვარული არა გვაქვს, ფუჭია ქველმოქმედებაც, სასწაულთმოქმედების უნარიც, მოსაგრეობაც, თვით მოწამეობრივი აღსასრულიც კი, რადგან უსიყვარულოდ ყველა სიკეთე უქმნიქმნების.

გავიხსენოთ სახარება: იუდამ გასცა მაცხოვარი, პეტრემაც სამჯერ უარყო იგი. შემდეგ ერთმაც შეინანა და მეორემაც, მაგრამ იუდა წარწყმდა იმიტომ,

რომ უსიყვარულო იყო ქრისტესთან გატარებული მისი ცხოვრება და აქედან გამომდინარე, უიმედო მისი სინანული; პეტრეს სინანული კი სწორედ მისი მხურვალე სიყვარულის გამო იქნა შეწყნარებული.

მიუხედავად სხვადასხვა სირთულისა და განსაცდელისა, სიყვარული ნეტარებასთან და სიხარულთან არის დაკავშირებული; და რაც უფრო დიდია სიყვარული, მით მეტია ნეტარებაც და სიხარულიც. ყველაზე აღმატებულია ღმერთის სიყვარული.

ამ სიყვარულის დამტკველნი არიან დიდი სულიერი მოღვაწენი, რომელნიც მძიმე მოსაგრეობის პარალელურად, ღვთაებრივ ნათელთან ლოცვითი თანაზიარებით ამქვეყნადვე აღწევენ უსაზღვრო ნეტარებას.

სამშობლოსა და ერის ჭეშმარიტად მოყვარული ადამიანებიც დიდ სიხარულს გრძნობენ, როდესაც თავის მიზანს, თუნდაც სიცოცხლის ფასად, ერთგულად ემსახურებიან.

შეიძლება ითქვას, რომ მოყვასის სიყვარული ერთგვარი პირველი საფეხურია. იოანე ღვთისმეტყველი ბრძანებს: „ვისაც არ უყვარს თავისი ძმა, რომელსაც ხედავს, როგორღა შეიყვარებს ღმერთს, რომელსაც ვერ ხედავს?“ (I იოანე 4,20).

ღმერთი, სამშობლო, მოყვასი, – ეს არის ერთმანეთისაგან გამომდინარე იერარქია და უწყვეტი ჯაჭვი; თუ ღმერთის ადგილი სხვა რამემ, თუნდაც სამშობლომ, დაიკავა, ზემოთ აღნიშნუ-

ლი თანამიმდევრობა ირღვევა და პატრიოტიზმი უკვე ხელოვნურად გამოვლილ ღირებულებებს ეფუძნება, რომელთაც შეიძლება კარგი სახელიც ერქვას, მაგრამ შედეგად ვიღებთ ისეთ მანკიერ გამოვლინებებს, როგორიცაა ფაშიზმი, რასიზმი და შოვინიზმი, ანდა ტრადიციული ფასეულობების სრულ უარყოფას, – კოსმოპოლიტიზმს. ამ ორ უკიდურესობას გამორიცხავს ღვთის რწმენა, რომელიც ჭეშმარიტ პატრიოტიზმს განაპირობებს.

მოციქული გვასწავლის: „ვინც ამბობს, რომ უყვარს ღმერთი, მაგრამ სძულს თავისი ძმა, ცრუობს“ (I იოანე. 4.20). ამდენად მხოლოდ ღმერთის სიყვარული ხიბლია და თავს იტყუებს, ვისაც ეს ასე ჰგონია. ოდენ მოყვასის სიყვარული კერპთაყვანისმცემლობაში გადადის; საკუთარი თავისადმი გადამეტებული სიყვარული კი – ეგოიზმსა და ნარცისიზმს შობს.

ადამიანი სიყვარულის ღვთაებრივ ნიჭს მაშინ ეზიარება, როცა ამ გრძნობას თავისი „მე“-დან მოყვასისაკენ მიმართავს. გაცილებით დიდ სიმალლეზე კი მაშინ ადის, როდესაც მოყვასს შეიყვარებს, როგორც საკუთარ თავს; „არავის აქვს იმაზე მეტი სიყვარული, ვინც სულს დასდებს თავისი მეგობრებისათვის“ (იოანე 15, 13), – ბრძანებს უფალი.

მოყვასისათვის სიყვარული და თავდადება ქართველი კაცის ცხოვრების წესად იქცა და ბუნებრივია, მისი სახლობლო წრე მეტად ფართოა. იგი

მოიცავს სისხლისმიერ და ნათელმ-
 ირონობით ნათესაობას, მეჯვარეობას,
 მოყვრობას, მოგვარეობას, მეზობლობას,
 მეგობრობას და სხვა. ასეთი ურთიერ-
 თობა უნიკალურია როგორც ქრისტიან-
 ულ სამყაროში, ისე მთელ მსოფლიო-
 ში. ფაქტია, რომ ქართველ კაცს არა
 აქვს მოწინააღმდეგის სიძულვილი, რაც
 ბოლო პერიოდის მოვლენებმაც დაა-
 დასტურა. მაგალითად, ძმათამკვლელო
 ომი აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ჩვენს
 ხალხში დაპირისპირებული მხარის
 მიმართ გაბოროტებად არ გადაზრდი-
 ლა და იგი დღესაც მზად არის
 კეთილმეზობლური ურთიერთობი-
 სათვის. ეს იმიტომ, რომ შენდობისა
 და პატიების, საკუთარი შეცდომის
 აღიარებისა და სხვისი მწუხარების
 თანაზიარების დიდი უნარი გვაქვს. ეს
 კარგად ჩანს „კეფხისა და მოყმის“
 ბალადაშიც.

ტოლერანტობა ჩვენი ბუნებიდან
 მომდინარეობს და მისი სწავლა არა-
 სოდეს დაგეგმირვებია.

დაიწყო ახალი 2007 წელი,
 რასაც ოფიციალური სახელმწიფო
 კალენდარით თითქმის მთელი მსოფ-
 ლიო აღნიშნავს. თუმცა, შეიძლება ბევ-
 რი ვერ აცნობიერებს, რომ ეს წელ-
 თადრიცხვა მაცხოვრის დაბადებას
 უკავშირდება.

ღიას, 2007 წლის წინ აღსრულ-
 და ქრისტეშობის საიდუმლო, – „ისე
 შეიყვარა ღმერთმა ქვეყანა, რომ მისცა
 ძე თვისი მხოლოდშობილი“ (ინ. 3-
 16). დაუსაბამო იგი, დროში იშვა, ყოვ-

ლისმპყრობელმა და ყოვლისშემოქმედმა
 მონის სახე მიიღო, რათა მისი სიყ-
 ვარულით აღესილნი და ამალღებულნი
 საღვთო წილს კვლავ ვზიარებოდით.

საერთოდ, ღვთის ყველა ქმედე-
 ბას მხოლოდ სიყვარული განა-
 პირობებს.

ადამისა და ევას სამოთხიდან
 გამოძევების მიზეზიც სიყვარულიდან
 მომდინარეობს. მათ ღმერთის ყოვლის-
 მოძველ სიყვარულში შეეპარათ ეჭვი
 და რადგან შემოქმედის მცნება დაივი-
 წყეს და ეშმაკს დაუჯერეს, ისინი თვი-
 თონვე მოაკლდნენ საღვთო სიყვარულს,
 რაც უფალთან მათ ერთობას განა-
 პირობებდა. დაცემულ მდგომარეობაში
 მყოფნი კი უკვდავების ხის ნაყოფის
 შეჭმით მარადიულად რომ არ წარწყ-
 მედილიყვნენ, უფალმა განარიდა თავის
 სამყოფელს.

მაცხოვარმა განკაცებით დელამი-
 წაზე ის სიყვარული მოიტანა, რომ-
 ლის მსგავსიც მანამდე არ იცოდა კა-
 ცობრიობამ და რომელთანაც თანაზიარე-
 ბით მოგვცა სამოთხეში დაბრუნების
 შესაძლებლობა. „ახალ მცნებას გაძღვეთ
 თქვენ, რათა გიყვარდეთ ერთმანეთი,
 როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ“ (ინ.
 13-34) – ოღონდ აუცილებელია, რომ
 მოვიპოვოთ სიწმინდე და შევიმოსოთ
 ჭეშმარიტი სიყვარულით, რადგან ამ
 თვისებების გარეშე ღმერთს ვერ მივემს-
 გავსებით და ჩვენივე ნებით საკუთარ
 თავს განვაშორებთ მის მაცხოვრებელ
 მადლს.

საუკუნეთა მანძილზე საქართველო გადაარჩინა მოყვასის, ღვთის და მამულისადმი თავდადებულმა ქრისტიანულმა სიყვარულმა, რისი მაგალითიც აურაცხელია ჩვენს ისტორიაში, როგორი იქნება ჩვენი ხვალისდელი დღე დამოკიდებულია იმაზე, თუ ჩვენ როგორ არჩევანს გავაკეთებთ, მივიღებთ ბოროტის მიერ შემოთავაზებულ მოჩვენებით სიყვარულსა და ცრუ ღირებულებებს, თუ ცოდვასა და სიკვდილზე გამარჯვებული ღმერთის მხარეზე დავდგებით. ჩვენი ადგილი, რომ კარგად გავაცნობიეროთ, უნდა გავარჩიოთ ჩვენი მისწრაფებანი და ქმედებანი შესაბამისობაშია თუ არა უფლის სწავლებასთან.

ღმერთო ძლიერო, სიტყვაო, უწინარეს ყოვლისა საუკუნეთა მამისაგან შობილო და ქალწულისაგან მარიამისა ხორცშესხმულო, მოიხილე მადლით ერსა ზედა წილხვედრსა დედისა შენისასა და ისმინე მუხლმოდრეკითი თხოვნა ესე: გევედრებით, გვიხსენ ცოდვათაგან და ბოროტთა განზრახვათა ჩვენთაგან, გული განგვისპეტაკე, გონება განგვინათლე, სული განგვიწმინდე, შეცდომილნი მოგვაქციენ, სულიერნი და ხორციელნი სნეულებანი ჩუენნი განკურნენ და შეგვზღუდენ საღმრთოითა შჯულითა შენითა; მოიხილე ჩვენზედა, სახიერო, და სიყვარულითა შენითა უოხჭნოითა დაცემულნი კვალად

აღგვადგინენ და ტაძრად სულისა წმიდისა გამოგუაჩინე, რათა ვიყოთ ჭეშმარიტი მსახურნი მოყვასისა, მამულისა და ღვთისა.

სახელისა შენისათვის, აღდგე, უფალო, შეწვენად ჩუენდა და დააყენე კუერთხი უშჯულოთა; გარეწარაქციე ყოველნი მტერნი და მაჭირგებელნი ჩუენნი, რომელთა განიგდეს წილი სამკვიდრებელსა შენსა ზედა. მოიხსენე ვედრება დედისა შენისა და ყოველთა წინაპართა ჩუენთა, რომელთა ილუაწეს სახელისა შენისათვის და დასთხიეს სისხლი თვისი; მათი ლოცვით აღადგინე მამული ჩუენი – საქართველო – პირველსავე დიდებასა და დაიცევ საზღუარნი მისნი უცხოთესლთა ზედა მოსვლისაგან.

ჰე, უფალო, იხილე და მოხედე ვენახსა ამას და განამტკიცე ესე, რომელი დაასხა მარჯუენამან შენმან, რათა ჩუენცა ყოველნი, მკვიდრნი ღვთივკურთხეული ივერიისა და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებნი ქართველნი, შენს ზეციურ ნათელს და საღვთო სიყვარულს ზიარებულნი, ვგალობდეთ:

„დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქუეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“.

თქვენთვის მლოცველი

*სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
ქრისტეს შობა, 2007 წელი, თბილისი*

„გათავხედებულის“ დასჯის სურვილი

განვლილი ვრცელი ათწლეულების ანუ მთელი ეპოქის ჩავლის მიუხედავად, ბევრი რამ მეორდება, ფესვგადგმული ბოროტება თავს ვერაფრით მალავს, მხოლოდ დროებით ინაბეხა და თუნდაც მცირე მიზეზის გამოჩენისთანავე სისინით წამოსწევს თავს.

საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობაში რომ უმძიმესი ჟამი დადგა, ამას ყველა კარგად ხედავს. გაგულისებულ-გაშმაგებულმა და ტაქტიკურად საკმაოდ გზააბნეულმა რუსეთმა აღარ იცის რა ბოროტება გააკეთოს, ურჩობისათვის რა სასჯელი მოიფიქროს, რაშიც ხელისუფლებას მოსახლეობის მხოლოდ უმცირესი ნაწილი თუ არ ეთანხმება, ვითომდა არსებული მეგობრობა ჯანლივით გადაფარა შოვინიზმის საბურველმა.

სრული ჭეშმერიტებაა, რომ გაგულისება და გაბოროტება დღეს არ დაწყებულა, ეს ყოველთვის ახლდა იმპერიალისტური მიდრეკილებებით უხვად გაჟღენთილ რუსულ სულს, რაც მოსახლეობის ზედმიწევნით აღრეულმა სიმრავლემ და ბუნებრივმა სიცივემაც გარკვეულწილად განაპირობა.

ბევრს ანსოვს ბოროტების დიდი მესაძირკვლის, პროლეტარიატის ყოფილი „ბელადის“ ვლადიმერ ლენინის მიერ საკუთარი ხელით დაწერილი დადგენილება 85 წლის წინანდელი დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის

პირველი გაუბედავი ნაბიჯების გადადგმული საქართველოს შესახებ, რომლის ხელისუფლებამაც გაბედა და თავისუფლების სურვილი გამოთქვა, ოცსაუკუნოვანი ისტორიის მქონე, შემდეგ კი უხეში ძალით დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენა სცადა.

გაბრაზებულ-გაბოროტებულ ვლადიმერ ილიჩი ბოლშით წერდა: „...ამასთან იმის აღნიშვნა, რომ საქართველო საშინლად გათავხედდა, დაეკალოს კომისიას, რომლის შემადგენლობაშიც იქნებიათ აშხ. ტროცკი, აშხ. ჩიჩერინი და აშხ.სტალინი“.

სრული სიმართლისათვის ისიც უნდა ითქვას, რომ „გათავხედებულის“ დასჯის სურვილი ლენინს პირველად არ გასჩენია, ის არ იყო ორიგინალური და დამწყები, პირიქით საუკუნეების მანძილზე ბოროტების გამგრძელების როლში წარმატებით გამოდიოდა, უკვე ჩამოყალიბებულ შაბლონს იმეორებდა.

კომუნისტური პარტიის ბატონობის პერიოდში ბოროტების გამგრძელებლები „ხალხის მამა“ ლენინს ბლომად ჰყავდა. საილუსტრაციოდ საკმარისია გავიხსენოთ საბჭოთა იდეოლოგიის ჭლექიანი მამამთავრის, რუხ კარდინალად წოდებული მიხეილ სუსლოვის უბოროტესი ნააზრევი. როგორც ცნობილია, ეს ჩონჩხივით აწოწილი სუსლოვი საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე ძალადობით შექმნილ ვე-

ბერთელა საბჭოთა კავშირში იერარქიის საფეხურზე მეორე კაცად ითვლებოდა. მოგვყავს ნაწყვეტი მისი მართლაც ფანატიკურად კაცთმოძულე ფაშისტური დოქტრინიდან:

„შორეულ აღმოსავლეთში მომსახურე ჩვენს გენერლებს უნდა მივცეთ ცხოვრების ნორმალური საშუალება. მათ ჩასასახლებლად გვჭირდება შავი ზღვის სანაპირო ტერიტორია, სადაც, როგორც მოგეხსენებათ, ქართველები სახლობენ. უნდა გაითვალისწინოთ, რომ ქართველები ჩვენგან ძალიან განსხვავდებიან. ადრე თუ გვიან საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს დააყენებენ და თავისუფლებას მოითხოვენ. მათთან ბრძოლა უნდა დავიწყოთ აფხაზეთიდან. აფხაზეთის გამოყენებით სამეგრელოს, სვანეთს, აჭარას და სხვა კუთხეებს უნდა მიეცეს დამოუკიდებლობა, მათში ცალცალკე უნდა გავალვივოთ კუთხურ-ეროვნული გრძნობა, დასავლეთ საქართველო უნდა დაუპირისპიროთ აღმოსავლეთს, ამის შემდეგ მათ შორის მომრიგებლის როლი უნდა შევასრულოთ. პარალელურად ქართველები მეცნიერულად უნდა დავარწმუნოთ, რომ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსახლებული, სხვადასხვა ერის წარმომადგენლები არიან, რაც საქართველოს ტერიტორიიდან მათი საბოლოოდ გაძევების საშუალებას მოგვცემს. ქართველები სანახევროდ ლიკვიდირებულნი და ასოცირებულნი უნდა გავხადოთ, თუ მოგვეცემა საშუალება, მთლიანად ლიკვიდაცია ვუყოთ მათ“.

საქართველოს ურთულესი ისტორიის ცალკეული სისხლიანი მომენტების განსენება არც არის საჭირო, ისედაც ყველამ კარგად იცის, ბევრს კი საკუთარ ზურგზეც აქვს ნაწვენევი.

„გულმან ირაკლისამ“ როცა გადაწყვიტა ვეებერთელა რუსეთთან დაახლოება, მხოლოდ მეგობრობისა და მხარში დგომის იმედი ჰქონდა. ერთმორწმუნე რუსეთმა ერეკლე მეორეს ჯერ კიდევ დასაწყისშივე, სიცოცხლეშივე ბევრჯერ უშუხთლა, უფსკრულის პირას დააყენა, მისი გარდაცვალებისთანავე კი საქართველოს სახელმწიფოებრიობაც მოუსპო, თავისუფლებაც და სწორი ევროპული გზით განვითარების საშუალებაც.

უზარმაზარი რუსეთის ჩრდილი ყოველთვის ჯანღვივით აწვა საქართველოს, აწვა და ერთიანად გადაფარვას ცდილობდა, ამ მიზნით სამი წლის მანძილზე დამოუკიდებლობისა და წინსვლა-განმტკიცების გზაზე შემდგარ ქვეყანას ნორმალური არსებობის ყველა გზა გადაუკეტა. ავადმყოფობით შეურაცხადობის მიჯნამდე მისული ლენინი საქართველოსთან მეგობრობისა და თავდაუსხმელობის 1920 წლის პაქტზე ხელს მოჩვენებითად აწერინებდა საგარეო საქმეთა მინისტრ ჩიჩერინს, საკუთარი ხელით კი უკვე საქართველოს დასჯისა და ოკუპაციის ვერაგულ გეგმას ადგენდა, მან ბოროტი ზრახვების აღსასრულებლად თავისუფლებაზე მეოცნებე ურჩ ქვეყ-

ანას მალევე შემოუსია კბილებამდე შეიარაღებული დივიზიები, სადაც ძირითადად უპატრონოთა სახლებში აღზრდილებისა და კრიმინალების ბნელი მასა იყო გაერთიანებული.

ამ თემისა თუ მოუშუშებელი ტკივილის შესახებ რეალური საფრთხის მიუხედავად, არა ერთი და ორი ქართველი პოეტი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი წერდა: ხალხს დღემდე ახსოვს კოტე მაყაშვილის, გალაკტიონ ტაბაძის, იოსებ გრიშაშვილის, ტიცვიან ტაბიძის, კოლაუ ნადირაძის და სხვების შეფარვით ან პირდაპირ ნათქვამი სტრიქონები, სადაც პატარა, ამაყი ქვეყნისა და ქედმოუხრელი ქართველი ხალხის მძაფრი სულიერი ტკივილი ისმის.

ამ მხრივ ნიშანდობლივი და განსაზოგადებულია თუნდაც პოლიტიკური მოტივით თხუთმეტწლიანი იზოლაციით მკაცრად დასჯილი ქართველი პოეტის აკაკი პავლეს ძე წერეთლის შვიდი ათეული წლის წინათ დაწერილი ლექსი „მწარე განსენება“. საყოველთაოდ ცნობილი ჩვენი ნათქვამის გნებავთ მილიონმეერთე საილუსტრაციოდ გვინდა ლექსი აქაც მოვიტანოთ: „ეს ყველაფერი კარგად ვიცით საიდან მოდის, რას გვემართლება, რატომ გვთელავს დღემდე რუსეთი, ჩვენ ზუსტად მაშინ გავითალეთ სამარის ლოდი, როცა ვიდექით და ლენინის ბოდვას ვუსმენდით. თუმცა წაგვართვეს სმენისა და განსჯის უნარი, ვერავინ შესძლო ქვეყ-

ნისათვის სხვაგვარი ებიძგა, ჩემო მამულო, ვინ იქნება შენი მკურნალი, ვინ დაგიფარავს წითელ ჭირის მოძალები-სგან. არსაიდან ხმა, არც მშველელი, რჩები ეული, თავისუფლებას ვინ დაუსვა სისხლით წერტილი, არ ჩანს მთავრობა დაცემული და გაქცეული, გმინავს მამული დაშლილი და სისხლდაწრეტილი. კვლავ ჩაქუჩივით მირტყამს ფიქრი: საით და როდის, აწი როგორ და გამთელდება გზა დაბზარული, სისხლით და ჟლეტით მეთერთმეტე არმია მოდის, უწმინდეს მიწას თელავს ველურ ცხენთა თქარუნი. ძალით უხეშით შერყვნილია კუთხე ქებული, რას არ ჩაიდენს კაცი როცა დალატს იკისრებს, ტირის თბილისი, გათელილი, დამცირებული, დეპეშა მზად აქვს გასაგზავნად ორჯონიკიძეს. ეცნობოს მტარვალს აღსრულება მისი ნებისა, სიამოვნებად რომ მიართვან „ბელადს“ დილისთვის, ტაბახმელიდან წვეთავს სისხლი ოუნკრებისა და მძიმე ჯანლებს, განუჭვრეტელს იხვევს თბილისი“. მსგავსი ლექსები უთვალავი იწერებოდა, რაც ქართველი ხალხის გულისტკივილს, მწუხარებასა და დაგროვილ საუკუნოვან ბოღმას გამოხატავდა.

საქართველოს მოსახლეობას, მარად დაუვიწყარი წინაპრების სპეტაკ სულის, ჩვენი დღევანდელი მცხოვრებლების დიდ ნაწილს სისხლიანი, პირგახსნილი და ვერაფრით მორჩენილი ჭრილობებივით აქვს შემორჩენილი 1921, 1924, 1937, 1942, 1951, 1956, 1989 და

ნებისმიერი წლის ამაზრზენი საშინელებები, რაც ქართველი ხალხის ყოველი ურჩობის სისხლში ჩახრჩობის მიზნით ხდებოდა. მიტაცებული ისტორიული მხარის ბოლომდე შენარჩუნება-გადაგვარებისათვის სიბევრით გათამამებული რუსეთი არავითარ უკადრისს არ ერიდებოდა.

ის სავალალო დღეები წარსულს ჩაბარდა, მაგრამ ბოროტების პარპაში არ დამთავრებულა. როგორც კი საქართველომ, მონობისაგან თავის დახსნის ათასწლოვანი სურვილით ანთებულმა ქართველმა ხალხმა, მისმა ეროვნულმა ხელისულებამ დამოუკიდებლობა, თავისუფლება გამოაცხადა და უხეში ძალით წართმეული სახელმწიფოებრიობის აღდგენა დაიწყო, დიდი კი არა, ვეება რუსეთი მყისვე განსახიერებული ბოროტებით აღიმართა პატარა საქართველოს წინ. დაიწყო არეულობა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ-ოსეთის ასაფეთქებელი ბომბების სახით წინასწარ შექმნილ ავტონომიურ რესპუბლიკასა და ოლქში, არეულობას ომიც მოჰყვა, სადაც აღნიშნული წარმონაქმნებისა და ჩრდილოეთ კავკასიის პატარ-პატარა ადრევე დამონებული ავტონომიური რესპუბლიკების სახით კვლავაც რუსეთის კბილებამდე შეიარაღებული ინტერნაციონალურ-კრიმინალური არმია ებრძოდა ახლადფეხადგმულ საქართველოს, საინფორმაციო საშუალებების სიუხვით კი ცდილობდნენ მსოფლიო თანამეგობრობისათვის

დაენახვებინათ და როგორმე დაერწმუნებინათ, რომ საქართველო აფხაზეთმა და მით უმეტეს ერთმა ციციქნა ე.წ. სამხრეთ-ოსეთმა დაამარცხა. ცდილობდნენ ტოლერანტული საქართველო პატარა იმპერიად და მცირერიცხოვანი ერების მჩაგვრელად გამოეყვანათ.

ამ ტაბუდადებულ საჩოთირო თემას მთელი თორმეტი წლის მანძილზე მონური შიშით მალავდა წინა ხელისუფლება. მხოლოდ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოსულმა ახალმა და ახალგაზრდა ხელისუფლებამ ვაჟკაცურად განაცხადა, რომ ეს ცუდად დადგმული ფარსი იყო საქართველოს ძირძველი ტერიტორიის ანექსია და წმინდა წყლის ოკუპაცია, რამაც რუსეთის ხელისუფლების არნახული განრისხება-გამშაგება გამოიწვია. უცებ დაიწყო კიდევ უფრო ვერაგული, მსოფლიოს პროგრესული საზოგადოების მიერ დაგმობილი მეთოდების გამოყენება: საქართველოს დაქუცმაცების მიზნით ჩაყენებული ვითომდა მშვიდობისმყოფელი რუსეთის ჯარების შემოყვანა არ იკმარეს და თვითაღიარებული, არავისაგან ცნობილი აფხაზეთისა და ასევე არაღიარებული ე.წ. სამხრეთ-ოსეთის ძირძველ ქართულ ტერიტორიებზე გენოციდის შედეგად ქართველებისაგან გაწმენდილ მოსახლეობას უხვად და დაუბრკოლებლად დაურიგეს რუსეთის მოქალაქეთა პასპორტები, რაც ვითომდა ხალხის

მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ხდებოდა, იმ დროს კი რუსეთის ძირითადი მოსახლეობის უდიდეს ნაწილს მიღებული არ ჰქონდა საკუთარი ქვეყნის პასპორტი და ბევრს დღესაც არ აქვს მიღებული.

იმდენად დიდი იყო გაურჩეული საქართველოს დასჯისა და როგორმე შეჩერების სურვილი, რომ მისი საკუთარი ისედაც მცირე მიწების წართმევაც არ იუკადრისეს, გადაივიწყეს საშინელი ისტორიული ფაქტი, რომ საქართველოს გამგებლობაში არსებული მხარე გაგრძელებდა ვიდრე ტუაფსემდე უკვე წართმეულ-მითვისებული ჰქონდათ, საქართველოს უძველესი კუთხეები კი გაჩუქებული და გასხვისებული, რის ვითომცდა გამართლებასაც სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულელური მეთოდებით ცდილობდნენ.

ბოროტებით დაბრძავებული რუსეთი სიტყვიერად, ფარისევლურად აღიარებდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, საქმით კი სულ სხვას აკეთებდა, ცხადად ამკვიდრებდა ორმაგ სტანდარტს, ყველანაირად ხელს უწყობდა და უწყობს დაქირავებულ სეპარატისტულ მთავრობებს რუსეთთან დამონების მიზნით რეფერენდუმები ჩაატარონ, ხალხს ძალით მოახვიონ თავს იმპერიალისტური ზრახვებით სავსე სახელმწიფოს სურვილი. მცირე ქართული მიწების ხელში ჩაგდების გააფთრებული ცდების დროს რუსეთს ავიწყდება, რომ ციმბირისა და შორეუ-

ლი აღმოსავლეთის ქალაქები, დაბები, სოფლები, მიწები მილიარდნახევრიანი ჩინეთის მშრომელი მოსახლეობით ისე ივსება, როგორც ხეები იხუნძლებიან ხოლმე ბელურების მოფრენისას. გაივლის რამდენიმე წელი და მილიტარისტული რუსეთი საკუთარ თავზე იწვევს სხვისთვის გამიზნულ ვერაგობას, საქართველოს ტერიტორიაზე ასჯერ და მეტად აღმატებულ მიწებს დაკარგავს.

არც ჩდილოეთ კავკასიის ქვეყნები მოისვენებენ, მოჩვენებითი სიმშვიდე, ან უფრო ზუსტად ძალადობრივი სიმშვიდე, ერთბაშად ცეცხლად აენთება და ყველა დამოუკიდებლობას მოითხოვს, რუსეთისაკენ ცუდად შებრუნდება ის საეჭვო კოზირი, რასაც იგი დღეს უსირცხვილოდ ათამაშებს აფხაზეთისა და ე.წ. სამხეთ-ოსეთის საშუალებით კვლავაც გაურჩეული საქართველოს წინააღმდეგ, ვინც გაბედა და ნატოში, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაერთიანების სურვილი გამოთქვა, რუსეთი კი მტრულად განწყობილი ნატოს მის საზღვარზე დადგომას ვერაფრით ვერ შეეგუებოდა.

ამ დრომდე საქართველოს ტერიტორია მიაჩნდათ ბუფერულ ზონად, ასეთი ზონის კავკასიონის მწვერვალებს იქით გადანაცვლება რუსეთს საერთოდ ძილს უფრთხობს და წონასწორობის დაკარგვამდე ანერვიულებს, რადგან სიკვდილის დღესავით ეშინია აღნიშნული ზონის კვლავაც გადანაცვ-

ლება არ დაიწყოს და დაპყრობილ საზღვრებს არ გადასცდეს. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ მთელი ფრონტით დაიწყო „გათავხედებული“ და გაურჩეული საქართველოს წინააღმდეგ ყველა არსებითი თუ არსებული სანქციის გატარება, უფრო ზუსტად გამოუცხადებული ომი, დაიწყო ცივილიზაციისაგან საერთოდ შორს მდგომი დამსჯელი მეთოდების გამოყენება: აიკრძალა ქართული ღვინო, რუსების საყვარელი ბორჯომის, მწვანლის, ხილის, ციტრუსების შეტანა რუსეთის მთელ ტერიტორიაზე, ჩაკეტა საზღვრები, აიკრძალა საჰაერო მიმოსვლა, რაც დავალიანებას გადააბრალებს.

„გრუ“-ს ოთხი გაშიფრული აგენტის დაკავების შემდეგ რუსეთის ხელმძღვანელობამ, განსაკუთრებით კი სუკის ყოფილმა ოფიციალურმა ფუნქციონერმა, ამჟამად რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა მთელი აჟიოტაჟი ატეხა, მეტიმეტად ძნელი გახდა საკუთარი ამბიციების დაოკება, იმის გადაყლაპვა, რომ ერთ დროს ლამის გუბერნიად ქცეული ქვეყანა წლების მანძილზე გაბატონებული ქვეყნის სამარცხვინო ჯაშუშებს იჭერდა. ყურად არ იღეს რეალური გარემოებაც, რომ „გრუს“ აგენტების მთელი დივიზია იყო დისლოცირებული საქართველოს შემოჭიდრობულ ტერიტორიაზე და მითუმეტეს უხეში ძალით მიტაცებულ ძირძველ ქართულ მიწაზე. დაუყოვნებლივ დაიწყო ლენინისეული გაგებით „გათ-

ავხედებული“ სახელმწიფოს ყველა არსებული მიღებული და მიუღებელი საშუალებებით დასჯა, რითაც რუსეთის ხელმძღვანელობამ თითქოს აფარებული ნილაბი ჩამოიხადა და შეუღამაზებელი სახით წარუდგა საერთაშორისო თანამეგობრობას.

ყველაზე მიუღებელი, სამარცხვინო, მთელი მსოფლიოს წინაშე თავის მომჭრელი კი იყო ქსენოფობიის, სიძულვილის დაუყოვნებლივი აღორძინება და მთელი სისრულით გამოყენება, მათ მიერ დაგმობილი ფაშიზმის მიუღებელი მეთოდების გამოვლენა, რაც გამოიხატა უდანაშაულო მშრომელი ხალხის სისასტიკით გამორჩეული დეპორტაციით, ხაზს ვუსვამთ უდანაშაულო ხალხის, თორემ დამნაშავეები თავს კომფორტულად გრძნობენ ვეებერთელა რუსეთის ტერიტორიაზე, არხეინად მიირთმევენ საქართველოდან გატაცებულ თუ ფარული პატრონების გამოყოფილ მილიონებს. საწყალი ხალხი რუსულ ყინვასა და სიცივეში ე.წ. გამანაწილებლის საკონცენტრაციო ბანაკის მსგავს ჭერქვეშ ათენებდნენ და აღამებდნენ, შიმშილით რომ არ მომკვდარიყვნენ, ბოლო კაპიკებს ხარჯავდნენ, კვირაობითა და თვეობითაც კი ელოდებოდნენ სამშობლოში დაბრუნებას. ამ გაუთავებელ ლოდინსა და ზიზღს უკვე შეეწირა უდანაშაულო აღამიანების სიცოცხლე და ღმერთმა უწყის კვლავაც რამდენი შეეწირება. გაუსაძლისად ამაზრზენი იყოს ის

ფაქტიც, რომ მილიცია, იგივე საბჭოთა მილიცია, სკოლებში ეძებდა ქართული გვარის მქონე მოსწავლეებს და მათ ნორჩ სულებში მოძალადეებისადმი ზიზღს ნერგავდა. ამ უსამართლო ბაკქანალიის დამაგვირგვინებელ აკორდად გაისმა 2006 წლის 6 დეკემბერს რუსეთის დუმის მიერ მიღებული დადგენილება აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ-ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ, რაც მართლაც ანექსიისა და ძირძველი ქართული მიწების ძალადობით მითვისებას ნიშნავს. უსირცხვილოდ აცხადებენ ჩვენი მოსახლეობა უნდა დავიცვათო, აცხადებენ იმ გზაბნეული ადამიანების შესახებ, ვისაც დაჩქარებული წესით დაურიგეს რუსული პასპორტები, თან საზღვარი გაუხსნეს „დიდი“ რუსეთისაკენ, საქართველოსთან კი სავიზო რეჟიმი დააკანონეს, ცხადად გამოხატეს მათი მხრივ გაორებული პოლიტიკის არსებობა.

მსგავსი რამ მსოფლიოს არ ახსოვს არც მეოცე და არც ახლახანს დაწყებული ოცდამეერთე საუკუნეების მანძილზე. ამიტომაც ყველა ამ საშინელებას უკვე ცხადად აღიქვამს თითქმის მთელი პლანეტა და ქმედითი დასკვნებიც იქნება გამოტანილი იმ დემოკრატიული სახელმწიფოების მიერ, ვისაც რუსეთის შემოგდებულ ბლეფად მიაჩნია აფხაზეთისა და მცირემოსახლეობიანი ყოფილი სამხრეთ-ოსეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე უბრალო საუბარიც კი. ან რა რეფერ-

ენდუმსა და აღსარებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა აფხაზეთიდან გამოდევნილ სამასიათას ადამიანსა და ე.წ. სამხრეთ-ოსეთიდან უხეში ძალით ადგილგადანაცვლებულ მოსახლეობაზე კრინტის დაძვრასაც კი აღარ აპირებენ. გამართლდა ის მკრეხელური აზრები, რასაც საქართველოს თავისუფლები-საკენ სწრაფვით გამოხატული ურჩობის ჩასახშობად თვეებისა და წლების მანძილზე ხმის ჩახლეჩამდე ლაპარაკობდნენ ჟირინოვსკი, ზატულინი, მიტროფანოვი, ლეონტიევი, მიგრანიანი, ბაბურინი, ალქსნისი, როგოზინი, კოკოშინი, სლისკა, აგრეთვე ძმანი და დანი მათნი, რომელთა შორისაც იმყოფებიან შავი პიართა და სიძულვილით სამარცხვინოდ თავგამოჩენილი ანტუფიევი, დემჩუკინი, კოსაჩოვი, ჟუკოვი, კოვალიოვი, ფაძაევი, მანმუტოვი, ზელიხანოვი, ლიხაჩოვი, სნეგუტკინი და სხვა ვაიდუპუტატები, ვინც განსაკუთრებით აქტიურობას იჩენდა ქართველი ხალხის მიმართ ზიზღით გამსჭვალული ქსენოფობიის განსამტკიცებლად.

უკიდურესად ცუდი და უარყოფითია ყოველივე ეს, ჩვენს თვალწინ უხეშად იმსხვრევა მითი საქართველოსა და რუსეთის მეგობრობის შესახებ, ან რა მეგობრობა შეიძლება არსებულიყო დამპყრობელსა და დაპყრობილს შორის, წმინდა ტოტალიტარული სულის მქონე და თავისუფლების მსურველი ტოლერანტული მისწრაფებით სავსე ადამიანებს შორის. სრულიად ბუნე-

ბრევია, აქ მთლიანად ხალხებზე არ არის ლაპარაკი. უბრალო ადამიანებს თუ შემოქმედებით მუშაკებს, ცალკეულ სპეციალისტებს თუ მეცნიერებს, მართლაც ჰქონდათ ერთმანეთს შორის მეგობრობა და ჩვენს უახლოეს მეზობელთან ურთიერთობები ისევ უნდა გავაგრძელოთ, რადგან პოლიტიკოსები იცვლებიან, ხალხი კი მუდმივად რჩება.

მოვლენების მსვლელობამ სამწუხაროდ კიდევ ერთხელ დაადასტურა არაერთხელ დადასტურებული ფაქტი, რომ რუსეთს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია ყოფილ რესპუბლიკებთან თანამშრომლობის პრინციპით არსებობა, თანაბარ საწყისებზე მეგობრობის დამყარება, ტოლერანტობისა და სიბოროტის გამოვლენა, პარტნიორული ურთიერთობის განვითარება, იმპერიული ამბიციების, დამპყრობლურ-მიმტაცებლური პოლიტიკის უკუგდება. უტყუარი ფაქტია, რომ ტოტალიტარიზმის საყვარელი გზიდან ვერგადასული რუსეთი დემოკრატიული ფასეულო-ბებისაკენ სწრაფვის სურვილს ოდნავადაც ვერასოდეს ვერ გამოხატავდა.

ასეთი ურთულესი ვითარების დროს პრორუსული თუ საქართველოს ერთიანობის ხელის შემშლელი ან მოწინააღმდეგე ზოგიერთი პარტიის წარმომადგენელი და მათ ფეხის ხმას აყოლილი მოსახლეობის უმცირესი ნაწილი პათეტიკურ კითხვებს სვამს—შეიძლება თუ არა ამ უმძიმე-

სი ვითარებისათვის თავის არიდება. გადაჭრით და გარკვევით უნდა ითქვას—არ შეიძლებაოდა რუსეთის ხელისუფლებისათვის სულ რომ წითელი კვერცხები გვეგორებინა, გრიზლოვის ან ჟირინოვსკისთვის მამა გვეძახა, ლუბა სლისკასთვის დედა, სერგეი ივანოვისთვის ძმა, ზატულინისათვის კი გზის მანათობელი ჩირაღდანი, როგორც კი საქართველო ჩრდილოატლანტიკური ალიანსისკენ სწრაფვას დადასტურებდა, იმ წამსვე ატყდებოდა ის, რაც ატყდა, დაიწყებოდა ის, რაც დაიწყო, უკვე აღარ გამოდგებოდა სიდიდითა და სიბევრით გათამამებული რუსეთის ან იგივე საბჭოთა კავშირის დროინდელი მაღალპათეტიკური ჰიმნის სიტყვები:

„რაც სრული ბლეფი და შეცლომა აღმოჩნდა, ეს ვითომ შეკავშირებისათვის საჭირო ძალად ერთიანობა ხუნულასავით დაინგრა.“

სწორად აღნიშნა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, რომ რუსეთს ხელს არ აძლევს საქართველო იყოს მოწინავე დემოკრატიული ქვეყანა, ეშინია ეს მიმზიდველ მაგალითად არ იქცეს სხვა ყოფილი რესპუბლიკებისათვის, სადაც რუსეთი ჯერ კიდევ ახერხებს შესუსტებული გავლენის შენარჩუნებას. თუნდაც ამ მხრივ სხვებისათვის საკუთარი ძალების დემონსტრირება იყო ის, რომ „გაზპრომმა“, რა თქმა უნდა, ხელისუფლების უსიტყვო დასტურით, გადაწყვიტა

საქართველოს გაზი ასათი დოლარი-დან, ორასოცდათხუთმეტ დოლარამდე გაუძვიროს, – მთელი ასოცი პროცენტით.

საქართველოს ამ ნაბიჯით ვერ დააჩოქებენ, რუსეთის გაათმაგებულმა სისასტიკემ ხელი ვერ შეუწყო მათთვის სასურველი ნაბიჯების გადადგმას, პირიქით ხალხი უფრო შემჭიდროვდა ხელისუფლების ირგვლივ, გაჭირვებისას მონოლითურობის სურვილი გაჩნდა, კვლავაც დადგა დღის წესრიგში დიდი შოთა რუსთაველის აფორიზმი: „ჭირსა შიგან გამაგრება, ისრე უნდა ვით ქვითკირსა“. ტოტალიტარული მიმართულების რუსეთსა თუ თავისუფალ საქართველოში ზოგიერთ თავგზაარეულ ოპოზიციონერს, მაგალითად შეიძლება მოვუყვანოთ რუსეთის მიერ დეპორტირებული და მართლა გაწამებული ხალხი, ვინც რუსეთსა თუ დაღესტნის საზღვრებს ქართული ეროვნული დროშების ფრიალით ტოვებდა, ვინც უკმაყოფილებისა და გაბრაზების გამოხატვის ნაცვლად გაიძახოდა-საქართველოს გაუმარჯოს, საქართველოს პრეზიდენტს გაუმარჯოსო, აი, სწორედ ეს ხალხია ნაღდი ქართველები, მამულის მოყვარულები, ვის სულიერ სიმტკიცესაც გაჭირვება ვერ გატეხს. როცა უძველესი ქვეყნის სუვერენიტეტი მძაფრი ანტირუსული პოლიტიკის რანგშია აყვანილი, სახელმწიფო თუ ხელისუფლება, ვინც ამას აკანონებს, ვერაფრით ვეღარ გამოსწორდება,

დემოკრატიის გზას ვერასოდეს დაადგება, შეიძლება ხალხებს შორის იყოს გარკვეული კომპრომისები, იყოს დათმობაც და დათბობაც, თუმცა მოჩვენებითი ინტერნაციონალური მეგობრობა უკვე ვეღარ აღორძინდება.

გართულებული ვითარება აუცილებელ გამოსწორებას მოითხოვს, მეზობლობის კატეგორია ვერაფრით ვერ გაუქმდება, უაზრო შეცდომის აღმოსაფხვრელად გამიზნული რუსეთის პრეზიდენტის ნაბიჯს საქართველოში ელჩის დაბრუნების შესახებ ურთიერთობათა ნორმალიზაციის მთელი წყება უნდა მოჰყვეს.

ამ ბოლო დროს რუსეთთან უკიდურესად დაძაბული ურთიერთობის ვითარებაში ერთ-ერთ აქტიურ პრობლემად იქცა დსთ–დან გამოსვლის საკითხი. ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი ხვდება, რომ დსთ–დან გამოსვლა გარდაუვალია, დღეს იქნება თუ ხვალ ეს მოხდება, ნატო და დსთ საერთოდ შეუთავსებელ ცნებად ანუ ანაქრონიზმად მოჩანს.

დსთ–ში რუსეთის გარდა გაერთიანებულია უკრაინა, ყაზახეთი, მოლდოვა, აზერბაიჯანი, საქართველოსთან მეგობრულ ურთიერთობაში მყოფი ქვეყნები. იქნებ ამიტომაც რუსეთის უშუალო მიზებითა და რუსეთთან გაბუტვით რატომ უნდა გამოვიდეთ დსთ–დან, სულ მალე ალბათ, უკეთესი მიზებიც იქნება და ევროპული დემოკრატიის გზებით მიმავალი საქართველო საბოლოოდ

დაუკრავს თავს დსთ-ს, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ ზემოთ მოხსენებულ ქვეყნებთან საქმიან, მეგობრულ ურთიერთობას არ გააგრძელებს. მთავარია ეგზალტირებულ რუსეთის ღუმას არ აყვევოთ, ღუმაში სხვებთან ერთად თავი არ შევყოთ, არც რუსეთის ხელისუფლებას არ აყვევოთ, მთელი მსოფლიო კეთილი თვალთ ხედავს როგორი დაუნდობელი ზიზღით გამოყარეს ქართველები, ჩვენ კი სამშობლოში მიმავალი რუსები ყურძნით, ბორჯომითა და ქართული ღვინით გაგაცილებთ. ამას ყველა ხედავს, ყველა ერთმანეთს ადარებს სიგიჟესა და სიმშვიდეს, ბოროტებასა და სიკეთეს, სიკეთე კი ღვთის მაღლით ყოველთვის იმარჯვებს ბოროტზე, ჯერ ქვეყანაზე ბოროტება განგების ძალით დაუსჯელი არ დარჩენილა.

რუსეთის ხელისუფლება, ეს ნათელზე-ნათელია, ყოველთვის შეეცდება გაურჩეული საქართველო კვლავაც ტოტალიტარიზმის საუკუნოდ დამობილ გზაზე შეაყენოს, თუმცა თვით საქართველო ამას არავითარ შემთხვევაში აღარ დაუბრუნდება, თავისუფლება და დემოკრატია ყოველგვარ ღირებულებაზე მაღლა დგას.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გამარჯვებულ ქართველ რაგბისტებთან შეხვედრისას იმედიანი ტონით განაცხადა:

„საქართველო გუნდურად ითამაშებს და ლელოს გაიტანს ბოლომდე“.

ასეთ დროსა და ვითარებაში მართლა მისაბამია სპორტის ეს აღიარებული სახეობა, გამამხნეველია იმ ქართველი ბიჭების მაგალითი, რომელთაც ერთიანი ვაჟკაცური სულისკვეთება ამოძრავებდათ, მათ ბევრი დიდი ქვეყნის წარმომადგენლებს ტოლი არ დაუდეს და სოლიდარობით მიუღწევლის მიღწევა შეძლეს.

საქართველოს პრეზიდენტმა ისიც იმედიანად და კონკრეტულად განაცხადა, რომ ამიერიდან „საქართველოს მომავალი სამოქმედო სქემა და სცენარი თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში დაიწერება. ქართველმა ხალხმა უნდა შეიგრძნოს, რომ არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა რას ფიქრობს რუსეთი, რა გეგმები აქვს და რას მოიმოქმედებს.“

სწორედ ამ მაღალი მიზნების მისაღწევად არის საჭირო ერთიანობა და მრავალჭირგადანახადი ქართველი ხალხის შეკავშირება. ჩვენი დიდი იმედი გამოიწვია საქართველოს პარლამენტის იმ სხდომამ, სადაც კონკრეტული პასუხი გაეცა რუსეთის ღუმის შოკინისტურ განცხადებას და სადაც პოზიციისა თუ ოპოზიციის წარმომადგენლები ერთი სუნთქვით სუნთქავდნენ, ერთ მიზანს მიეღწეოდნენ. სწორედ ასეთი სოლიდარობა და ერთობა სჭირდება დღეს საქართველოს, სწორედ ამგვარი „ჭირსა შიგან გამაგრება“ გადაგვარჩენს.

სარედაქციო კოლეგია

ალექსანდრ ბლოკი

ძერა

ტრიალებს ძერა რუსეთის თავზე
 ზემოდან დასცქერს კორდებს მინაბულს,
 ოთახს პაწაწა სლუკუნით ავსებს
 დედა აკვანთან წუხს ატირებულს:
 „მოსწოვე ძუძუ! ბაგის რბილებით,
 იზარდე შვილო, ღვთის მორჩილებით“.

მიქრიან დრონი ბრძოლით, ჯანყებით,
 გადაბუგული სოფლების სივრცით,
 ყველას რუსეთის ხალხად დახვდები
 ქვეყანავ, ვინაც ცრემლებიც იცი,
 ანდა როდემდე უნდა წვალობდე,
 და ძერაც თავზე დაგტრიალობდეს!

1916 წ.

სერგეი ესენინი

X X X

თოვლით სავსე მდელო, ვერცხლის დარი მთვარე,
 შავი თალხი ფარავს წინაპართა მხარეს.

ხე კი ჰვოდებს არყის, თითქოს ქნარი არი,
 სხვა არის თუ მე ვარ უპატრონო მკვდარი.

1925 წ.

თარგმნა ნუგ ზარ წერეთელმა

ერის მოჭირნახულე

გამოჩენილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნიკა აგიაშვილის არქივში დარჩა ბევრი საინტერესო მასალა, რომლის ნაწილიც ახლახან გადმოძეა მისმა ქვრივმა, ქართული მწერლობის უანგარო ქომაგმა ქალბატონმა ქეთევან ფულარიამ, რისთვისაც მას გულითად მადლობას მოვასხსენებ.

ამ მასალებიდან ერთში სავალალოდ დაცლილი და გაუკაცრიელებული ხევსურეთის პრობლემებზეა მეტად ჭკვიანური, საქმიანი საუბარი. იგი გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე, 1982 წელს, უნდა იყოს დაწერილი. თავდაპირველად, ბატონ ნიკას მისთვის ჩვეული სითბოთი და სიყვარულით ჰყავს მოხსენებული „კაი ყმა“ და მშენიერი პოეტი გიორგი გიგაური, რომლის მადლიან სტრიქონებში ძალუმიდ იგრძნობა, თუ როგორ უკლავს გულს ზღაპრული ბუნებით შემკული მშობლიური კუთხის დაცარიელება, ჩამქრალი კერები, თვალეზამოღამებული ნასახლარები...

ნიკა აგიაშვილმა, ერის მოჭირნახულე ბრძენკაცმა კარგად იცის – მიწას დიდი ხნით თუ მიატოვებ, არ მოუვლი, არ მოხნავ და დათესავ, მას სხვა დაეპატრონება და ჩვენი ისედაც დამცრობილი მამული კიდევ უფრო დაჩიავდება. საქართველოს „უგვირგვინო მეფემ“ აკაკი წერეთელმა თავის გენიალურ პოემა „ნათელაში“ გვიანდერძა, რომ ჩვენი სამშობლოს თითოეულ კუთხეს თვალისჩინივით ვუფრთხილდე-

ბოდეთ და როცა რომელიმეს გაუჭირდება, დაუყოვნებლივ მივხედოთ („მამინვე უნდა შველაო“). წინამდებარე მცირე წერილის ავტორი აკაკის ანდერძის ერთგული რაინდია, იცის, ყოველ კუთხეს განუშეორებელი იერი და კილოკავი რომ აქვს და ეს ღვთისაგან ბოძებული მრავალფეროვნება სიცოცხლის ფასად უნდა შევინარჩუნოთ. წერილში ალაგ-ალაგ, ჩანს ბატონი ნიკას ცოცხალი იუმორი, მაგრამ უფრო მეტად – შეუწელებელი ფიქრი საქართველოს მთიანეთის გონივრულ განაშენიანებასა და აღდგენაზე. იგი გაზეთში გამოქვეყნებულ ახალგაზრდა მწერლების შთამბეჭდავ, რეპორტაჟის ტიპის დიდ ნარკვევსაც ეხმიანება და უწონებს მათ მამულიშვილურ შემართებას, მკვიდრი მოსახლეობისაგან მიტოვებული ხევსურეთის ბედზე ზრუნვას.

თამამად შეიძლება ითქვას – ნიკა აგიაშვილის ამ წერილს სიმძაფრე, აქტუალობა ოდნავაც არ დაუკარგავს, ვინაიდან ხევსურეთის ფეხზე დასადგომად და ასაღორძინებლად, კომუნისტების მმართველობიდან მოყოლებული დღემდე, ბევრი არაფერი გაკეთებულა და ამ გადაუდებელი, საშვილიშვილო ჩანაფიქრის ხორცშესხმა დამოუკიდებელმა საქართველომ უახლოეს მომავალში უნდა შეძლოს.

ემზარ კვიციანიშვილი



ნიკა აკიაშვილი

მშობლიურ ხევსურეთს ბევრი კარგი მომღერალი ჰყავს. ისინი ადიდებენ თავიანთი საყვარელი კუთხის წარსულსა და აწმყოს, ყოველი მათი წიგნის მთავარი თემაა: წინაპართა სისხლის წვეთი და მამულის დამამშვენებელი მთელი დედაენა.

ეს პოეტები აქებენ და ამკობენ ამ ენას, ერის ღიღების წყაროს. წარსულის გახსენებასთან ერთად, არ ჰკარგავენ სიანლის გრძნობას და როდი არიან კარჩაკეტილნი – მარტო ხევსურეთის ავ-კარგის აღმწესხველები და მისი მეხოტბენი თავიდანვე გასცილდნენ ჭიმღასა და ბლოს, რომკასა და ხახმატს და მათი ლექსები თავს დასტრიალებენ მთელ საქართველოს...

„თქვი, უტკბილესი რა არის ქვეყნად, - კითხულობს ერთ-ერთი მათგანი – გიორგი გიგაური. ბევრი რამ, მაგრამ ყველაზე უფრო: დედა, მამუ-

განახლდი, განახლდი, ხევსურეთო ჩვენო!..

ლი, სატრფო, საყვარელი ჩემი კუთხე... აივნიდან შვილის ღიმილი ნაზი, ულვაშზე ხელის წაპოტინება...“

ყველაფერი ეს დიდ სიხარულსა ჰფენს პოეტის გულს, ოღონდ მაინც გამოკრთის უსაშველო სევდა, როცა ამბობს ისევ ხევსურეთის გამო: „და ჩაიარეს გზათა მავალთა, რაც იყო, იყო, აღარა ვტირი“. ოღონდ ყველაფერი ასე როდია, - გავიხსენოთ ერთი მისი ცხრასტრიქონიანი ლექსი: „მითხარ, მოხუცო, ისევ ისე გიყვარან მთები, ნატვრის ხესავით რომ შეჰყურებდი?“ - „მათი სიმაღლით ძველებურად ველარ ვტკბები, გამოუკაცურდა ხევსურეთი, გამოუკაცრდა ხევსურეთი!“

პოეტი გაუნელებელი სულისღულილით დასტიროდა და იგონებდა იმ ძველ დროებას და აწუხებდა ხევსურეთის დღევანდელი მდგომარეობა: „მერე გამეფდა სევდა, სიმკაცრე, სიცარიელე, მათათა კალთებზე – ნასახლარები“. წარმოუდგება საშინელი სურათი: „ძაღვები სოფელს ყმუილით იკლებენ და მერე მათი ხმაც და კვნესაც ჩაიკარგება ქარაფებსა და ჭიუხების ლაბირინთებში.“

სიტყვამ მოიტანა და, მაშინ ყველანი ხმამაღლა ვამბობდით: მართლაცდა გაუკაცურდა და გაუკაცრიელდა ჩვენი დიდებული ხევსურეთი. გავიძახოდით, ჩვენ ისედაც ბევრი რამ დაკარგეთ და ამასაც ვკარგავთო.

კაცმა რომ თქვას, ეს არ იყო ძნელი საქმე, მაგრამ, ეტყობა, აღარავინ იზრუნა, არავინ იფიქრა მაშინ, როცა, პოეტის თქმისა არ იყოს, „გზაგასაყართან თავს იყრის ყველა, ოღონდ მერე ყველა თავისი გზით მიდის“.

კარგი დაგემართათ, კარგი იქნებოდა (როგორც მაშინ ფიქრობდნენ) ვითომც ეს სასტუმროები, ტურისტული ბაზები, ნაჩქარევად რესტავრირებული, შეითთხნილი ძველი ქავ-ციხეები, ეს გიდებითა და ექსკურსიამძღოლებით სავსე ახალმოდური მამახურები, როგორც ამის გაკეთებას აპირებდნენ ზოგიერთები, მაგრამ ეს ხევსურეთი კი აღარ იქნებოდა, არამედ რაღაც სხვა ქვეყანა, უჩვეულო, გულისამრევი ეგზოტიკა.

რამდენიმე წლის წინათ, ორხევეში, ჩვენი დაუფიწყარი ნიკო ქუმსიაშვილის საფლავზე მისი მოსაგონარი ზეიმი გაიმართა. იყო ცხენოსანთა შეჯიბრებაც დოღსა და მარულაში. აღმართ-დაღმართზე ცხენს მიაგელვებდა ერთი ჭარმაგი ხევსური. გაიმარჯვა კიდევ, და ჯილდოც მიიღო, მაგრამ ცხენიდან რომ ჩამოხტა, ნეტავი არ დაგვენახა: ზემო ტალავარზე ნახევრად უქარქაშო, ბუნიკწატეხილი, დანჯღრეული ხანჯალი ეკიდა. თავზე რუსული კოზიროკიანი ქუდი წამოეკოსებინა, ჯინსის შარვალი ეცვა და ფეხზეც – ცისფერი საფეხბურთო ბუცები. სიმახინჯე ამაზე იქით ვერ წავა... და მაშინ, და შეძღვაც, მრავალი ასეთი

სიღუნჭირის განცდისა და დანახვისას, დაგვცდენია ხშირად: ვაი თუ იმ ტურისტულ ბაზასა და ნაჩქარევად რესტავრირებულ ციხეებში ასეთი საკარიკატურო პერსონაჟები გამრავლებულიყო. იქ კი გვენახა ნამდვილი ხევსური, თანამედროვე ხევსური, ისე, როგორც მესტიასა და უშგულში, კალასა და ლენტეხში – ნამდვილი სვანი, რაჭაში – რაჭველი და ა.შ. და არა ევროპულ თუ სხვა ცნობისმოყვარულ უცხოელთაგან გასართობად, სასაცილოდ, კბილების საკრეჭად და აბუჩად ასაგდებად წარმოდგენილი ყოველმხრივ ნირშეცვლილი ხევსური, ისე როგორც იციან იქ, აფრიკასა და ამერიკის ქვეყნებში, რეზერვაციებში შერეკილ და ჩაკეტილ უბადრუკ აბორიგენტთა აგდებულად გამოფენა.

ჩვენ ამის ღირსნი არ ვიყავით არასოდეს და არცა ვართ და არც ვიქნებით... ერთიც უნდა ითქვას: ვის რად სჭირდება და გამოადგება, ანდა ვის რად უნდა დღეს აქა-იქ მიმოფანტულ შელამაზებულ ქონმახებსა და ვითომ საცხოვრებლებში შეყუჟული თითო-ოროლა ხევსური, ნეტარხსენებულ დავით გარეჯელისა და შიო მღვიმელის დროინდელი განდევნილი – ანაქორეტივით რომ დაეყუდნონ იქ, უკაცრიელ ქარაფებში დაკარგული! იმას კი არ ვამბობდით, ერთ დღეს ადგესო თბილისის მთელი ხევსურობა, დაიცალოს ეს მშვენიერი სოფელი გამარჯვება და შირაქის სანახები და

ხელალებით – დიდი და პატარა, განათლებული, მშრომელი მოსახლეობა გაცდეს სარახევს, მაღაროსკარსა და ბარისახოს, დაივანოს დაცარიელებულ ხევსურეთში, ალაღინოს ბოსლობა და შეაკეთოს ანატორის ძვალთშესალაგი... ამ საქმესა და ამბავს სხვანაირი მოვლა-პატრონობა უნდა, და ეს საქმე სახელმწიფომ ითავა კიდევ.

იყო მეორე მხარეც, და ვფიქრობ, ეს გახლავთ მთავარი: ყოველგვარი ნაირფეროვნება და ნაირსახეობა, თუ არ ვცდები, ჰქმნის ერთ მთლიან ჰარმონიას, კანონზომიერებას; უიმისოდ ყველაფერი ირღვევა და ხელს უშლის იმ მთლიან-მთელის არსებობას და ყოფნას, თუ ასე მოხდებოდა, თუ დღეს ხევსურეთს ხევსურობას დაუეკარგავდით, ვთქვათ – მაგალითად, ხვალ სვანს – სვანობას, ზეგ რაჭველს – რაჭველობას, და ა.შ. რა მოუვიდოდა მაშინ მთელ ერს? ხომ დაიკარგებოდა მისი მრავალფეროვნების ერთ-ერთი საუკეთესო შემადგენელი ნაწილი და დაიღუპებოდა კილოკავები, კუთხური გამოთქმები, ზნეჩვეულებები, დაიკარგებოდა და გაქრებოდა თავად ხევსური, ჩვენი ქვეყნის ერთი საუცხოო, ორიგინალური და თავისებური კუთხის საიშვიათო ბინადარი, რომლის გამოთქმული ამბები მერე ზღაპრად თუ მიუვათ ჩვენს შვილიშვილებს, რაიც შემდგომში ეთნოგრაფებმა და მკვლევარებმა უნდა იძიონ და თავპირი იტეხონ და იმტვირონ.

ჩვენი თაობის ადამიანებს მუდამ-ჟამს ახსოვდათ და ბავშვობის დღი-

დანვე არ ივიწყებდნენ „ბუნების კარის“ ჯადოსნური ფურცლებიდან შეყვარებულ და მერე დიდი ვაჟასა და მისი სახელოვანი ძმების, რაფიელისა და სხვა კარგ მესიტყვეთაგან გადმოცემულ და შესწავლილ დიდებულ ხევსურეთს, მის გმირ ხალხს, მის ღღევანდელ ახალგაზრდობას, პოეტებს, მეცნიერებს, მერე და მერე ჩვენი განუყრელი და საყვარელი მეგობრები რომ გახდნენ, რომელთაც უფრო ახლოს გაგვაცნეს და შეგვაყვარეს ხევსურული პოეზია, მისი წარსული და ღღევანდელი ადამიანები. მუდამ გვახსოვდა და არ ვივიწყებდით, რომ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი ვერასოდეს შეურიგდებოდა იმ მანკიერ, ქვეყნისთვის დამღუპველ მოქმედებას, რომლის გამო შიში ღღენიადავ არ გვაძლევს მოსვენებას.

რამდენჯერ შევხვედრივართ ყველანი ერთმანეთს შეკრებებზე, საზეიმო ვითარებაში, ჭირსა და ლხინში – ჩვენს ძმებს – ხევსურებს. იქ, იმ თავყრილობებზე, გამჟღავნებული იყო დიდი გულისტკივილი მთელი ჩვენი ქვეყნისათვის ამ დამღუპველი მოქმედების გამო და გამოითქვა კეთილი სურვილებიც და ბევრი სანუკვარი ნატვრა ღღევანდელი ხევსურეთის ბედზე.

1982 წლის 9 ოქტომბერს იმ ნატვრას უცილოდ ეწერა ახლომა და კეთილ სურვილებს – უეჭველი აღსრულება. ის დღე დაუვიწყარი იქნება არა მარტო ხევსურეთისათვის – მთელი საქართველო, ჩვენი ქვეყნის ყოვე-

ლი ჭემმარიტად მოყვარული ადამიანი ალაფრთოვანა ამ სასიხარულო მოვლენამ. იმ დღეს შატილში დიდ ზეიმზე ავიდნენ ჩვენი ქვეყნის მეცნიერებისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები, რესპუბლიკის ხელმძღვანელები, მწერლები, ჟურნალისტები, რჩეული ადამიანები, ვისაც დღენიადაგ არ ასვენებდა ხევსურეთის ავ-კარგზე ფიქრი. პრესამ, ტელევიზიამ და რადიომ ვრცლად გაამუქეს ეს დაუვიწყარი მოვლენა. განსაკუთრებით იმარჯვა ჩვენი საყვარელი გაზეთის „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციამ, და ხუთ ნომერში ზედიზედ მთელი გვერდები დაუთმო პოეტ კობა არაბულს, ენათმეცნიერ ავთანდილ არაბულს და ჟურნალისტ ალექო გაბელაიას საუცხოოდ დაწერილ დიდ ნარკვევს - „მყივანა წისქვილები, ანუ ხევსურეთის წარსული და მომავალი“. ესაა ძალზე საქმიანი, მეტად საჭირო, დროული და მაღალმხატვრულობამდე ასული ლიტერატურული რეპორტაჟი. ამ მხრივ უდიდესი მაღლიერების გრძნობით უნდა აღინიშნოს მათი ღვაწლი /საერთოდ, ყოველი ნარკვევი ასე უნდა იწერებოდეს, იგი ცალკე წიგნად გამოცემის ღირსია!.

მათ თავიდან ბოლომდე დაიარეს მთელი ხევსურეთი. რამდენ ვინმეს შეხვდნენ, რამდენი ნახეს, განიცადეს და „ბევრიც იტირეს“ ამ კუთხის უბედურობის გამო: პირწმინდად აღმოფხვრილი, ალგვილ-აყრილი ნასოფლარ-ნასახლარები, ძველსა და ახალს შორის წაშლილი ზღვრები; ამ ნასახლარებ-

ში აქა-იქ შეხიზნული თითო-ოროლა ქალი და კაცი. გამწყდარი და გაუკაცრიელებული მათი საქმე და მათი ანდერძი. დაცარიელებული და ობლადმდგარი შატილის ციხეები და არხოტის კომპები, და რა იქნება ხვალ, - ყველაფერ ამასა და მრავალ სხვა საჭირობოროტო საკითხს, საერთოდ - ხევსურეთის გადარჩენის საკითხს, იმედინად და გულში ჩამწვდომად გადმოსცემდნენ მკითხველს იმ ნარკვევის ავტორები, რასაც მთავრობის სათანადო დადგენილებაც ემატება - ძალზე დროული და საჭირო პირობების შექმნის თაობაზე, რამაც ყოფნა-არყოფნის სამანზე მდგარ ხევსურეთს სულზე უნდა მიუსწროს. მართლაც, საქმეს, საიმედო პირი უჩანს!

ნარკვევის წაკითხვისას და იმ დასახულ ღონისძიებათა გათვალისწინებისას, ყველას იმედი ჩაესახა, რომ ხევსურეთი უთუოდ მეორედ დაიბადება, მას ახალი სიცოცხლე დაუბრუნდება, კვლავ გაჩნდება ნაყოფიერი ნიადაგი, ამ ახლადდადგენილმა მხარემ ახლებურადვე რომ იზეიმოს ათენგენა /თუ ათენგენობა! - განახლების, აღორძინების, კვლავამაღლების ყველაზე დიდი დღეობა ამ კუთხეში.

მაშინ, იმ ზეიმზე დამსწრენი, ყველანი ერთობით, ოღნავ შეცვლილად გავიმეორებთ პოეტის სიტყვებს: „ვჭეკოთ სიმღერა სალალბო, ვჭეკოთ! ვინ იქნება თქვენში მომღერალი პირველი!“.

ნიკა ავიაშვილი

ემზარ კვიციანი

დღიურები

(წიგნიდან „რქაწითელის მტევანი“)

08.06.1994. რამოდენა ძალა ჰქონია—თავიდან არ ამომდის, ახლაც თვალწინ მიდგას რამდენიმე თვის წინ ნანახი ნაღვლიანი სურათი, რომლისთვისაც, ჩემს გარდა, არავის მოუქცევია ყურადღება. ათასი საზრუნავი და თავსატეხი აქვთ ადამიანებს, ვინ მოიცლის საამისოდ. ნაწვიმარი იყო. სადგურის მახლობელ ბაზარში შევიარე. კოჭამდე ლაფი ჰყავუნობდა გვერდითა მისავალთან. იქ, სადაც დანის მღუსავეები იყვნენ ადრე, რკინის ჭიშკრის უკან, ფარდულთან, უნუგეშოდ მოწყენილი კატა ჩაცუცქულიყო, ისეთივე გაუზარელი. კნუტობა ახალი მოლეული ექნებოდა. გამვლელებს თითქოს თვალს აყოლებდა, მაგრამ მათგან არავითარ სიკეთეს არ ელოდა. მომეჩვენა, გაცოცხლებული უყურებდა არეულ ბრბოს, თავის ხვედრს შერიგებული, მგონი ფიქრობდა კიდევ — ეს ხალხი რამ გადარიაო. მისთვის რაიმეს გასამეტებლად და ყურადღების მისაპყრობად, როგორც ვთქვი, არავის ეცალა. მისვლა და თავზე ხელის გადასმა მომინდა და თან იმისაც შექმინდა — ვერ გამოგებდა, დაფრთხებოდა. არასოდეს დამავიწყდება მისი მოწყვლიანებული, გულისმომკვლელად დასევდიანებული თვალები. მისნაირი გამომეტყველება მთელ ბაზარში და ბაზრის გარეთაც, დარწმუნებული ვარ, არავის ექნებოდა. ვინატრე, აპარატი

მჭეროდა და მისი ფოტო გადამეღო. ასეთი მომნუსხველი სურათები, არც ისე იშვიათად რომ მინახავს, სამწუხაროდ, პირწმინდად იკარგება და, ვინ იცის, შეიგონებოდა თუ არა ამას სხვა. ამიტომ მიჩნდება სურვილი, ნანახის, შემჩნეულის ცხადი გამოსახულება დარჩეს—სიტყვა, ნაწერი ყველაფერს ვერ მიგახვედრებს.

21.05.1996. ბოლო დროს მეძალევა წადილი—გადავწერო დათარიღებული, სხვადასხვა ფურცლებზე გაბნეული ჩანაწერები. ქრონოლოგიური თანმიმდევრობა, ბევრგან, არ იქნება დაცული, მაგრამ ასეთ ქაოსს აჯობებს, ცალკეულ, დანომრილ რვეულებში იყოს თავმოყრილი ეს არათანაბარი ღირებულების ნაკუწები. შეგუებული ვარ იმ აზრს, რომ ჩემი აწეწილი ცხოვრების გამო, ბევრი რამ დამეკარგა. აღდგენა შეუძლებელია.

თითქმის ყოველდღიურად მიხდება რაღაცების ჩანიშვნა. ამ პატარა პატარა, ნასხლეტა სტრიქონებმა გადამიყოლა. კარგა ხანია, მოზრდილს ვერაფერს ვწერ. ესეც თავისებური მანიაკობაა. ლამის ოლეშას პრინციპის მიმდევარი გავხდი („არცერთი დღე უსტრიქონოდ“).

იმდენი რამე მაქვს დახვავებული — რომ გამოძიცი, გადათვალიერებაც გამიჭირდება. ზოგჯერ იმდენად მეუცხ-

ობა და მეხამუშება ადრინდელი ჩაწერილი, დაჯერებაც მიჭირს, რომ ასეთი რამ ოდესღაც თავში მომივიდა. უკან ველარ დავიხვევ, უნდა შევუდგე დამქანცველ და უმადურ საქმეს, რომელიც აღარც კი ვიცი, ამ განუკითხაობის ჟამს, ვინმეს თუ გამოადგება.

განსაკუთრებით რაც მტკივა ანდა ღრმად მაქვს ჩაჭედული გულსა და ტვინში, ღროღადრო ვიძეორებ ხოლმე და ეს ახირებად, გადაღლილი მენსიერების მოშლად არ უნდა ჩამეთვალოს.

ბევრჯერ დავრწმუნდი, რომ იარაღი ვარ იმ უზენაესის, თვალთ უხილავი სასწაულის ხელში. ძნელია, ღვთაებრივ პლატონს არ დაეთანხმო. არ ვიცი, მიხაროდეს თუ უნდა მანუხებდეს ამის შეგრძნობა.

დაკვირვება, სიზმარი თუ დღიური (ზოგან სახელდახელო ლექსებიცაა ჩართული) აქ ერთმანეთში იქნება არეული. მერე, როდისმე, გადაბეჭდვისა თუ გადაწერის დროს, შეძლებისდაგვარად, დავალაგებ და მოვაწესრიგებ ამ უთავბოლო ნაზავს.

P.S. 30.04.2006. ამ გვიანდელი მინაწერებიდანაც აშკარავდება—ჯერ კიდევ ათი წლის წინ, გასულ საუკუნეში მომიარა არქივის მოწესრიგების სურვილმა. ვითომ კიდევაც დავიკაპიწე ხელები, მაგრამ ბევრიც ვერაფერი შევძელი. ამაზედაც მეტყობა, სიტყვის შემსრულებელი რომ არა ვარ. ღმერთი მანუვალებს.

ვერაგთა გასაფრთხილებლად!

18.09.2001. არავინ იფიქროს, მხოლოდ ჩემს მიმართ ჩადენილმა სისაძაგლემ დამაკარგვინა წონასწორობა და ამიტომ ვწერ ასე გაგულისებულნი. ეს კარგა ხნის ნაფიქრი მაქვს და მინდა ზოგიერთებს შევასხენო ძველი, უთვალავჯერ გამართლებული სიბრძნე; აკაკობა, მუხანათობა არავის შერჩება და, როცა იქნება, ძმრად ამოსდინდება უსინდისო ცხვირ—პირში. ჭკუას მაინც ვერავინ სწავლობს.

მაიმუნად, მლიქვნელად დაბადებული, ღვარძლიანი ჯუჯა რომ ხარ და ვინმეს საზიანოდ, უწმინდურობის მადლისად ჭამას როცა დააპირებ, ყველაფერი წინასწარ უნდა გათვალო ანუ გაითვალისწინო—ვინ არის ეს კაცი, ვისთვისაც შხამში ნალესი, ჟანგმოდებული კბილების ჩასობა გაქვს განზრახული; არც ის გაწყენს, გაიხსენო—ვისი შვილია, ვისი მამაა, მეგობრები ვინ და ვინ ჰყავს და სხვა მრავალი, თორემ უეჭველია, სულმდაბლად დაგეგმილი სიგლახე შენვე შემოგიტრიალდება, ფლიდურ სიცოცხლეს და სიბერეს გაგიმწარებს, სამუდამოდ თავმოჭრილი, გაბახებული დარჩები.

თუმცა აქვე ვატყობ — ეს რჩევა თუ ღალადისი თავის მოტყუება და ისედაც ყუამდე დავყვანილი დროის ამოგაცდენაა. მუდმივად გამორჩენაზე გამეცადინებულ. სიბოროტის ჩასადენად

აღძრულ არაკაცს სირცხვილი არად მიაჩნია, ოღონდ გაქუცული თავი ბულ-ლამის ქვაბში ჩაჰყოს, სალაფავი გაინ-აღლოს და, ჟამიჟამ, შედარებით შეძლე-ბულ ქართველებს, რაც შეიძლება, მეტი ფული დასცინცლოს. ამის მისაღწე-ვად ქვეყნიერებაზე არაფერს თაკილობს ამნაირი უბადრუკი არსება. ფეხებში გაგორება და ლაქუცი მისი მოგონილ-ია. როგორ არ გაგიკვირდეს დღემდე ყინჩად დაიარება, ახალ მსხვერპლთა მოლოდინშია და ვიღაც-ვიღაცების თვალში ჯერ კიდევ პატივსაცემ გვა-მად ითვლება. დარწმუნებული ვარ, არაერთხელ გაგხდებით მხილველი ამ ზნედაცემული, გამასხარავებული სალ-ახანას დაწიაწებისა, მაგრამ იმედი ნუ გვექნება, ხალხში გამოჩენისა შერცხ-ვეს. მას საშვილთაშვილოდ აქვს შეთ-ვისებული ყვარყვარე თუთაბერის უმთავრესი, წამალივით გამოწერილი მაქსიმა-რამდენადაც მეტ სირცხვილს ჭამ, თავი მით უფრო მალლა უნდა ასწიო. ეტყობა ნამეტანი მაცდუნებე-ლია ეს მზაკვრული შეგონება.

09.07.2002. მას მერე ორი კვი-რა იქნება გასული. ზედიზედ დიდი, თავსხმა წვიმები იყო. საკონდიტროე-ბად და კაფეებად ქცეულ ჩვენს ქუ-ჩაზე, ტროტუარის განაპირას, ერთი კაფე-რესტორნის წინ, სხეულზე სი-ლაშემხმარი მკვდარი მერცხალი დაე-ინახე; გაჭუჭყიანებულ თეთრ მკერდსა და დაწყობილ გრძელ კუდზე ვიცანი. შევწუხდი. საბრალო რომელიმე გა-

ბლანდულ მავთულს შეეჯახებოდა იმ თქემში. ზაფხულის ცაზე, ქალაქში, ბოლო ათი-თხუთმეტი წელიწადია, მერცხალი თითქმის არ ჩანს და გათენე-ბიდან გვიან საღამომდე ფრთებ და ნისკარტმოკაუჭებული შავ-შავი ნამ-გალები ჟღივიან.

იმ გაციცქნულ მერცხალს, გუ-ლაღმა რომ იწვა, ალბათ რამდენჯერმე კი დასცალდა თბილისის ცაში სრია-ლი, წრეების დარტყმა, მაგრამ გაბმუ-ლი, განუჭვრეტელი წვიმები შეაჭირვებ-და, მზესა და ლაჟვარდში ვერ გაავ-ლებდა აკრიჭინებულ, ჭიჭკიკა ყელს. ბალახში მაინც ჩავარდნილიყო; ასფალ-ტზე ეგლო და გვერდიდანაც მანქანის მურისფერი, ბლაგვი ბორბალი ეფარე-ბოდა. იმდენად გამხდარი იყო, ჭია არ დაეხვეოდა და არც მშიერი კატა დააკარებდა პირს. ბოლოს საღე-ბავშემხმარი ფუნჯივით გაფშიკლებო-და, სანამ მასავით გაჩხინკული მეწხოვე ქალი ცოცხს არ გააყოლებდა.

ვინ მოსთვლის, რამდენი უბე-ღურება ხდება ამ ცოდვილ ქვეყანაზე და ბევრს მაინცდამაინც მე უნდა გა-დავეყარო, ვითომ სატანჯველი და საზრუნავი სხვაც არ მყოფნიდეს. იმ ფანჯარასთან, სადაც დაღუპულ მერ-ცხალს მოუწია ჩამოვარდნა, დაახლოე-ბით, ოცი-ოცდახუთი წლის წინ ჩემი ახლობელი – მარინა გაბიძაშვილი და მისი ბიძაშვილი, რეჟისორი ლეილა გორდელაძე გადმოდგებოდნენ ხოლმე, იქ ცხოვრობდნენ. მიყვარდა მათთან

სტუმრობა და საუბარი. ორივენი ბოლო ორ წელიწადში დაიხოცნენ. მარინა, ჩემი თანატოლი იყო, ველარ დადიოდა; საცხოვრებლად მთაწმინდის უბანში გადასული, ოთახში იჯდა გამოკეტილი. მეუღლე, ძალიან კარგი ადამიანი, მეცნიერი, ბიოლოგი, რამდენიმე წლით ადრე მოუკვდა, ერთადერთი ქალიშვილი, ელენე, დარჩა. ლეილას სიცოცხლით საგვსე, მრავალმხრივი ნიჭის ქალს, ხერხემლის კიბომ მოუღო ბოლო. რამდენიმე თვე იქნება გასული, დავასაფლავეთ. მოგონებათა მშვენიერი წიგნის დაწერა კი მოასწრო. იქ აქვს აღწერილი / სევდიანად და ზოგჯერ მხიარულადაც /, განუკითხავი რეპრესიების გამო, მასავით უღედმამოდ დარჩენილი უმწყო არსებების, მთელი თაობის, უძმომესი და მაინც ძალზე რომანტიკული, შინაარსიანი ცხოვრება.

ლეილას მიერვე შერჩეული და კომპოზიციურად შეკრული რამდენიმე თავი, ჩემი მოკლე წინასიტყვიით, გასული წლის „ცისკრის“ ბოლი ნომერში დროულად, ჩვეული გულისხმიერებით დაბეჭდა ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა ზაურ კალანდიამ, ნამდვილად სამადლო საქმე გააკეთა. ცოცხალს კი მიუსწრო, საწყალს, იმ ნომერმა, რამდენადაც შეეძლო გაიხარა. ერთი ახლობელი ადამიანის, მასავით რეპრესირებული ოჯახის შვილის, ნაწული პაპავას ხელით გავეუგზავნე. მისი ნახვა იმხანად არ შეეძლო, ძლივს ლაპარაკობდა და საშინელმა

სენმა იმდენად შებოჭა, მერე, როცა თავისი მეძუარების ახალდასტამბული წიგნი – „დიდი და პატარა ამბები“ – იმავე ნაწული პაპავას ხელით გამოგიგზავნა, დაუძღურებულმა ზედ ვერაფერი წააწერა. მაშინ ტელეფონით დაველაპარაკე და საცოდავმა ძლივს, ენის ბორძიკ-ბორძიკით მითხრა /ახლაც მიკვირს, როგორ მოიკრიბა საამისო ძალა და რანაირად განეწყო თუნდაც სევდიანი ხუმრობისათვის/, იცოდე, ჩემ ქელესში შენ პირველი კაცი უნდა იყო.

მაღე იმ ქელესზე, მთელი თბილისისათვის საყვარელმა პიროვნებამ, ჩვენმა საუკეთესო ფსიქიატრმა გაიოზ შარაშიძემ სადღეგრძელოში ჩაურთო – ლეილას შენ უზომო სიხარული მიანიჭე და ამ ქვეყნიდან შენით დიდად კმაყოფილი წავიდაო. გაიოზის სიტყვებზე ცრემლები მომეძალა.

ახლალა ვფიქრობ – სად წავიდა მერე ეს მუდამ მოუსვენარი, ბობოქარი ქალი, აწი სადლა შევეხმიანო?!... ლეილასგან ბევრი უცნაური რამე მაქვს მოსმენილი. ოდესმე ზოგ რამეს /გიორგი ბაქანიძესთან მის მეგობრულ ურთიერთობას, ერთ კომიკურ სიტუაციასაც/ ალბათ აღვადგენ. შეიძლება ვინმეს გაუკვირდეს – ყველაფერი, რაც აქ მოვეყვი, გზის პირას უსულოდ დავარდნილმა, მკერდზე სილაშემხმარმა და ფიტულად ქცეულმა მერცხალმა გამაანსენა.

PS. 01.10.2006. ეს არცთუ იშვიათად მემართება. მოგვიანებით გამოჩნდება ხოლმე ისეთი რაღაც, იტულებული ვხვდები, ადრე დაწერილს მივუბრუნდე, ზოგი რამ მიუმატო. ამჯერად ოთხი წლის მერე მიწევს ამის გაკეთება.

ერთი თვის წინ ჩემი დიდი ხნის ახლობელთან, ლადო ასათიანის ქალიშვილთან, მანანასთან სტუმრად ვიყავი ატენის ქუჩაზე. მამამისის ნაწერებისა და სხვა მასალების საიუბილეო გამოცემას ამზადებს და მეც მთხოვა, რაიმე დამეწერა, რადგან იმათვითვე იცოდა, როგორ მიყვარს „ადრე წასული კაცის“ ხალასი პოეზია.

საოჯახო ალბომიდან ამოღებულ შინაურთა სურათებს ვათვალიერებდი და უეცრად მარინა გაბიძაშვილის ფოტოს წავაწყდი თავის ერთადერთ ქალიშვილთან, მაშინ ჯერ კიდევ ჩვილ ელენესთან გადაღებულს. ელენე პატარაობისას და ქალიშვილობაში მყავდა ნანახი. მშვენიერი გარეგნობის პატრონს, ხასიათიც შესაფერი ჰქონდა. იგი კოლეჯში სწავლობდა, დედა რომ გარდაეცვალა. სამედიცინო ფაკულტეტი დაამთავრა და შარშან ძალზე სასიამოვნო ამბავიც გამაგებინა ლეილა გორდელაძის მეგობარმა, დიდად საყვარელმა პიროვნებამ ნოდარ /ოჩო/ ცერცვაძემ-მარინას ქალიშვილი გაბედნიერდა, კარგმა ვაჟკაცმა ითხოვაო.

არ ვიცოდი, მარინა თურმე ნათესავად ერგებოდა მანანა ასათიანს და დასვედიანებულები ვიგონებდით მის მძიმე ავადმყოფობას, ნაადრევ გარდაცვალებას.

მანანამ უცებ თავი ასწია და თვალეზაბრწინებულმა მითხრა, ახლახან ელენემ პარიზში იშობიარა, ზღაპრული ბიჭი ეყოლა, პატარა ნიკოლოზი, უკვე თბილისშია, მეუღლე და დედამთილ-მამამთილი თავს ევლებიან, ბედნიერი ქალიაო. გამახარა ამის გაგონებამ. ერთი გაფიქრება კი გავიფიქრე – რა იქნებოდა, მარინა და მისი მეუღლე იმ ქაოსის წლებში არ დახოცილიყვნენ, მოსწრებოდნენ თავიანთი გოგონას დაქალებას, დაოჯახებას... სად არ გადამტყორცნის ცოცხალ არსებათა სამწუხარო ბედზე ფიქრი. აქ ერთი, ყოველი წიგნიერი ქართველისთვის კარგად ცნობილი ფაქტი გამახსენდა. მეტისმეტად ტრაგიკული, გულისმომკვლევი ამბავია – ვასილ ტაბიძეს ფეხმძიმედ ჰყავდა ცოლი, მარინე აღეიშვილი, როცა სიკვდილის მოახლოება იგრძნო. კერიასთან, ცეცხლის პირზე, წითელი ღვინო დაუსხამს ჭიქაში და წინასწარ უდღეგრძელება პირში, რომლის ნახვა არ ეწერა – იმ ამიანს გაუმარჯოს, ვინც ამ ქვეყანას მალე უნდა მოევიწყოსო. გალაკტიონის დაბადებას ვერ მოესწრო და ვერც წარმოიდგენდა, ვინ გააჩინა.

მამა ასევე ჩვილობაში მოუკვდა მეორე დიდ ქართველ პოეტს გიორგი ლეონიძესაც. ჩვეულებრივზე ცივი, ქარბუქიანი ზამთარი მდგარა. დედამისს ძუძუ გამრობია და ბავშვი ძლივს გადაურჩენია განსაცდელისაგან.

მას არასოდეს დავიწყებია დედის თავდადება, ძნელად გადასახდელი ამავი და მოწიფულობაში სიამაყით

წერდა: „შაკაბიანი მზრდიდა მე, გუ-
თანნი ტრედა ხარისა...“ გალაკტიონი
კი, ილიას პირით, სევდიანად წარმოთქ-
ვამდა: „ისე არ გავა ღამე, არ ღამე-
სიზმროს დედა...“ ახალგაზრდობაში
დაქვრივებულ, ცალუღელა დედებს შავი
სამოსი აღარც გაუხდიათ. ისიც საგუ-
ლისნმო, მრავლისმეტყველი დამთხვევაა,
რომ მათი მამებიც, ზიარი ბედის, სან-
თელივით წმინდა მამულიშვილები,
სოფლის მასწავლებლები იყვნენ.

მამების ძვირფას სახებას, მიუხე-
დავად იმისა, თვალთ არცერთს არ
უნახავს, ორივენი სათუთად ინახავდნენ,
თავიანთ გულებში აცოცხლებდნენ.
გალაკტიონის ერთი ადრინდელი
შედეგრი—, „მამული“—იმითაც არის
ესოდენ ძვირფასი და მახლობელი, რომ
იქ მშობლის დაუვიწყარი პორტრეტი
და მოძრაობაა დახატული, მაგრამ პო-
ეტი მამას უკვე ხანდაზმულს, წლები-
სგან დამძიმებულს ხედავს:

გაშალა ველი ნიავმა ნელმა
და მელანდება მე მის წიაღში —
მოხუცი მამა, მოხუცი მამა,
სასხლავით ხელში, დადის ვენახში.

სარითმო წყვილები /ნელმა—მამა;
წიაღში—ვენახში/ გალაკტიონის ამ თავან-
კარა ლექსის შესაფერისი ნამდვილად
არ არის, თუმცა ეს ოდნავადაც ვერ
ანელებს სტრიქონთა მაგიურ ზემოქმედ-
ბას, მშობლიურ გარემოსთან ზედმიწევნით
შეხამებული სურათის მიმზიდველობას.

თანამედროვე საუკეთესო რუს
პოეტსა და ესეისტს ალექსანდრ კუმ-
ნერს თავის მეტად ღრმა, სიამოვნებით

საკითხავ წერილებში, ალაგ—ალაგ, მო-
ტანილი აქვს მანდელშტამის, ზა-
ბოლიცკის და სხვათა საუკეთესო
ლექსები, სადაც ამკარად სუსტი, ოს-
ტატობის თვალსაზრისით თითქოს
გაუმართავი რითმებია გამოყენებული,
მაგრამ სამართლიანად მიაჩნია, რომ
ასეთი რითმები ღირსებას ვერ ულახ-
ავს ჭეშმარიტ ქმნილებებს. ამ ეფექ-
ტის მიღწევა მხოლოდ დიდ პოეტებს
ძალუძთ.

ერთგან კუმნერი მეოცე საუკუ-
ნის რუსული ლირიკის სათავის დამ-
ლებზე ინოკენტი ანენსკიზე წერს, რომ
მისი ბედი და შემოქმედება სულის
უკვდავების დამადასტურებელია, მაგრამ
იქვე შიშობს, ეჭვს გამოთქვამს, ვაითუ
პოეტმა, ვინც ჩვენთვის ამდენს ნიშნავს,
ჩვენი მისდამი სიყვარული ვერ იგ-
რძნოსო. გასაგები და ყოვლად ბუნე-
ბრივია, რომ სათაყვანებელი წინაპრის
მიმართ ღირსეულ პოეტს ასეთი, სი-
ნანულნარევი და ამაღლებული განცდა
დაებალოს.

გიორგი ლეონიძეც, მსგავსად
გალაკტიონ ტაბაძისა, არასოდეს მოწ-
ყვეტია შემქმნელის ფესვებს. სიცოცხ-
ლის მიწურულამდე, იგი ზნეობის
ნიშანსვეტად და გზის მაჩვენებლად
ეგულებოდა. ჭარმაგი, ჭადარით მო-
სილი პოეტი სასოებით მიმართავდა
დიდი ხნის დამიწებულ მამას:

მუდამ ხალხის მზის მძებნელო,
მზეს რომ გამოსწყდი, პირიქით!
მასწავლე, მასწავლებელო,
ხალხის გულისკენ ბილიკი.

ისეთ შემთხვევებზე ფიქრის ღროს, როცა მშობელი გულსაკლავად ადრე იღუპება და შვილის გაზრდას, გზაზე დადგომას ვეღარ ადევნებს თვალს, მუდამ ერთი ხატი მიდგას თვალწინ – ნაირფერ ყვავილებზე მოფარფატე ულამაზესი პეპელა. მასაც ვერ ხედავს უკვე მკვდარი დედა, რომელმაც ცაში ფრენის ჟინი და ენით უთქმელი მშვენიერება, ჰაეროვნება გადასცა. რაც კიდევ უფრო დასანანია, თვითონაც არ იცის, რანაირად მოევლინა ხიფათებით აღსავსე ქვეყნიერებას. ასეთივე ბედის მოზიარეა მდინარის სათავეში ასული თავშავი, ტანგასრიალეული ორაგული, რომელიც ქვირითის დაყრისთანავე იღუპება – არ უწერია იმ გამჭვირვალე, მეწამული ბურთულებიდან თავდასხნილი ლიფსიტების, მისი ნაშიერის ხილვა და ასე გრძელდება უსასრულო საუკუნეთა მანძილზე. ვერავინ ვერაფერს შეცვლის—უცნაურად არის მოწყობილი, ჩახლართული იღუმალებით მოცული ბუნება და მისი ყველაზე დიდი სასწაული—სიცოცხლე. მადლობა გამჩენს,—ამდენ უბედურებასა და ჭიპანწყვეტაში, შიგადაშიგ, გულის გამანალისებელი ამბავიც გამოერევა.

უხერხული, საჩოთირო შეუსაბამობაა /თუმცა მთლად ჩემი ბრალი არ გახლავთ/, რომ გვიანდელი მინაწერი ძირითად ტექსტზე მეტი გამოივიდა, მაგრამ მარტო მე არ დამმართნია მსგავსი უნებლიე ცთომილება და, ამის გამო, წამკითხველმა სულგრძელად უნდა

მაპატიოს. რა მექნა, მოძალებულ სათქმელთან ვერაფერი გავაწყე, სიტყვას აღვირი ვერ დაუშოკლე. და ბოლოს – ამ დღიურის თავდაპირველ ნაწილში ლეილა გორდელაძეზეა ნათქვამი ზოგი რამ. უსაზღვროდ კეთილი და ძალიან საყვარელი პიროვნება იყო. სულსაც არ დაგიკავებდა, რომ გეთხოვა. ჩვენს ოჯახს, განსაკუთრებით დედაჩემს, არაფერს უმაღავდა, თავისი ცხოვრების ყველა საიდუმლოს გაანდობდა ხოლმე. ზოგი რამ მეც ვიცო. მისი მოწამებრივი აღსასრულის მერე, ლეილას ქალიშვილს, ნინოს დაუურეკე, ისეთი სურათი მოეცა სახსოვრად, სადაც დედამისის ხასიათის რომელიმე შტრიხი იქნებოდა გამჟღავნებული.

ნინომ მალე შემისრულა სურვილი და მომიტანა მშვენიერი სურათი, იმდენად ბუნებრივი და ცოცხალი, აღტაცებული დავრჩი. სოფლად, თავისი ფილმის გადაღებაზე მყოფი ლეილა, უღელში შებმულ, ქედგახეხილ ბებერ ხართან ერთად არის ფოტოზე აღბეჭდილი. მშვიდად მაცქერალი, დაღლილი ხარის ნიკაპი ლეილას მარცხენა ხელიგულს ეყრდნებოდა. ისეთი შთაბეჭდილება იქნებოდა, რომ ორივეს თავდაღმა დაკიდებული, ჩამავალი მზის ირიბი სხივები ელაცეცება. სპორტულად მორთულ ლეილას რეზინის მოფლაშული ბოტასები აცვია, სახეზე ოდნავ ნალვლიანი, ნეტარი ღიმილი დასთამაშებს. ორმოცი—ორმოცდახუთი წლისა თუ იქნება ამ სურათზე, ხშირ,



ლეილა გორდელაძე

ხვეულ თმაში თეთრი არ ურევია. თვინიერი, ნაჯაფარი ხარის სიახლოვე, მისი თბილი ყელის შეხება სიამოვნებს და წარმოსახვაში, ალბათ, ვინმე ახლობელს ეფერება; ეგებ იმაზედაც ფიქრობს, როგორ ნელ–ნელა, თვალდახელშეადნება ადამიანის სიცოცხლე.

07.08.2005. დიდად მასიამოვნა ჟან კოკტოს ესეებმა და ჩანაწერებმა, რომელიც მისი რჩეული სამტომეულის ბოლო, მესამე ტომშია შეტანილი.

მართალია, ამ მრავალმხრივი ნიჭის კაცს, გარკვეულ ასაკამდე, ჰქონდა უხერხული გადახრები /ცნობილია ჟან

მარესთან მისი საძრახისი ურთიერთობა/, მაგრამ, ოსკარ უაილდის მსგავსად, ეს საუცხოო პოეტი, დახვეწილ ესთეტად, უფაქიზეს სტილისტად დარჩა. თითქმის გამოუხატავის, მოუხელთებლის გამოხატვა, სიტყვიერ სამოსელში მოქცევა ძალუძს, რაც უიშვიათესი ნიჭია. დიდად დაფასებული თანამედროვე პოეტი და ესეისტი ფილიპ ჟაკოტე, რატომღაც ჟან კოკტოს აგდებულად იხსენიებს. ძნელია, ასეთ შეფასებას მხარი აუბა.

მისი ზოგიერთი წიგნი /ამას არც მაღავს/ ოპიუმის ზემოქმედების ჟამს არის დაწერილი, მაგრამ თვალს ვერ აცილებ, იმდენი სილამაზე და სინატიფეა სტრიქონებში ჩალვრილი. მე თუ მკითხავენ /თუმცა ვინ რას შემეკითხება/, ფანტაზიის ასამოძრავებლად, შესანჯღრევად და ნაირფერი, მომნუსხველი სურათების გამოსახმობად, ვერასვხით ვერ დავიწყებდი აბსენტის წრუპვას ან ოპიუმის ყლაპვას, თუნდაც ეს უძვირესი ბანგი სულ უფასოდ ეძლიათ. ცხადია, არც ამათზე ნაკლებად მომშხამველ, როგორც ირწმუნებიან, თითქმის უვნებელ მესკალინს გავიკარებდი. ჩემში დაბუდებულ წარმოსახვის უნარს ხელოვნური ბიძგი, აღვზნება არ ესაჭიროება, ისედაც იკვალავს გზას ქვეცნობიერის ჯურღმულებიდან, არ მასკენებს, დაუოკებელია.

ერთგან კოკტო ჩამოთვლის ირგვლივ გადაშლილი სიცოცხლის სასწაულებს, რომლებიც /ვინ დაუჯერებს?/

თითქოს მას ვერავითარ კმაყოფილებას ვერ ანიჭებს და იქვე დასძენს: „მე მხოლოდ ის მაწუხებდა, რომ ცხოვრება მეტისმეტად ხანმოკლეა, რათა ყოველივე ეს გამოვხატო“. ასეთი წუხილი ყველა ნამდვილი შემოქმედის თანამდევია და გაუგებრობა, გულუბრყვილობაც კი იქნებოდა, ამაზე დამჩვილებელს არ დაეთანხმო.

ფრანგებს ნაკლებად უყვართ თავის შეზღუდვა, ლაღად გამოთქვამენ მოძალეულ სურვილებს და მათი ზღვარდაუდებელი ლტოლვა ბუნებრივია. ამიტომაც აცხადებს ხელოვნებაში გამოვლენილ სიახლეთა პირველი მიმსალმებელი და წამხალისებელი ასე სადავემიშვებულად: „რამდენადაც უფრო გაუმაძღარია ჩვენი სურვილი, იმდენადვე სასიცოცხლოდ აუცილებელი ხდება, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, გავაფართოთ სასწაულის საზღვრები.“ /ფანტაზიის უსაზღვროებასა და მისი თვალისმომჭრელ, ძვირფასი ქვებივით აელვარებულ წახნაგებზე შთამბეჭდავად და მომჭირნედ წერს სხვა ფრანგი მოაზროვნე და ესეისტი როჟე კაიუა/.

ასეთ რამეს დაუძაბავად, მთლად დალაგებული ჭკუით ვერ იზამ და კოკტოც საფარველახდილად აცხადებს: „სიბრძნე ის არი, შეშლილად დარჩე, თუ გარემოებანი ამაღ ფასობს“. მსგავსი აზრი სხვებსაც გამოუთქვამთ. ბევრად ადრე, პავლე მოციქულიც სიბრძნედ მიიჩნევდა, თუ ამ ქვეყანაზე გიჟად იცხოვრებდი.

მე თვითონ დიდი ძალისხმევა, ვნებების შებოჭვა მჭირდება, ჩემი თავი რომ არ გავთქვა, არ შემატყონ, რომ ცენტრიდან ზომაზე მეტად ვარ გადაქანებული, შუალედური მდგომარეობა მიჭირს. ამასთანავე, სანანებლადაც მრჩება—ჩემში დამწყვედულ ღვთაებრივ სიგიჟეს არ მივეცი საკმარისი სადინარი— ვინ იცის, თვალწინ რა ცხრაკლიტულებიდან თავდახსნილი სურათები არიალდებოდა. ვერც იმას დავმაღავ, მუდამ ვესწრაფები ადრე დაწერილის გადაქელვას, მოშობას, განიორწყალვას. უკან მიხედვა ყოველთვის მძაგდა, მეზარებოდა. დამერწმუნეთ, არც ეს არის მთლად ჭკუადაძვდარი კაცის საქციელი.

25.01.2006. ყოველთვის გულს მიკლავდა და ვერასოდეს მოვინებებ ნაადრევად წასულ ელვარე ტალანტთა საბედისწერო დაღუპვას. ცხადია, ყველა მათგანს მივტირი, მაგრამ საკუთარი ქვეყნის ტკივილი უფრო მწარეა, მოუშუშებელი. რომელი ერთი გინდა ჩამოვთვალო. ის კი აშკარაა, მათი თუნდაც წამიერი გახსენება გარწმუნებს—ქართული გენი არამცდარამც არ დაშრეტილა. ამის თქმა ყოვლად უსაფუძლოა. ჩვენი სისხლი კიდევ ბევრჯერ გამოავლენს თავს, ჩვენდა და სხვისდა განსაცვიფრებლად. წარსულიდან ორიოდე მაგალითს მოვიხმო.

ნამდვილი სასწაულია, ჩვენ უნდა ვამაყობდეთ იმით, რაც ასე ახალგაზრდებმა შეძლეს შალვა ქიქოძემ და გურამ რჩეულიშვილმა /დროითი და-

შორება აქ არაფერს ნიშნავს/. ერთი თვის წინ, ყოფილი უნივერსალის ბანკად გადაკეთებულ შენობაში, მეოთხე სართულზე, მოეწყო გასული საუკუნის ოციანი წლების ფერწერის გამოფენა. ბევრმა რამემ მიიჯაჭვა ჩემი ყურადღება, ხან ერთი კედლისკენ გამიბოღდა მზერა, ხან—მეორისკენ. ფერთა ზღვა, სტილთა ნაირნაირობა აწყდებოდა თვალებს. ხელოვნების მცოდნის საგანგებო, საფუძვლიანი წერილი ეკუთვნოდა იმ გამოფენას. მე, საამისოდ ვერ გამოვდგები. შალვა ქიქოძის უბრწყინვალეს ავტობიოგრაფიას კარგა ხანს ვერ მოვშორდი, უცნაურ, ადამიანურ ძალას ასხივებდა. მეტიმეტად დასანანი, რომ მისი რამდენიმე საუკეთესო სურათი ავადსახსენებელი ოთხმოცდათერთმეტი წლის ქაოსის დროს, ჩემი ერთი ახლობლის ოჯახში, ხანძარმა იმსხვერპლა. ხსენებულ გამოფენაზე ასევე მომხუსხა ლადო გუდიაშვილის ერთმა პორტრეტმა, მწვანე ფერში შესრულებულმა, სახეჩამოგრძელებულმა. გუდიაშვილის ძველი მწვანე ფერი ყველასაგან განირჩევა და მისტიკური ზემოქმედების უნარი აქვს. სამწუხაროდ, ნაწილი მისი ადრეული ნამუშევრებისა, გაბნეულია ან დაკარგული. საერთოდ კი იმ დღეს, დარბაზიდან გამოსულს, ნასიამოვნებს, სიამაყის განცდა დამეუფლა, რომ ჭეშმარიტად დიდი სიმდიდრის პატრონები ვართ, თუ შემდგომში მეტი გონიერება გამოვიჩინეთ და რაც შექმნილია, იმას მივხედეთ, მოვუარეთ.

ასევე მახარებს გურამ რჩეულიშვილის ტომეულების სამაგალითო გამოცემა, კეთილი, მამულიშვილური გრძობით ანთებული ადამიანების ძალისხმევით, შემწეობით რომ ხდება და ჯერ არ დამთავრებულა. გასაკვირი არ არის ის თავდადება, რაც ამ გამოცემის განსახორციელებლად გამოიჩინეს მწერლის დამ მარინე რჩეულიშვილმა და მწერლის უპირველესმა მეგობარმა ნუგზარ წერეთელმა. ყველა ჩვენთაგანისგან მაღლობა ეკუთვნის საქვეყნოდ ცნობილ ხელოვანსა და ქველმოქმედს ზურაბ წერეთელს, ვინც ყველაფერი გააკეთა, რათა გურამ რჩეულიშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა სრულად და შესაფერისად გამოცემულიყო.

თუნდაც მოკლედ მაინც მსურს აღვნიშნო. უაღრესად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მესამე ტომში გამოქვეყნებულმა, დღემდე უცნობმა, რომანის მასალამ. ამბავი ვერის ბაღთან იწყება და როგორღაც შეუმჩნევლად, ბუნებრივად გადადის ხევსურეთში, სადაც შემდგომ გენიალური მოთხრობის „ბათარეკა ჭინჭარაულის“ მოქმედება ხდება. მესამე ტომიდანვე შევიტყვე, რომ „ბათარეკა ჭინჭარაულის“ სიუჟეტი, ამბავი, გურამ რჩეულიშვილისათვის მიუცია გოგი ოჩიაურს, რისთვისაც მას უნდა ვემადლიერებოდეთ.

ადვილი წარმოსადგენია, რაოდენ ფასდაუღებელი განძი გვექნებოდა ხელთ, შალვა ქიქოძისა და გურამ რჩეულიშვილის უძძლავრეს ტალანტს /მე ისინი ასაკისა და იშვიათი ნიჭიერების

გამო დავაკავშირე/, გაშლა რომ დას-
ცლოდა, მაგრამ რისი გაკეთებაც
მოასწრეს, იმითაც წარუხოცელი კვა-
ლი დატოვეს; ერთმა—ქართულ მხ-
ატვრობაში, მეორემ—ქართულ მწერლო-
ბაში. მათი სახეები, ჩვენდა იმედად, მუდამ
იბრწყინებენ, უღეველ ძალასა და რწ-
მენას ჩაუნერგავენ ახალ—ახალ თაობებს.

რქაწითელის მტევანი

29.04.2006. არაერთხელ აღმინ-
იშნავს უზომოდ მოტრფიალე ვარ;
შეხედვაც, ხილვაც მიყვარს სხვადასხვა
დროს, თანმიმდევრობით დამწიფებულ,
ნაირგვარ ფორმათა, ნაირგვარადვე
შეფერილ ნაყოფთა და ყოველი მათგა-
ნის გემო, ენის წვერზე დამწიფებული,
ენით აუწერელს სიამოვნებას მგვრის.
ეს ნეტარი განცდა უთვალავჯერ გამო-
მიხატავს მეტ-ნაკლები ღირსების
ლექსებსა თუ პროზაულ ჩანაწერებში
და ამ თანდაყოლილ მიდრეკილებაზე
ვერც სამერძისოდ ავიღებ ხელს /თუკი
ჩემი ხნის კაცს შეიძლება სამწერლო-
ბო მომავლის მცირეოდენი იმედი
ჰქონდეს/. სატრაბახოდ არ ვამბობ -
ყველაფერი, რაც ხილზე დამიწერია, ერთ
წიგნად რომ შეიკრას / ვინ მომცა ამის
თავი! /, კაი გვარიანი, ჩემებური „ხილთა
ქება“ გამომივიდოდა.

გამორჩეულად მხიბლავს ჟღალი,
მუქ ქარვისფრად ჩაჟანგული და,
იმავედროულად, მოყვითალო ბროლად
მობრიალე, მღვრიე ბანგით დატენილი,

მზით დამკრახული რქაწითელის თხ-
ელი მტევანი. კუმში, ხშირმაცვლიანი,
მეტწილად, მწვანე ფერისაა, წაიმჟავ-
ებს, სიმკვრივე და სიტკბოც აკლია.
თხელ მტევანზე ასხმულ მარცვლებს
კი მზე დაცხუნებული სხივების აღ-
მურში ხვევს და აბადაგებს. თითოეუ-
ლი მარცვალი ერთი კლერტიდან
/ღეროდან/ საზრდოობს. კლერტმა
/ერთ ასოა გამნმასხვაკებელი/ შეიძლე-
ბა, უნებურად, ძუძუს სასიამოვნოდ ხე-
შეში კერტი გაგახსენოთ. ოღონდ, ქა-
ლის მკერდზე წამობურცული კერტი
მწიფე შინდისფერია, ხოლო მოყვანი-
ლობა და, ზოგჯერ, სიდიდეც ყურძნის
მარცვლისა აქვს.

ვის არ უნახავს—ხალვათად გან-
ლაგებული რქაწითლის მტევნის რომე-
ლიმე გვერდზე, შიგადაშიგ, საფანტივით
არის მისისხინებული წვრილ-წვრილი,
უწიპწო, ღიდრონებზე არანაკლებ ტკ-
ბილი, უფრო ნაზკანიანი, მარგალიტის
მძივებივით მრგვალი მარცვლები.

მრავალთა მსგავსად /ჩემნაირ ახ-
ირებულებს ვგულისხმობ/, როცა რაიმეს
თქმას, გამოხატვას ვაპირებ, თვალი შე-
დარებისკენ გამიბრბის და ერთხელაც
მომეჩვენა /ნუ დამძრახავთ, ეს უეცრად
მოხდა/, სხვადასხვა გარემოებათა გამო,
სხვადასხვა დროს ჩაწერილი ჩემი
ღიდ—პატარა ღდიურები. ერთი მოუს-
კენარი წარმოსახვით ნასაზრდოები,
რალაცით წააგავს მსხმოიარე რქაწითე-
ლის ზემოთ აღწერილ მტევანს. ამგ-
ვარი რომ ორი წლის წინათაც-
07.01.2004—დავწერე, მაგრამ მაშინ ჩემი

დღიურები, უფრო მოცხარის წითელ კუნწულად მესახებოდა. ვაზის მზიური, დალოცვილი ნაყოფისგან განსხვავებით, ვერ ვიტყვი, რომ ჩემი ხელით მომცვრეული მარცვლები, ყველა ერთნაირად საამო და ნუგბარი იქნება, ზოგი შეიძლება მეტისმეტად გემწაროთ, მაგრამ ეს მთლად ჩემი ბრალი არ გახლავთ – თვითონ ცხოვრებაა ტკბილ-მწარე და, ხშირად, წლების სიამოვნებას წაშში ჩაგაშხამებს. მე ყოველნაირად ვცდილობდი, ეს მომაკვდინებელი შხამი როგორმე გამენელებინა, ნაკლებად მტკივნეულ სადინარებში მიმეშვა და მუდამ იმის მოსურნე ვიყავი, უბედურებანი, რაც სიცოცხლის მანძილზე თავს დამტეხია, სხვებს ასცდენოდათ.

ზომიერება და გემოვნება რომ ერთმანეთზეა გადაწული, ამას საკამათოდ ვერავინ გახდის. სამაგალითო სტილისტი, პოეტი, ხელოვნებათმცოდნე, ესეისტი ერის გოლერბაზი ერთგან წერს: „არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს აბსტრაქტული რეცეპტები მშვენიერებისა. ყველაფრის თავი და თავია თანაფარდობათა მოუხელთებელი საიდუმლო“. მზა ფორმულები, დაკანონებული წესები ვერაფერს გიშველის. ყოველივე ეს ტანითაც უნდა იგრძნო.

ბევრი მიდებ-მოდება მთავარი აზრის გამოკვეთას ვნებს. ესეცაა – დამწერი ვერ გამოდგება თავისი პირმოს, ნახელავის პირუთვნელ შემფასებლად. უმჯობესია, ამის გაკეთება პატიოსან, გემოვნებიან მკითხველს მიან-

დოს. თუ იმასაც შეეშალა, ახლო ან შორეული მომავალი გაარკვევს ავ-კარგს /მშვენიერი იმედია!/. ამაზე წინასწარ თავის ატკივება ნამდვილად არ ღირს. გლოვას ვერ გავმართავ იმის გამო, რომ საკმოდ ბუნდოვანი, გაურკვეველია, თუ რანაირი ბედ-ილბლის იქნება ჩემი სხეულის სითბოთი ნაზარდი, ჩემს სისხლზე აღმოცენებული და განშტობული ვაზის ერთი, ცრემლგარეული მტევანი.

22.09.2006. ჯერ კიდევ სიჭაბუკეში, ყველაზე მეტად, ორი რამის—უჯადო პასპორტის აღებისა და პენსიის ვადის დადგომისა მეშინოდა. ვერცერთს ვერ ავცდი. თხუთმეტი თუ ოცი წლის წინათ /ეტყობა რალაც ცუდი მიგრძნო ტანმა/, ჩემს თაობასთან, თანატოლებთან შესახშიანებლად, სახელდახელო ლექსად გაწყობილ მცირე, ნაღვლიან-ირონიულ სამღურავში მორიდებულად დავიჩინე. ჩემდა გასაკვირად, პირველი სტროფი მასსოვს, ასე გამოიყურება: „სხვაგვარს აღგენენ სიებს, სხვაგვარი დაჰქრის სიო, გვიხლოვდება, გვაფენს—ასაკი საპენსიო...“.

რეპრესირებული მამის ერთადერთი, ცოცხლად დარჩენილი მემკვიდრე ვარ და რეპრესიის მსხვერპლთა პენსიის / 49 ლარი/ ასაღებად მივემართები რეპრესირებული, საზარლად თავმოკლული პოეტის— პაოლო იაშვილის ქუჩაზე, „სახალხო ბანკში“. ფეხით მივუყვები რუსთაველის გამზირის ჩრდილიან მხარეს /მზეზე წნევის აწევისა მეშინია, მერე საში დღე ტკივილისაგან მისკდება თავი/. დრო



იკბი დავით კვიტაიშვილი

გამოთვლილი მაქვს და ნელა უფრო მეხალისება მიზანთან მიახლოება. 12 საათისათვის უკვე ბანკში ვიქნები, რიგი არ დამხვდება და გაუწვალებლად ავიღებ კუთვნილ, არცთუ მაინცდამაინც სოლიდურ თანხას.

საქმე ის გახლავთ, რომ ყოველი თვის მეორე დეკადაში აკურატულად, შეუფერხებლად მოგვდის კომპიუტერზე დაბეჭდილი ქვითარი დენის გადასახადისა, რომელსაც თითქოსდა დელიკატური, მაგრამ საკმაოდ შეუვალი, კატეგორიული გაფრთხილება, არსებითად, მუქარა ახლავს. ბოლო ქვითარზეც ასეთი, ტრაფარეტად ქცეული რჩევა-დარიგება ამოვიკითხე: „ ელ. ენერჯის შეწყვეტის თავიდან აცილებ-

ის მიზნით, გთხოვთ გადაიხადოთ აღნიშნული თანხა 22.09.06–მდე. წინააღმდეგ შემთხვევაში შეგიწყდებათ ელ. ენერჯის მიწოდება.“

გაურკვეველი, საორჭოფო ამ მოწოდებაში არაფერია. ამდენად, სოლოლაკისკენ ჩემი დინჯი სვლა, როგორც პარლამენტში იტყოდნენ ზოგ-ზოგები, ცალსახად მიზნობრივია. საგადასახადო პუნქტში თუ ბიზნეს-ცენტრში /ილია ჭავჭავაძის გამზირი № 27/ შესვენების დაწყებამდე ანუ ორის ნახევრამდე უნდა მივიდე, თორემ მერე ყურყუტი მომიწევს. აქეთობას, ქუჩიშვილის ქუჩაზე „აიეტის“ გადასახადის / 13 ლარი/ შეტანას ვაპირებდი, მაგრამ ამჯერად თავი უნდა შევიკავო, ოჯახი უფულოდ დარჩება. „აიეტის“ ანტენა რამდენიმე თვის წინ დავადგმევინე ხელოსნებს სახურავზე. ჩემი ბიჭის დაჟინებულ თხოვნას დავყევი. ჩამიარაკა, „აიეტის“ მრავალფეროვანი პროგრამა აქვს და თუ გინდა საღამოობით შინ ვიყო, ეს სურვილი შემისრულე, ტელევიზორის საქმე მოაგვარეო. რა მექნა, დავყაბულდი, შუალამემდე მის ყიალს ეს ვამჯობინე და ჩემი გარჯის ნაყოფი, შეიძლება ითქვას, თითქმის სასურველია. ამასთანავე, „აიეტის“ რამდენიმე მშენიერი სამეცნიერო და მუსიკალური პროგრამა ახლავს და გადავწყვიტე, იმ იაფი სიკეთით მეც მესარგებლა.

ნელ-ნელა მივიწვევ წინ, მარჯვენა ქუსლი მტკივა /ალბათ მარილები ჩამილაგდა და ასფალტზე ფეხის

დადგმა მიჭირს/, ვცდილობ, ტკივილი შევიმსუბუქო, სიარულში გავიუმჯობესო მდგომარეობა; ეს თავისებური ვარჯიშია, გულსაც უხდება. აქეთ-იქით ვიყურები, თვალს წყალს ვალევივინებ. ტროტუარის ორივე მხარეს ათასი ფარდული თუ ჯიხურია. გადაჭრელებული ჟურნალ-გაზეთების გარდა, ნაირ-ნაირ ხილს, პაწია, გამჭვირვალე პარკებში შეფუთულ უამრავ სასუსნავს თუ სახრამუნოს ჰყიდებიან. ნაცნობი, ახლობელი იშვიათად შეგვხვდება.

კავშირგაბმულობის ნაცხრამართალ, დანაცხრილავ, შავდაფააკრულ, ავად მოსაგონარ შენობას გავცდი და ათიოდე მეტრის სიმაღლეზე, მანქანების ღმუილსა და ორომტრიალში, მთაწმინდის კალთებიდან დაშვებულ, ღიაწვენივან, ლიმონისფრად აფარფატებულ პეპელას მოგკარი თვალი. ამ ჰაეროვან, უმჩატეს არსებას უკიდურესად გამძაფრებული ყნოსვა აქვს, მთების გადაღმა შეუძლია იგრძნოს, ზუსტად განსაზღვროს ჯუფთის, სატრფოს სამყოფელი, გადალახოს ვეება ქედი, ფრთებაცახცახებული მიადგეს და იქვე დაუწყვილდეს, დედალ-მამალმა ერთად ინებივროს ყვავილებით მოქარგულ ველზე / აქ არ მინდა ადამიანთა თავზარდამცემი გადაგვარება, ასე გახშირებული „ერთსქესიანი სიყვარული“ ვახსენო/.

სულ არ გამკვირებია, რომ ჩემს მიერ შემჩნეული პეპელა განერიდა ბენზინის მომწამლავ, გულისამრევ ოხშივარს, მაღლა-მაღლა მიფრენდა, გვერდი

აუარა ახალგადალებილ, მიმზიდველად გამოძირალ სამხატვრო გალერეას და ალექსანდრეს ბაღში, კვიპაროსების კორომში, შეფრიალდა, ქუჩასთან შედარებით უკეთეს, მშობლიურ გარემოში რომ ეგრძნო თავი. რა ვუყოთ, რომ უძცირეს კვერცხიდან გამოჩეკილს, ფოთოლზე უსუსურ მატლად მხოხავს, პარკში მოქცეულს და მერე დაფრთიანებულს, მზის სინათლეზე ჯიქურ გაჭრილს, მშობლები თვალთ არ უნახავს! სილამაზის უტყუარი შეგრძნება ზომ დედის ნაზად მფეთქავი მუცლიდანვე დაჰყვა. ორიოდე დღის ლალი, უზრუნველი სიცოცხლე მოუცია უთვალავი სიმდიდრის მქონე ბუნებას, თუმცა განავარდებასა და ალი-კვალი მისი მსგავსი შთამომავლობის დატოვებას მაინც ასწრებს, რაც ერთ-ერთი ძნელად გასაცნობიერებელი სასწაულია. იგი თავადაა აუხსნელი სინატიფე და სილამაზე, მასავით მქროლავი წუხილით შეფერილი.

წელან სინანული გამოვთქვი პეპელის გაუხარელი ხვედრის გამო. პეპელა კი არა, რამდენი ადამიანი ვიცით, მშობლები ერთხელაც რომ არ უხილავთ. ზოგი ჩასახული დატოვა დასალუპავად განწირულმა მამამ, ზოგის მშობიარობას კი დედა გადაჰყვა. ეს მეტისმეტად ტრაგიკული შემთხვევებია, რომელთა მონელება ჭირს. ბევრად უფრო მეტია იმათი რიცხვი, რომელთაც დედა, მშობიარობისთანავე /რალას არ მოვესწარით/, სადმე მიაგდებს და

მიატოვებს. ხშირად ჩვრებშიც არ ახვევენ თვალაუხელებს, უმწეო არსებებს.

ამ კომმარულ ფონზე ღვთაებრივ ნათელად მოჩანს, როცა წავიკითხავ, რომ ლონდონის ზოოპარკში დედისგან მიტოვებული თუ მოძულებული ახალდაბადებული შვლის ნუკრი იმავე ზოოპარკის ბინადარ ძაღლს უშვილებია და სამაგალითო მზრუნველობით გამოუზრდია. გაზეთში, ამ სენსაციურ ცნობასთან ერთად, ფოტოც იყო დაბეჭდილი, თუ როგორ ულოკავს ყელს მადლიერი შვილობილი ამაგარ დედინაცვალს. ძაღლს არც კატა ჩამორჩენია /ეს ცნობაც, მითხრეს, გაზეთში ყოფილა გამოქვეყნებული/. ფისოს უპატრონოდ დაყრილი მგლის ორი ლეკვი საკუთარი კნუტებივით შეუთვისებია, ალაღად უწოვებია ძუძუ და მანამ მეურვეობდა, სანამ, უკვე წამოზრდილები, ზოოპარკს არ ჩააბარეს. ასეთმა უცნაურებებმა, თუ კაცი ხარ, შეუძლებელია, ძარღვი არ შეგიტოკოს.

ამას წინათ საშინელ გუნებაზე დადგა მთელი საქართველო. თვალებს და ყურებს არ უჯერებდნენ. ტელევიზიამ გამაოგნებელი, ჭკუაზე შემშლელი ამბავი გადმოსცა. ახალგაზრდა დედას, ცხადია, სულიერად ავადყოფს, თავისი ჩვილი /ვგონებ, მეხუთე/ ბავშვი, დაბადებისთანავე მოეხრჩო, მოეგუდა. ამის დანახვა და გაოგნება ადამიანის წარმოდგენას, ძალ-ღონეს აღემატება. თუ მიჰყევი, ვინ იცის, სად გადაგჩენავს

ამაზე ფიქრი, ისედაც მოშხამულ გუნებას მთლად წაგიხდენს, მიგასაკათებს, გაგანადგურებს.

ასე თუ ჩავეფალი ყოვლად უფიქრ, ჯოჯოხეთის შესადარ წარმოსახვებში, სავსებით მოსალოდნელია, განარჯული შუქის გადასახადის /26 ლარი და 80 თეთრი/ გასტუმრება სულაც გადამავიწყდეს, რასაც სახარბიელო შედეგი არ მოჰყვება— დენს ინდივიდუალურად გამოძირთავენ.

ამასობაში, პაოლო იაშვილის გულდამწვარი სიყრმის მეგობრის, მისი და ტიცციანის დამტირებლის, ძმადანკრეტილი გიორგი ლეონიძის ქუჩა უკვე ავათავე, მარცხნივ, გერონტი ქიქოძის ქუჩაზე გავუხვევ და, ხუთიოდე წუთში, ჩემს მშველელ ბანკს მივადგები. როგორ არ უნდა მქენჯნიდეს სირცხვილი, როდემდე ვიყო ასე დაბეჩავებული?! საცოდავი მამაჩემი, გადასახლებიდან დაბრუნებული, სიცოცხლეში ნიადაგ გაუხარელი და ყველაზე გადაყოლილი / მისი ბავშვთა ექიმობა ცალკე, საგანგებოდ მოსათხრობია/, მუდამ სიკეთის მთესველი, სულეთიდანაც მიწვის ხელს და მამხნეებს, რათა ბოლომდე გავწიო კუთვნილი ჭაპანი, არ ჩავიმუხლო. ამის რწმენა კი შემრჩა— ქინძის ოდენიც რომ არაფერი გავაკეთო, ჩნირიც არ გადავაბრუნო, მარტო იმისი შვილობაც კმარა, რომ კაცად ვიგრძნო თავი, ამ, ცოდვებით დამძიმებულ, მიწაზე ამაყად, წელგამართული დავდიოდე.

დიდ ქართველ ისტორიკოსს, ქართული ეროვნული ისტორიოგრაფიის ფუძემდებელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამაარსებელს აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს დაბადებიდან 130 წელი შეუსრულდა. მისი ნათელი ცხოვრება ყოველთვის იყო ქართველი მწერლების ყურადღების საგანი, რასაც მოწმობს ჩვენს ჟურნალში გამოქვეყნებული ლექსების ნაწილი მიძღვნილი დიდი ივანე ჯავახიშვილისადმი.



გაწყვეტილი სიტყვა ივანე ჯავახიშვილის ხსოვნას

თითქოს სიგელზე თემური იწვა,
შენ შეეხე და მოგტეხა ხელი,
შეგაწყვეტინა სიკვდილმა სიტყვა
და სურასავით ამოშრა ყელი.

სიტყვის ნაწილი ჰაერში დარჩა,
შენ მოგშორდა თუ გაფრინდა ცალკე.
მამულს უჩვენე ჯაფა და გარჯა
და წრფელ შრომაში დაღუძდა ბაგე.

მე მელანდება ლენგი მონგოლი,
ყელში რომ ჩაგრჩა ხმალივით ბასრი.
ლექსის მთქმელი და რვალის მომგონი
და ჩუქურთმაში ქართული აზრი.

მე მაგონდება რუსთველის ლურჯაც,
ნალის ნაპერწკლით გზაზე ვინთები.
კვამლი აჩნია გარუჯულ გუჯარს
თუ ლარზე წვრთნილი შენი თითები.

შენ ყოველ ნანგრევს დაადგი შუქი,
სუროს პერანგი შემოხსენ კომკებს.
სადაც რიჟრაჟზე გვიხმობდა ბუკი
და სადაც შლიდნენ მხედრები დროშებს.

შენმა სიმშვიდემ ცეცხლი დანერგა,
გული გიგავდა მშფოთვარე ფაზისს.
ჩვენს ისტორიას ბჭე თუ დაენგრა,
შენ მას დაჰკიდე კარები ვაზის.

მერე მოჭედე ქართულ ოქროთი,
ხალხს გაუღე და განჭვრიტე ძველი.
შენ საქართველოს გზაზე მოჰქროდი,
მესაკრავე და ჩუქურთმისმჭრელი.

გარს ვენახივით გეხვია ფიქრი,
მისწვდი მონგოლეთს თუ ჭრელ ხატაეთს
და წრფელი შრომით შექმნილი წიგნი,
როგორც ჭოგრიტი, მამულს გადაეც.

წახველ, ჩაეკარ მომავლის ბუდეს,
შენ მოიხადე სამშობლოს ვალი
და ლექციაზე მიმავალ სტუდენტს
მიჰყვება შენი მზრუნველი თვალი.

სიმონ ჩიქოვანი

ივანე ჯავახიშვილისადმი

როცა წარსულის სიღრმისაკენ ეტრატით ხელში
შებრუნდებოდი და შუქს ჰფენდი, როგორც მთოვარე,
მაგონდებოდა მე მშვენება ვახტანგ მეექვსის,
სამეფო კვერთხით სამეუფო ტახტზე მჯდომარე.

როგორც მლოცველი, მზედალეულ ლანდთა მზილველი,
ძველ ქართულ სიტყვას, მოუხმობდი აბატონებდი,
და ნათლდებოდა შენს თვალებში გასაკვირველად
ქართლის ცხოვრების ფერწასული კაბადონები.

ფოთლისა გვარად ცახცახებდა ფურცელი ძველი,
რომ გაცოცხლება შენს ბაგეთა შიგან ეღირსა:

ხან პატივყრილ ქრისტიანთა ცრემლები მწველი
და ხან ჭიხვინი გამხეცებულ თემურ ლენგისა.

ვით ჯადოკაცი, უხსოვარი დროის უბეში
შეიჭრებოდი, რომ იქიდან გამოგეტანა
პერგამენტივით დახვეული ფიქრის ღრუბელი
და შემდეგ მაინც „კი მაგრამა“ გეთქვა ნეტარად.

დახავსებული პალატები ერთხმად ამღერდნენ
ოდეს უტყვ სულში ჩასწვდათ შენი ხმა უვნებელი,
ნათელი კაცო, სიკვდილის ფრთა ვერ დაგაბნელებს,
შენ საქართველოს ისტორიის ხარ სჯულმდებელი!

ნათელი კაცო, თუმც განხვედი და განისვენე,
შენი ჭაღარა ძველებურად ისევ კამკამებს,
ისევ კამკამებს და წიგნისკენ უხმობს ისევ
შაუულვაშიან და შავგვრემან ქართველ ვაჟკაცებს.

როცა წარსულის სიღრმისაკენ ეტრატით ხელში
შებრუნდებოდი და შუქს ჰფენდი, როგორც მთოვარე,
მაგონდებოდა მე მშვენება ვახტანგ მეექვსის,
სამეფო კვერთხით სამეფო ტახტზე მჯდომარე.

ლადო ასათიანი

ქართული უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილს

ყოველთვის როცა გავივლი ახლოს –
წამს ორი გრძნობა ჩემში ინთება;
ეს ორი გრძნობა მუდამ თან მახლავს:
დიდი ტრფიალი და მორიდება.
მომაგონდება შორი წარსული,
ნატვრა, იმედი ქართველი ერის,
უიმედობით შემოგარსული,
ფრთამოტეხილი ოცნება ჩვენი.

ეს სიყვარული, ეს მორიდება
ამაჯსებს, როცა თქვენს წინ ვჩერდები!
მშობელი ხალხის თქვენ ხართ დიდება
და მზის შუქივით მას უერთდებით.

ტადარი სიბრძნის – ქვეყნის მშვენება –
ქართული ენით დღეს რომ მეტყველებს,
გვანიჭებს ნანატრ ბედნიერებას
და სიამაყით გულსაც ატყვევებს.

კურთხეულ იყოს დიადი კერა
და ის, ვინც მისთვის შრომა გასწია,
ვინც დიდ ოცნებას სული შთაბერა
და სინამდვილედ იგი აქცია!

ყოველთვის, როცა გავივლი ახლოს
წამს ორი გრძნობა ჩემში ინთება:
ეს ორი გრძნობა მუდამ თან მახლავს: -
დიდი ტრფიალი და მორიდება.

კოლაუ ნადირაძე

ივანე ჯავახიშვილს

გეძახდა, გწვავდა დაშლილ ქვათა დიდი ღაღადი,
და ღაღადი ნაღვლიანი შენ მათი ბედი.
ნათელ შუქს გფენდა შენი ქვეყნის შარავანდედი,
მის ნანგრევებში ჩარჩენილი სული მარადი.

გწვავდა, გზიბლავდა ბეთანიის ფერი ლაჟვარდის
და შემორჩენილ მის გუმბათზე ღულუნი მტრედის.
იყავ სპეტაკი და მართალი ვით ცრემლი დედის,
ღრმა და უშრეტი ვით სამშობლოს წარსული ღარდი.

წამოდგარ ქვეყნის დიდებასთან ბაასი გსურდა,
გსურდა, შეესწარ გმირ ქართველთა ჩადექი წრეში
შენს ვრცელ მთა-ველზე დიდმა ძალამ მონახა ბუდე.
აღარ ჩაქრება ეს ოცნება მშობელ მხარეში.

შენ ხალხის ტრფობა დაგეფინა ია და ვარდად,
ტრფობა საფლავზე უშლელ ძეგლად რომ აიზარდა.

შალვა აფხაიძე

მე ბევრჯერ გნახეთ

ივანე ჯავახიშვილს

თქვენით განათდა და გალამაზდა
 შორი წარსულის უკვდავი კვალი,
 მე ბევრჯერ გნახეთ,
 როცა არმაზთან
 წარსულს სინჯავდით ნაცადი თვალით.
 გამქრალ მიდიას,
 ურარტუს,
 ხეთას,
 ხედავდით ათას მიჯნათა იქით,
 მე ბევრჯერ გნახეთ,
 როდესაც მცხეთას
 გადაჰყურებდით წარსულზე ფიქრით.
 მამულისათვის თქვენი შეძლების
 ბურჯებზე იდგა მოძავლის ხიდი,
 მე ბევრჯერ გნახეთ,
 ნამცეცს ეძებდით
 და ისტორიის სასახლეს ჰქმნიდით.
 დიდების მცველებს უხმობდით ბუკით,
 დაბრძანებოდით სიმართლის ბეჭდით,
 მე ბევრჯერ გნახეთ,
 მოძავლის შუქით
 საუკუნეთა სიბნელეს ჰვრეტდით.
 ისევ ირყევა სამყარო ვრცელი
 და ქარიშხალიც არაფრით ჩადგა,
 მე ახლაც გხედავთ,
 ხატება წრფელი
 საფიცარ მამულს შუქივით ადგას.

ნუგზარ წერეთელი

ომარ სოხაძე

კოლხეთის ისტორიის ფურცლები

წინასიტყვაობა

საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში მცხოვრები და მოღვაწე ჩვენი თანამემამულე ომარ ვლადიმერის ძე სოხაძე დაიბადა ქალაქ სოხუმში 1947 წელს. 1964 წელს დაამთავრა სოხუმის მე-10 საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტზე, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ასპირანტურის სრული კურსიც გაიარა. შემდეგ ო. სოხაძემ მოღვაწეობა გააგრძელა ქ.მოსკოვში, სადაც მოსკოვის



*ომარ სოხაძე, პარიზი, კლოდ მონეს
მუზეუმის ეზოში*

№1 არქიტექტურის ინსტიტუტში დაინიშნა დოცენტის თანამდებობაზე და კითხულობდა ლექციებს. ჯერ კიდევ სამოცდაათიან წლებში მოსკოვში დააფუძნა საერთაშორისო ღონის შოუ სახელწოდებით „გეპატიჟებათ წითელი მოედანი“, სადაც მსოფლიოს წამყვანი მომღერლები კარერასი, დომინგო და სხვებიც მონაწილეობდნენ.

მშობლიურ ქალაქ სოხუმს, საკუთარ სახლსა და ახლობლებს ომარ სოხაძე ვეღარ დაუბრუნდა, უმაღლესი განათლების მიღებისა და ფართო მოღვაწეობისათვის გამზადებული ახალგაზრდა ნიჭიერი კაცი ლტოლვილად იქცა.

1999 წლიდან ცხოვრობს პარიზში, სადაც მისი ავტორობით გამოსულმა რამდენიმე წიგნმა ყურადღება დაიმსახურა და საფრანგეთის მწერალთა ფედერაციის წევრიც გახდა.

გთავაზობთ ნაწყვეტს ომარ სოხაძის განმაურებული რომანიდან „ქართა რთველი“. ავტორს რომანის სიუჟეტად არჩეული აქვს მშობლიური აფხაზეთის ისტორიის პრობლემები და საკუთარი მხატვრული ინტერპრეტაციით აწვდის ქართველ და აფხაზ მკითხველს.

აფხაზეთი იმათი მიწაა, ვინც ცხოვრობს ხაზზე, ე.ი. ზოლზე – მიჯნაზე აფსუასთან, ხოლო ხაზი – საზღვარი იყო და არის მდინარე ფსოუ.

– გამოდის აფსუას ხაზი, აფსუას ზოლი, ანუ აფხაზეთი, – წარმოთქვი მე.

– სწორედაც რომ, აფხაზი ნაციონალური კუთვნილება კი არ არის, არამედ ტერიტორიული თანაზიარობაა. ქართველები, მცხოვრებნი საზღვარზე აფსუებთან არიან ნამდვილი აფხაზები, მსგავსად იმერლებისა, კახელებისა, ქართლებებისა და ქართველთა სხვა დასახელებისა, მათი საცხოვრებელი ტერიტორიების შესაბამისად.

– მაშ, ვინ არიან სინამდვილეში აფსუები? – ვიკითხე მე.

– ადამიანები, სახელის –აფხაზი – მიმთვისებლები, თვითონ უწოდებენ საკუთარ თავს აფსუას, ხოლო მიწას, სადაც ნება დართეს ეცხოვრათ, აფხნის. სინამდვილეში კი ეს კოლხეთის ღვთაებრივი მეფის აიეტის ვაჟის აფსირტეს მიწებია. აფსირტეს სამფლობელოები იწყებოდა მდ. ფსოუდან და შეადგენდა ახლანდელი ყუბანის ტერიტორიას. აიეტის გადაწყვეტილებით, აფსირტე მკვიდრ მოსახლეობას კოლხ-მოსინიკებს იცავდა მომთაბარე ბარბაროსების – სკვითთა ტომების სულ უფრო და უფრო განშირებული თარეშისაგან, რომელთა შორის განსაკუთრებული სისასტიკით სარმატები გამოირჩეოდნენ.

კოლხი ტომები, მცხოვრებნი ახლანდელი ყუბანის ტერიტორიაზე,

შეადგენდნენ თემებს, ან ტომობრივ ერთობას სახელწოდებით აფსუა, რაც ნიშნავდა მათზე მეფისწულის აფსირტეს ძალაუფლების აღიარებას. აფსუა – აფსირტეს ხალხია, მისი ქვემეგრდომები.

აფსირტეს ტომობრივი კავშირის საფუძველს აფსუასთან შეადგენდა აფსირტეს დედის, კაკკასიელი ნიმფის ასტეროდეიას გვაროვნული ტომი, ასევე კოლხთა ადგილობრივი ტომი – მოსენიკები. სხვათაშორის, ეს ის მოსენიკები არიან, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ადრეულ ბრინჯაოს ხანაში პონტოს ეკქსინოსის ნაპირებიდან ბრიტანეთის კუნძულებზე რომ გადასახლდნენ. მათგან იღებს სათავეს შოტლანდიელი პიქტები და ირლანდიელი სიდჰები.

აფსირტეს ბიძა, პერსი, ტავრების ტომთა მმართველი ყირიმში, ძლიერი მოკავშირე იყო ბარბაროსთა წინააღმდეგ, რომელთა მრავალრიცხოვანი ტომები ერთიანდებოდნენ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში სათარეშოდ, ტავრებისა და მოსენიკების დაბეგვრის მიზნით.

– რამდენადაც ვიცი, ტავრები ყირიმში ჩვენს ერამდე მეხუთე საუკუნეში გადმოსახლდნენ ინდოეთიდან, – ფრთხილად შევნიშნე მე.

– ეს იყო ტავრების დაბრუნება სამშობლოში, ნუ აჩქარდებით ტიმა.

– მაშ ასე, აფსირტე და პერსი ბარბაროსებს უპირისპირდებიან.

– მომთაბარეები აპარტახებდნენ დასახლებებს, ძარცვავდნენ, წვაავდნენ,

ხოცავდნენ ადამიანებს და სწრაფადვე ქრებოდნენ სტეპებში, ბორეასის, ჩრდილოეთის სტეპების სუსხიანი ქარის დარად.

ადამიანები დაიღალნენ ჩრდილოეთიდან გამუდმებული საფრთხეებისაგან და პერსმა გადაწყვიტა ტავრების წაყვანა აღმოსავლეთში. აფსირტეს მეომრების დახმარებით, რომელთაც სტეპში გადასახლებისას უსაფრთხოების ღერეფანი შექმნეს, ტავრებმა, ანუ პერსებმა, როგორც უწოდებდნენ პერსის ხალხს, მიაღწიეს კასპიისპირეთის მიწებს. შემოუარეს რა კასპიას აღმოსავლეთიდან, ისინი დაბინავდნენ სამხრეთში და დასაბამი მისცეს პერსების იმპერიას, რომელიც სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად იწოდებოდა: პერსია, პარფი, ირანი.

პერსთა ტომის ნაწილი კი უფრო შორს წავიდა აღმოსავლეთით, ინდოეთში, სადაც უკვე იყო არიელთა დასახლებები. აფსირტე თავის ხალხთან აფსუებთან ერთად მომთაბარეების შემოსევისაგან აკავებდა შავიზღვისპირეთში. იგი სარმატების ერთ-ერთი შემოტევისას დაიღუპა.

– ე.ი. აფსირტე სკვით მშვილდოსანთა ისრისაგან დაიღუპა პონტოს ევქსინოსის ჩრდილოეთის მიწებში, აი რისთვის იყო საჭირო ძნელი და პრაქტიკულად არასანაოსნო გზის მოფიქრება არგონავტების უკან დაბრუნებისას ღუნაით, აფსირტეს სიკვდილის ადგილი უნდა დაეკავშირებინათ არგო-

ნავტებთან, რათა მედეა დაედანაშაულებინათ ძმის სიკვდილში.

ეს უეჭველად ასეა, თუმცა მთებთან ვარიანტთა შორის არის ისიც, რომელიც უსაფრთხოების ლოგიკის მიხედვით ბოსფორზე გადიოდა. სწორედ ამ გზით წაიყვანა მედეამ არგონავტების ხომალდი. აზრი არ ჰქონდა ახალი, შეუსწავლელი გზის ძიებას, და თანაც მხრებით გადაიტანო ხომალდი ხმელეთზე, რათა ღუნაიდან მოხვედრე ხმელთაშუა ზღვაში.

აფსირტე, რაინდი თეთრ ცხენზე, წმინდა გიორგის უძველეს პირველსახეს წარმოადგენს. აფსირტეს ტომებმა, მისი დაღუპვის შემდეგ დაარსეს ტაძარი და უწოდეს თუ აფსირტი, რაც ნიშნავს, თუ აფსირტე ნებას დაგვრთავს. კოლხები ამ ტაძარში ევედრებოდნენ აფსირტეს სულს. თუ აფსირტეს ტაძრის ირგვლივ აღმოცენდება დასახლება ტუაფსე.

მომავალში ბარბაროსთა მომრავლებულმა ტომებმა კვლავ იწყეს კოლხთა შეწუხება. მათმა თარეშმა რეგულარული ხასიათი მიიღო. ამჟამად უკვე იტანჯებოდნენ მთიელებიც, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში სახლობდნენ. მათ არა მარტო ძარცვავდნენ, არამედ აიძულებდნენ ბარბაროსების მხარეს ებრძოლათ. თუმცა მთიელები ნებისმიერ მარჯვე შემთხვევაში გარბოდნენ ბრძოლის ველიდან. ამიტომ ყვიროდნენ კოლხები ბრძოლისას აბა ზურგი, რაც ნიშნავს „აბა ზურგი

მაჩვენე“, აქედან დაუძკვიდრდათ მათ მეტსახელი – აბაზგები. აღიღელ-აბაზგთა ერთ-ერთმა ტომმა, რომელიც განსაკუთრებით იტანჯებოდა ბარბაროსთა უღლისაგან, თავშესაფარის ძებნა იწყო კოლხ აფსუებთან. აფსუათა ტომებთან დასახლება შეეძლოთ მხოლოდ მათ, ვინც აფსირტეს წმინდა ფიცს მისცემდა კოლხების ერთგულებაში. თუ აფსირტეს ტაძარში წმინდა ცეცხლზე აღიღელებმა მისცეს ფიცი აფსირტეს, რითაც საკუთარი თავიც და შთამომავლობაც თვითდაწყველისთვის გაწირეს, იმ შემთხვევისათვის, თუ ისინი კოლხებს უღალა-ტებდნენ.

ფიცის დროს ყოველ მათგანს ხელში ეჭირა კვიპაროსის პატარა დაფა მზის გამოსახულებით. ამ გამოსახულებას ქოხის კარზე ფიც ხეს, ფიცის ხეს უწოდებდნენ, აქედანაა საცხოვრისის სახელწოდება – ფაცხა.

– აღიღელები თუ აფსირტის მიწებზე კოლხებისაგან განცალკავებით ცხოვრობდნენ, ერთმანეთში თავიანთ მთიულურ ენაზე საუბრობდნენ, რომელიც უფრო სტვენას ჰგავდა. მათთვის უცხო იყო ზღვა, მათ არ იცოდნენ თევზის გემო. საკვებში შებოლილ ხორცს, მთიელთა საჭმელს ხმარობდნენ. ეს ტრადიცია დღემდე შემონახულია. თუმცა კოლხთა კულტურის გავლენა გარდაუვალი იყო აფსირტეს ტომთან შერწყმულ გადამთიელთა მცირე ტომთათვის. თავისი ეპოსის გმირის აბრსკილის სახეს ისინი აფსირტეს კულტურისგან სესხულობენ.

– ბარბაროსთა თარეშმა განსაკუთრებით სასტიკი ხასიათი მიიღო საშინელი გვალვის პერიოდში, რომელიც სტეპში ყველაფერ ცოცხალს წვაკვდა. აღიღეელთა თუ-აფსური შტო შორს, აღმოსავლეთისაკენ წავიდა. გადავიდნენ რა მდ.ფსოუზე, ისინი კოლხთა შიდა სამფლობელოებში მოხვდნენ, რომლებიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკუთარ თავს აფხაზებს უწოდებდნენ, მცხოვრებლებს აფსუას ხაზთან ანუ აფსუასთან ერთ მიჯნაზე. კითხვაზე, თუ საიდან მოვიდნენ, ისინი პასუხობდნენ – კოლხი აფსუები-საგან. მათგან წინასწარ ფიცის მიღების შემდეგ თავშესაფარი მისცეს ბიჭვინთაში, ფიჭვთა ტაძარში, რომლებიც კოლხთათვის წმინდა ხეებად ითვლებოდნენ. ეს იყო ფიცი სისხლისმიერი. აბაზგები ერთმანეთში კოლხურად იმეორებდნენ ფიცი უნდა, რაც ნიშნავს ფიცი უნდათ, აქედანაა „პიცუნდა“-ბიჭვინთა. ასე შემორჩა ორი დასახელება და ორივე კოლხურ ენაზე. ბევრი უძველესი ქართველური ქალაქი ატარებდა ხეთა სახელებს. მაგალითად, სოჩი ნიშნავს სოჭს, ეს ძველკოლხური ქალაქი რუსეთს გასულ საუკუნეს შეუერთეს, ნებართვით, ანუ უფრო სწორად საჩუქრად გადასცეს ქართველი ბოლშევიკებისაგან, რომლებიც რუსი ბელადები გახდნენ.

– სხვათაშორის, სწორედ პიცუნდაში, სამოციან წლებში, ხრუშჩოვისთვის, მისი ლაქია ბლაჟბას მიერ აშენებულ აგარაკზე, პირველად განიხ-

ილებოდა აფხაზეთის მიტაცების გეგმები. ხრუშჩოვი, რომელიც ვერ იტანდა სტალინს, ამზადებდა ქართველთა უძველესი ხალხის გადასახლებას უხსოვარდროინდელ კოლხთა მიწებიდან. სწორედ მან დათესა აფხაზეთა თავებში განხეთქილების თესლი, რომლებიც ამ დრომდე ესწრაფვოდნენ თავიანთთვის ახალ სამშობლოში დამკვიდრებას, ცდილობდნენ რა ქართველთა კუთურის გადმოღებას, სესხულობდნენ სახელებს, გვარებს, ტრადიციებს, ყოფიერების წყობას.

აბაზგ – ადილები თავის დროზე სტეპის ბარბაროსთა ურდოს გამოქცეულები, ამ დრომდე სიამაყით უწოდებენ თავს აფსირტეს ტომის აფსუებს.

– უფრო მეტიც, მათ აფსირტეს ქვეყნის სახელწოდება – აფსნიც აფხაზეთზე გადმოიტანეს, იმავდროულად საკუთარ თავსაც აფხაზს უწოდებენ, რათა ამით კოლხებს მიემსგავსონ.

– ბარბაროსები, რით აფხანათ ეს სახელი? – დავინტერესდი მე.

– ბარბაროსები ქართველური სიტყვიდანაა – ბარი – ბარის ბარი სხვა არაფერია თუ არა ვაკის ვაკე, ასე უწოდებდნენ ქართველები სტეპს, ხოლო სტეპის მცხოვრებლებს ბარისბაროსებს.

– ახლა ადილეულ-აფსუათა ტომები, მიითთვისეს რა თავისთვის სახელწოდება აფხაზი, იქცნენ ბარბაროსთა შთამომავლობის გაჭრილ ბანქოდ, რომლებიც აბრიყვებდნენ მათ თავიან-

თი პასპორტებითა და მაცდუნებელი დაპირებებით ქალაქის დამოუკიდებლობით, მათრახისა და თაფლაკვერის ჩვეული პოლიტიკით.

აბსურდული დაპირებებით გახარებულმა ადილ-აბაზგებმა, მოიხმეს რა თავიანთი მტრები ბარბაროსები, განდევნეს მკვიდრი მოსახლეობა – ქართველები, რომლებმაც ოდესღაც ისინი იხსნეს სტეპის ველურთაგან, და რომელთა წყალობითაც გადარჩნენ როგორც ერი. მართლაც ბედის ირონიაა.

ჩვენ ვერც შევამჩნიეთ, თუ როგორ მოგვიახლოვდა რუსი ოფიცერი, სამშვიდობოების წარმომადგენელი. ეტყობა მან ყური მოჰკრა ბოლო ფრაზას და უცერემონიოდ ჩაერია ჩვენს საუბარში. – მერედა რატომ არ დაიცავით თქვენი ძირძველი მიწა? თუ უძღურები ხართ გაეჯიბროთ სტეპის ველურებს, – დაუფარავი გაღიზიანებით გამოთქვა აზრი არცთუ ახალგაზრდა ოფიცერმა.

– ხალხს, რომელმაც ახლახან მშვიდობიანად მოიპოვა თავისუფლება, არც უნდა ეომა. ვინ იფიქრებდა, რომ ომი საკურორტო ქალაქის პლაჟებზე შემოაღწევდა, სადაც ნამზეურებთან ერთად მკვდრებიც ეყარა. უიარალო მცხოვრებთა დასახმარებლად მოხალისე სტუდენტები მოიჩქაროდნენ, რომელთაც პირველად ეკავათ ხელში იარაღი, მაგრამ, აბა რა შეეძლო მათ კბილებამდე შეიარაღებული და გაწვრთნილი თავზე ხელაღებული ჩრდილოელების წინააღმდეგ, რომელთ-

აც რუსეთის ტანკები და ავიაცია ეხმარებოდათ.

– იომო – ეს არ არის დალიო ღვინო.

– იცით რა, მოწყალეო ხელმწიფევე, საკმარისია დავასახელოთ რამდენიმე მაგალითი, რათა თქვენ მიხვდეთ, თუ როგორი მეომრები არიან კოლხთა შთამომავლები. კოლხეთის უძველესი დამცველები აიეტის ციური ლაშქარი იყო. ბერძენი ისტორიკოსებისა და ტრაგიკოსების ცნობით, ვერაფერი შეედრებოდა სწრაფფრთებიან კოლხურ ხომალდებს. ყველაზე თამამი და უშიშარი რაზმის საფუძველს ეგვიპტის მამლუქთა ლაშქარში ძველთაგან ქართველები წარმოადგენდნენ. მამლუქები წარმოშობილია სიტყვიდან – მამალი – მამლები ეგვიპტეში ჯერ კიდევ ეგვიპტის მეფის სესოტრისის დროიდან ჩნდებიან, რომელმაც სკვიტებზე გამარჯვების შემდეგ თავისი ლაშქრის ნაწილი დატოვა ეგვიპტელთათვის წმინდა კოლხეთში. მეორე მაგალითი უკვე შეუასაუკუნეებიდან, - თამარ მეფის ლაშქარმა გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა შაჰ აბუბაქარს, რომლის ჯარი ბევრად ჭარბობდა ქართველებისას. შამქორის ცნობილ ბრძოლაში რაინდებს მეთურობდა სარდალი ზაქარი. შაჰმა ამ ლაშქრობას რელიგიური ხასიათი მისცა და თავისი მრავალრიცხოვანი ჯარი მუსლიმანური დროშებით მოფინა. თამარ მეფემ პირქვედამხობილი, მუსლიმანთა წმინდათაწმინდა ხახულის ღვთისმშობლის ხატს შესწირა.

რამდენიმე საუკუნის შემდეგ, ყაზანის დაპყრობისას ივანე მრისხანე იხსენებდა ბრწყინვალე ბრძოლას, როგორც მაგალითს მიბაძვისათვის.

იცოდეთ, რომ ჩრდილოეთ პალმირასა და რუსული ცივილიზებული სახელმწიფოს დამაარსებელი, ისევე როგორც რუსული არმიისა და ფლოტის პეტრე I, იყო ერეკლე I ნაზარალიხანი – (როგორც რუსეთში უწოდებდნენ – უფლისწული ნიკოლოზი) ბაგრატიონისა და ნატალია ნარიშკინას ქორწინებაგარეშე შვილი. ისტორიკოსებისათვის კარგადაა ცნობილი მიზეზი იმისა, თუ რატომ გაბედა სოფიომ ტახტისათვის შეცილება, იყო პეტრეს უკანონო დაბადება. სახელდებული ძმა, ხოლო სინამდვილეში პეტრეს ბიძაშვილიშვილი ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი იყო მეფისწულის უახლოესი მეგობარი ბავშვობიდან, რომელთან მან შესაქცევარი პოლკის ფორმირება მოახდინა, შემდგომში კი სემიონოვსკის და პრეობრაჟენსკის პოლკებად გარდაქმნილი, რუსეთის რევოლუციური არმიის საფუძველად იქცა. პეტრეს ძმა ალექსანდრე ბაგრატიონი გახდა რუსული არტილერიის პირველი ფენცელმეისტერი. შემთხვევითი არც ისაა, რომ სწორედ პეტრეს დროს იქმნება ქართველთა პირველი ემიგრაცია მოსკოვში, სადაც საბჭოთა ხელისუფლების დროს ქართულ სლობოდას გამოუცვალეს სახელი და უწოდეს კრასნაია პრესნია. პეტრეს ძმა ერეკლე, ძმა ალექსანდრე და სხვა

ქართველი დიდებულები მოსკოვში ღონის მონასტერში განისვენებენ. მონასტრის ნუსხის მიხედვით გამოდინარეობს, რომ იგი დაარსებულია ქართველების მიერ. ქართველთა ივერიის მონასტერში, რომელიც ათონის მთაზეა, იგზავნიან ხატმწერები. პეტრეს მითითებით მზადდება ივერიის ღვთისმშობლის ასლი და დიდი ზარ-ზეიმით იკვრება ივერიის ჭიშკრის კარებზე წითელ მოედანზე. სხვათაშორის, ქართველთა ხატის სწორედ ეს ასლი ხდება ყველაზე წმინდა ხატი რუსული არმიისათვის, და რომელიც წინ მიუძღოდა რუსთა ჯარებს ომებში. მეორე პეტრე და ისიც ბაგრატიონი საუკეთესო რუსი გენერალია ნაპოლეონის ცნობით. სწორედ ბაგრატიონი ხელმძღვანელობდა არიერგარდს რუსული არმიის უკან დახვევისას, ივერიებდა რა ფრანგთა თავდასხმას ომის ყველაზე მძიმე პერიოდში.

როგორც ხედავთ, არაერთ გამოჩენილ ქართველს მოჰქონდა დიდება რუსი ერისათვის. და თქვენ ამ დიდებით გაიქაჩეთ ერთმორწმუნეებზე, იმ დროს, როდესაც ქვეყანა მხოლოდ იწყებდა ახალი სახელმწიფოს შექმნას და არ ჰყავდა არმია, არ ჰქონდა შეიარაღება. დარტყმა ზურგში მიიღო იმ რუსეთისგან, რომლისთვისაც თავს არ ზოგავდნენ ქართველები და ბევრმა მათგანმა სახელიც მოუტანა, ისინი ხომ ბლომად იყვნენ რუსეთის გუბერნატორთა შორის, თავადაზნაურობის წინამძღოლებში, გიმ-

ნაზიებზე მზრუნველებში, რუსული უნივერსიტეტების დამაარსებლებში, კულტურის მოღვაწეებში.

– ეტყობა ვილაცას კარგად გადაუხადეს და გადაუხადეს არა ერთ ათეულ გენერალს, გეტყვით საიდუმლოდ. მე თვითონ ძალიან არ მსიამოვნებს, რაც აქ ჩავიდინეთ. მე ხომ ტექნარი ვარ, ფორმა კი ამ საინსპექციო მოგზაურობამდე ჩამაცვეს, - ამ სიტყვებით გაგვმორდა ოდნავ შემცბარი ოფიცერი.

– ხედავდით, როგორ გაგვემიჯნა. ალბათ შეიგნო, რომ ისტორია არ პატიობს სხვა ხალხის წინაშე ჩადენილ დანაშაულს. ჩეჩნეთის ომი ხომ მისაგებელია, ღვთის რისხვას იმათ თავზე, ვინც დანაშაულებრივ კავშირში მყოფები ერთად ხვრეტდნენ და წკავდნენ უიარალო ქართველებს, ხოლო ცოცხლად დარჩენილებს მშობლიური მიწიდან აძევებდნენ.

– უამრავი წესიერი, პატიოსანი ადამიანი იტანჯება ამ მტარვალთავან, რომელთა არაადამიანური ცოდვებიც მთელ მათ მოდგმას დაატყდა თავს.

– ორჯერ გადასახლების პერიოდში, თავიდან აფსირტეს აფსნის მიწაზე, შემდეგ კი აფსირტეს მიწების ხაზს იქითა აფსაზეთში, ადიღეელებმა ორჯერ მისცეს ფიცო ქართველებს ერთგულებაზე. მათ, ვინც არ უღალატა თავისი წინაპრების ორ წმინდა ფიცს და არ უღალატა კოლხებს, ღვთიური სულის ლოცვა-კურთხ-

ევის ქვეშ დარჩებიან, მათთვის ღიაა გზა ქართა რთველში, რომელიც თვითონ უნდა გაიარონ.

– თქვენ ოდესმე თუ გსმენით ტაძარზე ღამნაშავეთათვის? – ვკითხე მზეკარას.

მზეკარამ გაკვირვებულმა შემომხედა, შემდეგ კი მიხვდა, – თქვენ დიდრიფშე ამბობთ აჩადარაში.

– დიდრიფში, ის დიდი რისხვაა. ის ქართველური სახელწოდებაა რისხვის ტაძრისა, სადაც ციური სული სჯიდა ფიცის გამტეხთ და მთელ მის მოღვმას.

ღვთის სასჯელი გარდუვალად მიჰყვებოდა ხოლმე ფიცის გატეხვას და სწორედ რომ ეს ციური რისხვა უნერგავს შიშის ზარს ადილებს აქომამდე, თვლიან რა დიდრიფშს თავიანთი ტრადიციული რელიგიის საფუძვლად, განწმენდილი ფიცის რელიგიად.

– რაც არ უნდა ილაპარაკონ, როგორც არ უნდა იმართლონ თავი ერთმანეთში, მათ მშვენივრად იციან, რომ მასობრივ ფიცთ გამტეხებს წარმოადგენენ, – დაასკვნა მზეკარამ.

– ფიცთ გატეხვის იშვიათი შემთხვევების გამო აზრი არ ექნებოდა ამდგვარი ტაძრის დაარსებას.

და თანაც მთავარი ტაძრისა ერისათვის.

– ვერც ვერავინ გაბედავდა სადავო გახადოს საგანთა ეს ნამდვილი ძღო-მარეობა, დღემდე არსებულის, აკი დანაშაულებიც პროფესიონალურ ხელობად

იქცა, რომელსაც თავისი ამქრული კანონები აქვს. სტეპებზე მონავარდე ბარბაროსთათვის ჩვეულმა ანარქიულმა ცხოვრების წესმა შვა დანაშაულებრივი ხელობის გილდიები. სწორედ რომ ასე აღიქვამს ადგილობრივი საზოგადოებრივი ცნობიერება ბანდიტიზმს, ადამიანთა გატაცებას შემდგომი გამოსასყიდისათვის, გამოძალავებს, რეკეტებს, ხელისუფალთა საყოველთაო კორუფციას და ქრთამის მთელ კოდექსს, ხოლო ამ საზოგადოების ყველაზე „ღირსეულ“ წევრებს, მათ გმირებს, წარმოადგენენ გამხეცებული ადამიანები, რომლებიც კლავენ დაუცველ ქალებსა და ბავშვებს, ბრმა სიძულვილით რომ მოუწყვეს გენოციდი ქართველებს. ამ „გმირთა“ ხელმძღვანელობით იქმნება ამქრული კანონები, რომელთაგან ერთ-ერთს ზეპირი ინდულგენციები – თხოვნები წარმოადგენენ, რაც ტოლფასია ფარული ნებართვისა ახალ დანაშაულებებზე, რომელთა გამოსყიდვაც ასევე ადვილი იქნება დიდრიფშის ქურუმებისაგან. დიდი რისხვის კულტი დაუსჯელობის კულტად იქცა.

ბაგრატ მეფის – ბაგრატიონის დროს გულირიფში ანუ გულის რისხვაში, რაც ნიშნავს რისხვის გული, შენარჩუნებული იყო ძველი ზნე-ჩვეულებანი გაემართათ სასამართლო ფიცის გამტეხების მიმართ. მოსამართლეებად იყვნენ ქართველი აფხაზი თავადი შერვაშიძეები, ისინი ითვლებოდნენ დიდი რისხვის ქურუმებად, სადაც თავს იჩენდა დიდი რისხვა. სხვა

სიტყვებით რომ ვთქვათ, ქურუმები თავიანთი ჯაღო სიტყვებით დასჯის გარდუვალობას იწვევდნენ.

– ვინც არ ჩადის დანაშაულებს, ეს არ საჭიროებს თავის მართლებას, ხოლო იქ, სადაც დანაშაული ცხოვრების წესია, სახლდება შურისძიების შიში, იქ იქმნება უნიკალური ადამიანთა ისტორიის ბუნებაში ტადარი დამნაშავეთათვის.

– ადგილობრივი მცხოვრებლები სრულიად დარწმუნებულები არიან, რომ დამნაშავეებს, მთელი მოდგმის განადგურების შიშით, შეუძლიათ მონანიონ და განმწმენდი ლოცვებითა და მსხვერპლშეწირვით გული მოუღბონ „დიდ რისხვას“. მათ მოჰყავთ არა ერთი მაგალითი იმისა, როცა ცრუ ფიცის შემდეგ, დამნაშავეები როგორ იღუპებოდნენ თავიანთ მოდგმასთან ერთად. აბაზგებში დაცულია ძველი თქმულებები სასწაულებრივ ხსნაზე ჩრდილოკავკასიელ მთიელთა თავდასხმისას.

მე მასხენდება აჩადარელთა ნაამბობი, რუსი მოგზაურის პასხალოვის მიერ ჩაწერილი 1874 წ.: „ისინი ყვებოდნენ მტერთა გაძუდმებულ თარეშებზე, უცხოტომელ ჩერქეზებსა და სხვა ხალხზე, დიდრიფშის მთის იქით რომ ცხოვრობდნენ“. ამ სიტყვებში თანატომელი ჩერქეზებისათვის თავის არიდების მცდელობაა. ჰპოვეს რა თავშესაფარი ქართველთა შორის და გადმოიღეს ბევრი რამ ამ უძველესი ერისგან, ჩათვალეს, რომ მათთვის უკვე უღირსობა იქნებოდა ჩერქე-

ზებთან ნათესაური კავშირის შენარჩუნება. აქაც თვალნათელია მუხანათობა, ორგულობა საკუთარი ჭეშმარიტი ფესვებისადმი ჩრდილოელ კავკასიელებთან, რასაც მოჰყვა ღალატი მეორე სამშობლოსადმი ყუბანის მიწებზე, საიდანაც ისინი მიგრირებულნი იქნენ კოლხ აფხაზთა მიწებზე.

კაზაკები, მეფის ბრძანებით ჩამოსახლებულნი ტუაფსელი კოლხების მიწაზე, მიზანმიმართულად თრგუნავდნენ და ანადგურებდნენ ყუბანელ ადილებს, ხოლო ცოცხლად დარჩენილებს ამწყვდევდნენ კაზაკური თავნებობის სტეპურ კანონებში, რომელიც არსით თავისით სტეპის ანარქიას ან უსაზღვრობას წარმოადგენდა. თავისუფლებისმოყვარეობა კაზაკის მათრახით ითრგუნებოდა, ტრადიციები მლიქვნელობით იცვლებოდა, შეწყალება ახლობლების დაბეზღებით ხერხდებოდა. ყველანაირი ურთიერთობა რეგულირდებოდა ჩინოვნიკთა ქრთამითა და სტეპური ურვადების დაუწერელი კანონებით.

აჩადარელთა ნაამბობიდან გამომდინარე „მთიელთა ურდოები და სტეპის სხვადასხვა ჯურის ხალხები ილტვოდნენ მათთვის მიწების წართმევას და დამონებას, მაგრამ დიდრიფშის უჩინარი ძალის წინაშე არა ერთხელ ოტებულან“.

– აბაზგები თვითონ არასოდეს ომობდნენ. ისინი ყოველთვის სხვის ზურგს უკან იმალებოდნენ. მთიელებსა და ბარბაროსებს აფხაზეთიდან

ყოველთვის აიეტიც ციური ლაშქარი და მათი შთამომავლები ერეკებოდნენ და აჩადარელები გადაშენებისგან არა ერთხელ იხსნეს.

– ახლა კი მათ, აჩადარაში იწვევენ, როგორც ყველაზე ძვირფას სტუმრებს.

სტუმრები ამბობენ ერთს, დაულა-ლაგად იღებენ ქრთამებს და ფიქრობენ სხვას. მათ სძინავთ და სიზმარში იმ ბატონებად ხედავენ თავს, რომელთაც უკვე მიაღწიეს სანუკვარ მიზანს. ბარბაროსთა ისტორიულ არქეტისს დრო არ შეხებია. მასშია წინაპართა ძახილი ქურდობისაკენ, რბევისაკენ და გაუთავებელი მთვრალი სიშმაგისაკენ, რომელშიც მწიფდება მარადიული განუსაზღვრელობა უაზრო ჯანყისა ყველასთან, თავისიანების ჩათვლით. რუსი ხალხის გენიოსობა, რომლებიც მრავლად არიან ხელოვნებასა და ლიტერატურაში, სწორედ თავისი იტორიული არქეტებიდან განთავისუფლების პროცესსას შედგენენ, რაშიც თვითონაც არა ერთხელ გამომტყდარან, მაგრამ ის გენიალური პიროვნებები ხელისუფლებისთვის ყველა დროში არასასურველ, არაკეთილსაიმედოდ ითვლებოდნენ. თავისიანებთან დაუნდობელი მარადიული დამპყრობლები რის გულისთვის ან რანაირად შეიბრალებდნენ ერთ მუჭა დიდგულა მთიელებს, რომელთაც ისინი ვერასოდეს იტანდნენ და უმოწყალოდ ჟლეტდნენ. კეთილი ზრახვების უხვსიტყვაობის ნისლით გადაფარულნი, ისინი სულ უფრო ღრმად ნერგავენ

სტეპური ანარქიის კანონებსა და მორალს, რომლისგანაც ასე ძნელად თავისუფლებიან ამჟამინდელი ქართველები.

– ის უმძიმესი სულიერი გზა გათავისუფლებისა ყოველმა ქართველმა უნდა გაიაროს.

ცოტა პაუზის შემდეგ მზეკარამ ისევ გააგრძელა საუბარი. – კოლხებმა არა მარტო იხსნეს აბაზგები გადაშენებისგან, არამედ ყოველნაირად უწყობდნენ ხელს მათი ნაციონალური თვითშეგნების ამაღლებას.

– მე თვითმხილველი ვარ ამ პროცესისა. ჩემ სიჭაბუკეში, ქართველმა გულიამ, რომლის გვარიც თარგმანში ნიშნავს გულს, აბაზგებს შეუქმნა ანბანი. შემდეგ თბილისის ინტელიგენციის დახმარებით ყალიბდება ნაციონალური თეატრი, უნივერსიტეტი, გაზეთების გამომცემლობა და ტელევიზია, ამასთან იმის დავიწყებაც არ შეიძლება, რომ იმ დროს, თვით სოხუმში, უმნიშვნელო რაოდენობით ცხოვრობდნენ აბაზგები.

– მიწა აფხაზთა განიწმინდება სიბილწისაგან. ცდა იმისა, რომ წაართვა საქართველოს მიწები, იგივეა, მოუვლინო საკუთარ თავს დიდრიფშის დიდი რისხვა. ახალგაზრდა თაობისთვის, რომელიც ჯერ კიდევ არ ჩაფლულა დაკარგულ სულთა სიცრუის ფარისველურ ნაკადში, ქართველთა დაბრუნება იქნება ადილელებისა და აბაზგების მორიგი ხსნა.

ვიდრე გვიან არ არის, მივხედოთ ძველ ქართულ ეკლესიებს

*„ისეთი ოსტატობა და ოინბაზობა არ დაეფიცება იმათ, ვინც ძველს ქვას აცლის ძველ მონასტერს, ან ქართულ წარწერას ჰფხვებს და ზედ სომხური ასოებით გამოჰყავს, ან თვითონ ქვას იპარავს და ეშმაკმა იცის სად ჰკარგავს...“
ილია*



ატენის სიონი

საქართველოში როდის შემოვიდა პირველი ტალღა სომეხი ლტოლვილებისა, ჯერ-ჯერობით დაუდგენელია. ფაქტი ერთია, მათი შემოდინება შუა საუკუნეებში საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობდა, რაც მუსულმან დამპყრობთა მიერ სომხეთის სრული ანექსიით იყო გამოწვეული. შემოხიზნული სომხები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში სახლდებოდნენ და ქართულ ყოფას არცთუ ურიგოდ ეგუებოდნენ, რადგან ქართველი კაცის

მიმტვევებლობა და ტოლერანტობა ამის საშუალებას იძლეოდა. ამიტომაც არის განსხვავებული რელიგიური სალოცავები გვერდიგვერდ საქართველოში. რის მაგალითად გამოდგება თბილისი. აქ ერთმანეთთან დგანან სიონის ტაძარი, სომხური გრიგორიანული სურბ-გევორქის ეკლესია, სინაგოგა და მეჩეთი; ჩამოთვლილ ხალხთა სალოცავებიდან, ყველაზე მეტი საქართველოში არის სომხური გრიგორიანული საკულტო ძეგლები. ეს ძეგლები კულტურულად ეკუთვნის საქართველოს, ხოლო არქიტექტურულად სომხურია. რასაკვირველია, იგულისხმება ნამდვილად სომხური ეკლესიები და არა სომხურად გადაკეთებული ქართული საკულტო ძეგლები. ამგვარი არცთუ მცირეა საქართველოში. ზოგიერთი სომეხი ავტორი ამგვარ ეკლესიებს სადაოს უწოდებს, რაც ჩვენი აზრით, შეცდომაა. საუკუნეების მანძილზე თუ როგორ ხდებოდა ქართული ეკლესიების მისაკუთრება სომეხთა მიერ, ამის შესახებ მოკლედ მოგახსენებთ.

უცხოელ დამპყრობლებს გამოქცეული სომეხი ლტოლვილები ტალღა-ტალღა შემოდინდნენ საქართველოში. გუშინდელი ბოგანო ნივთიერად მომაგრდა თუ არა, საკუთარ მონოფიზიტურ აღმსარებლობაზე იწყო ზრუნვა და ძნელობის ჟამს მიტოვებული, ხარაბა ქართული ეკლესიების დასაკუთრებას მიჰყო ხელი და ასეულობით ქართული ეკლესია სომხურად აქცია. ფალსიფიკაციის პროცესი საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა და ამ გზით მომრავლდა „სომხური“ ეკლესიები საქართველოში. (ვიმეორებ – ეს იმას არ ნიშნავს, წმინდა სომხური ეკლესიები არ იყოს საქართველოში).

ამ ისტორიულ პროცესს ორ პერიოდად ვყოფთ – პირველია, უძველესი დროიდან 1801 წლამდე – რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამდე. მეორე პერიოდი მოიცავს XIX-XX სს. ეს პერიოდები გარკვეული ნიშნით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. პირველ პერიოდში საქართველოს სამეფოს გაუქმებამდე, ქართველი მეფის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ნებართვის გარეშე რამე საკულტო ნაგებობის აშენება იკრძალებოდა. მით უფრო სომხური, მონოფიზიტური ეკლესიისა, რომელიც ჯერ კიდევ მემკვიდრე საუკუნიდან მწვავედ იყო დაპირისპირებული ქართულთან. ამ თვალსაზრისით ვიმუშავე სახელმწიფო არქივში, გადავამოწმე საისტორიო წყაროები, მაგრამ ამგვარი ნებართვა არ შემხვედრია. *თუმცა ენაზე რამდენ-*

იმე საბუთი, მაგრამ ეს მთლიან სურათს არ ცვლის. ის კი არა – შევამოწმე მოარული აზრი, თითქოს ქართველი მეფეები შეჭირვების ჟამს ყიდდნენ ეკლესიებს მდიდარ სომხებზე, მაგრამ ყიდვა-გაყიდვის საბუთიც ვერ მოვიძიე. თუ მხედველობაში არ მივიღებთ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ზ. ჭიჭინაძის ფონდში დაცულ ცნობას – „სომხებმა ქართველებისაგან მოტყუებით და ცლუნებით თვით ქართველების საყდრებიც კი შეიძინეს. ასე მაგალითად, ფეთხანის (იგულისხმება ბეთლემი ბ.ა.) საყდრის შეძენის საქმე... ასევე შეისყიდეს სომხებმა ოქრომჭედლის ქუჩაზე დიდი საყდარი – წმ. ნიკოლოზის, რომელსაც დღეს სომხები სურბ-ნშანს უწოდებენ. ასევე შეისყიდეს სომხებმა წმინდა გიორგის საყდარი ტფილისისად წოდებული. ამას გარდა მაიდნის თავზედ დღეს სომეხი სურფ-გევორქის საყდარიც ქართველებისა იყო, სომეხთ დაიჩემეს. ასევე დაიჩემეს მათ მეტეხის აღმართზე ავლაბრის შეყოლებით პატარა საყდარი“. /ც – 413, ზ. ჭიჭინაძის არქივი, მუზეუმს გადასცა მიტროფანე ლალიძემ, 28.V.36, გვ. 7-8/“

მართალია, სომხური ეკლესიების არსებობა საქართველოში ფაქტია, მაგრამ საკითხავია, სამართლებრივად რამდენად იყო კანონიერი მათი აშენება თავის დროზე. ამრიგად, თუ არ არის წერილობითი ნებართვა ან სიგელი ამა თუ იმ სომხური ეკლესიის აშენების შესახებ, მაშინ 1801 წლამ-

დე არსებული ყველა სომხური ეკლესია საქართველოში უკანონოა ანუ კანონის დარღვევით არის აშენებული. ეს ერთი, მეორე – ასევე ნებართვის გარეშე, მტრისაგან გავერანებული რომელიმე ქართული ეკლესიის გადაკეთება-გადმოკეთება, მასზე დაშენება, მიშენება და სომხურ ეკლესიად გადაკეთება ასევე არასამართლებრივი აქტია და მიიჩნევა ნაძალადეგ ქმედებად, მიტაცებად. ამიტომ, საქართველოს საპატრიარქო უფლებამოსილია ამგვარი „სომხური“ ეკლესიები შეხედულებისამებრ განკარგოს, აღადგინოს მათზე კანონიერი, იურიდიული უფლება.

ამდენად, საფუძველი ეცლება ზოგიერთი მეცნიერის ენერგიულ მცდელობას, რამდენიმე ასეული „სომხური“ ეკლესიის დაფიქსირებისა საქართველოში. ამ ხასიათის შრომები კი არა ერთი გამოქვეყნებულა XIX-XX ს-ს. სომხურ ენაზე. სომეხი ისტორიკოსის, ალექსანდრე ერეციანის /1811-1902/ მიხედვით, სომხური ეკლესიები საქართველოში 1837 წელს 198 ყოფილა (იხ. ყოველთა სომეხთა საკათალიკოსო და კავკასიის სომხური, ნაწ. II, თბ. 1895, გვ. 256, სომ. ენაზე). 1903 წლის სომხური კალენდარი ართვინისა და არტანუჯის რაიონებში 256 „სომხურ“ ეკლესიას ითვლის. ეს მონაცემები ზუსტი არ არის, გაცილებით მეტს ვარაუდობენ სომეხი ავტორები.

აღნიშნული შრომების შემდეგ ყველაზე „სრულია“ 1995 წელს ერევან-

ში სომხურ ენაზე გამოცემული რუკაცნობარი – „სომხური ეკლესიები საქართველოში“, ავტორია, პროფ. ს. კარაპეტიანი. მასში 650-ზე მეტი სომხური ეკლესია არის ფიქსირებული საქართველოში. ამ 650-ზე მეტი ეკლესიიდან 30-40 პროცენტი მაინც ქართული ეკლესიები აქვს გატანილი სომხურად.

ჩვენ არ გვაქვს პრეტენზია ყველა სომხურად ქცეული ქართული ეკლესიის ისტორია განვიხილოთ (ამის შესახებ ვრცლად იხილეთ ბ. არველაძე: - „სომხური“ თუ ქართული ეკლესიები საქართველოში?! 1996 წ. ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე). მხოლოდ რამდენიმე მაგალითზე ვაჩვენებთ მკითხველს სომეხების მიერ ქართული ეკლესიის მისაკუთრების არცთუ სასიამოვნო ისტორიას.

თბილისის ეკლესიების შესახებ ვახუმტი გვაუწყებს – „არს კუალად დაბალსა ციხესა შინა ეკლესია გუმბათიანნი აწ ცარიელი და სხუანი გუმბათიანნი უპარავთ სომეხთა. უგუმბათო აღაშენა კარის საყდრად დედოფალმან მარიამ. კუალად აღაშენა მეფემან ვახტანგ ორი გუმბათი, დედოფალმან როდამ აღაშენა ერთი უგუმბათო, კუალად უგუმბათო ოთხი აწ უპყრავთ სომეხთა“ /ქართლის ცხოვრება“, 1973, ტ. IV, გვ. 336/, ამ ამონარიდში ერთი მნიშვნელოვანი დეტალია. ვახუმტი არათუ იმ ეკლესიის შესახებ ხაზგასმით ამბობს – „აწ უპყრავთ სომეხთა“, ე.ი.

თბილისის შვიდი ეკლესია ადრე იყო ქართული და XVIII ს-ში „უპყრავთ სომეხთა“. ვახუშტის ამ ცნობას კომენტარს უკეთებს და აზუსტებს პლ. იოსელიანი – თბილისში სომხებმა შვიდი ქართული ეკლესია დაისაკუთრეს: ერთ-ერთი მათგანია –

(
, 1866, . 258). აქ

პირდაპირ არის მითითებული, თბილისის სურბ-ნშანი ქართული ტაძარია. წმ. ნიკოლოზის სახელწოდება ამ ტაძარს დღემდე შემორჩა, მისი საკუროთხეველი ამ წმინდანის სახელობისაა. იგი აღმოჩნდა სომხების ხელში. მასზე არსებული სომხური წარწერის მიხედვით ეს ტაძარი აშენდა ვახტანგ VI-ის მამის მეფე ლევანის დროს/ 1703 წ./ აქ არ არის აღნიშნული ქართველი მეფის ნებართვით და ხარჯით თუ აშენდა. ამიტომ სომხურ წარწერებში სიტყვა აშენდა ზუსტად არ არის ნახმარი, რადგან როგორც ზემოხსენებული ქართველი ისტორიკოსები გვაუწყებენ, 1703 წელს სურბ-ნშანი კი არ აშენდა, არამედ ძველად არსებული წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმედი ქართული მართლმადიდებლური ტაძარი გადააკეთეს და აქციეს სომხურად. კონკრეტულად რა საშუალებით ჩაიგდეს ხელში ეს ტაძარი სომხებმა ჯერჯერობით არ დგინდება, მაგრამ 1703 წლის სომხური წარწერის თანახმად, მის

ახლად აშენებას შესდგომია ვინმე მელიქ კიორკი. ადრე მელიქ კიორკის მამას ასლამაზას და პაპას, ამირას გარკვეული სამუშაოები შეუსრულებიათ. მათ თანამდებობის წყალობით (მამასახლისები ყოფილან) არ გაუჭირდებოდათ ქართული ეკლესიის ხელში ჩაგდება. თუმცა არ გამოვრიცხავ კიდევ უფრო ადრე მომხდარიყო ამ ტაძრის მითვისება სომხებისაგან. ამიტომ, პ.მურადიანის მიერ სურბ-ნშანის ეპიგრაფიკული მასალა და თბილისის სომხური სინოდალური ჩანაწერები ასახავენ ამ ტაძრის გადაკეთება-გადმოკეთებას, **მის ახლად მშენებლობის პროცესს და ჯიუტად დუმან სურბ-ნშანის თავდაპირველ ქართულობაზე**. ანალოგიურად სომხურ ეკლესიებად იქცნენ სხვადასხვა დროს – თბილისის ბეთლემი, სურბ-გევორქი, ორმოცწამებულთა და სხვა.

ახლა ვნახოთ, ქართული ეკლესიების მიტაცების პროცესი როგორ განვითარდა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ. მეფის რუსეთმა უსირცხვილოდ დაარღვია 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი, ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა და გუბერნიებად შეუერთა რუსეთს. ესეც არ იკმარა და ქართველი ხალხის ეროვნების ბურჯისა და ციტადელის – საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ანულირება მოახდინა, ქართულ ეკლესიას სათავეში ჩაუყენა რუსის ეგზარხოზი. მათ კი საქართველოს ეკლესიის ქონება დაიტა-



მანგლისი

ცეს. ჩამოართვეს მამულები, ოქრო-ვერცხლით მოჭვდილი ძვირფასი ქართული ხატები და სხვა საეკლესიო სამკაულები რუსეთს გაიტანეს და გაყიდეს. (დაწვრილებით იხ. ნ.დურნოვი – „ბედი საქართველოს ეკლესიისა – ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხები“). ქართულად წირვა-ლოცვა აკრძალეს და ქართველთა გაუგებარ რუსულ ენაზე სრულდებოდა ღვთისმსახურება. ასეთ სავალალო მდგომარეობაში ჩააგდო ქართული ეკლესია და ხალხი ერთმორწმუნე რუსეთმა. ამ დროს ეჯიმიწიანს, მართალია ერთხანს გარკვეულწილად შეუზღუდა უფლებანი და მის საეკლესიო სიმდიდრესაც წაეპოტინა, მაგრამ სომეხთა უმაღლესმა სამღვდელოებამ ჩქარა აღიდგინა უფლებები. მათ რუსეთის მთავრობას შეახსენეს თავიანთი ლომის წილი საქართველოს სამეფოს გაუქმებისა და დამოუკიდებლობის დაკარგვაში. ერთი სიტყვით, ეჯიმი-

იაწინმა ფრთები შეისხა და გააქტიურდა. პირველ რიგში, დამოუკიდებლობადაკარგული ქართველი ხალხის ბეჩავი მდგომარეობა ოსტატურად გამოიყენა და მასშტაბური კამპანია გააჩაღა ქართველთა მონოფიზიტურ, სომხურ სარწმუნოებაზე გადასაყვანად.

აქვე შევნიშნავ – ამ დროს, ერევნის სახანოდ ქცეული სომხეთი რუსეთმა ერევნის გუბერნიად აქცია და რუსეთს მიუერთა. ეს დიდი ბედნიერება იყო სომხებისათვის, რადგან მათ ცხრა საუკუნის წინ დაკარგეს სახელმწიფო დამოუკიდებლობა და ამ ხნის განმავლობაში მუსულმანთა განუწყვეტელი ბატონობის ქვეშ იმყოფებოდნენ, თუმცა ეჯიმიწიანი ინარჩუნებდა ერთგვარ დამოუკიდებლობას და საკმაოდ მდიდარიც იყო. ეჯიმიწინმაც ხელსაყრელი მომენტი არ გაუშვა ხელიდან და გუბერნიებად ქცეული საქართველოს უმწიფო მოსახლეობას შეუსია თავისი ემისრები – ტერტერები. მათ ყველანაირი ხერხი გამოიყენეს ჯერ ხარაბა ქართული ეკლესიების ხელში ჩასაგდებად, შემდეგ მათ ქართულ მრევლს ათასგვარი ხრიკებით ასომხებდნენ. ამ გზით მართლაც მიაღწიეს წარმატებას, განსაკუთრებით 1801-1860 წლებში. ამ მოვლენამ ისეთი თავხედური ხასიათი მიიღო, რომ მეფის მთავრობაც კი შეაშფოთა და 1860 წელს საგანგებო კანონი გამოსცა, რომლის ძალითაც ქართველს სომხურ სარწმუნოებაზე გადასვ-

ლა აეკრძალა. მაგრამ სომხის ტერტ-ერები ამას არ დაგიდევდნენ და ჩუმად, მოსყიდვითა და სხვა აკრძალული ხერხებით თავიანთ ბნელ საქმიანობას მაინც განაგრძობდნენ.

ს. კარაპეტის რუკა – ცნობარს თუ დაეუჯერებთ, თელეთის წმ. გიორგის ეკლესია სომხური ყოფილა. გადავხედოთ ისტორიას – პლ. იოსელიანის მგზავრული ჩანაწერების მიხედვით სოფელ თელეთის ერთ ნაწილს ეწოდებოდა ქურდის თელეთი, მეორეს – ხატის თელეთი, მესამეს – მუხრან-ბატონის თელეთი, პროფ. ლ.მელიქსეთ-ბეგის ცნობით, მუხრანბატონის თელეთი შეუსყიდია ვინმე მირზოიანს და დარქმევია მირზოიანის თელეთი. ხატის თელეთში წმ.გიორგის და ღვთისმშობლის ეკლესიებიდან, შედარებით საინტერესოა პირველი – წმ.გიორგის ეკლესია. ამ ეკლესიის შესახებ დავიმოწმებ ზ.ჭიჭინაძეს – „თელეთის წმ.გიორგის ეკლესია დღეს სომხებს უპყრიათ, აქ იყო ძველად ხატი წმ.გიორგისა ვერცხლისა, ქართულის წარწერებით, შეწირული ქართველი მოლოზნისაგან“. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ზ.ჭიჭინაძის საარქივო ფონდში ვნახე ასეთი ცნობა - „... სომხებმა დაიჩემეს თელეთის წმ.გიორგის საყდარი, თავის ღიდი მამულებით და ღიდი ქართული მრევლით. ამ დაჩემების დროს 1796 წ. ამ თელეთში მოინათლა 40 ათასი ქართველი სომხად. შავნაბადას ეკლე-

სიაც უდაოდ ქართველებისა არის, მაგრამ ისიც გასომხებული იქნა თავისი მრევლით“.

ახლა გადავხედოთ საისტორიო წყაროებს. ხატის თელეთის წმ.გიორგის ქართული ეკლესია XVIII ს-შიც იხსენიება. ვახუშტი მის შესახებ წერს - „კუმიის ადმოსავლეთით მტკვრისაკენ არს თელეთი და ეკლესია წმ.გიორგისა“. როგორც ჩანს, XVIII ს-ის ბოლოს, 1796 წელს, თელეთის წმ.გიორგის ეკლესია სომხებს ჩაუგდიათ ხელში. ნიშანდობლივია – საუკუნეების განმავლობაში რა კანონზომიერად ხდება ქართველი ხალხის მიერ თავზე დამტყდარი ყოველი უბედურების შემდეგ სომხები, როგორც წესი, ქართულ ეკლესიებს ისაკუთრებენ. ასე მოხდა თელეთის წმ.გიორგის ქართული ეკლესიის შემთხვევაშიც. ალა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის დაქვევის / 1795/ მომდევნო 1796 წელს თელეთის წმ.გიორგის ეკლესია და არამართო ის, სომხების ხელში აღმოჩნდა. უფრო მეტი – თელეთის წმ.გიორგის ეკლესია ქართველთა სომხურ სარწმუნოებაზე მოტყუებით გადაყვანის ერთ ცენტრად აქციეს სომხის ტერტ-ერებმა. აბა, მოვუსმინოთ ზ.ჭიჭინაძეს – „თელეთის წმ.გიორგის საყდარი, რომელიც ადრე ქართველების იყო და სომხებმა ჩაიგდეს ხელში, 1796 წელს სომხების გახდა. ამ საყდრის სომხის ტერტერებს 1820 წელს ტფილისში

ჰყავდათ დაქირავებული ექვსი მკითხავი, კახეთში ათი მკითხავი. სომხების მკითხავები ეუბნებოდნენ გაჭირვებულ ქართველებს – თქვენი ყმაწვილი თუ თელეთში არ მონათლეს, უამისოდ ის არ იცოცხლებს და არ გაიზრდება, ამიტომაც ქართველი თავის შვილს ნათლავდა აწ უკვე სომხის საყდარში და ამგვარად იგი ეკარგებოდა ქართველობას. მისი ბავშვი სომხად იზრდებოდა. ასე და ამგვარად, ამ მკითხავების დახმარებით 1801 წლის შემდეგ 1860 წლამდის ქართველი ერის და უფრო კი გლეხკაცობის გასომხებული არის 200 ათასზე მეტი ქართველი მარტო ტფილისის მკითხავების დახმარებით, ისიც მარტო ერთადერთ თელეთში“ /„სომხის სამღვდლოების გველური სჯულის ოსტატური ემმაკობა ქართველი ერის გასომხებისათვის“ – კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ზ.ჭიჭინაძის ფონდი/. თელეთის წმ.გიორგის სომხურად ქცეული ეკლესიის მოკლე ისტორია ტიპურია ეჯიმიანის აგრესიული საეკლესიო პოლიტიკისა ქართული ეკლესიისა და ერის მიმართ.

ბოლნისის რაიონის სოფ. რატევანში – „წმ.გიორგის ეკლესია XVI-XVII სს. რესტავრ. XIX ს-ში“ ასეა შეტანილი ე.წ. რუკა-ცნობარში ეს სომხურად ქცეული ქართული ეკლესია. ამ ეკლესიის სომეხთა მიერ მიტაცების ისტორია გადმოცემულია ჟურნ. „მოგ-

ზაურის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილში – „ბორჩალოს მაზრა და მასში მცხოვრები ქართველები“, ავტორის ხელმოწერაა – ბ. (ეს ინიციალი ვერ გავხსენი – ბ.ა.) რატევანის წმ.გიორგის სომეხთაგან მიტაცების ამბავი ტიპურია არამარტო ქვემო ქართლში, არამედ სამცხე-ჯავახეთში, ქართლ-კახეთში XIX-XX საუკუნეებში.

მიუხედავად იმისა, რომ ჰუჯაბის ცნობილი ტაძრის ქართულობა საეჭვო არ არის, სომეხმა მეცნიერებმა ის მაინც შეიტანეს – „სომხეთისა და მის მიმდებარე ტერიტორიების ტოპონიმთა ლექსიკონში“. საგულისხმოა, ჰუჯაბი შეტანილი არ არის სომხურ ენციკლოპედიაში. არც ძველ სომხურ წყაროებშია მოხსენიებული. მაგრამ ამ ფაქტმა ხელი არ შეუშალა სომეხ მეცნიერებს იგი შეეტანათ ხსენებულ ტოპონიმთა ლექსიკონის მეორე ტომში. სომხური არქიტექტურის ნიმუშიაო, ვერ თქვეს, მაგრამ არც მისი ქართულობა აღიარეს და ბერძნულად გამოაცხადეს. არადა ჰუჯაბის ტაძარი არის XIII ს-ის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი (ქაბაშიძე და სხვ.). კიდევ უფრო სამწუხაროა ის, რომ ჰუჯაბის ტაძრის დაპატრონების მიზნით სომეხებმა საზღვარი 400 მეტრით გადმოსწიეს, რათა ჰუჯაბი სომხეთის სახელმწიფო ტერიტორიაზე მოხვედრილიყო (კ.ხარაძე – „ძეგლის ნამ-

დვილი მემკვიდრე“, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1988, 15 ოქტომბერი).

ს. კარაპეტიალის რუკა-ცნობარის მიხედვით სამცხე-ჯავახეთში სულ 127 სომხური ეკლესიაა. აქედან 40 აშენებულია 1800 წლამდე. 1800 (უფრო ზუსტად 1830წ.) – 1900 წლებში ამ რამდენიმე ათეული წლის მანძილზე სომხებს 87 ეკლესია აუშენებიათ სამცხე-ჯავახეთში. გამოდის 1800 (1830წ.) 80 თუ 100 ეკლესია აუშენებიათ, ე.ი. წელიწადში ერთ ან მეტ ეკლესიას აშენებდნენ. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ეს ეკლესიები ფუნდამენტური, მკვიდრად ნაგებია და არა ნაჩქარევად, სახელდახელოდ აგებული ხუხულები. ამგვარი ეკლესიების აშენება იმ პერიოდში ჩოჩიალა ურმით და შიშველი ხელებით წარმოუდგენელია. XIX ს-ში კი არა დღეს, მექანიზებული მშენებლობების ეპოქაშიც კი ძნელია დროის ასე მცირე მონაკვეთის მანძილზე ამდენი შენობის, მით უმეტეს ეკლესიის აგება. ამავე დროს, დარღვეულია სომხური საეკლესიო კანონი, რომლის მიხედვით, სომხური ეკლესია ზუსტად შვიდი წლის განმავლობაში უნდა შენდებოდეს. საქმე ისაა, რომ 1830-31 წლებში ერზერუმთან სამცხე-ჯავახეთში გადმოსახლებულმა

40 ათასმა სომეხმა ქართულ მიწაზე ფეხი მოიკიდა თუ არა, ხელი მიჰყო ხარაბა ქართული ეკლესიების დაპატრონებას და მის სომხურ წესზე გადაკეთებას. ამ სამარცხვინო პროცესის შესახებ თავის დროზე წერდნენ – ექთაყიშვილი, ს.ჯიქია, ნბერძენიშვილი, ივ.გვარამაძე, ივ.როსტომაშვილი, ნ.დურნოვი და სხვები.

აი, ამიტომ მოეფინა ნაწვიმარზე ამოსული სოკოებივით XIX ს-ში „სომხური“ ეკლესიები სამცხე-ჯავახეთს. ეს ეკლესიები ქართულია, მაგრამ ს.კარაპეტიალმა ჰაიპარად შეიტანა საქართველოს სომხური ეკლესიების სიაში.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოში სომხური ეკლესიების რიცხვს, ძალიან ცოტაა და აშენებულია XX ს-ში. ბარემ აქვე ვიტყვი: – ს.კარაპეტიალს რუკა-ცნობარში დაფიქსირებული აქვს სომხური ეკლესია ზუგდიდში – დათარიღებული XIX ს-ის ბოლო მეოთხედით. დოკუმენტურად დამტკიცდა, რომ ეს არის ერთ-ერთი სიყალბე მრავალთაგან, რასაც ეს რუკა-ცნობარი შეიცავს. ამ პერიოდში ზუგდიდში სომხებს არ უცხოვრიათ და სომხური ეკლესია საიდან გაჩნდებოდა.

ბონდო არველაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ვიქტორ ფრანკლი

ჯერ კიდევ სიცოცხლეში აღიარეს კლასიკოსად, სახელი გაითქვა 1960 წლებიდან როგორც ფილოსოფოსმა, ფსიქოლოგმა და ექიმმა. საზღვარგარეთ მისი წიგნები იყიდება მილიონიანი ტირაჟებით და არცაა გასაკვირი. ვიქტორ ფრანკლის კვლევის საგანია ადამიანის ფენომენთან დაკავშირებული ისეთი რთული თემები, რომლებსაც მისი თხზულებების სათაურების ჩამოთვლაც კი ვკამცნობს – „სულის მკურნალობა“ (1945); „ვეზისტენციალური ანალიზი და დროის პრობლემები“ (1947); „დრო და პასუხისმგებლობა“; „არაცნობიერი ღმერთი“ (1948)...

ვ. ფრანკლი ერთგან წერდა: „ჩვენ გვწამს ადამიანის პოტენციალისა, მაგრამ ამის მიუხედავად არ უნდა დაგვაიწყდეს, ადამიანური ადამიანები არიან და, როგორც ჩანს, იქნებიან უმცირესობანი. და სწორედ ამიტომ ჩვენთან ყოველი გრძნობს გამოწვევას, იყოს ამ უმცირესობასთან ერთად. ცუდადაა საქმე, ოღონდ კიდევ უფრო მეტად ცუდად იქნება, თუკი არ გავაკეთებთ ყველაფერს, რაც კი შეგვიძლია, რომ გავაუმჯობესოთ ისინი“.

ვ.ფრანკლის შრომებს ლაიტმოტივად გასდევს ეს იდეა და, მართლაც, თუკი შევეცდებით რამდენადმე მაინც ჩაეწვდეთ სიღრმეს იმ რეალობის (მით უმეტეს იმის გათავისებას), რომელიც აწ უკვე წარმოგვიჩინა მან, ჩვენც უფრო ადამიანურიები გავხდებით.

აქეთ მომავალი გზა იოლი არ არის, ცხადლივ ამას კიდევ მისი ეს სიტყვები მოწმობს: „თავისუფლება, თუკი ის წილნაყარი არ არის პასუხისმგებლობასთან, შეიძლება ჩვეულებრივ განუკითხაობად გარდაისახოს. მე მიყვარს ამის თქმა, აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროზე თავისუფლების ქანდაკება უნდა შეივსოს პასუხისმგებლობის ქანდაკებით მის დასავლეთ სანაპიროზე“.

ჩვენი ჟურნალის მკითხველს ვთავაზობთ ქვეთავებს ვ. ფრანკლის წიგნიდან „სამკურნალო ფსიქოლოგია“:

პოტენციალიზმი და კალეი-დოსკოპიზმი

მოვიყვანოთ თეზისი: ოდენ არსებობას, საკუთარ თავზე ტრანსცედენტირებულს, ოდენ ადამიანურ ყოფიერებას, საკუთარი თავის მიღმა გამო-

სულს „სამყაროში“, „რომელშიც“ ის „არსებობს“, შეუძლია თავის განხორციელება; მაგრამ, როდესაც ის საკუთარი თავის კეთებისას და ამის შესაბამისად საკუთარი განზრახვით მიმართავს თვითრეალიზაციას, თავს კარგავს მხოლოდ.

თავის განხორციელება, ფაქტობრივად, საბოლოო ჯამში, დაიყვანება საკუთარი შესაძლებლობების განხორციელებაზე. საქმე ისე თუ არის, რომ ადამიანი სწორედ ამისათვისაა მოწოდებული? თავად ადამიანში დავანებული შესაძლებლობების განხორციელება მისი არსებობის თავიდათავია თუ მანც ის არის, რომლის შესახებაც ზემოთ ვთქვით: განხორციელება სამყაროში არსებული აზრის შესაძლებლობების, შესაძლებლობებისა, რომლებიც მოელიან ამ განხორციელების უნარის მქონე ადამიანშივილის გამოჩენას.

მარტივად მოვიქცეთ: დავიწყოთ იმ პრეცედენტით, რომელიც ექსპრესიულად იქნა გამოთქმული და ამის შემდგომ ისტორიაში ეს საკითხი დარჩა გარკვეული პოზიციის სახით, დავიწყოთ სოკრატეს ისტორიული პრეცედენტით და თავს შევეკითხოთ: რა იქნებოდა ის, თუკი ნამდვილად განხორციელდებოდა იმაში მთვლემარე ყველა პოტენციალი? თავად სოკრატე არ მალავდა, სხვა შესაძლებლობებთან ერთად იმაში ჩაჭდული იყო იმის შესაძლებლობა, დამნაშავე შექნილიყო.

რას გვეუბნება ეს? ამას, საქმე რაღაც შესაძლებლობების განხორციელება არ არის, პირიქით, აუცილებლობის განხორციელება – იმ ერთადერთის, რაც ამწუთსაა საჭირო. საქმე ის არის, ყოველთვის შესაძლებელს კი არ უნდა მიველტვოდეთ, იმას, რაც მართებულია.

აქ კი ჩვენ ვხედავთ წინამდებარე განხილვის საგანს. ჭეშმარიტი პრობლემა ხომ გვერდით დგება და ჩრდილშია მოქცეული იმათ მიერ, რომლებიც სულ ყოველთვის მხოლოდ შესაძლებლობების ხორცშესხმაზე გვესაუბრებიან, – *პოტენციალისტებია ესენი*, შეიძლება იმათთვის ასე დაგვეჩქმია. ჭეშმარიტი პრობლემა იყო, არის და პრობლემად დარჩება ფასეულობანი, და ჩვენ ვერ შევძლებთ თავი ავარიდოთ შეჯახების ფასეულობრივ პრობლემატიკასთან, გადაწყვეტილებების მიღებისას შესაძლებლობათაგან რომელია *ღირსი* ხორცშესხმისა და ამავე დროს, არსებულ შესაძლებლობათაგან რომელი აუცილებელიცაა. ფასეულობათა ამ საკითხის წინაშე ჩვენ, ასევე, ვართ ჩვენი პასუხისმგებლობის პრობლემის წინაშეც.

რა შეიძლება იყოს მოტივი სწრაფვისა თავი ავარიდოთ, გავექცეთ ფასეულობათა საკითხს, რომლის შესახებაც საუბარი იყო ზემოთ, სწრაფვისა, დამახასიათებელი რომ არის, კერძოდ, პოტენციალიზმისათვის? ამგვარი ესკაპიზმი ხომ ავადმყოფობის საშიშროებას შეიცავს.

ჯერ კიდევ შარლოტა ბიულერმა აღნიშნა: „როდესაც ვამბობთ, რომ „ჩვენთაგან თითოეული უნდა შეიქნას ის, რაც მართლაც არის“ (როლო მეი), უბრალოდ ისმის, თითქოსდა ეს იყოს თავისთავად ცხადი“. ჩვენ უნდა

დავსძინოთ, არა მარტო უბრალოდ ისმის, სასიამოვნოდაც. თუკი შეძლებთ ჩემს დარწმუნებას, რომ ვარ /ყოველთვის ვიყავი/ ის, რაც უნდა შევიქნა, მაშინ არჩევანის ტყვირთი აღარ შემაწუნებს და არც ვიქნებოდი ამ აუცილებლობის წინაშე, სულ ყოველთვის უნდა გადავწყვიტო, შესაძლებლობათაგან რომელი უნდა უარყო, ხორც-შეუსხამი დავტოვო, და იმათგან რომელს ხორცი უნდა შევასხა და მარადიულობა მივანიჭო.

არსებული შესაძლებლობანი სულ ყოველთვის გარდამავალი ხასიათისაა. მაგრამ ერთგზის განხორციელებულნი, რჩებიან ერთხელ და სამუდამოდ, თუმცა აწ უკვე წარსულში დავანებულნი, ამისდა კვალად, დაცულნი, გადარჩენილნი არიან ზრწნისგან, ალგვისაგან, წარსულში აქვთ თავშესაფარი. შემოუბრუნებლად კი არ არიან ჩაკარგულნი მასში, პირიქით, სამუდამოდ შენარჩუნებულნი. ერთგზის რაც მოხდა, იმის გაუქმება ხომ შეუძლებელია, რაც შეიძლება ამოდებულ იქნას წარსულიდან. განა სულ ყველაფერი სწორად პირიქით არ არის – ის წარსულშია მოთავსებული? და ეს საბოლოოდ და ღრმა პასუხისმგებლობის ბეჭდით აღბეჭდავს ადამიანის ყოფიერებას. ჩვენ ვხედავთ, არჩევანის ტვირთი თანმხლებია ყოველი გადაწყვეტილებისა, მრავალ შესაძლებლობას შორის ერთადერთი და აუცილებელი უნდა ავირჩიოთ, კიდევ

ერთი ემატება ამას – დროის ხუნდები.

არჩევანის ტვირთი – ამასთან ერთად დროის ხუნდებით შებორკილი – აღძრავს ადამიანს იმისთვის, რომ პოტენციალიზმის მაგალითისამებრ მართებული და შესაძლებელი ერთ რიგში დააყენოს, გაუთანასწოროს პირველი მეორეს და საბოლოო ჯამში მოხსნას დაძაბულობა არსებითსა და მართებულს შორის. არსებითად, ამით ადამიანი ემორჩილება წონასწორობის კანონს, დამახასიათებელი რომ არის, როგორც ცნობილია, ნევროზებისათვის /და მხოლოდ ნევროზებისათვის/.

იმდაგვარად როგორც პოტენციალიზმი ცდილობს აღმოფხვრას ადამიანის არსში დავანებული და ამიტომაც მოუცილებელი და აუცილებელი დაძაბულობა არსებულსა და მართებულს შორის, ასევე, ეგზისტენციალიზმი ცდილობს დაძლიოს უფსკრული სუბიექტსა და ობიექტს შორის. უფრო მეტიც, თითქოსდა წარმოგვიჩენს, რომ უკვე დაძლია იგი. რა შეიძლება იყოს ამის პრეტენზიის იქით? თუ არის გამართლებული ეს მოთხოვნილებანი, საერთოდაც კი აქვს აზრი? ჩვენი შეხედულებებით, შეუძლებელია განხეთქილების დაძლევა სუბიექტსა და ობიექტს შორის. შეიძლება მხოლოდ რაღაც დავმალეთ – ან ობიექტი, ან სუბიექტი, გარემოებათა კვალ-

ბაზე. მ. ტილლი ამასთან დაკავშირებით ამბობს „თვითმოტყუებაზე“ და ამტკიცებს: „სინამდვილეში ეგზისტენციალიზმი რჩება სუბიექტი – ობიექტის დიქტომიის საზღვრებში იმდენად, რამდენადაც ის აზროვნებს საერთოდაც“, ამასთან, რომელმაც კარტეზიანულ წყალს გადააყოლა ბავშვიც – ობიექტი – და ამის მერე გვეუბნება სუბიექტურ – ობიექტური დიქტომიის დაძლევის შესახებ, ასეთს უნდა ავუხსნათ, რომ ეს შეუძლებელია, მაგრამ არა მარტო შეუძლებელია, არცაა საჭირო. გადაწყვეტილების მხრივ ადამიანის ყოფიერება ხომ სრულიად იმ გარემოებებითაა განპირობებული, რომ მოთხოვნილება, მდგომარეობიდან გამომდინარე, თუკი ის პიროვნებას შეეხება, ამ პიროვნებისკენაა მიმართული, და არ მომდინარეობს თავად იმისგან პიროვნებისავე სამყაროში უბრალო თვითგამოხატულების, ექსპრესიის ან პროექციის მექანიზმის კვალობაზე. ასევე შემეცნებით ან კოგნიტივურ დამოკიდებულებაში ადამიანის ყოფიერება უცილობლად გამოდის საკუთარი თავის მიღმა, ასე რომ, შეუძლებელია ვისაუბროთ შემეცნებაზე, თუკი მას თავის ობიექტად არა აქვს რაღაც, თავად ადამიანური ყოფიერების ტრანსცენდენტირებას რომ მიმართავდეს, ტრანსცენდენტირებას იმდენად, რამდენადაც ეს ყოფიერება არსებითად *უფრო მეტია*, ვიდრე უბრა-

ლო გამოხატულება საკუთარი თავისა. მხოლოდ ადამიანური ყოფიერების საკუთარი თავის მიღმა გამოსვლის წყალობით, ობიექტისადმი მისი მიმართულების წყალობით და იმის საფასურად, რომ კონსტიტუირებას თავად უკეთებს თავს როგორც სუბიექტს, ამიტომ შემეცნება იმთავითვე შესაძლებელი ჩანს. ის ესაძირკვლება დაძაბულობის ველის პოლარულ სტრუქტურას, ობიექტისა და სუბიექტის პოლუსებს შორის რომ არსებობს, რაც ამის წანამძღვარია, შემეცნება შესაძლებელი ხდება. ერთი სიტყვით, ამ დაძაბულობის ველის წიაღში მთელი ნოოდინამიკის თავწყაროა.

ხსენებული ნოოდინამიკის იგნორირება, კერძოდ, უარყოფით ობიექტის პოლუსის – მთელი შემეცნებითი ობიექტური კორელატისა – სათავეს იღებს სპეციალურ ნაირსახეობაში სუბიექტივიზმისა, რომელსაც ჩვენ გვინდა დავარქვათ *კალეიდოსკოპიზმი*. ჩვენთვის ამოსაჯალი ამ დროს შემდეგია. რა უნდა იყოს კალეიდოსკოპის არსი? *კოკალეიდოსკოპში მხოლოდ თავად კალეიდოსკოპის დანახვა შეიძლება*, განსხვავებით ბინოკლისა ან ტელოგრაფისაგან, რომელშიც შეიძლება ვიხილოთ ვარსკვლავები ან თეატრალური წარმოდგენა. ამ მოდელის შესაბამისად კალეიდოსკოპიზმი გვიხატავს სურათს ადამიანური შემეცნებისა, რომელშიც ადამიანი წარ-

მოდგენილია როგორც სუბიექტი, მხოლოდ თავის სამყაროს „მაპროექტირებელი“, ვინც მთელ თავის „სამყაროს პროექტებში“ სულ ყოველთვის გამოხატავს საკუთარ თავს, ასე რომ, ამ „პროექტირებულ სამყაროს“ მეშვეობით სულ ყოველთვის ჩანს მხოლოდ ის – მაპროექტირებელი სუბიექტი.

ჩვენი აზრით, სინამდვილეში სამყაროს პროექტი არის არა სუბიექტური სამყაროს სუბიექტური პროექტი, არამედ ფრაგმენტი, თუმცა სუბიექტური, მაგრამ ფრაგმენტი ობიექტური სამყაროს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არსებითად უფრო მეტია, ვიდრე ჩემი ყოფიერების უბრალო გამოვლინება.

კალეიდოსკოპის ანალოგიას დავუბრუნდეთ – იმას, რომ კალეიდოსკოპში მხოლოდ კალეიდოსკოპის დანახვა შეიძლება. ხომ სამართლიანია, თუ ვიტყვით, რომ მხოლოდ ის, რაც თავისთავადაა გამჭვირვალე, საშუალებას გვაძლევს დავინახოთ რაღაც უფრო დიდი, ვიდრე ის არის თავად? ~~მხოლოდ იმდენად, რამდენადაც შეუკანა პლანზე გადავდივარ, დავიწყების ბურუსით შევმოსავ ჩემს საკუთარ არსებობას, შესაძლებლობას შევიძენ დავინახო რაღაც უფრო დიდი, ვიდრე მე ვარ თავად. ასეთი თვითუარყოფა ის საფასურია, რომელიც სამყაროს შეს-~~

~~ამეცნებლად უნდა გადავიხადო, ის საფასური, რომლითაც უნდა შევიძინო ყოფიერების შემეცნება. უფრო დიდი, ვიდრე უბრალო გამოვლინება ჩემი საკუთარი ყოფიერებისა. ერთი სიტყვით, საკუთრივე თავის იგნორირებას უნდა მივმართოდ. თუკი ამას ვერ შევძლებ, ჩემი შემეცნებით შესაძლებლობანი შეიმუხრება, თავად ხომ მე ვულობავ გზას ჩემს საკუთარივე შემეცნებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რეფლექსია – არასრული და მეორეული მოღუსია პირველადვე ყოფიერების მიმართულების, მსგავსად იმისა, როგორც თვითგანხორციელება – წარმოებული მოღუსია აზრისებული მიმართულებისა, აზრის განხორციელების ინტენციისა.~~

რეზიუმე. ნორმალური ადამიანი /ასევე ნევროტიკი დაავადების დასაწყისში/ მიელტვის არა თავის მისწრაფებათა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას სულიერი წონასწორობის აღდგენისა და შენარჩუნების გულისთვის. იმთავითვე, რაც უნდა იყოს, ის მიმართულია აზრის განხორციელებისა და ფასეულობათა ხორცშესხმისაკენ, და მხოლოდ აზრის განხორციელებისა და ფასეულობათა ხორცშესხმის დროს ის განახორციელებს და ხორცს შეასხამს საკუთარივე თავს. ეს უკანასკნელი მოდის როგორც შედეგი, ხოლო იმისკენ მისწრაფება

როგორც მიზნისკენ, შეუძლებელს ხდის ამის მოპოვებას. სამყარო არ არის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების უბრალო საშუალება, არც უბრალო გამოვლინებაა საკუთარი სუბიექტის ყოფიერებისა, მისივე „სამყაროს პროექტის“ ფორმით. ადამიანის მთელი ყოფიერება აუცილებლად და უსათუოდ მოედინება ორკეც ველზე: არსებითსა და მართებულს შორის დაძაბულობის ველზე და სუბიექტისა და ობიექტის განხეთქილების ველზე. პოტენციალიზმი იგნორირებას უკეთებს პირველ ველს; კალეიდოსკოპიზმი – მეორეს. ამრიგად, „ყოფიერება-სამყაროში“ ჩაენაცვლება სამყაროს არარსებობით, რამაც მონადოლიგიზმში ასე დაამახინჯა ადამიანის სახე.

შრომის აზრის შესახებ

საჭირო არაა საკითხის დასმა სიცოცხლის აზრზე, მას უნდა ვუპასუხოთ, ამასთან, პასუხი სულ ყოველთვის უნდა იყოს არა სიტყვიერი, საქმეთი. გარდა ამისა, ეს პასუხი უნდა იყოს კონკრეტული მდგომარეობისა და პიროვნების შესაბამისი, უნდა მოიცვას ხსენებული კონკრეტულობა. სწორი პასუხი იქნება, ამრიგად, ქმედობაუნარიანი პასუხი იმისსავე ყოველდღიურ კონკრეტულობის, ისევე როგორც

ყოველდღიურობა – ადამიანური პასუხისმგებლობის კონკრეტული სივრცეა.

ყოველი ადამიანიშვილი შეუცვლელი და განუმეორებელია ამ სივრცის წიაღში. ჩვენ უკვე განვიხილეთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს საკუთარი ერთადერთობისა და განუმეორებლობის შეცნობას. ჩვენ ვნახეთ, რა წინამძღვრებისდა კვალად მუშაობს პასუხისმგებლობის შესამეცნებლად ეგზისტენციალური ანალიზი. მაგრამ, ამავე დროს, ისიც ვნახეთ, პასუხისმგებლობის გათავისებისას, უპირველეს ყოვლისა, ესაძირკვლება კონკრეტული პიროვნული ამოცანის შეცნობა, „მისია“. ადამიანი რომ ვერ ხედავს საკუთარი თავის წინაშე უნიკალურ აზრს თავისივე განუმეორებელი ყოფიერებისა, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი უძლური შეიქნება. შეიძლება ალპინისტს შევადართო იგი, განუჭვრეტელ ნისლში მოხვედრილსა და მიზნის ვერმხედველს, ქანცგამოცლილს იმის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება. მაგრამ თუკი ნისლში ცეცხლის ჭიატს თვალს მოკრავს, კვლავ მოიპოვებს ძალასა და მხნეობას. ალპინისტთაგან რომელს არ განუცდია დადლილობის ეს გაუსაძლისი გრძნობა, როდესაც „კედელზე“ გადმოკიდებულმა არც იცის, თუ ღვას სწორ მარშრუტზე, ვიდრე უეცრად „გამოსავალს“ არ დაინახავს. და აი, მწვერვალამდე რამდენ-

იმე მეტრი რომ დარჩება, ღონემიხდილი და გამხზვევებული გზას განაგრძობს.

მანამ, სანამ შემოქმედებითი ფასეულობანი ან მათი განხორციელება ცხოვრებისეული ამოცანების მეწინავე ხაზზეა, მათი კონკრეტული ხორცშესხმის არეალი ძირითადად პროფესიული მოღვაწეობის თანმხვედრია. სამუშაო ამ დროს ის სარბიელია, რომელზეც ინდივიდის უნიკალურობა თანასაზოგადოებასთანაა ურთიერთდამოკიდებული და აზრი და ფასეულობა ასე აქვს მოპოვებული, თუმცა ეს აზრი და ფასეულობა იმის შედეგებისთვის არის დამახასიათებელი /როგორც შედეგი თანასაზოგადოებისათვის/, და არა კონკრეტული პროფესიისათვის, როგორც ასეთის. ამისდა კვალად, ვერ ვიტყვით, რომ ადამიანს თავისი შესაძლებლობების ხორცშესხმის საშუალებას აძლევს მხოლოდ რაღაც გარკვეული პროფესია, თავისთავად ვერც ერთი პროფესია მიანიჭებს ადამიანიშვილს ბედნიერებას. და თუკი მრავალნი, მეტწილად ნევროტიკულად განწყობილნი ამტკიცებენ, თავს განხორციელებულად ვიგრძნობდი, სხვა პროფესიისა რომ ვყოფილიყავიო, როგორც ჩანს, სწორად არ ესმით პროფესიული მოღვაწეობის აზრი ან თავს იტყუებენ. თუკი კონკრეტულ პროფესიას არ მოაქვს კმაყოფილების გრძნობა, ამ შემთხვევაში ადამიანის ბრალია და არა პროფესიისა. პროფე-

სია თავისთავად არ ქმნის ადამიანს შეუცვლელსა და განუმეორებელს, მხოლოდ შანსის მომცემია მისთვის.

ერთხელ ასე მითხრა პაციენტმა ქალმა: ცხოვრება აზრმოკლებულია ჩემთვის და ამიტომაც არ მინდა გამოჯანმრთელება; მაგრამ, მისი ვარაუდით, სუყველაფერი კარგად იქნებოდა, კმაყოფილების მომნიჭებელი პროფესია რომ ჰქონოდა, მაგალითად, ექიმი ყოფილიყო ან მედლა, ან ქიმიკოსი მეცნიერული აღმოჩენებითურთ. შევეცადე ამეხსნა ავადმყოფისთვის, თავიდათავი არამც და არამც პროფესია არ არის მეთქი, არამედ ის, ამით თუ რა შეძლო; სუყველაფერი, რაც ინდივიდუალურია და სპეციფიკური, ერთადერთი და განუმეორებელი, თავის გამოხატულებას სამუშაოს მეშვეობით პოულობს და ჩვენი ცხოვრება ასე ხდება გაცნობიერებული – ან არა.

როგორ ხდება ამის განხორციელება, მაგალითად, ექიმის პროფესიაში? იმის მოქმედებას აზრს რა აძლევს? ის, რომ მუშაობს საექიმო ხელოვნების წესისამებრ? ის, რომ ამა თუ იმ შემთხვევაში გამოწერს ნემსებს ან წამლებს? ექიმის ხელოვნება სულაც არ არის მუშაობა საექიმო ხელოვნებისამებრ. ექიმის პროფესია ადამიანისთვის იმის ჩარჩოა, სულ ყოველთვის შეძლოს შესაძლებლობების განხორციელება თავისი პირადი პროფესიული სრულყოფილების მეშ-

ვეობით. ის, რასაც ექიმი აკეთებს სამუშაოს შესრულების დროს, პირადად საკუთარი გულის კარნახით და რაც სცილდება უშუალოდ საექიმო მოვალეობას – სწორედ ისაა მისი სამუშაოს აზრი და შეუცვლელს ხდის მას. ნემსს ვინც უნდა აკეთებდეს – თავად იგი თუ მისი კოლეგა, – საბოლოო ჯამში ხომ სულერთია. და მხოლოდ იქ, სადაც ის მოქმედებს თავისი პროფესიული განაწესის მიღმა, თავისი პროფესიული „მდგომარეობის“ მიღმა, სწორედ იქ იწყება ნამდვილი, პირადი, სიამოვნების მომგვრელი ერთადერთი სამუშაო. როგორღაა მედლებთან, რომლებიც ასე შურდა ჩემს პაციენტს ქალს? ნემსებს ამზადებენ, გამოაქვთ ღამის ჭურჭელი, თეთრეულს უცვლიან ავადმყოფებს – ყველაფერი ეს ღიად საჭიროა, მაგრამ თავისთავად კმაყოფილების გრძნობა არ მოაქვს; ოღონდ, როდესაც მედლა აკეთებს რაღაც უფრო მეტს, ზევით თავის მოვალეობათა მინიმუმისა პირადად თავისი სურვილისამებრ, მაგალითად, სანუგეშებელ სიტყვას ეტყვის მძიმე ავადმყოფს, მხოლოდ ამ დროს აქვს თავისი პროფესიის საშუალებით ცხოვრების აზრის მოპოვების შანსი. ხსენებული შანსის მიცემა ყოველ პროფესიას შეუძლია, თუკი სწორად ესმით სამუშაო. შეუცვლელია და აუცილებლობა, ერთადერთობა და განუმეორებლობა სწორედ ადამიანიშვილ-

შია ჩაჭდული, იმაში, თუ როგორ ქმნის და არა იმაში, თუ რას ქმნის. ამასთან ერთად, იმ პაციენტს ქალს, ვინც ვერ პოულობდა თავისი სიცოცხლის აზრს, რაკი არ ჰქონდა სასურველი პროფესია, შეეძლო თავისი განხორციელება პროფესიის მიღმაც – პირად ცხოვრებაში, მაგალითად, შეეძლო გამოეხატა თავისი ერთადერთობა და განუმეორებლობა იმით, რომ ყოფილიყო შეყვარებული და საყვარელი, როგორც მეუღლე და როგორც დედა, ვინც ყოველივე ცხოვრებისეული დამოკიდებულების დროს შეუცვლელი და ერთადერთია, აუცილებელი ქმრისათვის და ბავშვებისთვისაც. ადამიანის ბუნებრივი დამოკიდებულება თავის პროფესიულ მოღვაწეობასთან, როგორც სავარაუდო სარბიელთან, სადაც მას შეუძლია ხორცი შეასხას შემოქმედებით ფასეულობას და თავის განხორციელების უნიკალურობას, შეიძლება მრავალმხრივ მრუდედ წარიმართოს შრომის გაბატონებული პირობების გამო. უპირველეს ყოვლისა, აქ საუბარია იმ ადამიანებზე, რომლებიც შეწუნებულნი ასე ამბობენ, დღეში 8 და უფრო მეტ საათსაც ვმუშაობთ მწარმოებლებზე, კონვეიერზე ვასრულებთ ერთსა და იგივე მოძრაობას ან გამუდმებით ხელს ვაჭერთ წნეხის ბერკეტს – რაც უფრო უსახურად, რაც უფრო ნორმაზე მეტად, მით უფრო უკეთესია. შრომა, ასეთი გარემოების-

და კვალად, რაღა თქმა უნდა, შეიძლება აღქმულ იქნას მხოლოდ როგორც არსებობისათვის ესოდენ აუცილებელი ფულის შოვნის საშუალება. საკუთარი არსებობა ამ შემთხვევაში იწყება მხოლოდ თავისუფალ დროს, როდესაც ადამიანის ცხოვრების აზრი პირადი თავისუფლებითაა შევსებული. ამასთან ერთად უნდა გვახსოვდეს, არიან ისეთნიც, სამუშაო ისე გამოაცლის ქანცს, რომ სამუშაოს მერე მკვდარივით დაეგდებიან ლოგინზე და არც არაფრის თავი აქვთ, ღონემიხდილებს თავისუფალი დროის შევსება მხოლოდ ამით შეუძლიათ, პასიურ დასვენებას მიეცნენ: გონივრული მათთვის მხოლოდ ეს ერთია – დაიძინონ.

თავად მწარმოებელიც, სამუშაოს მომცემიც თავისუფალ დროს არ არის სულ ყოველთვის „თავისუფალი“, იმ შემთხვევაში ხსენებული შრომითი ურთიერთობის ბუნებრივი სიმრუდეთაგან ხელშეუხებელი არც ის რჩება. ვინ არ იცნობს ასეთი ტიპის ადამიანებს, კარგად რომ შოულობენ ფულს და სულ მუდამ ამ სურვილით გონებადახშულებს თავად ცხოვრება დაიწყებიათ? ფული ხდება იმათი თვითმიზანი. ბევრი ფული აქვს ასეთ ადამიანს და იცის, რაზეც უნდა დახარჯოს, მაგრამ არ იცის, კაცმა რომ თქვას, რისთვის ცხოვრობს. ფულის შოვნა ხდება მისი ცხოვრების ზეგარდმო საგანი; აღარაფერი ახ-

სოვს – არც ხელოვნება, სპორტიც კი; ფულს აზარტულ თამაშებში ფლანგავს, ქალებსაა გადაყოლილი, დადის სამორინეში, სადაც ფულს „დებს ფულზე“, სწორედ ეს შექნილა იმისათვის უკანასკნელი აზრი და მიზანი.

სიყვარულის აზრის შესახებ

ადამიანის არსებობის გაცნობიერებას ესაძირკვლება მისი პიროვნების ერთადერთობა და განუმეორებლობა. ცნობილია, შემოქმედების ფასეულობათა ხორცშესხმა ხდება წარმატებათა და მონაპოვართა სახით, რომლებიც სულ ყოველთვის სოციალურადაა ურთიერთგანპირობებული. თანასაზოგადოება, როგორც ობიექტი, რომლისკენაცაა მიმართული ადამიანის შემოქმედება, ადამიანის ერთადერთობასა და განუმეორებლობას ანიჭებს ეგზისტენციურ აზრს. მაგრამ თანასაზოგადოება შეიძლება ისიც იყოს, რისკენაც ადამიანის განცდაა მიმართული – სიყვარულით მოცულთა ორთა კავშირი. მოდით განვერიდოთ სიყვარულს ამ სიტყვის უფრო ფართო მნიშვნელობით და მივმართოდ ეროტიკულ სიყვარულს; ამ შემთხვევაში იმ სარბიელს, რომელზეც კარგადაა ხორცშესხმული განცდათა ფასეულობანი: სიყვარული განცდაა მთელი იმისი ერთაერთობითა და განუმეორებლობით.

გარდა იმ გზის, რომელზეც ადამიანური პიროვნებების განუმეორებლობა და ერთადერთობა გამოხატულია შემოქმედებითი ფასეულობების ხორცშესხმით, ე.ი. ამა თუ იმ სიცხოვლით, არის კიდევ მეორე გზა, პასიური, რომელზეც ყველაფერი ის, რაც ადამიანმა, როგორც წესი, უნდა მოიპოვოს დახარჯული შრომის საშუალებით, სულ ადვილად ეძლევა ხელში. ეს გზა – იყოს სიყვარულის საგანი. ადამიანს არც არაფერს აკეთებს და ამ გზაზე მას საშუალება აქვს ხორცი შეასხას თავის ერთადერთობასა და განუმეორებლობას როგორც ნაწყალობეს. როგორც ადამიანური პიროვნება ის ხდება მისადმი სიყვარულით მოცულისათვის შეუცვლელი და განუმეორებელი ისე, არც აკეთებს ამისათვის რამეს. ადამიანი, ვინც უყვართ, არ არის „დამნაშავე“ იმაში, რომ მისი სიყვარულის საგნის მდგომარეობით ხდება ხორცშესხმა მისი პირველი ფასეულობისა, ერთადერთობის და განუმეორებლობის მისი პიროვნების. სიყვარული – დამსახურება კი არა, წყალობაა.

ოღონდ სიყვარული – არა მართო წყალობაა, ჯადოქრობაცაა. სიყვარულით მოცულისთვის ის სამყაროს მიაგებს დამატებით ფასეულობას. სიყვარული ადამაღლებს სიყვარულით მოცულის ფასეულობათა მთელ სკალას. ადამიანს გადაუშლის სამყაროს მთე-

ლი მისი ფასეულობრივი სავსებით, სიყვარულით მოცული თავისი ერთგულებით საყვარელი ადამიანისადმი შინაგანად მდიდრდება: მთელი სამყარო იმისთვის ხდება უფრო ფართო და უფრო ღრმა, ხარობს იმ ფასეულობათა სხივებს ქვეშ, რომლებსაც მხოლოდ სიყვარულით მოცული ხედავს; ხომ ცნობილია, სიყვარული კი არ დააბრმავებს ადამიანს, თვალს აუხელს – ფასეულობრივად თვალს აუხილავს. სიყვარულის მადლითა და სიყვარულის ჯადოქრობით აღბეჭვდილისთვის არის კიდევ რაღაც მესამე: სიყვარული სასწაული. სწორედ ამის წყალობით ხდება რაღაც შეუცნობელი, ის, რომ შემოვლითი გზით ბიოლოგიურის მეშვეობით ცხოვრებაში შემოდის ახალი პიროვნება, თავის მხრივაც იღუმალეობით სავსე, თავისივე არსებობის ერთადერთობითა და განუმეორებლობით: ბავშვი!

სექსუალურობა, ეროტიკა და სიყვარული

ჩვენ მრავალგზის ვსაუბრობდით არსება „ადამიანის“ საფეხურებრივი და მრავალშრიანი აგებულების შესახებ, სულ მუდამ ხაზგასმით განვიხილავდით ადამიანს როგორც ხორციელ-სულიერ-სულიერებრივ მთლიანობას. და ხსენებული მთლიანობა ისე უნდა განიხ-

ილებოდეს ფსიქოლოგების მიერ, რომ სხეულებრივის, როგორც თერაპიული საწყისის გვერდით ადამიანში უნდა იყოს არა უბრალოდ სულიერი, არამედ სულიერებრივიც.

ჩვენ ახლა გვინდა წარმოვაჩინოთ, ადამიანი თუ როგორ სხვადასხვანაირად, ადამიანი შეყვარებული სიყვარულით მოცული და შემგრძობელი სხვისი სიყვარულისა, შეიძლება იყოს მიმართული პიროვნების მრავალმხრივი სტრუქტურისადმი. ადამიანის პიროვნების სამ განზომილებას შეესაბამება სამი შესაძლებელი ფორმა განწყობისა იმასთან მიმართებით. ყველაზე უფრო პრიმიტიული – სექსუალური განწყობაა. ამ შემთხვევაში ხორციელი სახე მეორე პიროვნებისა არის სექსუალური გამაღიზიანებელი და იმად წარმოგვიდგება, რომ აღვიძებს სექსუალურ ინსტინქტს, სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ ადამიანის ფიზიკურად წარმომგზნებელია. შემდგომი, უფრო მაღალი, შესაძლო ფორმა პარტნიორთან დამოკიდებულებისა, – ეროტიკული განწყობაა; ამასთან ევრისტიკული მოსაზრების გამო ჩვენ ერთმანეთს ვუპირისპირებთ ეროტიკასა და სექსუალურობას. ადამიანი ეროტიკული – ამ სიტყვის უფრო ვიწრო მნიშვნელობით – განწყობით არის არა უბრალოდ სექსუალურად წამოგზნებული, იგი – იმაზე უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ სექსუალურად „შეწუნებული“. მისი დამოკიდებულება ნა-

კარნახევია არა საკუთრივ სექსუალური ინსტინქტით და არ არის პროვოცირებული სხვა ადამიანით, როგორც მხოლოდ სექსუალური პარტნიორით. თუკი ჩვენ პარტნიორის სხეულს აღვიქვამთ როგორც გარეგან გარსს, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ ადამიანი, სიყვარულის საგნისადმი ეროტიკულად რომ არის მიმართული, განსხვავებით იმ უბრალოდ სექსუალურად განწყობილი ადამიანისგან, შეაღწევს მომღვეწო შრეში – სხვა ადამიანის სულიერ კონსტიტუციაში. პარტნიორისადმი დამოკიდებულების ეს ფორმა, განხილული როგორც მისდამი დამოკიდებულების ფაზა, იმისი იდენტურია, რისთვისაც ჩვეულებრივი შეყვარება დაურქმევიათ. პარტნიორის ფიზიკური თვისებები ჩვენ წარმოგვაგზნებს, ხოლო იმისი სულიერი თვისებები გვიყვარს. ამისდა კვალად, შეყვარებული ემოციურად წამოგზნებულია პარტნიორის თვისებური /მაგრამ არა ერთადერთი თავისი სახეობით/ ფსიქიკით, მაგალითად, მისი ხასიათის შტრიხებით. ამრიგად, უბრალო სექსუალურ განწყობას მიზნად აქვს პარტნიორის ფიზიკური მონაცემები და თავისივე შრეში რჩება როგორც ინტენცია. ეროტიკული დამოკიდებულება, შეყვარებულების დამოკიდებულებაა, ფსიქიკურისკენაა მიმართული, მაგრამ ის არ შეაღწევს სხვა პიროვნების ბირთვამდე. ამას აკეთებს მხოლოდ მესამე ფორმა შესა-

ძლო დამოკიდებულებისა ადამიანებს შორის: ჭეშმარიტი სიყვარული.

ეროტიკულობის /ამ სიტყვის ყველაზე უფრო ფართო მნიშვნელობით/ შესაძლო ფორმათაგან სიყვარულია უმაღლესი, რამდენადაც იგი მეტადრე ღრმად აღწევს პარტნიორის პიროვნულ სტრუქტურაში, სწორედ სულიერებრივ დონეზე ამყარებს კავშირს მასთან. სიყვარულით მოცული ამ თვალსაზრისით შეძრულია თავისივე სულიერებრივ სიღრმეში, შეძრულია თავისი პარტნიორის სულიერების მატარებელი ხორციითა და სულით, მისი პიროვნული ბირთვით. სიყვარული მაშინ – საყვარელი ადამიანის პიროვნული სულიერებისაკენ პირდაპირაა მიმართული. ხორციელი და სულიერი გამოვლინება სულიერებრივი პიროვნებისა გარეგნული და შინაგანი „სამოსელია“, რომელსაც „ატარებს“ სულიერებრივი პიროვნება იმ დროს, როდესაც სექსუალურად განწყობილი ან შეყვარებულ ადამიანს პარტნიორში მოსწონს რაღაც ხორციელი ნიშანი ან სულიერი თვისება, ესე იგი, რაღაც, რაც ამ ადამიანს „აქვს“, სიყვარულით მოცულს უყვარს არა უბრალოდ რაღაც საყვარელ ადამიანში, არამედ სწორედ თავად ის. სიყვარულით მოცული ხედავს თავად პიროვნების სულიერებრივ პიროვნების ფიზიკურსა და ფსიქიკურ „სამოსელში“ ერთდროულად. იმისათვის მნიშვნელოვანია არა მისი ფიზ-

იკური „ტიპი“ რომელიც შეძლებდა მის წამოგზნებას ან მისი სულიერი თვისებანი, რომლებსაც იგი შეიყვარებდა, - იმისთვის მნიშვნელოვანია თავად ადამიანი, პარტნიორი, რომლის შედარება არც არავისთან შეიძლებოდა და ვერც ვერაგინ შეცვლიდა მას.

ის ლტოლვანი, რომელსაც ვხედავთ ევრეთწოდებულ შეყვარებულში, არის ლტოლვანი არა სექსუალური ბუნებისა და ფსიქონალიზში ეწოდება „ლტოლვანი შემაკავებელი მიზნებითურთ“. ფსიქონალიზი ამაში მართალია – მაგრამ, ჩემი მოსაზრებით, რამდენადმე სხვანაირი აზრით. მას ამ ლტოლვათა რიგისთვის დაურქმევია ლტოლვანი შემაკავებელი მიზნებითურთ, და გულისხმობს სქესობრივი ლტოლვის გენიტალურ-სექსუალურ მიზანს. ჩემი შეხედულებით, ლტოლვანი მიზნის მხრივ შეკავებულია საპირისპირო თვალსაზრისით: შეკავებული უფრო მაღალი ფორმის მიმართულებით /შეყვარების საწინააღმდეგოდ/ - ჭეშმარიტი სიყვარულის მიმართულებით, ამისდა კვალად, პარტნიორის პიროვნული მომდევნო სიღრმისეული შრისკენ, მისი სულიერი ბირთვისაკენ.

ექიმი და ადამიანის ტანჯვა-ვაებანი

ბანალური ჭეშმარიტებით დავიწყებ: თავისი პროფესიის კვალობაზე ექიმი მოწოდებულია შეამსუბუქოს ადამიანის ტანჯვა-ვაებანი და, თუკი შესაძლოა თავიდან ააცილოს. გაცილებით უფრო ნაკლებად ცნობილია ის ფაქტი, რომ ექიმმა უნდა იცოდეს, მკვეთრად გაავლოს ზღვარი, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ტანჯვა-ვაების ორ სახეობას შორის. ვგულისხმობ იმ ტანჯვა-ვაებათ, რომლებიც მედიცინის განვითარების დღევანდელ ეტაპზე, ჯერ კიდევ არ შეგვიძლია ადამიანს თავიდან ავაცილოთ, და იმ ტანჯვა-ვაებათ, რომლებიც ექიმს შეუძლია მნიშვნელოვნად შეამსუბუქოს ან სულაც თავიდან ააცილოს თავის პაციენტს. უნდა შევნიშნო, ადამიანს ბევრი ტანჯვა-ვაება შეუძლია თავიდან ავაცილოთ, თუკი გამოვიყენებთ სხვადასხვა პროფილაქტიკურ და ჰიგიენურ საშუალებებს. ტანჯვა-ვაებათა მიზეზს რომ აღმოვფხვრით, მაგალითად, ქირურგიული ოპერაციის მეშვეობით, – ექიმი დაავადებულ ადამიანს ტანჯვა-ვაებათაგან ანთავისუფლებს. /ამ შემთხვევაში საუბარია ქირურგიულ ჩარევაზე, დაავადებასთან გამკლავების ყველაზე უფრო რადიკალური ხერხის შესახებ/ თუმცა ჩვენთაგან არავისთვის საილუმლო არ არის, რომ ექიმს სულაც

არ ძალუძს დაავადების ყოველი მიზეზის აღმოფხვრა; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სულაც არ არის ყოველი დაავადება განკურნებადი.

ამიტომაც ექიმს ეკისრება კიდევ ერთი, უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანა: ყოველ იმ შემთხვევაში, როდესაც ექიმი უძლურია ამა თუ იმ დაავადების მიზეზი აღმოფხვრას, მოვალეა, ყოველ ღონეს მიმართოს, რომ მაქსიმალურად შეუმსუბუქოს ავადმყოფს ტანჯვა-ვაება. /თუმცა უფრო ქირურგიულ ოპერაციას არ ვგულისხმობ, არამედ სხვადასხვა მედიკამენტის გამოყენებას/. და აქ ამ წუთსავე ორ პრობლემას გადავეყრებით: როგორ ავაცილოთ ავადმყოფს ტანჯვა-ვაებანი და დასაშვებია თუ არა ამის გაკეთება უკიდურესი ზომების საშუალებით. წარმოვიდგინოთ მდგომარეობა, როდესაც ექიმს შეუძლია თავის პაციენტს შეუმსუბუქოს გაუსაძლისი ტკივილი მხოლოდ მომაკვდინებელი ინექციის მეშვეობით. ამ შემთხვევაში საუბარია ევთანაზიაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თანაღმობისა და გულმოწყალების მოსაზრებით რომ მოქმედებს, ნებაყოფლობით ეხმარება წამებულს ცხოვრებიდან წასვლას. კარგადაა ცნობილი, ევთანაზია კანონითაა აკრძალული /თუნდაც ექიმი ამას მიმართავდეს თავად ავადმყოფისა და მისი ნათესავების წერილობითი თანხმობით/, მე უკვე ვთქვი, რომ ეს სწორია და ევთანაზია

აკრძალული უნდა იყოს. ჩვეულებრივ, ევთანაზიას მიმართავენ მედიკამენტური საშუალებებით /ავადმყოფის სასტიკ მოკვდინებაზე მომწამვლელი გაზის მეშვეობით ლაპარაკიც კი ზედმეტია/. შეიძლება ავადმყოფის ტანჯვა-ვაებათა შესამსუბუქებლად მიმართონ არა ევთანაზიას /როგორც უკიდურეს ზომას/, არამედ კარგად ცნობილი ქირურგიულ ოპერაციებს თავის ტვინზე, ასეთია ლეიკოტომია და ლობოტომია. ხსენებული ქირურგიული ოპერაციების საშუალებით შეიძლება მივაღწიოთ, რომ ავადმყოფი აღარ განიცდიდეს ძლიერ ტანჯვა-ვაებას, იმის მიუხედავად, ავადმყოფობის მიზეზი არ იქნება აღმოფხვრილი. ავადმყოფობის საერთო შეუცვლელი სურათიდან, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, მოცილებულია იქნება ერთი ფრაგმენტი, ანუ ავადმყოფის ტანჯვა-ვაებანი.

მაგრამ ამასთან ერთად, უნდა გვახსოვდეს, პაციენტი, რომელსაც გაუკეთდება ამდგვარი ოპერაცია (ლობოტომია ან ლეიკოტომია), მისი გასრულების შემდეგ შეიძლება საკმაოდ პასიური განწყობილება დაეუფლოს ცხოვრებისადმი, დაკარგოს თავისი ინტერესების მნიშვნელოვანი ნაწილი. გარდა ამისა, არ უნდა დაგვავიწყდეს, ზოგიერთ ავადმყოფს ასეთი ოპერაციის შემდეგ დასწმდება გარკვეული ფსიქიკური აშლილობანი. თუმცა ფსიქიკის ამგვარ დარღვევასა და ხასიათის საკ-

მაოდ უმნიშვნელო ცვლილებას უნდა შევურიგდეთ იმ შემთხვევაში, როდესაც საუბარია ნეიროქირურგიულ ოპერაციაზე, რომლის შედეგადაც თავიდან ავაცილებთ გაუსაძლის, გაუნებელ ტკივილებს. მაგრამ ყოველთვის მოვალეა კი ექიმი არ დაინახოს ავადმყოფის ხასიათის ცვლილება, აღძვრა მისი დამუხრუჭებული მდგომარეობისა? ექიმმა უნდა გაუწიოს რეკომენდაცია ასეთ ოპერაციას, მიუხედავად იმ საფასურისა, რომლის გადახდაც მოუხდება ავადმყოფს? არა! ექიმი სრულიად უნდა იყოს დარწმუნებული, რომ პაციენტის ტანჯვა-ვაებანი ბევრად გადაწონის მისი ხასიათის მოსალოდნელ ცვლილებებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, ექიმი სანამ რეკომენდაციას გაუწევდეს და ნეიროქირურგიულ ოპერაციაზე დაითანხმებდეს ავადმყოფს, გამოწვლილვით უნდა აწონ-დაწონოს ყოველი „დადებითი“ და ორი ბოროტებიდან ნაკლები ბოროტება აირჩიოს. თუმცა ის, რომ ექიმი მოვალეა მიმართოს ზომას, რათა ავადმყოფს ტანჯვა-ვაებანი ააცილოს, – ნათელია. იმ შემთხვევაში, როდესაც საუბარია ოპერაციისათვის მიუწვდომელ ონკოლოგიურ დაავადებაზე და, ამისდა კვალად, ტანჯვა-ვაების მიზეზი არ შეიძლება აღმოიფხვრას, და პაციენტის ტკივილი მოიხსნება მედიკამენტური გზით, მორფის საშუალებით, მორფის გამოყენება ნაკლებ ბოროტე-

ბად მიმანია. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მორფის მოშველიება უფრო დიდ ბოროტებად შეფასდება იმასთან შედარებით, თუ რა შეიძლება იყოს მოსალოდნელი ლეიკოტომიის შემდეგ: მორფის მეტისმეტმა ღონამ შეიძლება ავადმყოფზე გაუსრულებრივ დამტრუნველად იმოქმედოს და ცხოვრების ინტერესი სრულიად დააკარგინოს, მაშინ, როდესაც ლეიკოტომიის მერე ამგვარი მდგომარეობა გამორიცხულია.

ზემოთქმულს თუ შევაჯამებთ, კიდევ ვიტყვი ნახვასით, ექიმი უპირველეს ყოვლისა მოვალეა ავადმყოფს თავიდან ააცილოს ტანჯვა-ვაებანი, აღმოფხვრას ტკივილის წარმომშობი მიზეზი, და იმ შემთხვევაში, თუკი ეს სრულიად შეუძლებელია, ექიმს შეუძლია მაქსიმალურად მიმართოს ყველა იმ საშუალებას, რომელიც პაციენტს ტანჯვა-ვაებას შეუმსუბუქება. მაგრამ იმ შემთხვევაში რაღა უნდა ქნას, როდესაც ექიმი სრულიად უძლურია ტანჯვა-ვაებათა შესამსუბუქებლად რაიმე იღონოს, როდესაც მტკიცედ იცის, არც ოპერაცია, არც მედიკამენტური საშუალებები არ მოუხსნის იმის ავადმყოფს ტკივილებს, — მაშინ კი რაღას უნდა მიმართოს? და რა უნდა ქნას ექიმმა, თუკი ავადმყოფის ტანჯვა-ვაებანი მისი ბედისწერა ხდება, როდესა იგი, ხატონად თუ ვიტყვით, ხელს დარევს მას? ამ შემთხვევაში ექიმმა რაღაც უნდა ქნას, რაც პაციენტს თავისი

ბედისწერისთვის ლაგამს ამოადებინებს; მაგალითად, თუკი ექიმმა ზუსტად იცის, ოპერაციის მეშვეობით ავადმყოფობას ვერ გაუმკლავდება, პაციენტს არ უნდა მოსთხოვოს, ვაჟკაცობას უნდა მოუხმო და უნდა დასძლიო ოპერაციის შიში; სხვა საშუალებას უნდა მიმართოს: მორჩილების გრძნობა შთაუნერგოს ავადმყოფს; შეეცადოს დაარწმუნოს, გამუდმებული ტანჯვა-ვაების გადატანა უფრო ადვილი იქნება, თუკი დამორჩილდება თავის ბედისწერას. ამისდა კვალად, იმ შემთხვევაში, როდესაც ექიმი სრულიად დარწმუნებულია, მძიმე ავადმყოფს ველარაფერი შეუმსუბუქებს მდგომარეობას, ესე იგი, ასეთი ბედისწერის ადამიანს მკურნალობა ველარაფერს უშველის, ავადმყოფს უნდა დაეხმაროს სწორი სამოქმედო ორიენტირების შერჩევაში. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს ჩემ მიერ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას, ორი სახეობის ტანჯვა-ვაება არსებობს: ის, რომელიც შეიძლება ადამიანს თავიდან ავაცილოთ სხვადასხვა საშუალებების მიშველიებით, და ის, რაც ადამიანს შუბლზე აწერია და, ამისდა კვალად, თავიდან ვეღარ ავიცილებთ ვერასგზით იმას, რაც უნდა მოხდეს. რაც უნდა მწარედ გაისმოდეს, ტანჯვა-ვაებას სულ ყოველთვის აქვს აზრი. და ეს აზრი ის არის, თუ როგორ კებრძვით თავს დატეხილ ტანჯვა-ვაებას; ეს აზრი ის არის, რამდენად შეგვიძლია შევურიგდეთ საკუთარ ბედის-

წერას, როგორ განვეწყოთ ჩვენივე საკუთარი ტანჯვა-ვაების მიმართ. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უკანასკნელ შენიშენას, სწორედ, რამდენად მართებული განწყობილება აძლევს ავადმყოფს საშუალებას შეავსოს აზრი საკუთარი ცხოვრებისა; სწორედ ასეთი განწყობილება აძლევს განუკურნებელ ავადმყოფს, მართლაცდა, გაუსადლისად გატანჯულ ადამიანს უკანასკნელ შანსს.

საკუთარი ცხოვრების აზრით აღვსების შანსი, არსებითად, არის უმაღლესი შანსი იმათთაგან, რომელიც ცხოვრებაში ენიჭება ადამიანიშვილს. დიდმა გოეთემ თქვა: „ცხოვრებაში არ არის ისეთი ვითარება, ადამიანს გამკლავება რომ არ შეეძლოს; და ის უმკლავდება კიდევ მძიმე ვითარებას შრომის ან მოთმინების მეშვეობით“. თავს ნებას მივცემ ამ სიტყვებს დავამატო შემდეგი: ჭეშმარიტი ტანჯვა-ვაება, ესე იგი, ტანჯვა-ვაება, ადამიანის ბედისწერა რომ შეიქნება, არის არა მარტო შრომა თავისთავად, – ის უმაღლესი ფორმაა შრომის, რომლის ქმნა ადამიანს ხვდა წილად. და კი იქნებოდა სევდის მომგვრელი, თუკი მთელი ეს შრომა პაციენტთან იმაზე დაიყვანებოდა, რომ უარი ეთქვა ბრძოლაზე იმასთან, რაც ბედად შეხვდება თავის ძნელ ცხოვრებაში.

კონკრეტულ მაგალითებს რაც შეეხება, მეტად გამჭირვებია, რამდენადაც მანსენდება მხოლოდ ერთი საგულისხ-

მო შემთხვევა: ყმაწვილი მედლა, რაღაც დროით ჩემს ნევროლოგიურ განყოფილებაში მუშაობდა, საოპერაციოდ უნდა დაეწვინათ კუჭის სიმსივნის ამოსაკვეთად; ოღონდ მალევე გამოირკვა, ამ სიმსივნის ოპერაცია შეუძლებელი იყო. შემომითვალეს, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი მედლა დაჟინებით მოხოვდა მისვლას. რაღა თქმა უნდა, მივედი და მასთან საუბრისას გავიგე, იმდენად თავს დატეხილი დაავადება კი არ აშფოთებდა, რამდენად სამსახურის დაკარგვის პერსპექტივა. უნდა ვთქვა, თავის პროფესიაზე ძლიერ იყო შეყვარებული. და აი, ავადმყოფობის შედეგად იძულებული შეიქნა შეეწყვიტა ავადმყოფების დათვალეობა და მოვლა, ყველაზე მეტად ეს უკლავდა გულს. მართლაცდა, აღარ იყო რაღა გამოსავალი / დიდად განვიცადე, ჩემდა სამწუხაროდ, ერთი კვირადა იცოცხლა ამის შემდეგ/. ჩემ მხრივ რაც ძალა და ღონე მქონდა ვანუგეშებდი დაახლოებით ამ სიტყვებით: „ჩემო მშვენიერო გოგო, შენ რომ შეგიძლია მუშაობა რვა თუ, იცის ღმერთმა, კიდევ უფრო მეტი საათი დღეში, სულაც არ არის ვინმეს მისაბადი, ბევრს არც შეუძლია ამის გაკეთება. მაგრამ კი უნდა მიხვდე ამას აუცილებლად, შენი სამუშაო ასე რომ გიყვარს და ასეთი დიდი შრომისუნარიანი ხარ, ამჯერად კი უნდა თქვა უარი ამ შენს საყვარელ საქმეზე და ამის გულისათვის არამც და არამც სასოწარკვეთილებამ არ უნდა

დაგრიოს ხელი. ნამდვილი მონაპოვარი სწორედ ეს იქნებოდა და ამის გამოვლენას არა მგონია ვინმე შეძლებდა. გულზე ხელი დაიდო და მითხარი, თუ იქნებოდა სამართლიანი ათასობით შენი პაციენტის წინაშე, რომლებსაც მთელი ცხოვრება მიუძღვენი; თუ იქნებოდა მართალი ამ ადამიანების წინაშე, თუკი თავად იზამ ისე და საბაბს მისცემ ყველა ავადმყოფს, უილაჯო პაციენტებს, სრულიად აზრმოკლებულად ჩათვალონ თავიანთი შემდგომი სიცოცხლე? თუკი შენი მდგომარეობა სასოწარკვეთილებაში გაგდებს, თავს ძალა დაატანე და მიხვდი, ადამიანის ცხოვრების აზრი სულაც არ არის ის, რომ საყვარელ სამუშაოს გაუთავებლივ დაუთმო დრო. შენ ხომ ამდაგვარი მტკიცებით უარყოფ სიცოცხლის უფლებას ყველა ადამიანის, რომლებსაც ტუშობა არ შეუძლიათ და რომლებსაც ავადმყოფობამ გამოცდა მოუწყო იმათ შესაძლებლობას. შენ ართმევ ასეთ ადამიანებს გონივრული არსებობის უფლებას – გარწმუნებ, ერთადერთი შანსი მოგეპოვება შენ: ადამიანურობის ნიბუში მისცე ყველა შენს პაციენტს, რომლებიც გენდობოდნენ; და დამიჯერე – ეს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის დახმარება, შენ რომ უწყვედ მათ როგორც მეღდა“

რალა თქმა უნდა, შეიძლება საკამათო იყოს, ექიმმა უნდა გამართოს თუ არა ამდაგვარი საუბარი პაციენტთან, მაგრამ ამ შემთხვევაში ესლა მინ-

დოდა, ჩემს პაციენტს დავხმარებოდი უბრალოდ არა როგორც ექიმი, არამედ როგორც ადამიანი ადამიანს, შემერჩია იმისთვის საჭირო სიტყვები გასამხმნეველად და სანუგეშებლად. და სრულიად გულწრფელად ვფიქრობ, ექიმი უნდა ანუგეშებდეს თავის პაციენტებს უბრალო ადამიანური გასაუბრებით. ვენის ქალაქის საავადმყოფოს მთავარი შესასვლელის ზემოთ დაფაა, რომელზეც გამოჭრილია ლათინური გამოთქმა: *saluti et solatio egrorum – et solatio*, რაც ნიშნავს, ექიმი არა მარტო მკურნალობდეს, უნდა ანუგეშებდეს კიდევაც ავადმყოფს. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, არა მარტო ფსიქოთერაპევტი /ის კი, უსათუოდ, უნდა მისდევდეს ამ მცნებას უპირველეს ყოვლისა/, ყოველ სხვა სპეციალისტ-მედიკოსს არა აქვს უფლება ნამდვილად ექიმად თვლიდეს თავს, თუკი არ ასრულებს ორივე ამ ამოცანას: შრომისუნარიანობა დაუბრუნოს პაციენტს, ხელახლა აზიაროს ცხოვრების აზრსა და სიხარულს; და, გარდა ამისა, ავადმყოფი ანუგეშოს და ასწავლოს მას მტკიცედ გადაიტანოს ტანჯვა-ვაებანი. ყველაზე უფრო მძიმე შემთხვევებში, როცა ბედისწერა ადამიანს უგზავნის დიდ განსაცდელს მოურჩენელი ავადმყოფის სახით, ექიმმა ყოველ ღონეს უნდა მიმართოს, რათა ავადმყოფს დაეხმაროს მხრებზე უმძიმესი ტვირთი წამოიკიდოს და ღირსეულად ატაროს იგი.

თავისთავადაა ცხადი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა თვალსაზრისით ექიმის მოწოდების ამდგარი განსაზღვრება არ უნდა იყოს მართებული, ექიმი რომ მოქმედებს იმ ცოდნითა და იმ საშუალებით, რომელსაც მას აძლევს საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, ის შეიძლება იძულებული იყოს, მაგალითად, ავადმყოფის ფუნქციონირებას მიმართოს; ოღონდ „წმინდა“ საბუნებისმეტყველო მეცნიერების დახმარებით ვერასოდეს ვერ შევძელი მძიმე ავადმყოფი პაციენტი თვითმკვლელობას გადაერჩინა, თუკი ამას იზამდა ამპუტაციის შემდეგ /ან მანამდეც კი/, რადგანაც სასოწარკვეთილებაში ჩაეგდო იმ აზრს, რომ მას მერე, რაც გაუკეთდებოდა /დღეს თუ ხვალ/ ამპუტაცია, ვეღარ იცხოვრებდა სრულყოფილი ადამიანის ცხოვრებით. ქირურგი, ვინც არავითარ მნიშვნელობას ანიჭებს ამას – ზრუნავდეს თავისი პაციენტების სულიერ მდგომარეობაზე და აუცილებელია არ დაიშუროს უბრალო ნუგეშის სიტყვები; ქირურგს, რომელმაც „ხელები დაიბანა“ და შეგნებულად უარი თქვა ამაზე, აღარც უნდა გაუკვირდეს, პაციენტს რომ უბრალოდ აცნობეს, ხვალ დილის 8 საათზე ოპერაციას გაგიკეთებენო, ამ დროს შეიძლება იყოს არა საოპ-

ერაციო მაგიდაზე, არამედ მაგიდაზე პათოლოგ-ანატომისა: დიდი გვემა-წამების შედეგად, ღამით, პაციენტმა თავი მოიკლა. ის, რომ თვითმკვლელობა იყო აზრმოკლებული და გაუმართლებელი, – ცხადია; მაგრამ ექიმებს უკვე საშუალება აღარ ჰქონდათ აენსნათ ნებაყოფლობით ცხოვრებიდან წასულისთვის, რომ ადამიანის ყოფიერების აზრი არა მარტო ორივე ფეხზე დგომაა. ექიმებს შეეძლოთ სასოწარკვეთილი პაციენტი თვითმკვლელობას გადაერჩინათ, თუკი აუხსნიდნენ ამდგვარი საქციელის უმართებულობასა და აზრმოკლებულობას მხოლოდ რამდენიმე გამამხნეველები სიტყვით; თუმცა, რაღა თქმა უნდა, შეიძლებოდა პაციენტისათვის სასოწარკვეთილება გაუსაძლისი შექნილიყო. და მე შემიძლია მხოლოდ ამის გამო ცნობილი ნევროპათოლოგის სიტყვები მოვიყვანო: „თავისთავად ცხადია, ექიმს შეუძლია სულაც არ მიმართოს ამას, მაგრამ ამ შემთხვევაში ესღა დარჩენია, უნდა აღიაროს, როგორც ექიმი ის არაფრით არ გამოირჩევა ვეტერინარისგან. ექიმმა ხომ, ადამიანის ავადმყოფობისგან განკურნებას რომ ლამობს, უნდა შეძლოს თავისი ყოველი პაციენტის სულისაკენ მიმავალ გზას მიაკვლიოს“.

თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო
ზაურ კილაძემ

ქართველი ებრაელები და ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი

ქართველი ებრაელების ზოგიერთ წარმომადგენელთან ჩემი მეგობრობა ცამეტ-თოთხმეტი წლის ასაკში დაიწყო, რაც რთული ცხოვრებისეული გარემოებითაც იყო განპირობებული.

პოლიტიკურ-კონტრევოლუციური საქმიანობის შეთითხნილი მოტივით დაპატიმრებული მამაჩემი აკაკი პავლეს ძე წერეთელი, ლიტერატურათმცოდნე, პოეტი, ჭეშმარიტი ინტელიგენტი ციხესა და მკაცრი რეჟიმის კოლონიაში ჯდომის შემდეგ რუსული „ტროიკის“ გადაწყვეტილებით /ოფიციალური განაჩენის მიხედვით ესენი იყვნენ მესამე რანგის სამხედრო იურისტები კომაროვი, კარპენკო, ივანენკო და მდივანი ღურნანკინა/ ხუთი წლის ვადით გასახლებული იყო მშობლიურ ქალაქ თბილისიდან და უფლება ჰქონდა მხოლოდ ასი კილომეტრის დაშორებით ეცხოვრა.

მეგობრების დახმარებით ეძება და ეძება საშუალო – საგარეჯო, მარნეული, ბოლნისი, გორი ასკილომეტრიან ზონაში ვერ ეტეოდა, არადა ორას მეტრსაც კი არ გაპატიებდნენ. ამიტომაც ბავშვობის უახლოესმა მეგობარმა კოტე მშვენიერაძემ, რომელიც ე.წ. სამხრეთოსეთის ცეკავშირის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ მუშაობდა, მამას დიდი ძალისხმევით მოუხერხა აღნიშნული ორგანიზაციის წიგნებისა და

კულტურულ-სამეურნეო განყოფილების უფროსის ადგილი, ეს კი უდიდეს შვებას წარმომადგენდა ტანჯული პოლიტპატიმრის გაღატაკებული ოჯახისათვის, თანაც ასი კილომეტრი და მეტი მანძილიც დაცული იყო.

ყოფილმა ებრაელმა თანამშრომელებმა და მეგობრებმა მამას ურჩიეს ქალაქ ცხინვალის ებრაელების უბანში ეძებნა ბინა. მართლაც მოლაპარაკების შემდეგ ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩის მოედანზე შათაშვილების ორსართულიანი სახლის მეორე სართულზე დაიქირავა ოროთახიანი ფართო და ნათელი ბინა.

ამის შემდეგ ძალიან მალე ჩვენი ოჯახი აიყარა და ქალაქ ცხინვალს საცხოვრებლად გადაბარგდა. მე-8, მე-9, მე-10 კლასებში ცხინვალის № 1 ქართულ საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, აქვე სწავლობდნენ ჩემი ძმებიც. ამ ცნობილი სასწავლო დაწესებულების დირექტორი იყო გამოჩენილი განმანათლებელი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ვახტანგ კასრაძე.

ებრაელების უბანი ანუ უკვე ჩვენი უბანი ქ.ცხინვალის ტრადიციულ ცენტრში მდებარეობდა და მაშინდელი პატარა პროვინციული ქალაქის თითქმის მეოთხედს შეადგენდა. სახლიდან ჩვენს საყვარელ სკოლამდე ერთი კილომეტრი ან ოდნავ მეტი თუ იქნე-

ბოდა. დარწმუნებით შემიძლია განვაცხადო, რომ 1948-1952 წლების ცხინვალში ქართველი ებრაელები ათჯერ და ოცჯერ მეტნი მაინც იქნებოდნენ, ვიდრე ოსები.

მაშინ ცხინვალის ძალიან პატარა ქალაქი იყო და ყველამ კარგად იცოდა სად ცხოვრობდნენ ქართველები, ებრაელები, სომხები და ოსები. მართლაც ქართველი ებრაელები კი არა, ძირითადი მოსახლეობა ქართველები და სომხებიც ოსებზე გაცილებით მეტნი ცხოვრობდნენ.

მთელ ქალაქში იდგა თითქმის ერთადერთი მაღალი შენობა, სადაც მოთავსებული იყო საოლქო ადმინისტრაცია. ამ შენობის ეზოს დაბალი კიდიდან იწყებოდა ბაზრისაკენ მიმავალი ოღრო-ჩოღრო ქუჩა, ანუ ჩვენი ქუჩა, სადაც ორივე მხარეს ზემო უბნამდე ძირითადად ქართველი ებრაელები ცხოვრობდნენ, აქა-იქ ქართველები და ორიოდ ოსური ოჯახიც ბინადრობდა.

ჩვენი ოთახისა და ფართო შუშაბანდის ფანჯრები მოედანსა და ქუჩას გადასცქეროდა. ძალიან მომწონდა, როცა მეცადინეობისაგან თავისუფალ დროს თუ შესვენებისას, ფანჯარას გავაღებდი და ყველაფერს ხელისგულზე დადებულ ივით ვხედავდი.

ჩვენი ხუთსულიანი ოჯახის დროებით საცხოვრებელი საკმაოდ დიდი სახლის პატრონი რუბენ შათაშვილი რაღაც უმნიშვნელი სავაჭრო-სამეურნეო დარღვევის გამო ციხეში

იხდიდა სასჯელს, ოჯახს კი მისი მეუღლე კეთილი და შესანიშნავი ადამიანი სარკო შათაშვილი უძღვებოდა. შვიდი შვილი ჰყავდათ, ხუთი ბიჭი და ორი გოგო.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის გავლის შემდეგაც კი შეუცლომლად და მიყოლებით მახსოვს მათი სახელები: მიმა, გერცელი, გაბო, ზოია, ილუმა, რივა და დათო, მახსოვს იმიტომ, რომ ძალიან ახლო მეგობრობა გვქონდა, დიდი დროს ღამეებში ერთად ვიყავით, სკოლაში ერთად მივდიოდით, ჩხუბის დროს ერთმანეთს ვიცავდით, ძალიან ხშირად უმცროსებთან ანუ ჩვენს თანატოლებთან ვსადილობდით და ვვახშმობდით, როგორც იტყვიან, გაჭირვებასაც ვიყოფდით და სიხარულსაც, განსაკუთრებით ახლოს ვიყავით ჩვენს მომდევნო კლასებში მოსწავლე გაბოსა, ილუშასა და დათოსთან.

გერცელ შათაშვილმა ჩვენზე ადრე დაამთავრა სკოლა ოქროს მედალზე, როგორც მახსოვს საბუთები ქ. ასტრახანის სამხედრო-საზღვაო აკადემიაში შეიტანა და გამოცდებიც წარმატებით ჩააბარა. ერთი წლის მერე არდადეგებზე იგი ცხინვალში ჩამოვიდა შავი საზღვაო ფორმით, ოქროსფრად მოსირბული ქუდითა და ოქროსფერისვე კორტიკით. ყველანი აღტაცებით შევხვდით მას და ისეთი პატივისცემით დავეყვებოდით, როგორც მინიმუმ აღმირალს. უცხო ქვეყანაში სწავლის შემდეგ სამუშაოდ და საცხოვრებლად

დარჩენილი გერცელი დედამიშვილებს შორის ყველაზე ადრე წავიდა საზღვარგარეთ, ამან ყველა ჩვენთაგანს გული დაწყვიტა.

ძალიან კარგი და ჭკვიანი ქართველი ებრაელები სწავლობდნენ ჩემი უფროსი ძმის ჯონდოს, უმცროსი ძმის გობრონის და ჩემს კლასშიც. ყველა მათგანთან ვმეგობრობდით, შაბათ-კვირაობითა და საღამოობით ერთად ვსეირნობდით, ბურთს ვთამაშობდით, ზაფხულობით კი ცხინვალის კულტურისა და დასვენების პარკში შექმნილ ხელოვნურ ტბასა და აჩქარებით მომავალ მდინარე ლიანხეში ვბანაობდით, ველოსიპედით დავდიოდით ახლოს მდებარე სოფლებში, ქალაქ ცხინვალის გუნდის „სპარტაკის“ თითქმის ყველა მატჩს ვესწრებოდით, სადაც თავდამსხმელად თამაშობდა დაუვიწყარი პიროვნება და მეგობარი, იმ ქვეყნად უდროოდ წასული ვალნინ ცხოვრებაშივლი.

ჩემი ებრაელი მეგობარი ბიჭების სახელები და გვარებიც დღემდე მახსოვს: დათო კრიხელი, კაკო მაღალაშვილი, სებია ლევიანაშვილი, გარსევან კრიხელი, ბორია ბინიაშვილი და სხვები, ამათგან, დანამდვილებით ვიცი, რომ ბორია ბინიაშვილი ოთხ შვილთან ერთად საცხოვრებლად ისრაელს გაემგზავრა, სხივები კი თითქმის ახალგაზრდულ ასაკში წავიდნენ ამ ცოდო-მაღლით სავსე წუთისოფლიდან.

როდესაც მამას გასახლების ხუთწლიანი ვადა დაუმთავრდა, ისევ

ავიყარეთ ჩვენი უკვე ძვირფასი ცხინვალური ბინიდან და თბილისს დავუბრუნდით. შემდეგაც წშირად ვხვდებოდი ჩემი ახალგაზრდობის მეგობრებს, განსაკუთრებით თანატოლებს და ჩვენი თბილი ურთიერთობა არასოდეს განელებულა.

ერთი, დღემდის დაუვიწყარი ფაქტიც მინდა გავიხსენო. ცხინვალში სწავლისას მე-10, მე-11 კლასების მოსწავლეებს გამოგვიცხადეს, რომ გაკვეთილების დამთავრებისთანავე შედგებოდა საჯარო ლექცია, რომელსაც ჩაატარებდა საქართველოს მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გამავრცელებელი თითქმის ახალშექმნილი საყოველთაოდ ცნობილი საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი. სკოლის სააქტო დარბაზში მართლა ბრწყინვალე ლექცია ჩატარდა. თემა იყო გამოჩენილი რუსი მწერლის ალექსანდრე ფადეევის შემოქმედება, რომან „ახალგაზრდა გვარდიის“ საინტერესო განხილვაზე აქცენტით. საჯარო ლექციას საუცხოოდ კითხულობდა მაშინ სულ ახალგაზრდა ლექტორი გიგლა ხუხაშვილი, შემდგომში გამოჩენილი ქართველი დრამატურგი, პოეტი, სცენარისტი, მთარგმნელი, მრავალმხრივი შემოქმედი.

ლექციის დამთავრების შემდეგ გიგლა ხუხაშვილს ანუ ბატონ ლექტორს შემოვეხვიეთ და შეკითხვას შეკითხვაზე ვუსვამდით, თითქოს გაშვება გვეძნელებოდა, ისიც იდგა და ღიმილ-

იანი სახით ამომწურავად პასუხობდა ჩვენს შეკითხვებს.

მერე, როცა საქართველოს მწერალთა კავშირსა და საქართველოს საავტორო უფლებების მთავარ სამართველოში სისტემატური შეხვედრებისას სრულიად ბუნებრივად დავმეგობრდით, გიგლას ხშირად ვახსენებდი იმ დაუვიწყარ ლექციას, რამაც თავიდანვე არა მარტო ლექტორი, არამედ საზოგადოება „ცოდნაც“ შემაყვარა, სადაც ღვთის განგებითა და ხელისუფლების ნებით ოცდათხუთმეტი წლის გასვლის შემდეგ მუშაობაც მომიწია.

დაუვიწყარი გიგლა ხუხაშვილის მსგავსად ვმეგობრობდი და ვმეგობრობ ცნობილ ქართველ მწერალ გურამ ბათიაშვილთანაც. მის მრავალ ნაწარმოებთან ერთად შესანიშნავი წიგნი „თუ დაგივიწყო, იერუშალაიმ“ დიდი სიამოვნებით წავიკითხე, ამ ბოლო დროს კი, კერძოდ, 2006 წლის სექტემბერში გურამის ამავე სახელწოდების სცენარით უნიჭიერესი ქართველი რეჟისორის მერაბ კოკოჩაშვილის მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმიც ვნახე, მაღალი დონით გამორჩეული ეს თვითმყოფადი ფილმი ძალიან მომეწონა და ერთხელ კიდევ ღრმა პატივისცემა ვიგრძენი მოძვე ებრაელი ხალხისადმი, ვინც ამდენი საუკუნე ეწამა, რათა საბოლოოდ შეერთებულყო და წმინდა მიწაზე გამორჩეული სახელმწიფო შეექმნა.

მთელი ორმოცი წელი ვმეგობრობდი ცნობილ პოლიტიკურ მიმომხილველ პროფესორ აბონ ციციაშვილთან,

ვისგანაც სახსოვრად ოთხი ავტოგრაფიანი წიგნი დამრჩა. ამ ქვეყნიდან მისი უდროოდ წასვლა მეც და „საზოგადოება ცოდნის“ წევრებმაც გულისტკივილით განვიცადეთ. არასოდეს არ მავიწყდება და ყოველთვის ვიხსენებ ერთ გულისამაჩუყებელ ამბავს:

2001 წლის შემოდგომაზე, როცა გაძარცვის მიზნით თავდასხმის შედეგად მიყენებულ ტრაუმებს ვიშუშებდი, სამსახურში ახლადგასული მომინახულა აბონ ციციაშვილმა, ის მაშინ ისრაელიდან ჩამოვიდა. იცოდა რა ჩემი სიყვარული საწერი კალმებისა და კარგი სათვალეების მიმართ, საჩუქრად ჩამომიტანა ორი მშვენიერი საწერ-კალამი. მანვე ჩამომიტანა ძირძველი თბილისელისა და შესანიშნავი პიროვნების, რამდენიმე წლის წინათ მეორე სამშობლოში საცხოვრებლად გადასული ნუგზარ ჯინჯიხაშვილის მიერ გამოგზავნილი საუცხოო იტალიური სათვალე, ე.წ. ქამელეონი, რომელსაც კოლოფზე ეკრა ნუგო ჯინჯიხის ფირმის აღმნიშვნელი დამლა. ისიც მინდა ვთქვა, რომ მანამდე ნუგზარ ჯინჯიხაშვილმა ისრაელიდან დამირეკა, თბილად იკითხა ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა და მოხოვა, თუკი რაიმე ძნელად საშოვნელი უცხოური წამალი იქნებოდა საჭირო, მისთვის შემეტყობინებინა. ასეთ დამოკიდებულებას ადამიანი ვერ დაივიწყებს.

ახლა კი იმ სათქმელსაც მივადექი, რისთვისაც თავიდანვე დავიწყე ამ პატარა წერილის წერა და წესისამებრ მოგონებამ გამიტაცა.



რეზო იოსებაშვილი

ამ 6-7 წლის წინათ ფიქრის გორაზე მდგარ ჩვენს სახლში, თანაც ზუსტად ჩვენს სართულზე და საპარადოს საერთო ბაქნის მომიჯნავედ, მეუღლესა და სამ პატარა შვილთან ერთად გადმოვიდა მეღვინე და მოღვაწე ახალგაზრდა კაცი რეზო იოსებაშვილი. თითქმის ოცდაათი წლის გაურემონტებელ და კომუნიკაციებმოშლილ ბინაში იგი დიდი ხნის მანძილზე აკეთებდა რემონტს, მიდიოდა-მოდიოდა, მოჰქონდა, შრომობდა და საბოლოოდ დაფუძნდა კიდეც. მეზობლობისა და თითქმის ყოველდღიური შეხვედრების შედეგ, წლებში საკმაოდ საგრძნობი განსხვავების მიუხედავად დავმეგობრდით კიდეც, ასევე თბილი ადამიანური ურთიერთობა დაამყარა მან ჩემს მეუღლესა და შვილებთანაც.

რამდენიმე წლის წინ ზოგიერთმა ჩვენმა მეზობელმა დიდი ხნის მანძილზე გაურემონტებელი საპარადოს შეკეთება მოინდომა. ფულის შეკრება და ხელოსნების მოძებნა გაჭიანურდა.

რეზო წავიდა, თავად იყიდა ყველა საჭირო მასალა და საკუთარი ხარჯით პირველი ორი სართულის საპარადო შესანიშნავად გაარემონტებინა.

წინანდალში პარტნიორებთან ერთად თანამედროვეობის დონეზე აღჭურვილი ღვინის ქარხანა ჰქონდა გამართული, კეთილმოწყობილი სასტუმრო ნომრებით, კომუნიკაციებითა და ბალით. ხშირად მთხოვდა: საღამოობით სულ მუშაობთ, წერთ, იღლებით, ჰაერზეც უნდა გახვიდეთ, გახალისდეთ, წამოიყვანეთ მეგობრები, ვინც გნებავთ, რამდენიც გნებავთ, მიკრო-ავტობუსსაც მე გამოგიგზავნით, ჩამოდით, ისაუბრეთ, დრო გაატარეთ, თელავიც მოინახულეთ, ალავერდიც, სიღნაღიც, ყვარელიც, დაისვენებთ, ატმოსფეროს შეიცვლით და უფრო კარგად იმუშავებთო.

რახან წასვლა ვერ მოვახერხე, ხანდახან თავად ჩამოჰქონდა ჩვენთვის და ზოგიერთი მეზობლისთვის საუცხოო თეთრი და წითელი ღვინო, გუდის ყველი, ჩურჩხელები, დედას პურები. ყოველგვარი მიკიბვა-მოკიბვის გარეშე დარწმუნებით მინდა ვთქვა, რომ ისეთი ბრწყინვალე საფერავი, როგორიც რეზოს მოჰქონდა და მივირთმევედი ხოლმე, არსად არ დამილეკია, ეს იყო უმაღლესი ოსტატობის დონეზე დაყენებული ღვინო.

საუცხოო მეოჯახე იყო, შვილებს თავს ევლებოდა, სურდა ცამეტი წლის ტყუპი ბიჭები განათლებულ ვაჟკაცებად გაეზარდა, ინგლისურ ენასაც ასწავლიდა, გერმანულსაც, კარატეზეც

დაჰყავდა, ცურვაზეც, ფეხბურთის თამაშშიც ხელს უწყობდა. ხშირად საკუთარ მანქანაში ჩაისვამდა სამივე შვილს, წინ უსაყვარლეს გოგონა ნათიას, უკან გიგას და გუგას, მათთან ერთად მიდიოდა ბევრ ადგილას, სურვილებსაც უსრულებდა, შემდეგ კი ერთად ბრუნდებოდნენ შინ.

თავად გაჭირვებასა და სიღარიბეში გაზრდილს სურვილი ჰქონდა მეუღლეს, შვილებს, ძმებს, ყველა ახლობელს გაჭირვება არ ენახა, ყველას დახმარებას ცდილობდა, ლხინსა თუ გაჭირვებაში ყველას გვერდით ედგა. ჩვენმა საერთო მეგობარმა ლერი კვაჭანტირაძემ გაიხსენა როგორ ამბობდა ხოლმე რეზო: სულ ვცდილობდი და ვცდილობ რაც კი აქვს კარგი ქართველ ხალხს თუ ებრაელ ხალხს ყველაფერი შემეთვისებინა, შემესისხლხორცებინა, შემდეგ კი ცხოვრებაში პრაქტიკულად გამომეყენებინაო, რასაც სინამდვილეში ყველა გამოვლინებით აკეთებდა კიდევც.

ბავშვობისა და სკოლის უახლესი მეგობარი მშობლიურ ქალაქ გორიდან ჯუმბერ ბერძნიშვილი რეზოს ხსოვნისადმი მიძღვნილი შეხვედრის დროს გულისტკივილით იხსენებდა:

არაჩვეულებრივი ბაჭი იყო, თბილი, ყურადღებიანი, მზრუნველი. ძალიან უყვარდა გორიც და გორელი მეგობრებიც. ხშირად დარეკავდა ხოლმე ჩემთან თუ სხვა მეგობართან როგორ ხართო, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო მართლა როგორ ვიყავით, ჩამოვიდოდა

გორში, გენახავდა, გადაგვეკოცნიდა და ჩვენი თხოვნის მიუხედავად რომ დარჩენილიყო, სწრაფად ბრუნდებოდა უკან.

გაჭირვებასა და შრომაში გაიზარდა, ერთი პერიოდი ისე უჭირდათ ბლოკების საამქროში მუშაობდა, მძიმე ტვირთის აქეთ-იქით გადატანაც უწევდა. მერე კი, როცა გულმოდგინე შრომით ბევრს მიაღწია, წელში მყარად გაიმართა და შრომით მოპოვებული ფინანსებიც გაუჩნდა, ყველას დახმარებას ცდილობდა, უყურადღებოდ არავის ტოვებდა, ის ადამიანები, მასწავლებლები, ვისაც თუნდ მცირე სიკეთე ჰქონდათ გაკეთებული მისთვის, არასოდეს ავიწყდებოდა, ყოველთვის სიყვარულით მოიკითხავდა, ცდილობდა ამაგი, პატივისცემა ერთიასად გადაეხადა. შვილებზე გამუდმებით ზრუნავდა, სულ ცდილობდა მათთვის არაფერი დაეკლო. პირველი ბინა გორში იყიდა, დაუყოვნებლივ დაიწყო გადაკეთება, გაფართოება, ერთგან საყრდენი კედლის დანგრევასაც კი აპირებდა, რა ვქნა, ძალიან მინდა ჩემმა შვილებმა მზით სავსე ფართო ოთახებში ირბინონ და გაიხარონო.

გახარების ნაცვლად შვილები, მეუღლე, ძმები ნაადრევად დაამწუხრა, ორმოცდაოთხი წლისა წავიდა ამ ცოდო-მადლით სავსე წუთისოფლიდან, წავიდა სიკეთით გამორჩეული ადამიანი, რომელიც ორი ხალხის სიყვარულსა და საუკეთესო თვისებებს ყოველთვის უხმაუროდ, უანგაროდ ავლენდა. მას ბევრი რამ ჰქონდა ქართულიც, გნებავთ ქართლურიც მშობლების მს-

გავსად, რაც ბევრი ცხოვრებისეული ფაქტით დასტურდებოდა, თუნდაც ერთ მათგანს მივაქციოთ ყურადღება – მართალია ადამიანების სახელებით ყველაფერი ვერ გამოიხატება, მაგრამ მანც სასიამოვნოა: მეუღლე ნანა, შვილები ნათია, გიგა და გუგა, უფროსი ძმები თამაზი და ზურაბი თითქოს ერთხელ კიდევ მიგვანიშნებენ ორი ერის ძმურ ურთიერთკავშირზე.

რეზო იოსებაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ზემოთხსენები შეხვედრის დროს ჭეშმარიტმა თბილისელმა, ტკბილად მოუბარმა 84 წლის სიმონ იოსებაშვილმა ერთი მშვენიერი ფაქტი გაიხსენა: „ჩავედი ისრაელში, თელ-ავივში, იქ ჩემი უახლოესი მეგობარი ცხოვრობს, ყველაფერი ზუსტად ვიცოდი სახელი, გვარი, მამის სახელი, დაბადების წელი და რიცხვიც კი, ცნობათა ბიუროში მითხრეს, აქ არ ცხოვრობსო, გაოცება ვერ დაფარე, ვერც მივხვდი, რაში იყო საქმე. მერე ჩემი მეუღლის დისშვილი, ვინც მანქანით მატარებდა და ყველაფერს მიჩვენებდა, თავად შევიდა ცნობათა ბიუროში და ოციოდე წამში მისამართი გამომიტანა, თურმე ჩემი მეგობარი ჩვენს მეორე სამშობლოში ქართველად ყოფილა ჩაწერილი, მე კი არ ვიცოდი, რომ მიმეთითებინა.“

ეს ფაქტიც ნათლად გვიჩვენებს ორი მშობლიური ქვეყნისადმი ადამიანების დიდ სიყვარულს. სწორედ ასეთ სამაგალითო სიყვარულს ატარებდა გულით რეზო იოსებაშვილი. როგორც ახლობლები ამბობენ, ბოლო თვეების მანძილზე რუსეთის მოულოდნელი და ვერაგული ემბარგოს შემდეგ რეზომ შინაგანად ბევრი ინერვიულა, რუსეთში გაგზავნილი ათი და ასი ათასობით ბოთლი ღვინის დაბრუნება გახდა საჭირო, ხალხს გზავნიდა, ხშირად რეკავდა, განიცდიდა... იქნებ ამ განცდებმაც გარკვეულწილად იმოქმედა კარგი და კეთილი საქმეების დაულაღავი კეთებისაკენ მიმართულ ახალგაზრდა კაცზე, და სამწუხაროდ ის უდროოდ წავიდა ამ წუთისოფლიდან.

მოულოდნელი იყო რეზო იოსებაშვილის გარდაცვალება, გაქრა მისი ფიზიკური ცხოვრება, მაგრამ დატოვა კაცური კაცის ძალიან ძნელად მოსაპოვებელი სახელი, ყოველთვის საამაყოდ რომ გაჰყვებოდათ შვილებს, მათ კი საუკეთესო მონაცემები აქვთ და ყველას სჯერა ნამდვილი ადამიანები, პროფესიონალები, ორივე სამშობლოს მოყვარულები იქნებიან, მამის ოცნებას აღასრულებენ, ვისაც ახალგაზრდები ამ უტყუარი გზით მიჰყავდა.

ნუგ ზარ წერეთელი

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, პროფესორი

ბეგრის მშველელი

ადამიანების დასახმარებლად მოწოდებული და ნაყოფიერი მოღვაწეობით გამორჩეული პიროვნებების რიგს მთელი თავისი ცხოვრებით მიეკუთვნებოდა გამოჩენილი ქართველი იურისტი შალვა რჩეულიშვილი. იგი უკვე რვა წელიწადია აღარ არის ჩვენს შორის, 2007 წლის იანვრის პირველ დღეებში კი დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა. მამამისი ვახტანგი ქართული ისტორიოგრაფიის მამამთავრის, დიდი ქართველი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის საყვარელი დისშვილი 24 წლისა უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი იყო, ნიჭითა და ვაჟკაცობით ცნობილი პიროვნება 29 წელს ვერმიდწეული უდროოდ და ტრაგიკულად წავიდა ამ ცოდვილი წუთისოფლიდან.

ადრეულ ბავშვობაში დაობლებულ პატარა შალიკოს სწორედ სულმნათი ივანე ჯავახიშვილის და ალექსანდრა / საშა / ჯავახიშვილი-რჩეული-შვილისა ზრდიდა. ბებო საშა გახლდათ ღრმად განსწავლული სათნო ადამიანი, მან მშობლიური ქართული ენის მსგავსად იცოდა ფრანგული, გერმანული, რუსული ენები, შვილიშვილებსაც ფართო კლასიკური გაგებით ზრდიდა. ბავშვობისას შინ მიღებული კლასიკური განათლების საფუძვლები წარმოადგენდა იმის მყარ წინაპირობას, რომ შალიკო ყოფილიყო მრავალმხრივ განათლებული, ენების

მცოდნე, გამჭრიახი, მაძიებელი და ზედმიწევნით გონიერი პიროვნება, თანაც მოძრავი და დაუდგარი, შინაგანი სასიკეთო ენერჯით სავსე.

დიდი ქართველი მწერალი გურამ რჩეულიშვილი სიყვარულითა და ღრმა პატივისცემით ხატავდა მათი საერთო ბებო საშას ძვირფას სახეს. შეიძლება გავიხსენოთ თუნდაც შემოქმედებითი გზის დასაწყისშივე დაწერილი მშვენიერი მოთხრობა „ახლა მე ოცდახუთი წლისა ვარ“, რომლის სათაურის პერიფრაზიც ეწოდა გურამის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ ჩემს პირველ წიგნს „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“.

გურამ რჩეულიშვილი წერდა: „ბებოს ჩემს გარდა კიდევ ცხრა შვილიშვილი ჰყავდა. დღესაც თვითეული ჩვენგანი დარწმუნებულია, რომ ბებოს სხვაზე უფრო მაგრად ის უყვარდა. ბებო ზამთრობით ჩვენთან იყო ქალაქში. ზაფხულობით ჩვენ ჩავლიოდით ბებოსთან. ბებოს ჩამოსვლა მთელი დღესასწაული იყო ჩვენთვის. მე უზომოდ ვამაყობდი, რომ ბებო ყოველთვის ჩვენთან ცხოვრობდა. მომაგონდა თელავი, კიბეზე ამავალი ბებო, წელში მოხრილი, ტუჩებმოკუბული. მოვიდა ჩემთან, გვერდით მომიჯდა და ფრანგულად მითარგმნიდა მოპასანს. ახლა მეჩვენებოდა, რომ ვილაცას ტუქსავდა, შემდეგ სარეცხს რეცხავდა და ალფრედ დე მიუსეს ლექსს

ამბობდა. „ბებო, ბებო, ბებო აღარ არის“,—გამიელვა და ისევ ავტირდი..“

გურამი და შალიკო რჩეულიშვილები ალალი ბიძაშვილები იყვნენ, ამასთან ერთად მეგობრები, თანამოაზრენი, ბუნებით ამ ძლიერი, უშიშარი, ვაჟკაცური ადათ-წესებით აღზრდილი ბიჭების ცრემლი პირველად 1954 წელს ვნახე ბებო საშას გარდაცვალების დღეებში, რაც იშვიათობას წარმოადგენდა. იმ დროს ჩვენ უკვე ახლო მეგობრები ვიყავით.

თბილისის საავიაციო სასწავლებლისა და თეატრალური ინსტიტუტის არასრული კურსის გავლის შემდეგ შალიკომ საბუთები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შეიტანა, დიდი კონკურსის მიუხედავად ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდები და I კურსის სტუდენტი გახდა. გურამ რჩეულიშვილმა ის სექტემბრის თვეშივე გავაცნო მის ირგვლივ რაღაც საოცარი სისწრაფით შემოკრებილ ბიჭებს და იმ შორეული წლებიდან 45 წლის მანძილზე შალიკო ყველა ჩვენთაგანისათვის ახლობელი მეგობარი იყო.

ჯერ კიდევ შალიკოს სიცოცხლეში, კერძოდ 1988–1989 წელს, მის გარდაცვალებამდე 10–11 წლის წინ დაწერილ ჩემს ლიტერატურულ-კრიტიკულ წიგნში სათაურით „აი, მე, გურამი ვდგავარ თქვენს წინ“, ვიხსენებდი აუტანელი სამხედრო საქმის სწავლისათვის

დაბალი ნიშნის გამო როგორ დაემუქრა რეალური საფრთხე ჩემი ერთადერთი საკუთარი შემოსავლის წყაროს — სტიპენდიას, მე და გურამ რჩეულიშვილი ვცდილობდით საქმე როგორმე გამოგვესწორებინა, მალე შევატყვევთ არაფერი გამოგვივიდოდა, იეზუიტი, ქართველების მოძულე რუსი პოდპოლკოვნიკი უკან არ იხევდა. არა ერთი და ორი ცდის... „შემდეგ გურამმა მითხრა შალიკო ჩავაბათ საქმეში, იურისტია და იქნებ რამე მოიფიქროსო. გურამის უფროსი ბიძაშვილი შალვა რჩეულიშვილი იმ დროს იურიდიულზე სწავლობდა და გურამის ყველა მეგობარი მასთანაც მეგობრობდა. ის ამჟამად ფართოდ ცნობილი იურისტია, რის უდავო ნიჭსაც თავიდანვე ამჟღავნებდა, უხვად ეწაფებოდა იურიდიულ ლიტერატურას, იცოდა ყველა კანონი და განმარტება, თანაც მახლობლის, მეგობრის დახმარება მისთვის უპირველეს მოვალეობას წარმოადგენდა.“ ეს ამბავი ხდებოდა 1955 წელს, მესამე კურსზე სწავლისას შალიკომ მეგობრების თხოვნა ბრწყინვალედ შეასრულა და მალე სტიპენდიაც დამენიშნა, ეს მოვლენა ზემო სოლოლაკის ბოლოს მდებარე ძველ დუქანში აღვნიშნეთ. მაშინ შალიკო მხოლოდ იცდაერთი წლისა იყო და უკვე ყველასთვის საიმედო მეგობრად ითვლებოდა, მისი შესაძლებლობებისა ყველას სჯეროდა,

განსაკუთრებულად ძლიერ პიროვნებად მიაჩნდათ.

ახლობლებისა და მეგობრებისათვის ყველა შესაძლო დახმარების გაწევა მისთვის უწმინდეს მოვალეობას წარმოადგენდა, ასე იყო დასაწყისიდან უდროო აღსასრულამდე. უამრავი შემთხვევა მახსოვს და აქ თუნდ ერთ დამახასიათებელ ფაქტს მაინც მოვიტან, როცა უკვე მაღალ პროფესიონალად აღიარებული და ყოველთვის უკიდურესად დაკავებული შალიკო როგორ ასრულებდა მეგობრების თხოვნას და ყოველთვის უანგაროდ, ხაზს ვუსვამ, უანგაროდ, უკაპიკოდ ეხმარებოდა გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანს. ამ დროს იგი ყველაზე კვალიფიციურ და ყველაზე ძვირადღირებულ ადვოკატად იყო აღიარებული.

ალბათ, ოცდახუთი წლის წინ მოულოდნელად დააპატიმრეს შალიკოს და ჩვენი უახლოესი მეგობრის ბორია ინასარიძის უფროსი ძმა, რომელიც მაშინ რუსთავის ხის დამამუშავებელი მსხვილი კომბინატის დირექტორად მუშაობდა. აი, აქ მინდა მოვიტანო ადგილი ბორიას ნათელი ცხოვრებისადმი მიძღვნილი, 1995 წლის დასაწყისში გამოცემული მომცრო წიგნიდან სათაურით „სიკვდილამდე დარჩენილი ერთი ნაბიჯი“. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო: ადგილები წლების წინ დასტამბული წიგნიდან იმიტომაც მომაქვს, რომ მკითხველმა დაინახოს—

შალიკოს მართლ ახლა კი არ ვაქვებ, როცა ის სამწუხაროდ, აღარ არის ამ ცოდვილ ქვეყანაზე, არამედ მინდა გამოჩნდეს როგორი მეგობრული სითბოთი მოვისხენიებდი მას სიცოცხლისა და საოცრად ნაყოფიერი ცხოვრების დროსაც.

აქვე მომაქვს ნაწყვეტი უკვე ნახსენები წიგნიდან. საშინლად შეწუხებული ბორია ინასარიძე — „მე დაწვრილებით მომიყვა რა მაქინაცები მოუწყვეს გუჯას. ისე აბურდ—დაბურდეს საკითხი, ახლა შალიკოს მეტი ვერაფერ ვერ დამეხმარებაო. ჩვენი სიყრმის მეგობარი შალიკო რჩეულიშვილი ბორიას ყოველთვის მიაჩნდა უმაღლესი კვალიფიკაციის დიდ იურისტად. ამ აზრს ყველა ჩვენთაგანი იზიარებდა. შალიკოს განათლება, გამოცდილება, ერთგულება და პრინციპული ხასიათი, რა თქმა უნდა, საქმის სწორად წარმართვის უტყუარ იმედს იძლეოდა.

მართლაც შალიკომ ყველაფერი გააკეთა მეგობრისათვის, მთელი სიმართლის გამომზეურება შესძლო და გუჯა უდიდესი განსაცდელისაგან დაიხსნა. ბორია საოცრად იყო გახარებული, შალიკოს უანგარო მეგობრობას ქებით მოიხსენიებდა და მის სადღეგრძელოებს გვასმევდა.“



*სხელან (მარცხნიდან მარჯვნივ): გურამ გეგეშიძე, შალვა რჩეულიშვილი.
დგანან: ზაალ ბილანიშვილი, ავი აბაშიძე, ნუგ ზარ წერეთელი,
ნიკო ლეონიძე.*

**ახალქალაქი, 1957 წ. უნივერსიტეტის სტუდენტთა სამხედრო
შეკრებაზე**

მეგობრობა მისთვის ხელშეუხებელი კატეგორია იყო. ძალიან ხშირად გვინახავს პლენხანოვის პროსპექტის გვერდით მდებარე სახლში მისი ბინის კართან სიმართლის საძებნელად რიგითობის მიხედვით დამდგარი ხალხი. ასეთ დროსაც კი შეგვეძლო თავისუფლად შევსულიყავით მასთან და რაც გვჭირდებოდა გვეთქვა. მხოლოდ ერთხელ უკიდურესი გადატვირთულობის დროს როცა უკითხავად მივადექით

ოთხი მეგობარი, მე, ნოდარ ზედელაშვილი, ბორია ინასარიძე და ნოდარ ცხვირაშვილი, თავისებური კეთილი ღიმილით იხუმრა: „თქვე კაი ხალხო, ერთხელ მაინც დამირეკეთ წინასწარ, სხვას ყველაფერს თავი რომ გავანებოთ, იქნებ ქალი მყავს სტუმრადო.“ ზოგჯერ თუ მთხოვნელები უკვე წასულ-წამოსულები იყვნენ, ხელად გამოალაგებდა მაშინ ძნელად საშოვნ ჩეხურ ლუდს, მაგარ სასმელს, მისატანებელს, გამო-

აღებდა თითქმის მუდამ თამბაქოს კვამლით დასუთული ოთახის ფანჯარას და გამხიარულებულები მეგობრულ საუბარში უამრავ თავს გადახდენილ ამბავს ვიხსენებდით.

ერთგული და მოყვარული ხასიათის ბიჭი იყო. სანამ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი განდებოდა, ცოლი უკვე ჰყავდა. ჭეშმარიტი თბილისელი, არაჩვეულებრივი ხასიათით, სითბოთი, იუმორით გამორჩეული ლიდა სიყვარულითა და საინტერესო ისტორიების გავლის შემდეგ შეირთო. მეუღლე ძალიან უყვარდა, ისიც ძალაღკვლიფიცირი ცნობილი იურისტი იყო და ერთმანეთს თითქოს ავსებდნენ, ამშვენებდნენ, მომავლის ძლავს მატებდნენ, ქალ-ვაჟს თავს ევლებოდნენ, ღღენიდაც ცდილობდნენ ქვეყნისათვის სასარგებლო ადამიანებად აღეზარდათ. ჯერ კიდევ შუახნის ასაკს არმიღწეული ლიდას სრულიად მოულოდნელმა გარდაცვალებამ მალიკოზე მართლა გამანადგურებლად იმოქმედა. იმ ტრაგიკული დღეებიდან განვლილი თითქმის თხუთმეტი წლის მანძილზე მალიკოს არც ცოლი შეურთავს და არც თაღნი შავი ფერის ტანსაცმელი გაუხდია, რითიც ზამთარ-ზაფხულს დადიოდა, პაპიროსის წვესაც დადარდინებულმა მოუმატა და მოუმატა, დღეში თითქმის ორ-სამ კოლოფს ცლიდა, თითქოს კვამლისთვის დარდების დროებით მანც გატანება უნდოდა. ამან კი

მის ჯანმრთელობას საუბედუროდ უმძიმესი დაღი დაასვა.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა ითქვას, რომ იურისპრუდენცია მალიკოსთვის უპირველესი მოწოდება და სისხლხორცეულად ახლობელი სფერო იყო, იგი დიდი ქართველი ადვოკატების ცხოვრება-მოღვაწეობას ღირსეულად აგრძელებდა. ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, როცა სადიპლომო ნაშრომად რაღაც ურთულეს თემას შეეჭიდა. ხანგრძლივი კვლევის შემდეგ დაამტკიცა, რომ იმ დროს ღმერთებივით ხელშეუხებელი მარქსისა და ლენინის რამდენიმე დებულება არ იყო სწორი და ამოღება თუ გადაკეთება მოითხოვა. სასტიკად შეშინებულმა თბილისის უნივერსიტეტის პოლიტხელმძღვანელებმა ვერაფერი გადაწყვიტა, საქმე იქამდე მივიდა, რომ ნამუშევარი უმაღლეს ორგანო საკავშირო ცენტრალურ კომიტეტშიც კი მოხვდა. პრინციპულ და საკუთარი სიმართლით გაძლიერებულ დამწყებ ჯიუტ იურისტს ვერაფერი მოუხერხეს და იძულებულები გახდნენ მალიკოს წერილი მაშინ უზარმაზარი ტირაჟით გამომავალ ჟურნალ „ვოპროსი ფილოსოფიი“ დაებეჭდათ. ამით მალიკომ კომპარტიის ფარული რისხვა დაიმსახურა და მომავალ საქმიანობაში კომუნისტურ მოღვაწეთა მხრივ ფარული თუ ხილული დევნა არასოდეს არ დაკლებია.

იურისპრუდენციაში საბოლოოდ და სამუდამოდ დაბრუნებამდე იმ დროის-

ათვის მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავა, იყო საქართველოს სამხატვრო კომბინატის დირექტორი, დიდ ქარხანასა და სხვა საწარმოსაც ხელმძღვანელობდა. ამ სფეროებში მისი პრინციპული, გნებავთ ჯიუტი პატიოსნება მაღალ სფეროებში გამეფებულ კორუფციასაც შეეჯახა, ამის გამო გასული საუკუნის სამოც—სამოცდაათიან წლებში პატარა მეფეებად აღიარებულ ცეკას მღივნებსაც კი დაუპირისპირდა. საკუთარ პატიოსნებაში დარწმუნებულმა უკან დახევა არ იცოდა, არავითარ ავტორიტეტს ქედს არ მოუხრიდა, ფარულ კლანურ, კორუფციულ დინებებს უშიშრად ამხელდა. ერთ ავადსახსენებელ დღესაც შალიკო დაიჭირეს, მხოლოდ ერთი რამ მოახერხეს, სახლში იარაღის უნებართვოდ შენახვა დააბრალეს. ისეთი განუკითხავი დრო იყო, ისეთი დაწოლა ხორციელდებოდა ტოტალიტარული რუსეთიდან, რომ მრავალი ცდის მიუხედავად უდანაშაულო კაცის დახმარება ვერავინ ვერ შეძლო. თავად შალიკომ, ისევ შვილების დახმარებით, მთლიანად დაადასტურა საკუთარი სიმართლე და თავისუფლება მოიპოვა, დამნაშავეები კი ნაწილობრივ მაინც დაისაჯნენ. იმ მოკლე პერიოდში, რაც შალიკო ციხეში იჯდა, იგი კიდევ უფრო ცნობილი გახდა იმით, რომ ბევრ პატიმარს ძმურად დაეხმარა და გაუგებრობის ნიადაგზე ჩასმულ ოცდაათამდის პიროვნებას ნანატრი თავისუფლება

მოაპოვებინა. ეს ამბავი შემდეგი წლების მანძილზე ლეგენდასავით დადიოდა მთელ საქართველოში, კაცმა, ვისაც თავისი არცთუ ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე სასამართლო პროცესი საერთოდ არ წაუგია, ამგვარი დაუჯერებელი საქმის გაკეთებაც შეეძლო.

1960 წლის 23 აგვისტოს 26 წლის დიდი ქართველი მწერალი გურამ რჩეულიშვილი ტრაგიკულად დაიღუპა გავრაში. ოცდაათამდის მისი მეგობარი ვეძებდით გურამს. ზღვა არნახულად დელავდა, პირველ დღეებში დღევა 7–8 ბალს აღწევდა. მეოთხე დღეს ოდნავ ჩაწყნარებულ ზღვაში კატარღით შესულებს ნიშანი მოგვცეს სწრაფად გამოდითო. გურამი ეპოვათ გაგრიდან 17–18 კილომეტრის დაცილებით დაბა განთიადში, გაგრის საავადმყოფოს სასარდაფო ნაწილში ასვენიაო, გვითხრეს. პირველსავე შეჩერებულ მანქანაში შევვარდით შალიკო რჩეულიშვილი, ბორია ინასარიძე, გურამ გეგეშიძე და მე. იმ დღეს კიდევ ვნახე შალიკოს თვალებში სიმწრის ცრემლები. მერე ეს უსამინელესი მოგონება ყველა ჩვენთაგანს თან გვდევდა და გაუნელებელი ტკივილით გვასხსენებდა თავს. წლების შემდეგ, როცა შალიკოს შვილიშვილი შეეძინა, პაწაწინა ბიჭისთვის არც შალვა დაურქმევიათ, არც ოთარი, არც ოჯახის რომელიმე უახლოესი წევრის სახელი, შალიკოს პრინციპული მოთხოვნით ბავშვს გურამი დაერქვა. 2007 წლის

იანვრის თვის დასაწყისშივე შალიკოს შვილთაშვილიც შეეძინა, იქნებ ახლა მინც იაროს თბილისის ქუჩებსა და საქართველოში შალვა რჩეულიშვილმა, თუმცა დღეს ეს აღარ არის გადამწყვეტი, რაც მთავარია, ივლის ლამაზი ქართული სახელითა და თავისი დიდი პაპის კაცური სახელით.

1992 წლის მარტში შეიქმნა საქართველოს გურამ რჩეულიშვილის საზოგადოება, ბუნებრივია, შალიკო გურამის საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის წევრად იქნა არჩეული. ის იყო პირველი, ვინც მოიტანა საკუთარი შრომით ნაშოვნი ფული, რათა ახლადდაარსებული საზოგადოებისათვის მაგიდა, კარადა, სკამები შეგვეძინა და საზოგადოების გრიფით პირველი წიგნიც გამოგვეშვა.

გამგეობის პრეზიდიუმის რამდენიმე სხდომის შემდეგ შალიკომ თავის სატყვასში გვითხრა: „რაც შეიძლება დაკვირვებით ვიმუშაოთ, ჩვენი მცირეზე-მცირე თანხებით დიდ საქმიანობას ვერ გავშლით, თანაც ამ არეული, გაუგებარი ცხოვრების დროს, ამიტომ ყველა მიმართულებას ნუ გავყვებით, ვიფიქროთ ძირითადად წიგნების გამოცემაზე, გურამის საიუბილეო თარიღების აღნიშვნასა და გურამის შემოქმედების კიდევ უფრო მეტი პოპულარიზაციისათვის აუცილებელი წერილებისა და გამოკვლევების გამოქვეყნებაზე, დაველოდოთ უკეთეს დროს,

როცა ქართული ლიტერატურა ისევე ეყვარებათ, როგორც ჩვენს მამა-პაპას უყვარდა.“ მართლაც ამ მიმართულებით გაგაძლიერეთ საქმიანობა და გურამ რჩეულიშვილის საზოგადოების გრიფით მრავალი საინტერესო წიგნი გამოიცა, სხვას რომ თავი გაგანებოთ, რადღირს თუნდაც გურამის უმცროსი დის მარინე რჩეულიშვილი-ფალავანდიშვილის უდიდესი ძალისხმევით მომზადებული გურამის თხზულებების პირველი აკადემიური გამოცემის ექვსტომეული, ოთხი ტომი უკვე გამოვიდა, მიმდინარე 2007 წელს უკვე მეხუთე ტომი გადაეცემა სტამბას.

აქვე წესისამებრ ისიც უნდა შევნიშნო, რომ ტომეულების სრული გამოცემა დააფინანსა მსოფლიოში სახელგანთქმულმა დიდმა ქართველმა მხატვარმა-მონუმენტალისტმა, რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტმა, გურამ და შალიკო რჩეულიშვილების სიყრმის მეგობარმა, მეცენატობითა და კაცური კაცობით განთქმულმა ზურაბ წერეთელმა, რისთვისაც მას არა მარტო ჩვენი, არამედ მთელი ქართველი ხალხის მადლობა ეკუთვნის.

სამწუხაროდ და სავალალოდ გურამის საზოგადოების დაარსებიდან, ანუ 1992 წლიდან ათიოდე წელიწადში ცხოვრებიდან უდროოდ და გულსატკენად წავიდნენ გურამ რჩეულიშვილის გამგეობის პრეზიდიუმისა და გამგეობის წევრები: შალიკო, ედიშერ, გოგი რჩეულიშ-

ვილები, ბორია ინასარიძე, გურამ რუსიშვილი, ვახტანგ მდივანი... ამ აუნაზღაურებელმა დანაკლისმა დიდი დარტყმა მიაყენა საზოგადოების საქმიანობას, თუმცა ის შეძლებისდაგვარად მაინც აგრძელებს შემოქმედებით—საგამომცემლო საქმიანობას.

როგორც მაღალკვალიფიციური იურისტი და ექსპერტი შალიკო ასევე ახლოს იყო საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო „საზოგადოება ცოდნასთან“. ყველა გაუგებარი პრობლემის გადასაწყვეტად მას ვაკითხავდით, დამაჯერებელ პასუხებს ვიღებდით, მისი გონივრული, შეუღავებელი რჩევით ვწყვეტდით არა ერთ და ორ რთულად გადასაჭრელ საკითხს, მასთანვე თანხმდებოდა წესდება თუ სხვა რომელიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი. 1988-1989 წლების მაგარი არეულობის დროს, როცა ერთი პარტია თუ მოძრაობა აპირებდა „ცოდნის“ შენობაში თვითნებურ შემოჭრას, შალიკო პირველთაგანი იყო, ვინც მხარში დაუდგა „ცოდნას“ და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი საოცრად დამაჯერებელი, არგუმენტირებული, გაბელული მტკიცებით ბევრი უსიამოვნების აცდენაც შეძლო.

დღენიადავ ღამაბულმა, რეჟიმს საერთოდ დაუმორჩილებელმა ცხოვრებამ შალიკოს ფიზიკურად ძლიერი, ნაგარჯიშევი ორგანიზმიც გატეხა, წინააღმდეგობის მიუხედავად არასაიმედო დიაგნოზით საავადმყოფოშიც იქნა გადაყ-

ვანილი. გარდაცვალებამდე თვენახევრით ადრე ვინახულეთ შალიკო ოთხმა-ხუთმა მეგობარმა უზნადის ქუჩაზე მდებარე საავადმყოფოში, მეგობრების ნახვა გაუხარდა, ისევე იმედინად, ხალისიანად გველაპარაკა, ყველა მოიკითხა, ახალი ამბებიც მოისმინა, აქეთ დაგვაიმედა, ნუ გეშინიათ ყველაფერს გაუძლებო. ცოტა ხნის შემდეგ მეორედ როცა მივედით სანახავად, ვრცელ პალატაში მხოლოდ გაოცებული ლალი დაგვხვდა, შალიკოს ქალიშვილი, მძიმედ ავადმყოფი კაცი წამოდგარა, არავითარი პროტესტისათვის ყური არ დაუგდია და წასულა სასამართლო პროცესზე, მე რომ არ მივიდე ნამდვილი ღალატი გამოვა, მოსამართლე არასწორად გადაწყვეტს საკითხს და სავსებით შესაძლებელია უდანაშაულო ადამიანი დაიღუპოს, ამას კი სიკვდილი მირჩევნიაო.

ამის შემდეგ სულ ცოტა დრო გავიდა და სულიერად გაუტეხელი შალიკო რჩეულიშვილი თითქმის ფეხზე მდგარი წავიდა ამ ცოდვით სავსე წუთისოფლიდან. მისი უდროო გარდაცვალება დიდი დარტყმა იყო არა მარტო ოჯახისთვის, ახლობლებისთვის, მეგობრებისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის, წავიდა კაცი, ვისაც უამრავი სასიკეთო საქმის გაკეთება შეეძლო, ვინც იურისტის ურთულეს პროფესიას მაღლა დროშასავით ატარებდა, სიმართლის დასამკვიდრებლად იყენებდა და ცდილობდა ადამიანები მოულოდნელი ხიფათისაგან ეხსნა. იმ მართლა

დამთრგუნველი, წუხილით გაჟღენთილი დღეებით სულიერად შეძრწუნებულმა ლექსიც მიუძღვენი შალიკოს წმინდა ხსოვნას. ახლაც იმ ტკივილიანი ლექსით მინდა დავამთავრო დაუვიწყარი მეგობრის კაცური ცხოვრების წლებზე დაწერილი ჩემი პატარა წერილი, რითიც აურაცხელი მოგონებების მხოლოდ მცირე ნაწილის გადმოცემა თუ შეეძელი. ლექსს სათაურად „წასვლა“ ეწოდა და გამოქვეყნდა 2001 წელს ლექსების კრებულში საერთო სათაურით „შესანდობარი“.

წიგნის წინასიტყვაობიდან ერთი აბზაციც მინდა მოვიტანო: „ლექსების დიდი ნაწილი მიძღვნილია რეალური ადრესატებისადმი, უახლოესი მეგობრებისადმი, ძმაკაცებისადმი, ცნობილი პიროვნებებისადმი, ვისგანაც დიდი სითბო და სიყვარული მახსოვს, ვინც უდროო წასვლით დამიტოვა უზარმაზარი სევდა, გაუნელელებელი დარდი და თან წაიღო ჩემი ცხოვრების, სიცოცხლის, გულის ნაწილი“. აი, წლების წინანდელი ეს ლექსიც:

ვინ დაიჯეროს რომ კუკიის მარცხენა მხარეს
თითქოს დამცხრალი ჩაესვენე საფლავს გრიგალი,
აღარაფერი არც გაწუხებს,
აღარც გახარებს,


მხოლოდ ცხოვრებით შემორჩები როგორც იგავი,
და ამაშიაც არაფერი არის ახალი,
რომ ცოდო—მადლით სავსე ქვეყნად სტუმრად იყავი.

ჯანღის ფარდებში ილანდება სიყრმის თელავი,
ქედებს ქორივით გადაუფრენს გომბორის ქარი,
ბევრის მშველელსაც
ვერ გიშველა ქვეყნად ვერავინ,
გზას დაადექი უსასრულოს ამაყად მდგარი,

იქ აღარ ქუხან სივრცეები, აღარ ელავენ,
ყოფნა—არყოფნის წაშლილია მარადი ზღვარი.

ნუგზარ წერეთელი
დეკემბერი, 2006 წელი.

უმძიმესი წლების მოგონება



პოეტი შალვა მჭედლიშვილი

საქართველოში ფართოდ ცნობილი ერთ-ერთი უხუცესი პოეტი შალვა მჭედლიშვილი პოეზიასთან ერთად ცნობილია რთული და მძიმე ბიოგრაფიითაც, რაც ტრაგიზმით საბჭოთა კავშირში ანუ რუსეთში მცხოვრები მილიონობით ადამიანის ბიოგრაფიას ჰგავს.

იგი ეკუთვნის მეორე მსოფლიო ომის (1941-1945) დროინდელი უმკაცრესი პერიოდის იმ უნიჭიერეს თაობას, ვისაც დაუნდობლად გადაუარა ტოტალიტარულმა რეჟიმმა, შემოქმედების საოცნებო გზები გადაუკეტა, ახალგაზრდობა წაართვა და გულგრილად გაწირა სასიკვდილოდ. მხოლოდ ზოგიერთმა სულითა და ხორციით ძლიერმა ადამიანმა გაუძლო ხელისუფლების აუტანელ წნეხს, საბედნიეროდ მათ შორის აღმოჩნდა ბატონი შალვა მჭედლიშვილიც.

ბატონმა შალვამ, სრულიად ახალგაზრდა 22-23 წლის ბიჭმა, იხილა ბაქოს, როსტოვის, ვოლგოგრადის, კიროვის, სვერდლოვსკის, პეტროპავლოვსკის, ვორკუტის ციხეებისა და მკაცრი რეჟიმის კოლონიების საშინელებები.

ჯერ კიდევ 2002 წელს გამოცემულ ჩემს წიგნში „სიკვდილი ოცდაათ ლარად“ მოტანილი მქონდა შორეულ ციხებში გადასახლებული უდანაშაულო ადამიანების ტანჯული ცხოვრების ამსახველი ციტატა ბატონი შალვა მჭედლიშვილის წერილიდან, სადაც იგი იხსენებდა თუ როგორ სასწაულებრივად იხსნა სიკვდილისაგან გამოჩენილი ქართველი პოეტის ემზარ კვიტაიშვილის მამამ, სიკეთითა და კაცთმოყვარობით განთქმულმა პოლიტპატიმარმა ექიმმა დავით კვიტაიშვილმა:

„ჩემი მშობლების წასვლის შემდეგ ძალიან ავად გავხდი. ექიმებს მკვდარი ვეგონე და მორგში მომათავსეს..... მეზობელი ბარაკიდან ამოსულან პატიმარი ექიმი დავით კვიტაიშვილი - ემზარ კვიტაიშვილის მამა და პატიმარი გიორგი ჭიაბერაშვილი. როცა ჩემი ამბავი გაუგია, დავითი მორგში შევარდნილა და უნახავს, რომ მაჯა ოდნავ მიფეთქავდა. მან გამომიყვანა მორგიდან და მკვდრეთით აღმადგინა“.

მართლა საშინელი ვითარებაა ასახული, რის წარმოდგენაც კი ძალიან რთულია დღევანდელი გადასახედიდან.

იქნებ ტანჯული ცხოვრებითაც არის განპირობებული, რომ ჭეშმარიტი პოეტისა და პროზაიკოსის ყოველი სიტყვა გულში ხვდება ადამიანს, და მათ შორის, რა თქმა უნდა, მეც, თუნდ იმიტომ, რომ იმ შავბნელი დროისათვის 6-7 წლის ბიჭმა საკუთარ თავზე ვიწვნიე მხოლოდ არაადამიანური კი არა, ადამიანის პირდაპირ გამთელავი რეჟიმის სუსხი, უმამოდ გაზრდისა და უკიდურესი გაჭირვების წლები, დარდით გაჟღენთილი უსიხარულო დღეები, ავადმყოფობისა და მუდმივი შიმშილის პერიოდი, მთელი ცხოვრების მანძილზე იარასავით გამოყოლილი განწირულობის განცდა.

შესანიშნავი პოეტის შალვა მჭედლიშვილის განცდები ყველაზე სრულად ლექსებში იჩენს თავს, როცა წარსული ცხადივით ახსენდება და თითქოს ტკივილით შესძახებს - „პოი, წყვდიადში ჩამკვდარო სიყრმევ“, რითიც იმ უღვთოდ განადგურებულ ახალგაზრდობის წლებს მისტირის.

სიკეთის, რწმენის, ჭირთათმენისა და ქრისტეს გზით გადარჩენილი პოეტი შთამბეჭდავი ძალით წერს:

„სატანამ მწარედ მაწამა,
მტანჯა,
ღმერთთან პირნათლად ვარ
და გადავრჩი.“

სიკეთით გადარჩა ბატონი შალვა მჭედლიშვილი და მას მერე მრავალი წიგნი უძღვნა საფიცარ სამშობლოს, რომელიც მის მსგავსად იტანჯებოდა რუსეთის სასტიკი ტოტალიტარიზმისაგან. სულ ახლახანს ყოფილმა პოლიტპატიმარმა ნაწარმოებების სამტომეული გამოსცა, აქ მშვენიერი ლექსებიცაა წარმოდგენილი, რომანიც, მოგონებებიც, რაც ინტერესს კიდევ უფრო აძლიერებს და საუკეთესო საჩუქარს წარმოადგენს ნორმალურ წიგნს მოწყურებული ქართველი მკითხველისათვის.

საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ ჟურნალ „სიტყვის“ ფურცლებზე გამოსაქვეყნებლად ბატონმა შალვა მჭედლიშვილმა პატარა მოგონებაც დაწერა. აქ იგი იმასაც აღნიშნავს, თუ როგორ ვიპოვე მე არქივში მაშინ ახალგაზრდა, შემდეგ კი ცნობილი პოეტების შალვა მჭედლიშვილისა და ალექსანდრე ბეგაშვილის ჩემდამი 10-11 წლის ბიჭისადმი მიძღვნილი ლექსები. საქმე იმაში იყო, რომ იმ პერიოდისათვის უკვე დიდი მონდომებით ვწერდი ლექსებს და ჩემი „შემოქმედების“ პირველ შემფასებელ მამას ვუგზავნიდი ავჭალის კოლონიაში. როგორც ჩანს, მამამ ჩემი წახალისების მიზნით სთხოვა მასზე თითქმის თხუთმეტი წლით უმცროს პოეტებს ჩემთვის წერილი

ან ლექსი გამოეგზავნათ. ასე მივიღე ლექსი ავჭალიდან, რითიც ბავშვობაში ძალიან ვამაყობდი და რომელიც სწორედ ამდენი წლის გასვლის შემდეგ ვიპოვე. ამიტომაც გადავწყვიტე ნახევარ ფურცელზე გამოგზავნილი საჩუქარი ჩემს მცირე წინასიტყვაობაშიც უცვლელად მომეტანა:

*„პატარა მგოსანს! ნუგ ზარიკოს
ნაცვლად ქნარისა ცისარტყელის
მშვილდი ვიპყრია,
სიმების ნაცვლად სხივებია,
ყვავილთ ფიფქია...
თითქოს თვით ზღაპრებს
ვაუმართავთ ზეიმი ცაში
და ნორჩი მთვარით დანალული
მიგაფრენს რაში.
მღერი და შენს ჩანგს შენატრიან
ცის ფრინველები,
კურთხეულ იყოს პაწაწინა შენი
ხელები.*

03.01.1947წ.

შალვა მჭედლიშვილი, ავჭალა. “

პატარა და ღრმაშინაარსიან მოგონებაში ბევრი რამეა საინტერესო, აუცილებლად გასახსენებელი, რაც ძველ თაობას ტანჯვის წლებს მოაგონებს, ახალგაზრდა თაობას კი ნამდვილად არ აწყენს.

აქვე ერთი საოცარი შემთხვევაც მინდა გავიხსენო. ბატონი შალვა აღწერს კარცერში მის - სრულიად უდანაშაულო ახალგაზრდა კაცის ჩაგდებას. შავი პურის ნაჭრისა და ბოთლით წყლის ამარა დარჩენილ თანამომესთან ბნელი ღამით რისკის ფასად მიპარულა საწყალი პოლიტპატიმარი მამაჩემი, თან გასამხნეველად საჭმელი და შამპანურის კომბინატიდან მალულად წამოღებული მცირეოდენი ღვინოც მიუტანია. წარმოსადგენად ამ უმძიმესი ფაქტის წაკითხვისას ცრემლიც ვერ შევიკავე.

გთავაზობთ ცნობილი ქართველი პოეტის შალვა მჭედლიშვილის მოგონებას, რაც გულისტკივილით გვახსენებს იმ ავბედით ტოტალიტარულ წლებს, რომელთა თუნდ შორეული განმეორებაც კი დემოკრატიულმა ძალებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვან.

*ნუგ ზარ წერეთელი,
დეკემბერი, 2006 წ.*

იყო თუ არა სხვა პოეტი აკაკი წერეთელი?!

იყო თუ არა სხვა პოეტი აკაკი წერეთელი, რომელიც სამშობლოსათვის, მამულის საკეთილდღეოდ ეწამა და თავდადებული მოღვაწეობდა?!

ღიახ, იყო ასეთი პოეტი, რომელიც ჩვენს ეპოქაში ცხოვრობდა და საზღაპროდ აწამეს, რადგანაც ჭეშმარიტი პოეტი იყო, მაღალნიჭიერი და მამული-სათვის თავდადებული, თავადი-რაინდი კაცი. ეს ხომ არც გასაკვირია, ეს მასში გენეტიკურად იყო განპიროვნებული. განა მისი დიდებული გვარის მრავალი ბრწყინვალე მეცნიერი, მწერალი, მხატვარი, პოლიტიკოსი არ გვიმშვენებს ღღევანდელობას?!


საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბატონი აკაკი წერეთელის ბაბუის მამამ, დიდმა ნიკო წერეთელმა, პარიზში მიიღო ბრწყინვალე განათლება, გახლდათ XIX-ე საუკუნის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე და საქართველოს ბრწყინვალე პატრიოტი, რომლის ნიჭიერებასაც თვით გენიალური მგოსანი აკაკიც კი დიდად აფასებდა. მისი შთამომავლები დღესაც ბრწყინავენ თავისი ნიჭიერებით და მსოფლიოში სახელმონხვეჭილი არიან. განა თუნდ ერთი სახელის ხსენებაც კი არ იკმარებს – ზურაბ წერეთელის – უბადლო მხატვრის ხსენება?! ჩემს სამუშაო მაგიდას გამოჩენილი, ჩინებული პოეტის ნუგზარ წერეთლის ნაწარმოებები

ამშვენებს, მისი ლექსთა კრებულები, რომანები, რომელთაც დიდი სიყვარულით ვკითხულობ.

მოწიწებით და მოკრძალებით ვისენებ ბატონი ნუგზარის მამას აკაკი წერეთელს, რომელთან ერთად მე საპყრობილებში და საპატიმრო ბანაკებშიც ვყოფილვარ, ჭირი და ლხინი ერთად გაგვიზიარებია. რისთვის დააპატიმრეს ეს მამულისათვის თავდადებული კაცი?! რისთვის სურდათ იმდროინდელი ქვეყნის მესვეურებს მისი დიდი ნიჭიერების ჩახშობა?! ამის შესახებ ძლიერ კარგად მოგვითხრობს მისი ვაჟიშვილი, გამოჩენილი პოეტი ნუგზარ წერეთელი.

„ყოველთვის მაწუხებდა 1937 წლისა და შემდგომი ტოტალიტარული წლების თემა, რისი დავიწყებაც შეუძლებელია. რა დამავიწყებს იმ უმძიმეს წლებს, რაც მამაჩემის – პოეტის და ლიტერატორის აკაკი წერეთლის პოლიტიკური მოტივით დაპატიმრებამ, თხუთმეტწლიანმა იზოლაციამ, ოჯახის, ყოველგვარი ადამიანურის ფუნქციუმ გათელვამ გამოიწვია ჩემში და ბევრ ადამიანში. მამის მავნებლურ-კონტრ-რევოლუციური საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად დამადასტურებლად ის იყო მოტანილი, რომ საკუთარ უმდიდრეს და უზარმაზარ ბიბლიოთეკაში შენახული ჰქონდა გრიგოლ რობაქიძის, მიხ-

ეილ ჯავახიშვილის, ტიცვიან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, ნიკოლო მიწიშვილის, ნიცშეს, ფროიდის და სხვათა წიგნები, როგორც ხაზგასმით მიუთითებდა გამოძიება, 8ნ დასახელების საბჭოთა სისტემის დამანგრეველი წიგნი იქნა აღმოჩენილი“.



პოეტის აკაკი წერეთელი

იმ საშინელ წლებს მიეძღვნა ჩემი საკმაოდ სქელტანიანი რომანი, წლებს, რომელთაც ვერ ვივიწყებთ და სულ თან დაგვლევენ.

ჩემი მიზანი იყო ახალგაზრდობისთვის შემეხსენებინა, რა გამოთვლავი წნეხის ქვეშ ვცხოვრობდით და როგორ უნდა

დააფასონ ტანჯვა-წამებით მოპოვებული თავისუფლება, დემოკრატიის ყველა სიკეთე, ალბათ, ამიტომაც იყო, რომ რომანმა ქართული პრესის დადებითი შეფასება დაიმსახურა.

მეორე რომანიც, თავიდანვე მხატვრულ-დოკუმენტურ ჟანრად მონათლული, ცხოვრებაში მომხდარ ამბებს შეეხო. გაძარცვის მიზნით სასიკვდილოდ გამეტებული თავდასხმის შემდეგ, სამი თვე წოლისა და წელიწადზე მეტი ხელჯოხით გაჭირვებული სიარულის შემდეგ დავწერე რომანი „სიკვდილი ოცდაათ ლარად.“

ეს იყო მართლაც გალაშქრება ჩვენი ცხოვრების უამრავი მახინჯი მოვლენის წინააღმდეგ. ეკლესია და ქრისტიანული სარწმუნოება მართლა უძლიერესად დამენამრა სულიერად არ დაცემულიყავი, იმედი, ღვთის სიყვარული შემენარჩუნებინა. რეალური დახმარებისათვის ყოველთვის მაღლობას ვუძღვნიდი და ვუძღვნი საქართველოს სულიერ მოძღვარს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს, ჭეშმარიტად დიდ, რჩეულ პიროვნებას, ქართველი ერის უპირველეს გამაერთიანებელს“.

ანტუან დე სენტ ეკზიუპერი წერდა, რომ „ჩვენ ყველანი მოვდივართ ჩვენი ბავშვობიდან“. საბჭოთა კავშირში მცხოვრებით შეუძლიათ თამამად თქვან, რომ ისინი მოდიან რეპრესიებიდან. რეპრესირებული მამა-პაპა, რეპრესირებული მწერალი, რეპრესირებული სიტყვა,

რეპრესირებული აზრი, რეპრესირებული გული, რეპრესირებული ქვეყანა. რეპრესირების ხსოვნა არასოდეს არ წარიხოცება - არც რეპრესირებულთა და არც მათ ახლობელთა ხსოვნაში. „საყოველთაოდ ცნობილია, რომ სახელმწიფოს რაობას განსაზღვრავს ყველაზე მეტად ის, თუ როგორ ექცევა სახელმწიფო თავის მოქალაქეებს“, - ასეთი სიტყვებით იწყებს საქართველოს საზოგადოება მემორიალის ერთ-ერთი თავკაცთაგანი ბატონი გურამ სოსელია წერილს გაზეთ „მემორიალში“.

ბატონ აკაკი წერეთელს შესანიშნავ პოეტს, ლიტერატორს, დიდად ერუდირებულ და კეთილშობილ ადამიანს ვიცოდით, რომ დამთავრებული ჰქონდა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზია, შემდგომ კი ქალაქ თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი. იყო საუკეთესო მცოდნე უცხო ენებისა - ფრანგულის, რუსულის, გერმანულის და სხვა. განსაკუთრებით კარგად ფლობდა ფრანგულ ენას და უყვარდა ფრანგული პოეზია. ყველაზე კარგად მაინც ავჭალის საპატიმრო ბანაკში გავეცანი მას, რადგანაც რამდენიმე წელს მოგვიხდა ამ საპატიმრო ბანაკში ერთად ყოფნა. უპირატესად შავ სამუშაოზე გვამუშავებდნენ. შენდებოდა შამპანურის ქარხანა, ფართოვდებოდა ავჭალის ჩაის ფაბრიკა. ხშირად უპირატესად ქალაქის გარეუბნებში გვამუშავებდნენ

(ქალაქ თბილისის ცენტრალურ უბნებში მუშაობას არ გვანდობდნენ), შენდებოდა ავჭალაში მიმავალი ტრამვაიტროლეიბუსის გზა. ჩვენი იქ ყოფნის დასაწყისში კი მხოლოდ მატარებლით შეიძლებოდა მისვლა, მიუვალი ადგილი გახლდათ და ჩვენს მნახველებს კარგა მანძილი ფეხით უნდა გაევილით. შამპანურის ქარხნის მახლობლად იყო რამდენიმე ყავისფერი, მჭმუნვარე, დაყანდებული ხის ბარაკი და მასთანვე მდებარეობდა ფეშენებელური საცხოვრებელი სახლი, სადაც ზედამხედველები ბინადრობდნენ და სხვა მომსახურე პერსონალიც. ბანაკი გარშემორტყმული იყო სათვალთვალე კოშკურებით. ჩვენ პოლიტიკური პატიმრები სასჯელს ვიხდიდით სისხლის სამართლის დამნაშავეებთან ერთად - ქურდებთან, ბანდიტებთან, გამფლანგველებთან, აფერისტებთან, ყალბი ფულის მჭრელებთან. სწორედ ჩემს მისვლამდე იქიდან გაიქცა ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი ცნობილ ქურდთან ოთარ მაჩიტაძესთან ერთად, რომელსაც ზედმეტ სახელად „ბეხაიას“ უწოდებდნენ. ბევრმა მკითხველმა არც იცის, რომ ადრიან სიყრმეში ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი მშვენიერ ლექსებს წერდა და თავისი რაინდული ხასიათის გამო უღრმეს პატივს სცემდნენ, როგორც პოლიტპატიმრები ასევე კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები. აქვე დავძენ, რომ ავჭალის საპ-

ატიმრო ბანაკში კრიმინალების მხრიდან არავითარ კრიმინალურ გამოხდომებს და სისხლიან ექსცესებს პოლიტპატიმრების მიმართ ადგილი არ ჰქონია. იქ სასჯელს იხდიდა ზოგიერთი ღვაწლმოსილი პიროვნების შვილებიც კი (როგორც კრიმინალები) მაგალითად გ.თ, ლ.თ, და სხვანი მრავალნი, რომელნიც აგრეთვე საპატიმრო ბანაკიდან მოხერხებით გაიქცნენ, ან გაქცევას ცდილობდნენ. პოლიტპატიმრებიდან დღემდე თვალნათლივ მახსოვს ჩვენი იქაური სამმოს წარმომადგენლების სახეები. რა თქმა უნდა, პირველ რიგში ბატონი აკაკის კეთილშობილი სახე. პროფესორ ვაწაძის ცნობილი სახე (სამედიცინი ინსტიტუტის ყოფილი რექტორისა), რომელმაც გამოძიების დროს ჯალათებმა რომ უმოწყალო ცემა დაუწყეს, მოურიდებლად პირში მიახალა: - „ მე მძულხართ. მინდოდა, მინდა და მენდომება თქვენი დამარცხება, ვიდრე პირში სული მიღვას მუდამ საზიზღარნი იქნებით ჩემთვის!“ პოეტი-პროვიზორი ოთარ კანდელაკი, რომელიც ისე უღმერთოდ აწამეს, რომ ორივე ყურით დაყრუვდა და სამუდამოდ ინვალიდი დარჩა. პატიმრობაში ყოფნის დროს მისი დედამა დარდისაგან დაიხოცა, საყვარელი გოგონა საცოლვე კი გაუთხოვდა. ჩვენთანვე სასჯელს იხდიდნენ მამა-შვილი რეზო და შალვა ტყავაძეები. რეზიკო ჭაბუას საქმის გამო იყო დაპატიმრე-

ბული, ხოლო შალვა პროფესიით იურისტი, რომელიც სხვა ანტისაბჭოთა ორგანიზაციის გამო. იყო ვინმე მიშა ჩიქვილაძე, კარგი პატრიოტი და ფრიად ერუდირებული ახალგაზდა კაცი, ლევან აბაშიძე, ნიჭიერი კომპოზიტორი - პირწმინდად მოიხალა ათი წლის საპატიმრო ვადა, გოგი ჭიაბრიშვილი, ბრწყინვალე პატრიოტი, მგზნებარე რწმენის კაცი. ბატონი სამსონ სულაკაური, დრამატურგი (პოეტი არჩილ სულაკაურის მამა). იყვნენ სინდისის პატიმრებიც, უკვე საკმაოდ ცნობილი დრამატურგი კიტა ბუაჩიძე დააპატიმრეს იმის გამო, რომ იცოდა ერთ-ერთი ანტისაბჭოთა ორგანიზაციის შესახებ და არ გაამჟღავნა. აქვე იყო ცნობილი პოეტი ალექსანდრე ბეგაშვილი, რომელიც ქუთაისში ფილოლოგიურ ფაკულტეტზე სწავლის დროს დააპატიმრეს იმის გამო, რომ მანაც იცოდა ერთ-ერთი ანტისაბჭოთა ორგანიზაციის შესახებ და არ გაამხილა. აგრეთვე შესანიშნავი მუსიკოსი, მევიოლინე ჩერსკი, რომელიც ანტისაბჭოთა აგიტაციის გამო იხდიდა სასჯელს და სხვანიც. ცოტა მოგვიანებით ციხიდან მოიყვანეს ჭაბუა ამირეჯიბის ბიძა როსტომ ამირეჯიბი – ყოფილი პოლკოვნიკი, კეთილშობილებით სავსე კაცი, ჭაბუა ამირეჯიბის დედა კი თბილისის განმანაწილებელ ციხეში იყო დიდხანს გამომწყვდეული და ნაწამები. ყველაზე მეტად ბატონი აკაკი წერ-

ეთელი მეგობრობდა კიტა ბუაჩიძესთან, აგრეთვე შესანიშნავ პოეტ ალექსანდრე ბეგაშვილთან. ცოტა ხანს ავჭალის კოლონიაში სასჯელს იხდიდა, არ ვიცი რის გამო, ცნობილი მუსიკოსი გიტარისტი ჟუტუ ჩხიკვაძე, რომელიც მალე გაანთავისუფლეს. როდესაც ავჭალის კოლონიაში მიმიყვანეს, მე ძლიერ განადგურებული ვიყავი ფიზიკურად, მაგრამ მაინც შავ სამუშაოზე მამუშავებდნენ. ხშირად გონივრული ფიზიკური გადაძაბვისაგან დავცემულვარ, მაგრამ პატიმარივე ბრიგადირი წიხლს მირტყამდა და ასე მოვყავდი გონზე. ეს განხლდათ ანტისაბჭოთა აგიტაციის გამო სასჯელმისჯილი ვ.ძ. წარსულში პედაგოგად ნამუშევარი. ვაიმის პატრონს და აღზრდილებს...

ერთხელ შემთხვევით ჩვენს სამუშაო ადგილას ბანაკის უფროსმა ამოიარა და „სახელოვან“ ბრიგადირს ჰკითხა ვინმე საბოტაჟიკი თუ „გვყავს“? ბრიგადირმა ჩემზე მიუთითა: - „აი ეს ლაწირაკი არც თვითონ მუშაობს და სხვებსაც უსაქმურობისაკენ მოუწოდებს, ეტყობა ძველისძველი პოლიტპატიმრებისაგან აქვს გაგონილი, რომ ჭეშმარიტმა პოლიტპატიმარმა არ უნდა იმუშაოს მტრის სასარგებლოდ“. განრისხებულმა, შამპანურით შექეფიანებულმა უფროსმა მრისხანედ ბრძანა ჩემი კარცერში გამომწყვდევა და დაუყოვნებლივ შეასრულეს მისი ბრძანება. იმ ღამეს გაწვიმდა, კარცერში ვეგდე,

წინ ერთი ბოთლი წყალი მედგა და შავი პურის ნაჭერი. არც ჭამის და არც სმის თავი აღარა მქონდა. უცებ სიზმარში მეგონა თავი, კარცერთან მალვით ადამიანი მოვიდა და ხმადაბლა დამიძახა: -მალვა, გამხნველი, აი, საჭმელიც მოგიტანე და ცოტაოდენი ღვინოც. (პატიმრები ზოგჯერ შემოპარებდნენ ხოლმე შამპანურის ცეხიდან წამოღებულ ღვინოს ზონაში). ეს განხლდათ პოეტი აკაკი წერეთელი. მანვე ჩემ თანასოფელელ და მეგობარ ალექსანდრე ბეგაშვილს უთხრა: რამდენადაც ვიცი შალვას კარგი მშობლები ჰყავს და დედისერთა შვილიცაა. თუ შეგიძლია შენთან მოსულებს სასწრაფოდ დააბარე მათთან, შვილის ამბავი შეატყობინე. მშობლებმა შეძლეს უფროსის გაცნობა და სთხოვეს მას, რომ თუ შესაძლებელი იქნებოდა, როგორც ექიმი ან ფერმალი საპატიმროს ამბულატორიაში დავენიშნე. სულ მალე საპატიმროს ბანაკის უფროსმა მე ბანაკის „სტაციონარის გამგედ“ დამნიშნა, რადგანაც კარგი სამედიცინო განათლება მქონდა მიღებული... მაგრამ თუ არა ბატონი აკაკის გულითადობა ალბათ, დიდხანს მომიხდებოდა კარცერში მშინერ-მწყურვალს ჯდომა და შესაძლებელია საბოტაჟისათვის ისევ რესპუბლიკურ ციხეში მიკრავდნენ თავს. ბანაკში მომსახურე თავისუფალი ექიმი მხოლოდ თვეში ერთხელ შამპანურით შესაჭიკჭიკებლად და ჯამაგირის

ასაღებად მოდიოდა. ყველაზე ხშირად ჩვენი საძმო ბატონ კიტა ბუაჩიძის ბანაკში ვხვდებოდით ხოლმე, თუ ვინმეს კარგი მოსაკითხი მოუვიდოდა, ან ოთარ კანდელაკის აფთიაქში, სადაც ის ცხოვრობდა კიდევაც და შესანიშნავი ლიქიორის დამზადებაც იცოდა. არც მე გახლდით ძუნწი ყმაწვილი. ჩემ საავადმყოფოშიც სივიწროვე როდი იყო. საკმაოდ მოზრდილ ოთახში რამდენიმე რკინის საწოლი იდგა და კარგად მოზრდილი რკინის მაგიდა, სკამები. მყავდა სანიტარიც-მუსულმანი სარი ყურბანი, რომელიც გაფლანგვის გამო იხდიდა სასჯელს. როდესაც სტაციონარში პირველად მივედი, სარი ყურბანი ოპიუმით გამომთვრალი დამხვდა (მაშინ ნარკომანობა იშვიათი ხილი გახლდათ). სარი ყურბანი ლაზათიანად ხვრინავდა, ხოლო მისი საწოლის ერთ-ერთ ფეხზე საკმაოდ მოზრდილი გოჭი იყო მიბმული. სწორედ ამის შესახებ არის მოხდენილად ნათქვამი: „ვაჰ, სოფელო რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა“. 1948 წელს რაღაც საიდუმლო ბრძანება გამოვიდა, რომ ყველა პოლიტპატიმარი ჩრდილოეთში – მოუსავლეთში უნდა გაეგზავნათ. მე პოლარული წრის იქით, ვორკუტაში მიკრეს თავი საკმაოდ კარგა ხანს, შავი მადაროს მიდამოებში და ავჭალის ბანაკს,

როგორც სამოთხიდან განდევნილი კაცი ისე ვიგონებდი: ლამაზ პოეზიის საღამოებს, ჩერსკის ვიოლინოს ხმას, ლევან აბაშიძის აკორდეონის სევდიან მელოდიებს. ძვირფასი ადამიანების ბატონი აკაკი წერეთლის და საშა ბეგაშვილის მშვენიერი ლექსების ნარნარს. ვორკუტაში სასჯელის მოხდის შემდეგ მუდმივ გადასახლებაში გამამწყესეს. მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ დავბრუნდი ეგრეთ წოდებულ „სამშობლოში“ და შინ ყოფნის ბედნიერება მქონდა, თუმცა თბილისიდან გასახლებული ვიყავი, მალვით ჩამოსული ხშირად შევხვედრივარ ჩემს ძვირფას მეგობრებს, რომლებთანაც ჭირსა და ლხინს ავჭალის საპატიმრო ლაგერში ერთად ვიყოფდი, მათ შორის ყველასთვის უძვირფასეს მეგობარ ბატონ აკაკი წერეთელს.

P.S. ბატონმა ნუგზარმა თავისი მამის ვრცელ არქივში იპოვა ჩემს მიერ მრავალი წლის წინათ მისადმი მიძღვნილი ლექსი, როდესაც იგი ჯერ კიდევ სკოლის მოწაფე იყო. იმ ლექსის პოვნამ დაკარგული შეილის პოვნასავით უსაზღვროდ გამახარა, მით უმეტეს, რომ უამრავი ლექსი მაქვს დაკარგული იმის გამო, რომ უგზო-უკვლოდ მიხდებოდა მრავალი წლები საპყრობილეებში ხეტიალი.

პოეტი შალვა მჭედლიშვილი



ნესტან გელაშვილი

*ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი*

სვეტიცხოველი

შემოგივლიათ ვისაც მთა-ველი
სხვა მისი მსგავსი სადმე გინახავთ?
როგორც ყოველთვის სვეტიცხოველი
ჩვენი წარსულის ფურცლებს ინახავს.
მკერდში მაცხოვრის კვართი ჩაგიკრავს,
შენს გუმბათის ქვეშ თვლებმენ მეფენი,
შუქი ღვთიური აღარ ჩაგიქრა,
დიდ საქართველოს როგორც შეჭფერის.
ვისაც აქვს შენი ხილვის პატივი
მუხლებზე ჩოქვით წამსვე ჩერდება,
ყველას იზიდავ ანდამატივით
და ყველა ლოცვით შენ გვედრება.
ცადატყორცნილო სვეტიცხოველო,
დიდებულებით შუქივით სავსევ,
საუკუნეთა გზები მოგველოს
და საშუაოდ მდგარიყავ ასე!
შენ არსაკიძეს ძეგლი დაუდგი
ჯერ კიდევ მისი მკლავი გარტყია,
საუკუნეებს წინსვლა ჩაუთქვი,
დრო-ჟამს იცილებ, როგორც ნატყვიარს.
ჟამთასვლა მისთვის ერთი წამია,
კვლავ უკვდავების არის მხლებელი,
ის საქართველოს ნატვრისთვალაია
და დიდი მიზნის შემსრულებელი.

შენ მნახველისთვის ხელიკის ფერი ხარ,
ცადატყორცნილი ვერვინ გაგთელოს,
წმინდა გიორგის შუბს თუ ვერ იხმარ,
გთხოვ, დამილოცო მე საქართველო.
რჩეულო რჩეულ ტაძართა შორის,
სასახლევე უფლის მადლის მთოველო,
კვლავ გაქრებიან ქარივით დრონი,
შენ კი იდგები სვეტიცხოველო.

დეკემბერი, 2006წ.



თამთა კობიაშვილი

*ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის
უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის
ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი*

კახეთის სიწმინდეები

ალბათ, ყველა დამეთანხმება, რომ კახეთი პატარა ნატურისტულია. იგი ულამაზესია არა მარტო თავისი ღირსშესანიშნავი ბუნებით, მდებარეობით, რომლითაც, მართლაცდა ამაყობს კახელი ხალხი, არამედ იგი განთქმულია სიწმინდეებითაც.

რომელი ერთი ჩამოვთვალო: ალავერდის სამონასტრო კომპლექსი, გრემი, იყალთო, ბოდბის წმინდა ნინოს დედათა მონასტერი, წმინდა გიორგისა და თეთრი გიორგის ეკლესიები, ძველი და

ასალი შუამთის მონასტრები, გურჯაანის „ამაღლება“ და „ყველაწმინდა“.

ჯერ ამ ორ უკანასკნელ ხუროთმოძღვრულ ძეგლზე შევჩერდები. ალბათ, პირველ რიგში, ყველა ქართველს უნდა მოეუწოდო, რომ მოიხილოს ეს და არა მარტო ეს სიწმინდეები...

გურჯაანის „ამაღლება“ უძველესი სამონასტრო კომპლექსია. იგი მნახველს აღაფრთოვანებს და, რაც მთავარია, ამაღლებულ სულიერ განწყობილებას შეუქმნის. „ამაღლებას“ მა-

ღალი ადგილმდებარეობაც აქვს, ტრანსპორტი არ უდგება, მაგრამ ფეხით საკმაოდ ადვილი გასაგნები გზაა.

სამონასტრო კომპლექსში გაერთიანებულია თვითონ მონასტერი, პატარა ეკლესია და ბერების სამყოფელი. იქაურობა მათთვის ნამდვილად სულის სავანე, ნავთსაყუდელი და განსასვენებელი ადგილია. ბუნების სიმშვენიერე და მონასტრის დიდებულება არის ყოველივე ამის საწინდარი.

იქ, დაახლოებით, 10-15 ბერი ცხოვრობს; თითოეულ მათგანს განაწილებული აქვს თავისი მოვალეობა ნებისმიერ საქმეში. ისინი ურთიერთშეთანხმებით აკეთებენ ყველაფერს, ზრუნავენ სულიერი ამაღლებისათვის, ლოცულობენ სრულიად საქართველოსა და ქართველი ერის კეთილდღეობისათვის...

გურჯაანის „ყველაწმინდა“ VII საუკუნის ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი საუკეთესო და დიდებული ძეგლია. იგი ორგუმბათიანია, რაც მნახველის გოცებას და აღფრთოვანებას იწვევს. როგორც ცნობილია, მსოფლიოში ორგუმბათიანი მონასტერი მხოლოდ ორია და ერთი მათგანი საქართველოში, ჩვენს საყვარელ კახეთშია. ღმერთს ნამდვილად მაღლობა უნდა შევწიროთ ამ დიდებული ქმნილებით დაჯილდოებისათვის. „ყველაწმინდაში“ განლაგებულია ორი სართული.

პირველ სართულზე არის სამლოცველო ყველა ქრისტიანისთვის, ხოლო მეორე სართულზე განთავსებულია ბერების სამყოფელი, მათი ხილვისას და შემდგომაც მორწმუნე

ადამიანი აუცილებლად დაფიქრდება ამქვეყნიურებაზე, ცხოვრებაზე და თვალთ ცრემლიც მოადგება.

ალბათ, ბევრს წაკითხული ექნება ილია ჭავჭავაძის პოემა „განდევილი“. მათ ყურადღებას აუცილებლად მიიქცევდა ბერის სენაკის აღწერა.



გურჯაანის ყველაწმინდა

სენაკში შესვლის უფლება აქვს მხოლოდ ბერს და მეტს არავის. ზოგიერთ სენაკს აქვს კარი, ზოგს – არა. თუ აქვს ძალიან მცირე ზომის, რადგან ბერის სამყოფელიც საკმაოდ პატარაა. ადამიანს შეუძლია მიუახლოვდეს მას და დაინახოს შინაგარემო. როგორც ვნახე, ერთ კუთხეში, მარჯვენა მხარეს თივა იყო დაფენილი, სადაც ბერი იძინებს, მარცხენა კუთხეში ხატები იყო, ხოლო შესასვლელის პირდაპირ ძალიან მცირე ზომის სარკმელი, აქვე იდგა სანთლის შანდალი და ქვის იატაკზე ეფინა პატარა ტყავი, რომელზეც დასვენებული იყო მაცხოვრის ხატი.

უნდა აღვნიშნო, რომ ქვის არის არა მარტო იატაკი, არამედ კედლებიც. იქ არ არსებობს გათბობის არანაირი

საშუალება ზამთარში და მართლაც, ბევრ განსაცდელს უძლებენ ბერები, ეს მათთვის, ალბათ უკვე ჩვეულებრივობაა, ხოლო ნებისმიერი სხვა ადამიანისთვის ნამდვილად ძნელი ასატანი იქნება. ვისაც აქვს სულიერი სიმტკიცე და ჭეშმარიტი რწმენა, იმკვეყნადაც ის მოიპოვებს მარადიულ, ღვთითმომადლებულ სასუფეველს

ყველა უნდა შევეცადოთ, რომ ვიაროთ ჭეშმარიტების გზაზე, არ დაგვარგოთ უფლის სიყვარული და ნდობა, განვიმტკიცოთ რწმენა, ვიღვაწოთ სულიერი კეთილდღეობისათვის და ცხოვრებაში ვაკეთოთ მოყვასის სასარგებლო ბევრი კარგი საქმე. ეს მოგვანიჭებს ბედნიერებას და აგვამაღლებს სულიერად.

ახლა კი მინდა შედარებით ვრცლად ვისაუბრო ალავერდის საკათედრო ტაძრის შესახებაც.

ალავერდის საკათედრო ტაძარი მდებარეობს ალაზნის ველზე, სოფელ ალავერდთან, ახმეტის რაიონში, თელავიდან 20 კილომეტრის მანძილზე. აქ VI საუკუნის შუა ხანებში მონასტერი დაარსა ცამეტ ასურელ მამათაგან ერთ-ერთმა – იოსებმა, რომელიც აქვეა დაკრძალული.

ალავერდის საეპისკოპოსო კახეთის უმთავრესი და ერთ-ერთი ვრცელი ქრისტიანული სამწყსო იყო, რომელშიც კახეთის ცენტრალური რაიონის გარდა, თუშ-ფშავ-ხევსურეთიც შედიოდა.

სავარაუდოა, რომ ალავერდის მონასტერი ეპისკოპოსის კათედრად

იქცა XI საუკუნის I მეოთხედში, როდესაც აქ, წმინდა გიორგის სახელობის პატარა ეკლესიის ადგილზე, ჰერეთ-კახეთის მეფე კვირიკე III დიდი საკათედრო ტაძარი ააგო. პირველად ალავერდელი ეპისკოპოსი წყაროებში იხსენიება დავით აღმაშენებლის დროს, XIII საუკუნიდან კი უკვე მთავარ-ეპისკოპოსის პატივით მოიხსენიება. ალავერდელი ეპისკოპოსები ატარებდნენ ზედწოდებას „ამბა“, იმის გამო, რომ ისინი მონასტრის წინამძღვრებიც იყვნენ...

თავდაპირველად ალავერდი მამათა მონასტერი იყო, მოგვიანებით – XVII-XVIII საუკუნეებში იგი დედათა მონასტრად გადააკეთეს.



ალავერდი

ალავერდი, როგორც კახეთის უმთავრესი საყდარი, წარმოადგენდა კახთა მეფეების საძვალეს. აქ დაკრძალულნი არიან კახეთის მეფეები და სამეფო სახლის წევრები. ალავერდის ტაძრის ტრაპეზის ქვეშ დაფლულია კახეთის დედოფლის, დიდმოწამე ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილები...

ალავერდის ტაძარი მრავალჯერ დაზიანდა მტრების თავდასხმებისა და მიწისძვრების შედეგად.

მიუხედავად რამდენჯერმე ჩატარებული რესტავრაციისა, ტაძარმა შეინარჩუნა პირვანდელი სახე. ესაა მკაცრი, დიდებული, გრანდიოზული, კომპოზიციურად მთლიანი ძეგლი. ის წარმოადგენს ჯვრისებურ, ცენტრალურ-გუმბათოვან ნაგებობას. ტაძარი ნაგებია რიყის ქვით და მოპირკეთებულია მოყვითალო კვადრებით...

კახეთში ყოველწლიურად 28 სექტემბერს (ძვ. სტ. 15 სექტემბერი) აღნიშნავენ „ალავერდობას“. ეს არის დიდი დღესასწაული თავისი ტრადიციებით, კერძოდ, თითქმის ყველა ოჯახში ცხვება ტკბილი ქადა, მზადდება სხვადასხვა ტრადიციული კერძი, როგორცაა: ხაშლამა, ჩაქაფული, „ცხარე“, ხინკალი და ასე შემდეგ. სუფრაზე აუცილებლად უნდა იყოს კახური ღვინო. ინთება სანთელი და იკურთხება სადღესასწაულო სუფრა.

ოდნავ განსხვავებულად აღინიშნება „ალავერდობა“ თვითონ ტაძარში. აქ ტარდება წირვა და შემდეგ ხდება საკლავის დაკვლა მათ მიერ, ვისაც ჰყავს იქ მიყვანილი პირუტყვი: ცხვარი, ძროხა, მოზვერი... პირუტყვს

ჯერ ტაძრის გარშემო შემოატარებენ და შემდეგ იკვლება ტაძრის ფარგლებს გარეთ. არც ამ შემთხვევაში ირღვევა ტრადიცია და კოცონზე იწვება მწკალები, იხარშება ხაშლამა...

ზოგი მარტო სალოცავად მოდის ახლომანლო სოფლებიდან, ქალაქებიდანაც ჩამოდიან მორწმუნეები სადღესასწაულო წირვაზე დასასწრებად და ტაძრის მოსალოცად...

აქ იმართება საყოველთაო ზეიმი, ლხინი ყველას აერთიანებს; კახელებს, რომლებიც მოსული არიან ოჯახის წევრებთან და სხვა ახლობლებთან ერთად, თავიანთ პურ-მარილზე ჩამოსულ უცნობ ადამიანებსაც ეპატიუებიან და ჩვეული სტუმართმოყვარეობით ყველას აყვარებენ თავს...

აი, ეს იყო კახეთის სიწმინდეებისა და კახელი ხალხის მცირეოდენი დახასიათება. იმედი მაქვს, რომ მომავალში ყველა გაითვალისწინებს ჩემს რჩევას, ვისაც არ უნახავს კახეთი, აუცილებლად მოინახულოს და ღირსშესანიშნავი სიწმინდეებიც დაათვალიეროს, რომელთა ხილვაც უთოდ განუმტკიცებს მორწმუნეებს შემოქმედის სიყვარულს, აღუძრავს ჭეშმარიტი გზით სიარულის წყურვილს.



ხატია ბაშარული

ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის
უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის
ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი

ჩემი ბარათაშვილი

დღესაც, ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 161 წლის შემდეგ, ჭეშმარიტი გრძნობებისა და განცდების გარეშე, შეუძლებელია მასზე საუბარი, რადგან რჩეულთათვის არ არსებობს წლების სათვალავი, თანაც, „ბარათაშვილის სულიდან ამომავალი ნათელის ელვარება ისე დიადი და თვალისმომჭრელი, რომ მას არ უწერია ჩაქრობა წელთა მარადიულ სვლაში“. ეს ნათელია სწორედ მისი შემოქმედების სამშვენისი და მიუხედავად იმისა, რომ მისი მხატვრული მეტეკვიდრეობა (ორმოცამდე ლირიკული ლექსი, ერთი პოემა, რამდენიმე სახუმარო ეპიგრამა, თვრამეტამდე კერძო წერილი და ორიოდე თარგმანი) ნაწილობრივად ობიექტურად შესაძლებლობათა შთაბეჭდილებას ტოვებს, მაინც, ბარათაშვილი ერთ-ერთია ქართველ ლირიკოსებში, რომლებმაც ასე უხვად გაამდიდრეს ჩვენი ერის სულიერი და გონებრივი სამყარო.

მაინც ვინ იყო ბარათაშვილი? - „საქართველოს თავადი, გუბერნსკი

სეკრეტარი, ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილი?“ - როგორც მის საფლავის ქვას წააწერეს განჯაში, თუ „მწირი სოფლისა, დამაშვრალი მისითა ღელვით?“ - როგორც თვითონ წერდა „ვპოვე ტაძარი“...

პირადად ჩემთვის, ბარათაშვილი არის „ბედით დასეტყვილი“ ადამიანი, რომელიც, მიუხედავად ცრუ და მუხთალი წუთისოფლისა, „უვალ“ გზაზე, მხნეობით აღვსილი მიაქროლებდა ფრთაშესხმულ მერანს, ნაცვლად უიმედო დრტვინვისა და ბობოქრობისა.

ეს პატარა წარმოსახვითი ჩანახატი მაშინ დავწერე, როდესაც, ბარათაშვილის ლექსებით აღტაცებულმა, მისი ბიოგრაფია და პირადი წერილები წავიკითხე. ეს ჩემი პირველი ფიქრი იყო ტატოზე, ამასთან ერთად ცხადად დავინახე დიდი ნიკოლოზ ბარათაშვილის სიცოცხლის უკანასკნელი დღე.

როგორც ყოველთვის, მაშინაც მარტო იყო ტატო. იწვა სიცხიანი, საშუალო ზომის, ნესტიან ოთახში და

ღია სარკმელიდან გაჰყურებდა შემოდგომის ნაცრისფერ ღღეს, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო იმ შემოდგომასთან, ტატოს რომ უყვარდა და ენატრებოდა. მართლაც, შემოდგომა ისეთი ლამაზი ხომ არსად არის, როგორც საქართველოში. ზვარში აყვითლებული, აქარვებული მტევნები, წითელ-ყვითელ სამოსში გახვეული ხეები, ნელი, საამო ნიავი და ფოთლების დაუსრულებელი ცვენა მიწაზე. ხშირი წვიმები და მის წვეთებში გაბნეული სევდა, ატალახებული ქუჩები, აღუღებული მაჭარი, საამოდ მომზირალი, გასაშრობად გამზადებული ჩურჩხელები, გაუთავებელი ჟრიაბული რთველში, ხეხილის ბალებში... და კიდევ ვინ მოსთვლის რამდენი რამ.

სწორედ ასეთი შემოდგომა უყვარდა ბარათაშვილს! ახლა კი?... ათასი ფიქრი და განცდა დაუფლებოდა მის გულსა და გონებას. სიცხიანს წყალი სწყუროდა, დამშრალი ტუჩების დასასველებლად, წამოიწია, მაგრამ ვერ მისწვდა... არავინ იყო მასთან, ჭიქა წყლის მიმწოდებელი. უსიტყვოდ მოძებნა ცივი ადგილი ბალიშზე, დადო თავი და დახუჭა თვალები. ახლა ის განჯაში, მაზრის უფროსის სახლში კი არა, თბილისში, ანჩისხატის უბანში იყო, იქ, სადაც გაატარა თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი. უცნაური ღიმილი უკრთოდა დამშრალ ტუჩებზე. დედის ალერსს თუ იგონებდა

ავადმყოფი, მის ნაზ ხელს თუ გრძობდა გახურებულ შუბლზე...

იმედით გაახილა თვალი. ისევ მარტო იყო, ისევ განჯაში. „კვლავ უსიტყვოდ დახუჭა თვალი. ახლა სხვას მისწვდა მისი ფიქრი, ფორტეპიანოს ხმა ჩაესმა ტკბილად, ისევ აუთამაშდა ღიმილი ბაგეზე, ქალის სახელი მოსწვდა მის დამშრალ ტუჩებს, აღელვება დაეტყო ავადმყოფს, მისი გული და გონება ებრძოდა ერთმანეთს. ღიმილმა გაიბრწყინა ისევ მის ბაგეზე, გულმა გაიმარჯვა, ალბათ. უაზროდ მოაფათურა ხელი, თვალი გაახილა, სიცარიელეს ეპოტინებოდა თურმე. სწრაფად დახუჭა აცრემლებული თვალები. მძიმე ფიქრებმა გაიტაცეს მისი გონება, გულის ფეთქვა გაუხშირდა ავადმყოფს, გაურკვეველად ლუღლუღებდა რაღაცას, ბოლოს შემზარავი ამოძახილი აღმოხდა მომაკვდავს: „ვაი, ჩვენი ქართლის ბედო!“

ღია სარკმლიდან სიომ დაჰბერა, ეამა სიცხიანს, გარეთ გაიხედა, ბინდებოდა...

„ბინდის ფერია სოფელი
უფრო და უფრო ბინდდება,
რა არის ჩვენი სიცოცხლე?
ჩიტივით გაგვიფრინდება!...“

და მოფრინავდა ჩიტი განჯიდან. ეშურებოდა, ცუდი ამბავი მოჰქონდა საქართველოში...

მძიმე ნისლი ჩამოაწვა განჯას. უცნაური, შავი ჯანლი გადაეფარა ცას, ავის მომასწავებლად მიყურდა არემარე, აუტანელი სიჩუმე გამეფდა ირგვლივ.

ორიოდე ცრემლი ჩამოუგორდა ავადმყოფს გახურებულ ლოყებზე. ცას გახელა, ესიამოვნა, შეაჟრჟოლა შავმა ჯანლმა... ისევ დახუჭა თვალები, იმ იმედით, რომ „გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს!“

მეორე დღეს, მართლაც, გათენდა მზიანი დილა, მაგრამ ბარათაშვილისთვის უკვე ახდენილიყო საშინელი წინასწარმეტყველება:

„მოკვდები – ვერ ვნახავ ცრემლსა მე მშობლიურს, მის ნაცვლად ცა ლურჯი დამაფრქვევს ცვარს ციურს.“

ერის შვილობა მძიმე ტვირთითა

ჭემმარიტად, უდიდესი ბედნიერებაა დაიბადო „გმირებით სავსე მხარეში“ და მეც უზომოდ ამაყი და ბედნიერი ვარ, რომ დავიბადე საქართველოში, ქსნის ხეობაში. იქნებ ამიტომაც ძალიან ხშირად ვუფიქრდები ხოლმე ადამიანის დანიშნულებას და მისი ჭემმარიტი პატრიოტიზმის პრობლემებს.

ადამიანი რთული არსებაა და მას ცხოვრების ასევე რთულ გზაზე სტარებლად მრავალი ტვირთიც აწევს.

რთული არსებაა-მეთქი იმიტომ ვთქვი, რომ ყველა ადამიანი თავის წილ ტვირთს სხვა და სხვა მიმართულებითა და გზებით ზიდავს და ყველას მაინც თავისი არჩევანი მოსწონს. სწორედ ამ და სხვა მრავალი მიზეზის გამოა ადამიანი რთული და ამოუცნობი ქმნილება, ხოლო იმ ტვირთისაგან, რომელიც ადამიანს აწევს, მისთვის ყველაზე საჭირო და აუცილებელი, ძვირფასი და სანუკვარი, და ამავე დროს ყველაზე მძიმე და რთული ტვირთი ერის შვილობაა, ხოლო ადამიანთაგან კი ყველას არ შესწევს ის ძალა და უნარი ეს უმძიმესი ტვირთი წელში მოუხრელად ზიდოს. დიახ, მრავალია ისეთი, ვისაც ტვირთი ჩამოუღია მხრებიდან და ისე გაუგრძელებია გზა, მერე კი მწარედ უნანია, რომ ამ ქვეყანაზე ყველაზე საჭირო ტვირთი ჩამოიხსნა მხრებიდან და იქ, სადღაც შორეულ წარსულში გზის პირას უპატრონოდ მიაგლო. შემდეგ ბევრს უცდია კიდევ საქციელის გამოსწორება, მაგრამ მას მაინც მუდამ და ყოველთვის, ვეღარ მოუშორებია დალი-ერის უდიდესი შვილი, მოღალატე, გამყიდველი... თუმცა არიან ისეთებიც, „ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი დაღვარა“ ერისთვის და მისი ღირსეული შვილობისათვის. რომელთა ხსოვნასაც „ქვეყანა სანთლებად აინთებს“... რომლებმაც შეძლეს უკვდავეყნოთ თავიანთი ერის შვილობის სახელი და ისტორიის კარი შეაღღეს,

როგორც ღირსეულმა მაბულიშვილებმა ჩვენდა სამწუხაროდ და საბედნიეროდ საქართველოსაც მოეძებნება ისეთებიც და ასეთებიც. მაღალმა ღმერთმა იცის, სასწორი რომელ მხარეს გადაიწევა, მათკენ, ვინც მძიმე ტვირთი ერის შვილობისა, სამარის კარამდე ღირსეულად ზიდა, თუ ... თუმცა ფაქტი ისაა, რომ კაცს ყოველთვის მათზე ფიქრი სურს, რომელთა სახელის გახსენებაც ჩვენში სიამაყეს აღძრავს. აი, ასეთი ადამიანებით კი საქართველო საკმაოდ მდიდარი იყო ოდითგანვე და ის, რომ მშობლიური მიწა-წყლის სიყვარული ქართველ კაცს ოდითგანვე დაჰყვა და არც არასოდეს განელებია, ნათლად არის გამოხატული ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, რომელიც სავსეა ღვაწლით მოსილი გმირების სახელებით. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მრავალნი არიან, ვინც უცნობია ჩვენთვის.

ჩვენს ქვეყანას ყველა ეპოქაში ჰყავდა ღირსეული შვილები. ვისთვისაც „საქართველო წიგნი იყო ჩუმად გადასაშლელი და გულისცემაში ჩასერილი სიკეთე წმინდა“. მათ აფიქრებდათ სამშობლოს ბედი და განიცდიდნენ მის ტკივილს. ისინი ყველაზე სანუკვარ რამეს – ღვთის ნაბოძებ სიცოცხლეს – სათაყვანებელ სამშობლოს სწირავდნენ და სხვადასხვაგვარად თავდადებით უმტკიცებდნენ მშობელ ქვეყანას გულწრფელ სიყვარულს. ზოგი თავს სწირავდა ფიცხელ ომში და საქართვე-

ლოს წინააღმდეგ მოქმედ მტრის ხმალს უწინ ახვედრებდა სამშობლოს სიყვარულით აძგერებულ გულს. სწორედ ასეთები იყვნენ – მარტყოფის, მარაბდის, კრწანისის... გმირები: ცხრა ძმა ხერხეულიძე, ცხრა მაჩაბელი, სამასი არაგველი... და ის ქართველნი, რომელთა ხელითაც ქსნის ხეობაში ჩაწყდა თორმეტათასიანი ყიზილბაშური მხედრობა, რითაც ქართველებმა ერთიორად აიღეს მარაბდის სისხლი და ბოლმა. ქსნის ხეობელმა ვაჟკაცებმაც „გააძღეს“ მტრის სისხლით ქსანი – ორი კვირა ვერ დაიწმინდა თურმე ქსნის წყალმა წითელი ფერი...

ზოგი კალმითაც იბრძოდა და სისხლის ნაცვლად ძელანს ღვრიდა. ისინი თავიანთი წმინდა და ლამაზი სიტყვით სიმართლეს უშიშრად თესავდნენ ხალხში და შთამომავლობასაც უტოვებდნენ უმდიდრესსა და უმშვენიერეს პროზასა და პოეზიას, რის დასტურადაც საკმარისია გავიხსენოთ ჩვენი ღიდი წინაპრები და მათი მრავლისმთქმელი სიტყვები:

შოთა: „სჯობს სიცოცხლესა
ნაძრახსა,

სიკვდილი სახელოვანი“

ილია: „ჩემო კარგო ქვეყანავ,
რაზედ მოგიწყენია?

აწმყო თუ არა გწყალობს,
მომავალი ჩვენია...“

აკაკი: „ცა – ფირუზ,
ხმელეთ–ზურმუხტო,

სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო!..“

ვაჟა: „სამშობლოს არვის
წავართმევთ,
ჩვენც ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ ღლეს დავაყრით,
მკვლარსაც კი გაეცინება.“
გალაკტიონი: „ცვრიან ბალახზე თუ
ფეხშიშველა
არ გავიარე – რაა მამული?!“

ზოგი კი მთელი სიცოცხლე
ჯვარს ეცვა სამშობლოსათვის და,
როგორც ქრისტე ევნო ჩვენთვის –
კაცთათვის, ისე ისინი საქართვე-
ლოსთვის და სარწმუნოებისთვის. წამე-
ბული ერის შვილები კი მრავლად
არიან: დიმიტრი თავდადებული, ცოტ-
ნე დადიანი, ქეთევან დედოფალი ...
ბახტრიონის გმირები – შალვა და
ელიზბარ ქსნის ერისთავები, ბიძინა
ჩოლოყაშვილი.

ეს სამეულია სწორედ ერთ-ერთი
საუკეთესო მაგალითი იმ ქართველები-
სა, ვინც ერის შვილობის მძიმე ტვირ-
თი სამარის კარამდე ღირსეულად ზიდა.
მათ, შაჰის კარზე ჩასულებმა, არ
უარყვეს ქრისტიანული რჯული და
სირცხვილს სიკვდილი არჩიეს, მიუხე-
დავად იმისა, რომ კარგად იცოდნენ
წამების ის სასტიკი ხელოვნება, რომ-
ლითაც შაჰ-აბასი ხელმძღვანელობდა
ხოლმე ასეთ დროს. მათ დათმეს სიც-
ოცხლე და არ დათმეს სარწმუნოება.

ადამიანისაგან სამშობლოსათვის
საკუთარი სიცოცხლის შეწირვა ეჭვ-
მიუტანელი გმირობა და ღირსეული
ერისშვილობაა. ჩვენი სამშობლოც ზომ
ერთ-ერთი ბედნიერი და ნებიერი ქვეყ-
ანაა ამ მხრივ მაგრამ, ალბათ, დამეთ-
ანხმებით, რომ საზოგადოდ ყველა
გმირობა რასაც ერთნაირად სამშობ-
ლოსათვის თავდადება ჰქვია, მაინც
ერთნაირი მნიშვნელობით ვერ შეფას-
დება, რადგან ჩემი აზრით, ერთნაირი
მნიშვნელობა ვერ მიეცემა თვითშეწირ-
ვას ერის ამალღებისა და ერის დაცე-
მის ეპოქებში. ქართველი ხალხის
ისტორიაში ერთნაირად ვერ შეფას-
დება სამშობლოსათვის თავგანწირვა
მეთორმეტე საუკუნესა და თავგანწირ-
ვა მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეებ-
ში, რადგან მაშინ, როცა ერი აყვავე-
ბულია და მის ეროვნულ არსებობას
არავითარი საფრთხე არ ემუქრება,
სამშობლოსათვის საკუთარი სიცოცხ-
ლის გაწირვა – თავისთავად უდიდე-
სი გმირობაა, მაგრამ სრულიად სხვა
ხასიათი და მნიშვნელობა ენიჭება
თვითშეწირვის გმირობას მაშინ, როცა
ერი უკვე დამხობის, გადაგვარების
გზაზეა მისული. სწორედ ასეთ მდგო-
მარეობაში იყო საქართველო ბიძინა
ჩოლოყაშვილისა და შალვა და
ელიზბარ ქსნის ერისთავების ეპოქა-
ში – როცა ყოფნა-არყოფნის საკითხი
იღგა – ვიქნები თუ არა მე, ვითარცა
ერი ხვალ, ზეგ, მერმის? – არა, არ
ვიქნები! ანუ უფრო არ ვიქნები, ვი-

დრე ვიქნები! სწორედ ასეთ უმძიმეს ეროვნული გადაგვარების ჟამს სჭირდებოდა ქართულ სამყაროს დიადი მაგალითი ქრისტიანობისა და ქართველობის გადასარჩენად თავგანწირვისა, სჭირდებოდა და კიდევაც ჰყავდა და ჰყავდა არა ერთი, არამედ მრავალი... ამ მრავალთაგან განსაკუთრებით გამორჩეული იყვნენ შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები და ბიძინა ჩოლოყაშვილი, რომლებიც ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად იქნენ შერაცხულნი და შთამომავლობისაგან უკვდავების შარავანდეთით მოსილნი. დაიხ, ეს სამი გმირი, ჩემთვის დღესაც უზენაესი მამულიშვილობის მწვერვალზე დგას, როგორც ერის შვილობის მძიმე ტვირთის ღირსეულად მატარებელნი.

დღევანდელი საქართველოს მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩვენ ისლა დაგვრჩენია, რომ დახმარება შევთხოვოთ მათ – წმიდა მოწამეთა ბიძინასა და ორთა ძმათა, ქსნის ერისთავთა – ელიზბარსა და შალვას, რათა შეგვეწიონ, რომ ერის შვილობის მძიმე ტვირთი ჩვენც სამარის კარამდე ღირსეულად ვზიდოთ, მით უმეტეს, რომ ეს საქართველოს ახლა

არანაკლებ სჭირდება ვიდრე მაშინ – მათ ეპოქაში.

„ღვაწლით შემოსილნი
უფლისანო,
ნეტარ არს მიწა იგი, რომელთა
შეიწყნარეს გვაძნი თქვენი,
რამეთუ
სტადიონსა მას შინა მტერი
მოაუძღურეთ
და ქრისტე ღმერთი კანდიერად
ჰქადაგეთ,
მას, ვითარცა სახიერსა,
ევედრებით
შეწყალებად სულთა ჩვენთათვის“.

(„ლოცვანი“)

ამ პატარა წერილის მიზანი და ჩემი საუკეთესო ოცნება არის ის, რომ საქართველოს ყოველთვის ჰყავდეს ჭეშმარიტი გმირები, ჩვენმა დღევანდელობამაც წარმოაჩინოს ისინი და ცრუ პატრიოტიზმს, ან სიყალბით, ანგარებით ავსილ პატრიოტიზმს დაუპირისპირდეს ღვთისა და ქვეყნის ჭეშმარიტად ძლევაძმოსილი სიყვარული.

რწმენა, რომელსაც სულიერი სიხარული თან არ ახლავს
(კონსტანტინე გამსახურდია – „დიონისოს ღიმილი“)

თამარ გუმბერიძე

ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის ასპირანტი

კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილში“ მთავარი მოქმედი გმირისათვის ქრისტეს ჯვარი მძიმეა სატარებლად, იგი არ არის ისეთივე ცოცხალი, როგორც გრიგოლ რობაქიძესთან.

კონსტანტინე სავარსამიძეს ქრისტე უყვარს ფარულად, გულის სიღრმეში, ცნობიერად კი სძულს და ეზიზღება, რადგან თავი დიონისური თრობით შთაგონებულს, უფლის მეტოქედ მიაჩნია, არადა ახალ ქრისტედ გამოცხადებას ლამობს. ჯვარცმული ქრისტე კი ყოველთვის წინ ეგება და სიცოცხლეს უშხამავს. სავარსამიძე ხან წირვა-ლოცვებს ესწრება, მაგრამ მთელი ღამე ლიტანიობით მუხლდაცვეთილი უკან დაბრუნებისას აზისის გზაზე ჯვარცმას ლეწავს.

„ქრისტეს ჯვრის დანახაზე ჩემი განადგურებული ქვეყანა მომაგონდა. დავლექე ჯვარცმა და ვგმე ქრისტე, ჩვენი დამქცველი“.

„ქრისტეს ჯვარს შეეწირა დიდი საქართველო; მე იმ საქართველოზე ოცნებამ მომიშხამა საწუთროება. ასე გამწარდა ჩემი ახალგაზრდობა. აღარ მწამს ამ ქვეყნად აღარც ღმერთი, არც ისტორიის სამართალი“ (V, 819-820).

კონსტანტინე სავარსამიძის სულის იდეალია წმ. კონსტანტინე, წმ. გიორგივით უშიშარი რაინდი, საქართველოს უბედურების მიზეზად ქრისტეს ჯვარი მიაჩნდა, რადგან ქრისტეს სახელით დაიმორჩილა რუსეთმა საქართველო, ხოლო ევროპამ დაივიწყა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა.

ლიტერატურათმცოდნენი არცთუ იშვიათად რელიგიურ გაორებას მიაწერენ სავარსამიძეს, მიაჩნიათ, თითქოს იგი, ერთის მხრივ, ქრისტესაკენ მიიღობის და ხანდახან თვითონ, ვითარცა ღმერთი ეწამება. სოსო სიგუა, შენიშნავს, რომ სავარსამიძე ხალხის ცნობიერებაში ღრმად აღბეჭდილ ფორმას იყენებს ქრისტესას და მას დიონისური შინაარსით ავსებს.

„ჭეშმარიტება და მშვენიერება გაერთიანდნენ. დიონისური ექსტაზით შეპყრობილი ინდივიდი მოიტანს ახალ მრწამსს. ეს პოტენციურად ახალი ქრისტეა და სავარსამიძე მას განასახიერებს“.¹

მკვლევარი შტეფი - ზოტივარი იუნგერი მიიჩნევს, რომ რომანის პირველ სცენებში, სადაც ღმერთი დიონისე ჩნდება თითქოს იგი შეესაბამება ძველ ბერძენთა თავდაპირველ წარმოდგენას ნაყოფიერების, ღვინისა და თრობის

ღვთაების შესახებ, ხოლო შემდეგ, როგორც კი ავტორი სავარსამიძის ბელს უკავშირებს მას, ვაწყდებით მსოფლმხედველობას, რომელსაც ფ. ნიცშეს ფილოსოფიურ შეხედულებამდე მივყავართ.⁴

გაგა ლომიძის მოსაზრებით, სავარსამიძისათვის მარადიულობის ნიცშესეული კონცეფციაა მახლობელი. „ესე იტყოდა ზარატუსტრა“-ში ნათქვამია, რომ აქლემივით მორჩილება უნდა გარდაიქმნას ლომის ნებაში და შემდეგ ადამიანი ბავშვივით წყნარი უნდა გახდეს. ასეთია სამყაროს კანონი, როდესაც სავარსამიძის სულიერი ძალები დაშრეტილია, ის ზოოლოგიურ ბაღში მიდის და ლომის ჭვრეტით ტკბება, ნატრობს მის მსგავს ენერგიას. ლომი ხომ ასევე ღიონისოს ორეულიცაა. მასში განსხეულებულია ჯანსაღი საწყისი“.⁵

კონსტანტინე სავარსამიძე თავისთავში ღმერთს ეძებს, მაგრამ საკითხავია რომელ ღმერთს? აქ მისი პიროვნება ორად იყოფა. ერთის მხრივ, იგი ყოველთვის, როგორც ბავშვობაში, ისე მოწიფულობაში, ქრისტეს უკავშირდება (ძიძიშვილებმა ჯვარზე გააკრეს, ბიანკამ ჯვარცმული დახატა) და ამავე დროს თითქოს სძულს იგი, ამის გამოხატვა იყო სავარსამიძის მიერ აზისის გზაზე ჯვარცმის დამსხვრევა.

მეორე მხრივ ამ მტრული განწყობილების საპირისპიროდ, კონსტანტინე სავარსამიძე მთელი სულიერი არსებით მიელტვის და ეტრფიალება

წარმართულ ღმერთს ღიონისეს. „ღარდითა და ვარამით სავსე იყო ჩემი სული, შენ უღარდელი გამხადე, ეჭვებით დაღრღნილი იყო ჩემი გული, როგორც ჭიანჭველებისაგან გამოხრული გოლეული და შენ აავსე იგი იმედითა და სიტკბოებით“ (V, 717).

აკაკი ბაქრაძის მოსაზრებით სავარსამიძე არჩევანს ვერ გააკეთებს, მაგრამ ვერც ამ ორ ღმერთს შეარიგებს. ქრისტე და ღიონისე მტრები არიან, ერთმანეთის უარყოფელი და გამომრიცხველი. ასე იქმნება სავარსამიძის ტრაგედია,² რადგან „ბედნიერია მხოლოდ ის კაცი, ვინც ერთი ღმერთის მშვიდობიან კარავში შესძლებს ამ უდაბნოში გადაჩრდილებას“ (V, 793).

აკაკი ბაქრაძე მიიჩნევს, რომ კონსტანტინე სავარსამიძე ვერც ცოდნით და ვერც სიყვარულით ვერ მისწვდა ღმერთს. კონსტანტინეს სურს დაუბრუნდეს პირველყოფილ უშუალობასა და სისუფთავეს. სავარსამიძემ სიზმრების სამყაროს მიაშურა და იქ სცადა თავისი არსებობის გადატანა.² მაგრამ საუბედუროდ, სავარსამიძისთვის სიზმარი ცხადის პირველსახე გახდა: „სიზმარში ვხედავ მოსალოდნელი სიმძიმისა და სიხარულსაც“.

ვერც ქრისტემ და ვერც ღიონისომ კონსტანტინე ღვთაების საკურთხევლამდე ვერ მიიყვანა.

ზვიად გამსახურდია მკვეთრად დაუპირისპირდა სიგუას, იუნგერისა და სხვათა მოსაზრებებს. ის აცხადებს,

რომ „დიონისოს ღიმილი“ ერთი შეხედვითაა ანტიქრისტიანული ნაწარმოები, სინამდვილეში ანტიდიონისური ხასიათისაა. კონსტანტინეს უნდოდა დაეწერა რომანის გაგრძელება „კონსტანტინე სავარსამიძის სერაფიმული ღამე“, სადაც გმირის სულიერი აღორძინება იქნებოდა მოცემული.

„არც ერთ ერს არ შესძლებია ჩვენებრ რელიგიის გაშუქება პოეზიის ოპტიკით. ქართველობა ისე ვიდოდა იესოს სისხლიან კვალზე, რომ ამავე დროს დიონისეს ყვავილოვან შუბლს თვალს არ აშორებდა. ჩვენი ეროვნება სწორედ დიონისესა, ქრისტე ნაზარეტელსა და ზარატუსტრას შორის დადგომამ იხსნა. ეს გასაოცარი დუალიზმი ჩვენი სულისა, და ჩვენი ბუნებისა, უებარ მაღამოდ ეწამლა ჩვენსავ ეროვნულ არსებობას“ - წერდა კ. გამსახურდია თავისი ერთ-ერთი ესეში. („ქართველობა და უცხოეთის გენია“).

თანამედროვე მითოლოგიური კვლევის საერთო თვალსაზრისით, დიონისე არის სიმბოლო ადამიანის უმაღლესი „მე“-სი, რომელიც დამკვიდრებულია ქვენა ბუნებაში და იღვიძებს სულში.

ზვიად გამსახურდია ასკვნის, რომ ბუნებას თავისთავად არ ძალუძს პოვნა, გადარჩენა და აღდგენება სიკვდილის მიერ მიტაცებულის საჭიროა მხსნელი ღმერთი, განმანათავისუფლებელი, რომელიც შთახდება ჯოჯოხეთად და ბრუნდება უკან. ერთ-ერთი ასეთი ღმ-

ერთია სამყაროს მხსნელი და განმაახლებელი დიონისე.³

დიონისური რელიგიის მკვლევართა აზრით, დიონისესთან ურთიერთობისათვის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია კათარზისი-განწმენდა იყო. კონსტანტინე სავარსამიძეს სურს განიწმინდოს, პირველყოფილ უშუალობასა და სიწმინდეს დაუბრუნდეს. ერთადერთი, რაც მას განუზომელ სიხარულს ანიჭებს, ბუნებასთან ურთიერთობაა. აქ პოულობს შვებას, თავისუფლებას. აქ ხდება მისი სულიერი განწმენდა.

კონსტანტინე სავარსამიძე ვერ გაექცა დროს, ვერც თავის ღმერთს მიაგნო და ვერც სიყვარულში იპოვა შვება. ყველგან ხელმოცარულმა ქვეყნის დაქცევა ინატრა.

უღმერთოდ, უსიყვარულოდ და უსამშობლოდ დარჩენილმა კაცმა მალე თავისი სათაყვანო ღმერთის - დიონისეს სიკვდილიც ნახა.

აკაკი ბაქრაძე მიიჩნევს, რომ სავარსამიძის ჯოჯოხეთად ჩასვლა მისი საბოლოო დამარცხება და განადგურებაა, რადგანაც მშობლიურ მიწას მოწყვეტილმა ადამიანმა, ვერც ღმერთი იპოვნა, ვერც სიყვარული და ვერც ცხოვრების გზას მიაგნო.

„აღარც სიცილი შემიძლია, აღარც ტირილი...“

და ერთადერთი ნატვრაა ჩემი; ყინულზე დაგარდნილი ნაპერწკალივით გადნეს თუნდაც ჩემი სხეული.

...

ტაია შელია!

ჩემი ცხოვრების ნახევარგზაზე შემომადამდა!"

სავარსამიძე დიონისეს ეტრფო-
და, ქვეცნობიერად ქრისტეც უყვარდა.
თუკი გარეგნულად სრულიად განსხ-
ვავებული ორი არსება გიყვარს, მათ
შეიძლება შენგან გაუცნობიერებლად,
მაგრამ მაინც გააჩნდეთ ერთი რაღაც
საერთო, ის ზოგადი, რასაც ესწრაფვი.

ამ შემთხვევაში კი ქრისტესა და
დიონისეს საერთო ცნება სულიერი
სიხარულია. ამიტომაც ქრისტეს აღდგო-
მა ყველაზე დიდი დღესასწაული,
სიკვდილზე გამარჯვება, ტკივილზე
(ჯვარცმა) ამაღლებაა. ქრისტე ჩვენი
ცოდვებისათვის ეცვა ჯვარს, ეს უნდა
გვტკიოდეს, მაგრამ იგი აღსდგა, ეს კი
გაცილებით დიდია, სულის ზეიმია, ჭეშ-
მარიტი სიხარულია. დიონისეს შემთხ-
ვევაში კი ეს სიხარული გარეგნულად
ჩანს. სავარსამიძე უბრძოლველად,
დაუფიქრებლად ლებულობს ამ სიხ-
არულს, რადგანაც ქრისტეში მხოლოდ
ჯვარცმულს ხედავს და არა აღმდ-
გარს, განახლებულს.

სავარსამიძის უსახელო ღმერთი
სულიერი სიხარული იყო, რომელსაც
ეტრფოდა, ესწრაფვოდა დიონისესა და
ქრისტეში. საბოლოოდ კი მან ვერ
შეიგნო ის რასაც ეძებდა და ამიტომ
გახდა ტრაგიკული, ცხოვრების ნახე-
ვარგზაზე შემოღამებული.

სავარსამიძის ჯოჯოხეთად ჩას-
ვლა შეიძლება არ მივიჩნიოთ მისი
ცხოვრების ბოლო ეტაპად, თუნდაც
იმიტომ, რომ ეს სიზმარი იყო, მართა-
ლია ცხადთან დაკავშირებული, მაგრამ
მაინც არარეალური. აქედან გამომდინარე
შეიძლება ეს მივიჩნიოთ ერთგვარ
მინიშნებად იმისა, რომ სავარსამიძემ
ახალი გზა უნდა იპოვოს, რადგანაც
მის მიერ განვლილმა გზამ იგი მარ-
თლაც ჯოჯოხეთისაკენ გააქანა და იგი
განადგურებული ადამიანის მსგავსად
წყვეტს საკუთარ მდგომარეობას, ბედს,
ალბათ იმიტომ რომ ახალი გზის სა-
ძებრად მას ძალა აღარ შესწევდა, რად-
გან ცხოვრების ნახევარგზაზე შემო-
ღამებულმა და თავიდანვე ცნობიერე-
ბაგაორებულმა მთელი სიცოცხლე ძიე-
ბაში გაატარა, ვერცერთ ღმერთში ვერ
ჰპოვა ბედნიერება და ბუნებრივია,
სიკვდილი ინატრა. ალბათ, მიზეზი
ამისა მაინც ის იყო, რომ სულიერი
სიხარული არ ახლდა მის რწმენას.
ქრისტეში იგი მხოლოდ ჯვარცმულს
ხედავდა და ჭმუნვის განსაქარვებლად,
სიხარულის საპოვნელად მომღიმარ
დიონისეს ეძებდა.

სათაურიდან გამომდინარეც „დი-
ონისოს ღიმილი" ესაა ნაწარმოები
არშემდგარი ბედნიერების შესახებ, იმ
ბედნიერების, რომლის პოვნის ქვეტე-
ქსტი თავად სათაურშია მოცემული.

პატრიოტი და მოღვაწე კაცი



თეიმურაზ მიბჩუანი

აფხაზეთში დიდად სამწუხარო ამბებისა და სოხუმის დაცემის შემდეგ, როცა თბილისში ყალიბდებოდა ღვენილი ლეგიტიმური ხელისუფლება, ჩვენც გადავწყვიტეთ საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ აფხაზეთის საოლქო ორგანიზაცია შეგვენარჩუნებინა, საქმიანობა გაგვეგრძელებინა და უკეთეს მონაგალზე იმედით გვეფიქრა.

დავიწყეთ „საზოგადოება ცოდნის“ აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარეობისათვის შესაფერისი კანდიდატის ძებნა. ვისაც კი ვკითხეთ—

აფხაზეთის მეცნიერებს თუ „ცოდნის“ მოღვაწე ლექტორებს, ყველამ ერთხმად დაგვისახელა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ჭეშმარიტი პატრიოტი, დიდი ავტორიტეტისა და გავლენის მქონე თეიმურაზ მიბჩუანი, რომელიც არძინბას მიერ დასახვრეტად გამიზნული ქართველი მოღვაწეების წინასწარ შედგენილი სიის პირველ სამეულში იყო შეტანილი.

ცოტა ხანში შევხვდით თავმჯდომარეობის კანდიდატს, რომლის აქტუალური სტატიები, აგრეთვე ზოგიერთი წიგნიც უკვე წაკითხული გვქონდა და მეცნიერული პატიოსნებისა თუ ნიჭიერების გამო ძალიანაც მოგვწონდა, ვხედავდით, ქართულ-აფხაზური, უფრო ზუსტად კი ქართულ-რუსული კონფლიქტის მოგვარებისათვის თავდადებული პიროვნული ბრძოლა ყველაზე მეტად მას ხელეწიფებოდა, კაცურად და პირადულადაც ღრმად ნასიამოვნები დავრჩით. მას ისეთი მიზნები ჰქონდა, რომ ერთ კაცს ერთი კვლევიით ინსტიტუტის სამყოფი საქმის გაკეთება შეეძლო ურთულესი ამოცანის გადაჭრისაკენ მიმავალ გზაზე.

ჩავატარეთ გამგეობის სხდომა და თეიმურაზ მიბჩუანი ერთხმად ავირჩიეთ „ცოდნის“ აფხაზეთის ორგანიზაციის თავმჯდომარედ. მას შემდეგ ათწელიწადზე მეტი ვთანამშრომლობდით და ვმეგობრობდით, ისეთი პიროვნება იყო მასთან მეგობრობაც გაგიხარდებოდა.

ის იყო ნამდვილი მეცნიერი, მკვლევარი, საქმეში ღრმად ჩახედულ-ჩაღრმავებული კაცი, ვინც სკრუპულოზურად სწავლობდა, ადარებდა საარქივო მასალებს, მის ხელთ არსებულ ძველ გამოცემებს და შეჯერების შემდეგ გამოჰქონდა აქტუალური დასკვნები.

მრავალ მეცნიერულ თუ სამეცნიერო-პოპულარულ წიგნებს შორის, ჩემი და ასეულობით ადამიანის დიდი მოწონება დაიმსახურა თემურ მიბჩუანის „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ისტორიამ“, რაც საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ საშუალო სკოლების უფროსი კლასებისათვის დამზადებული სახელმძღვანელოდ იქნა დამტკიცებული. კეთილსინდისიერი, შთამბეჭდავი, მაღალმეცნიერული გამოკვლევის დამთავრების შემდეგ თემურაზ მიბჩუანს გამოაქვს დამაჯერებელი, დიდი ზემოქმედების მომხდენი დასკვნები, რაც ჩვენს სინამდვილეში მეტიმეტად აქტუალურად ჟღერს. შეიძლება დასკვნების ერთი ნაწილი აქაც მოვიტანოთ ნათქვამის საილუსტრაციოდ, სადაც ლაპარაკია სვანურ, მესხურ, მეგრულ-ლაზურ ტომთაგან აფხაზების წარმოშობაზე:

„ამ სამი ქართველური ტომის ერთმანეთში გათქვეფვის, ასიმილაციისა და ინფილტრაციის შედეგად უნდა ჩამოყალიბებულიყო აფხაზი ხალხი, თავისებური მეგრული კილოკავითა და მენტალიტეტით, რომელიც წარმოადგენდა მეგრულ-ლაზურის, სვანურისა და მესხურისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების კონგლომერატს, რასაც აფხაზურს ვეძახით. ტერმინი

„აფხაზი“ და „აფხაზეთი“ ქართული ენების მეგრულ-სვანურის/ საფუძველზე იხსნება და არაფერი საერთო არ აქვს ადიღეურ – აფსუა-აბზოასთან... ამიტომაც XVI საუკუნემდე აფხაზეთში არაქართული არ შეიმჩნევა არც ტოპონიმიკაში, არც კულტურაში, არც გვარ-სახელებში, არც სარწმუნოებაში და ა.შ.

ამგვარად ისტორიული აფხაზების, როგორც ხალხის ეთნოსუსტრატის წარმოადგენენ მეგრულ-ლაზური, სვანური და მესხური ეთნიკური ერთეულები.“

თავისი ძალზე მნიშვნელოვანი მეცნიერული ნაშრომის უდიდესი ნაწილი თემურ მიბჩუანმა სწორედ აფხაზეთის ისტორიის სწორ კვლევას მიუძღვნა და სწორედ ამიტომაც იყო, რომ აწყოფილმა არძინბამ იგი პირველ რიგში დასახვრეტ ადამიანთა სიაში შეიყვანა.

თემურ მიბჩუანის მაღალკვალიფიციური წიგნები ხშირად გამოდიოდა, მას არ შეეძლო უსაქმოდ გაჩერება, შრომობდა, იღვწოდა და მერე ვულკანივით აფეთქდებოდა.

წესად ჰქონდა საკუთარი წიგნების ნაცნობ-მეგობრებისათვის ჩუქება, თანაც თბილი, შეიძლება ასეც ითქვას გულუხვი, მისი ვაჟკაცური ბუნებისათვის დამახასიათებელი წარწერებით. მაგალითისათვის შეიძლება მოვიტანო აქვე ნახსენები აფხაზეთის ისტორიის პირველი ტომი, რომელიც თემურ მიბჩუანს 2003 წლის 28 ნოემბერს უსახსოვრებია ჩემთვის: „ნუგზარ წერეთელს, ბრწყინვალე გვარის წარმომადგენელს, დიდ ერისკაცს, სიყვარულით

ავტორი— თ.მიბჩუანი.“ ასეთი სახის მიძღვნებაშიც ჩანდა თემურ მიბჩუანის დიდბუნოვნება.

ის იყო ნამდვილი ლექტორი, ყოველთვის მზად იყო სალექციო-საინფორმაციო მოღვაწეობისათვის, საინტერესო ლექციებითა და მოხსენებებით გამოდიოდა მსმენელების წინაშე, ხშირად ხვდებოდა კომპაქტურად დასახლებულ ლტოლვილებს, იმედიანი სიტყვა მიჰქონდა მათთან და თავისი საქმიანობით ღირსებას მატებდა „საზოგადოება ცოდნის“ მოღვაწეობას. ასეთი შეხვედრები, ლექციები, მოხსენებები ძალიან ხშირად ხდებოდა და კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო ჩემი ზემოთქმული აზრი—თითქოს ერთი კაცი მთელი ინსტიტუტის სამყოფი საქმის გაკეთებას ახერხებდა.

დიდი მეცნიერული მოღვაწეობის მიუხედავად თემურ მიბჩუანი არასოდეს არ ყოფილა საკუთარ თავსა და ნაჭუ-

ჭში ჩაკეტილი მეცნიერი. გულგახსნილ, ალალ, დიდი გაქანების პიროვნებას უამრავი მეგობარ-ამხანაგიც ჰყავდა მეცნიერების, მწერლების, ხელოვნების მუშაკების ცნობილ წარმომადგენლებს შორის. ხშირად მინახავს მისი შესანიშნავი თამალობით ჩატარებული ლხინისა თუ ჭირის სუფრა, სადაც იგი საოცარ სითბოს, მჭერმეტყველებასა და ქართული ტრადიციებისადმი ერთგულება—სიყვარულს ავლენდა.

თეიმურაზ მიბჩუანის უდროო, მოულოდნელი დაკარგვა დიდი დანაკლისი საკუთარი ოჯახისათვის, ან უსაყვარლესი კუთხეების—სვანეთისა და აფხაზეთისათვის როდი იყო, რადგან მას ძალიან ბევრის გაკეთება შეეძლო, წარმოქმნილი სიცარიელის შევსება კი ყველას გაუჭირდება. მხოლოდ ის იმედი გვანუგეშებს, რომ თემურ მიბჩუანმა ძალიან ბევრის გაკეთება შეძლო და მარადიული ხსოვნაც დაიმკვიდრა.

დიდი პიროვნება



დავით თევზაძე

1956 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტარდებოდა ახლად რეაბილიტირებული რეპრესირებული ქართველი მწერლების შემოქმედებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. მაშინ არსებული დიდი ინტერესის გამო მეცნიერულ ღონისძიებას ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებიც ვესწრებოდით.

შესვენების დროს ჩემი თანაჯგუფელი და მეგობარი შალვა რატიანი, ვისთან ერთადაც ვიმყოფებოდი დარბაზში, დიდი პატივისცემით მიესალმა სიმპთიურ მაღალ მამაკაცს, გვერ-

დზე გადავარცხნილი შავი ქოჩორი და ღიმილით სავსე თვალები რომ ამშვენებდა, მერე მეც გამაცნო სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი დავით თევზაძე. ბატონი დავითი ჩვენზე საკმაოდ უფროსი იყო, თუმცა ძალიან მეგობრულად შეგვხვდა, სწავლის ამბები გამოგვკითხა, შეგვაქო კიდეც — ყოჩაღ, კარგია კონფერენციას რომ ესწრებით, ესენი ისეთი რანგის მწერლები არიან /ლაპარაკი იყო მიხეილ ჯავახიშვილზე, პაოლო იაშვილზე, ტიციან ტაბიძესა და ნიკოლო მიწიშვილზე/ თქვენს მომავალ საქმიანობაში ყოველთვის დაგჭირდებათ. მე მოვასწარი თქმა, რომ საკურსო თემად უკვე მქონდა დამუშავებული „ტიციან ტაბაძის პოეზია“, სადიპლომო ნაშრომად კი პაოლო იაშვილის შემოქმედების დაწერას ვაპირებდი.

ბატონ დავითს ძალიან მოეწონა ჩემი არჩევანი, კიდეც ერთხელ შემაქო, მერე კი შალვას ელაპარაკა სადიპლომო თემისა და მომავალში ასპირანტურის კურსის გავლის შესახებ. როცა ჩვენი შესანიშნავი მოსაუბრე გამოგვემშვიდობა და წავიდა, შალიკომ უფრო მეტი მითხრა მის შესახებ: არაჩვეულებრივი ადამიანია, მაღალი ღონის სპეციალისტი, კეთილშობილი და ყველას დამხმარე, ჩემი უფროსი ძმის პროკოფი რატიანისა და ჩვენი დეკანის სოსო ბოცვაძის უახლესი მეგობარია, მეც სოხუმიდან, ჩვენი ოჯახიდან ახლოს ვიცნობ ბატონ დავითს და დიდ პატივს ვცემო.

ბატონ დავით თევზაძესთან შეხვედრის პირველი შთაბეჭდილება წარუშლელად გამყვა თან, მერე მისი მრავალი წიგნი, გამოკვლევა თუ გამოსვლის ტექსტი წავიკითხე და პატივისცემა კიდევ უფრო განმძიმტკიცდა.

1971 წელს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ჩავაბარე საკვალიფიკაციო ნაშრომისათვის განკუთვნილი გამოცდები და სადისერტაციო თემად გამოჩენილი ქართველი პოეტის სიმონ ჩიქოვანის პოეზია დამიმტკიცეს. ლიტერატურის ინსტიტუტში უკვე ხშირად ვხვდებოდი ბატონ დავით თევზაძეს, მრავალჯერ შემოქმედებით დახმარებასა და კეთილ რჩევებსაც ვიღებდი. ის არასოდეს დაგზარდებოდა საათობით მჯდარიყო შენთან, წაეკითხა დისერტაციის ნაწილები და ძალზე ფასეული შენიშვნებიც მოეცა.

ამავე დროს ბატონი დავითი იყო საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ლექტორი ათეულობით წლის მანძილზე, გამგეობის წევრი და ქართული ლიტერატურის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე. ყველაფერი ეს კი უფრო მახლოებდა ამ დიდბუნებოვან, განუმეორებელ ადამიანთან. 1987 წელს, როდესაც ვიცავდი საკანდიდატო დისერტაციას ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, პროფესორი დავით თევზაძე ოფიციალური ოპონენტი იყო და მნიშვნელოვანი წვლილიც

შეიტანა დისერტაციის მაღალ დონეზე დაწერა-მომზადების საქმეში. ხუთი წლის შემდეგ უკვე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხიც დავიცავი, ბატონი დავით თევზაძე აქაც ოფიციალური ოპონენტი იყო და ლომის წვლილიც შეიტანა ოთხას ორმოცდაათვედრიანი დისერტაციის თანამედროვე მოთხოვნების დონეზე დაწერის საქმეში.

ბუნებით ასეთი ადამიანი იყო—მშრომელი, დაუღლეელი, ხალისიანი, საგნის ღრმად მცოდნე, იგი თითქოს ფილოლოგიის მეცნიერებათა ცოცხალ ენციკლოპედიას წარმოადგენდა და ყველას უმუშრველად უზიარებდა ჭეშმარიტი ცოდნის სიკეთეს.

ისევე როგორც თავის ძირითად სამუშაო ადგილას შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, საქართველოს „საზოგადოება ცოდნას“ და აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიაში, რომლის სრულუფლებიანი წევრიც იყო, ნაყოფიერ და სარგებლობის მომტან მოღვაწეობას ეწეოდა, ხშირად გადიოდა საჯარო ლექციებით მოსახლეობაში, უშუალოდ სცემდა პასუხს მათ ყველა შეკითხვას, სახელსა და ღირსებას მატებდა არა მარტო „საზოგადოება ცოდნას“, არამედ მთელ თანამედროვე ქართულ ეროვნულ მეცნიერებას.

სამაგალითო საქმიანობის გამო ბატონ დავით თევზაძეს ერთ პირველთაგანს მიენიჭა საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“

უმაღლესი ჯილდო ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია და ვერცხლის მედალი. მეცნიერების პროპაგანდისა და ფართო სალექციო მოღვაწეობისათვის მას ასევე მინიჭებული ჰქონდა ყოფილი საზოგადოება „ზნანიეს“, შემდგომ კი საერთაშორისო ასოციაცია „ზნანიეს“ უმაღლესი ჯილდო, მსოფლიოში ცნობილი მეცნიერის ს.ვაკილოვის სახელობის პრემია და მედალი.

ბოლო რთული წლების მანძილზე სიკეთითა და კეთილშობილებით სავსე დავით თევზაძემ ბევრი უმძიმესი დარტყმა მიიღო, დაკარგა მეუღლე, საყვარელი ვაჟიშვილი, აერია და აეშალა შემოქმედებითი ცხოვრება. დამანგრეველ სტრესებს ის ვაჟკაცურად უძლებდა,

თუმცა ყველაფერს აქვს საზღვარი და ბატონი დავით თევზაძეც წავიდა ამ ცოდო-მადლით სავსე ცხოვრებიდან. სამწუხარო იყო ისიც, რომ ჭეშმარიტად დამსახურებული, ვალმოხდილი, დაუვიწყარი ადამიანის გარდაცვალება ვერც კი გავიგეთ ათასი საზრუნავითა და ზამთრისპირა პრობლემებით აფორიაქებულ ქალაქის დღეებში, უკანასკნელ გზაზე გაცილებაც ვერ შევძელით... ამ მიზნითაც დაიწერა ეს პატარა წერილი, რომ ღრმა პატივისცემა და გველასტურებინა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის დავით თევზაძის ხსოვნის მიმართ, ვის ღირსებით სავსე სახელსაც დავიწყების ბურუსი ვერ დაფარავს.

ვალმოხდილი



გოგი შათირიშვილი

გამორჩეული ადამიანების რიგს ეკუთვნოდა ჩვენგან უდროოდ წასული გოგი შათირიშვილი; საკუთარი სამშობლოს უსაზღვრო პატრიოტი, ნიადაგ მაძიებელი, სიკეთის მკეთებელი, დადებითი მაგალითის მიმცემი, თბილი და კეთილშობილი პიროვნება დამსახურებული პოპულარობით სარგებლობდა არა მარტო თბილისსა და კახეთში, არამედ მთელ საქართველოში, მასთან ბევრი მეგობრობდა, პატივისცემითა და სიყვარულით იყო განწყობილი, მათ შორის, ბუნებრივია, მეც ვიყავი.

კარგად მახსოვს, გოგი 1962 წელს გავიცანი. სწორედ ამ პერიოდისაა, კერძოდ, 1963 წლიდან აქტიურად დაიწყო საქმიანობა იყალთოში

დიდი შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი სახალხო დღესასწაულის ჩატარებისათვის. მალე ჩანაფიქრმა ხორცი შეისხა და დაიწყო მართლაც დიდი მნიშვნელობის მოვლენის დასაბამის ათვლა.

რამდენადაც მახსოვს გოგიმ 35 შოთაობა ჩაატარა და თავისი ნიჭით, მონდომებით, მიზანსწრაფვით მიაღწია ისეთ ღონეს, რომ იგი საერთო-სახალხო დღესასწაულად აქცია. ყველას რა თქმა უნდა ვერა, მაგრამ ათიოდე დღესასწაულზე დასწრება კი მოვახერხე და საკუთარი თვალთ ვხედავდი როგორი პოპულარული და ყველასათვის საყვარელი პიროვნება იყო გოგი, რამხელა პატივს სცემდნენ. მისი თხოვნით ჩვენი ერის თითქმის, ყველა უკვდავი შვილი და ასობით უცხოელი იმყოფებოდა მშვენიერ იყალთოში, დღესასწაულითაც სიამოვნებდნენ და ყველასაგან გამორჩეული კახური პურ-მარილითაც.

ძალიან ხშირად მე მართლა კმაყოფილი ვიყავი გოგის უანგარო, საოცრად ტევადი სახალხო საქმიანობით. ალბათ, ამის მიზეზიც იყო, რომ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში მას ლექსიც მიუძღვენი, რაც მერე გამოვამჯავყენე კიდეც 1996 წელს გამოცემულ ერთტომეულში საერთო სათაურით „რის სიყვარულიც მე მისწავლია“. მშრომელი, პატრიოტული საქმეების გამკეთებელი კაცისადმი მიძღვნილი პწკარები საილუსტრაციოდ

აქაც მინდა მოვიტანო, ლექსს ეწოდება „იყალთოში“:

„როცა იარაღს დაუნდობლად გვიღერებს ზოგი, როცა ის ზოგი ათასწლოვანს ბელავს ბერძუნას, რამხელა საქმეს უშურველად აკეთებ გოგი, რამხელა საქმეს სამამულეს შეჭიდებულხარ. არ გაგტეხია მოყვარული გული კახივით, და კვლავ უკვდავი რუსთაველის მისდევ ნაკვალევს, მინდა იასავით გაბარბაცებს მიწის ძახილი, სეტყვით დაფენილ ვაზს როდესაც ჭიგოს აკრავენ. შენი ნაღვაწი, შენი საქმე, სიტყვა, სახელი, ფერებს დღეისას იმელებად მატებს სიძველეს, ამ ნაფუძარზე ქალ-ვაჟები შენი კახეთის, ცხოვრების სიბრძნეს საგანძურის მსგავსად იძენენ. და ივლის ყველა წინაპრების გზით გაკვალულით, ხალხი სიკეთეს სიკეთისათვის იძიებს უხვადვე, ჩვენ რომ გვიყვარდა საფიცარი ჩვენი მამული, მათ უფრო მეტი გატაცებით უნდა უყვარდეთ! რამხელა საქმეს სასიცოცხლოს აკეთებ გოგი, შეგირხვეია ჟამთასროლის მრუმე ბლონდები, და როს იარაღს დაუნდობლად გვიღერებს ზოგი, აუცილებლად ნაღვაწარით შენ მაგონდები!“

ბუნებით იშვიათად თბილი და მოსიყვარულე ბიჭი იყო. აუცილებლად მოგილოცავდათ ახალ წელს ან სხვა დღესასწაულს თავის მიერვე გადაღებული იყალთოს დიდებული ტაძრის ხედებით. ჩემს პირად არქივში ზოგიერთი გზავნილი მოვიძიე და გარკვეული ნაწილი, უფრო ზუსტად ერთი სურათი და წარწერები აქაც მინდა

გამოვაქვეყნო, რადგან მათშიც მოჩანს გოგი შათირიშვილის გულუხვი ბუნება, სითბო, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სიკეთე.

1. „იყალთო. ჩემი ძვირფასო ნუგზარ! გილოცავ გაზაფხულის დღესასწაულს, გისურვებ ყოველივე სიკეთეს შინ და გარეთ, შენი გოგი შათირიშვილი, 1971 წ.“

2. „შენი გამარჯვებისა იყოს მრავალჟამიერ, ჩემო ნუგზარ!... სიყვარულით, პატივისცემით გოგი შათირიშვილი, იყალთო, 1979 წ.“

3. „ჩემო ძვირფასო ნუგზარ! გილოცავ დამდეგ 1990 წელს... შენს ჯიმ-ჯილაგს გაუმარჯოს! გკოცნი და გეხვევი, გოგი“.

4. საზოგადოება „ზნანიეს“ XI ყრილობის დელეგატების სურათი, გამოგზავნილი ქალაქ მოსკოვიდან, გადაღებული სასტუმრო „უკრაინის“ წინ: „ნუგზარ წერეთელს – ჩემი სიყვარულის გაუხუნარ მეგობარს!... სიყვარულით, პატივისცემით გ.შათირიშვილი, 5 ნოემბერი, 1991 წ. ფოტო გოგი შათირიშვილისა, / იყალთო-ინფორმი /.“

5. „ ჩემო ძვირფასო ნუგზარ! დაე, მომავალი 1992 წელი შენთვის, შენი ოჯახისათვის, ახლობლებისათვის ყოველივე სიკეთის, მშვიდობის წელი ყოფილიყოს... გკოცნი, გეხვევი, გოგი, იყალთო“.

6. „იყალთო... ჩემო ძვირფასო ნუგზარ! გილოცავ მომავალ, ახალ 1995 წელს... და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს, შენ რომ დაიბადე ამ ქვეყანაზე! გკოცნი და გეხვევი შენი გოგი!“.



იყალთო

7. „სიმღერა თელავზე“ და „ჩემი იყალთო“, სიმღერები. /კასეტა/ ნუგზარ წერეთელს— თელავის ტრფიალს... ჩემი სიყრმის გაუხუნარ მეგობარს, გოგი შათირიშვილი, 25.XII.2000 წ.“

მისი გამოგზავნილი მშვენიერი ფოტოსურათები, თუ შეიძლება ასე ითქვას, შემოქმედებითადაც გამოვიყენე, 2003 წელს გამოქვეყნებულ ხუთპეკარიანი ლექსების წიგნის—სათაურით „ქარვის კრიალოსნის“ გარეკანზე მო-

ვათავსე, რამაც სიტბო და ესთეტიკური დატვირთვა შესძინა წიგნს.

გოგი შათირიშვილის მიერ დაარსებული ჭეშმარიტი სახალხო დღესასწაული „შოთაობაც“, ადრეულ წლებში დიდი წარმატებით მოქმედი ფართო პროფილის სახალხო უნივერსიტეტიც „საზოგადოება ცოდნას“ ექვემდებარებოდა. ამ მიზეზითაც ძალიან ხშირად ვხვდებოდით ხოლმე, საქმეებით უკიდურესად დატვირთული მოდიოდა, რეკავდა, ვრეკავდით, გეგმებს ვაჯერებდით, პლაკატებისა და მოსაწვევების დროულ დაბეჭდვაში ვეხმარებოდით. ამ გულიან კაცს თავის მშობლიურ იყალთოში ჩემი თუ ჩვენი თანამშრომლების ჩასვლაც ნამდვილად უხაროდა.

მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით მოულოდნელი და სისასტიკით შემადრწუნებელი იყო გოგი შათირიშვილის უდროო გარდაცვალება. ეს ბრწყინვალე პიროვნებაც გულნატკენი და ზოგიერთი ადამიანის მიმართ რწმენაშერყეული წავიდა ამ წუთისოფლიდან, წავიდა სრულიად მხნე, გონებრივად ნათელი და სულიერად ცხოვრებისეულ წვრილმანებზე ამაღლებული. მისი ნათელი საქმე შვილმა—ელიზბარმა გააგრძელა, რაც ყველაზე მეტი პატივისცემის გამოხატულება იყო გოგი შათირიშვილის მიერ მთელი ცხოვრების მანძილზე გულით ნაკეთები სახალხო საქმისადმი.

ნუგზარ წერეთელი,
დეკემბერი 2006 წელი

წერილი რედაქტორს

თქვენი ორგანიზაციის საუცხოო, მართლა ღრმაშინაარსიან ჟურნალში „სიტყვა“ წავიკითხე თქვენი წერილი, რომელიც ჩემთვის სათაყვანებელ ადამიანს, ჩემს მასწავლებელს, ბატონ ვახტანგ ბოჭორიშვილს ეძღვნებოდა. წერილი 1980 წელს დაგიწერიათ, დღის სინათლე კი მხოლოდ ახლა იხილა.

ამ ფაქტმა ოდესღაც დაწერილი ჩემი წერილიც გამახსენა, რომელიც 1983 წელს მოგწერეთ, თუმცა ჩემი სამუშაო მაგიდის უჯრაში ინახებოდა.

გამახსენდა როგორ ამანთო თქვენმა წიგნმა „მე ისევ 26 წლისა ვარ“, რამდენი ცრემლი და სიხარული განმაცდევინა.

წიგნის ბოლოს თქვენ მკითხველს თხოვდით მოეწერათ თუ რაზე იცოდით დამატებით გურამ რჩეულიშვილზე. მე მოგონებებს ვერ შემოგთავაზებთ, მაგრამ ჩემი განცდები კი გაგიზიარეთ. თუმცა მორიდების ან სხვა მიზეზის გამო წერილი ვერ გამოვაგზავნე.

ახლა რომ გადავიკითხე 25 წლის წინ დაწერილი ჩემი წერილი, შიგ შეცდომებიც ვიპოვე. წერილი შეგნებულად არ გავასწორე, არც გადავწერე, რადგან განცდილის გულწრფელობა გაყვითლებულ ფურცლებზე უკეთ იკითხება.

ახლა ის პატარა ლამა 28 წლის ვაჟკაცია, ია კი 31 წლისაა და 14 წლის შვილს ზრდის.

ისინი რიგითი ახალგაზრდები არიან, განსაკუთრებულად არაფრით გამორჩეულები, თუმცა ერთი თვისება კი ნამდვილად აქვთ: გულმხურვალე ქართველები არიან და ერთნაირი აღტაცებით შესცივინებენ ყველაფერ ქართულს.

ცოტა ხნის წინ ტელევიზორით ვნახე არაჩვეულებრივი გადაცემა გურამ რჩეულიშვილზე. მოგისმინეთ თქვენც და სხვა ჩემთვის საყვარელ ადამიანებს, გურამის თაობას; შეიძლება ვცდები, მაგრამ ასე მგონია, თქვენ და თქვენმა თაობამ შექმნა და დაამტკიცა ნაღდი ქართველი კაცის სახე.

ჩემი ოცნებაც დღემდე რჩება, რომ ჩემმა შვილებმა და შვილიშვილებმა შესძლონ ამ სახელის ღირსეული ტარება და სიამაყით ჩავთვლი, რომ ჩემი, როგორც დედის და ბებულის მისია, შესრულებულია.

თქვენი დიდი მადლობელი და მოსიყვარულე, რიგითი მოქალაქე, დედა და ბებია ლალი შენგელია

25.XII. 2006წ.

1983 წელს დაწერილი და მხოლოდ დღეს გამოგზავნილი წერილი

ბატონო ნუგზარ!

ეს ეს არის ჩავათავე თქვენი შესანიშნავი წიგნის ბოლო ფურცელი. იგი

ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე და მაშინვე გადავწყვიტე თქვენთვის გამეზიარებინა ჩემი შთაბეჭდილება. თუ გამოძებნით ხუთიოდე წუთს ამ წერილისათვის, უზომოდ მაღლობელი დაგრჩებით.

არ იფიქროთ წიგნის ბოლოს აღნიშნული თქვენი თხოვნის შესრულებას ვაპირებდე. მე იმ ბედნიერ თაობას არ ვეკუთვნი, რომელიც გურამ რჩეულიშვილის გვერდით სუნთქავდა. იმ საშინელ დღეს, როცა თბილისი თავის რაინდს ემშვიდობებოდა, მე პირველად შევალე სკოლის კარები. ასე რომ ჩემი ნაცნობობა მასთან მხოლოდ წიგნის ფურცლებიდან შედგა.

1975 წელს წავიკითხე პირველად გურამ რჩეულიშვილის მოთხრობები და კარგად მახსოვს ვიგრძენი, როგორ თვალსა და ხელს შუა წიგნის ფურცლებზე, ნოველიდან ნოველამდე, იზრდებოდა ახალგაზრდა მწერალი. მე იმ წიგნს ახლაც აუცილებლად წავიკითხავ და რა თქმა უნდა სულ სხვაგვარად, რადგან მე მისი ხასიათის ბევრი ნიუანსიც ვიცი.

არ შემიძლია არ გავიხსენო ერთი მომენტი: სკოლაში სწავლის პერიოდის უკანასკნელი 5 წელი თბილისის მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ლიტერატურის წრეში გავატარე. სწორედ სასახლეს ვუმაღლი, თუკი დღეს შემიძლია კარგი ლექსის თუ ფრთიანი ფრაზის წაკითხვით ალტაცება და ბედნიერების განცდა. ჰოდა,

იმ პერიოდში მოსწავლეთა სასახლეში ერთი პატარა, თეთრკაბიანი მეხუთე კლასელი გოგონა ლელა ხაჩიძე ჩამოდიოდა ხოლმე გორიდან. ის ძალიან ლამაზ ლექსებს წერდა, მისი ნიჭით ყველა ალტაცებული იყო, მე კი ლელას ერთი ლექსის პატარა ნაწყვეტი დამამახსოვრდა მხოლოდ, ლექსი გურამ რჩეულიშვილს ეძღვნებოდა და ასე მთავრდებოდა:

„ზღვაო მითხარი, თორემ
დაგაზრჩობ,
სად არის გურამ რჩეულიშვილი!“

ის პატარა გოგონა ჩემი მხედველობის არედან გაქრა, მე არსად აღარ შემხვედრია მისი დაბეჭდილი ლექსები, მაგრამ მჯერა, რომ იგი დღესაც ასეთი ფაქიზი სულის პოეტია და გურამ რჩეულიშვილის ერთ-ერთი დიდი თაყვანისმცემელიც.

მე ახლა ორი შვილის დედა ვარ, გვერდით ოთახიდან ჩემი ქალიშვილის მშვიდი სუნთქვა მესმის და გული სიხარულით მევსება, მევსება იმიტომ, რომ მე თქვენს წიგნს ჩემს 5 წლის ლამას დედაენასავით შევავყარებ და თუ იგი ცხოვრებაში კაცური კაცობის გზაზე ივლის და თავზე ნამუსის ქუდს დაიმშვენებს, ამაში უთოდ თქვენი წიგნის დამსახურებაც იქნება.

ხოლო ჩემს გოგონას, რომელსაც ია ჰქვია სახელად და რომელიც ჯერ მხოლოდ მეორე კლასში სწავლობს,

თუმცა სუფთა წერაში სამიანზე მაღალი ნიშანი ჯერ არ მიუღია, მაგრამ იგი დედის ძუძუსთან ერთად სწოვდა „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონებს, არაერთხელ ავსებია თვალები ცრემლით ზურაბ ქართველიძის ქალის – ქეთოს, თავფარავნელი ჭაბუკის, შვლის ნუკრისა თუ ცოტნე დადიანის ბედზე, ნინო კაბადოკიელის ვაზის ჯვარზე უფრო მეტი გზნებით საუბრობს, ვიდრე დედაენის ფურცლებზე ნასწავლ საპირველმისო ლექსებზე, თანამედროვე საცეკვაო მუსიკაზე უფრო გურამ სალარაძის წაკითხული ვეფხისტყაოსანი მოსწონს, ლადო გუდიაშვილისა და ნიკო ფიროსმანის ფერწერაზე მესაუბრება, კოკა ივანაძის ტილოზე დღევანდელი ძველი თბილისის უბნებს ეძებს და რუსუდან ფეტვიაშვილის გამოფენის ნახვის შემდეგ შთაბეჭდილებების წიგნში ჩასაწერ ტექსტს მკარნახობს. დაე, ჰქონდეს სუფთა წერაში სამიანი და შეეშალოს ორნიშნა ციფრების მიმატება, ოღონდ რაინდუ-

ლი სულის ამოცნობა ისწავლოს და მისი გვერდში დგომა შეეძლოს.

ბატონო ნუგზარ! კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მინდა გითხრათ ასეთი სიამოვნებისათვის. მადლობა მომიხსენებია გალაკტიონისა და ტიცაინის ლანდებთან კიდევ ერთხელ შეხვედრისათვის და ბოლოს თქვენზე ლამაზი ლექსებისათვის.

მე ერთი უპრეტენზიო მკითხველი ვარ. არც ჩემი პროფესია (პედაგოგი გახლავართ) და არც ოჯახი არ მათამამებს ხშირად ასეთი თავისუფალი დროით; ახლაც ღამეს მოვპარე ეს წუთები, რათა თქვენს წიგნთან და საკუთარ თავთან დავრჩენილიყავი მარტო და ამ წუთში ძალიან, ძალიან მინდა ვირწმუნო, რომ ჩვენს პატარა საქართველოში ბევრი გურამ რჩეულიშვილი დადის, უამრავი რაინდი და მეოცნებე ჭაბუკი იზრდება და როგორც მუხრანი იტყოდა:

„იარონ, იარონ, იარონ, ამინ!!!“

ლალი შენგელია

კაცური კაცის დამსახურებული აღიარება

ამ დღეებში შევიტყვე, რომ ჩემს უახლოეს მეგობარსა და კოლეგას, მართლაც, რომ ლექტორად დაბადებულს, ყველასათვის საყვარელ პიროვნებას, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრს, საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ შიდა ქართლის და ქსნის ხეობის კოორდინატორს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტს, პოეტ ჯემალ ბაშარულს საზოგადოება „ცოდნის“ დიდმა სამეცნიერო საბჭომ (ოქმი №2, 2006წ. 5 მაისი) ერთხმად მიანიჭა დამსახურებული ლექტორის საპატიო წოდება. მე ღრმად მწამს, რომ ვინც ჯემალ ბაშარულს იცნობს, ყველა გულით და სულით გაიხარებს ამ კაცური კაცის, თავის სამშობლოს უსაზღვრო მოყვარულის, დამსახურებულ აღიარებას. ხოლო მათ, ვინც ჯერჯერობით არ იცნობს ბატონ ჯემალს, მოგაწოდებთ ბიოგრაფიულ მონაცემებს. იგი დაიბადა 1944წ. 19 ოქტომბერს გორის რაიონის სოფელ კარალეთში (ისტორიული ნაჭარმაგვი). იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, გაიარა სავალდებულო სამხედრო

სამსახური, წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი, მუშაობდა საქართველოს ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე. პარალელურად ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს საზოგადოება „ცოდნასთან“. ეკონომიკისა და პოლიტიკის აკადემიურ საკითხებზე ლექციებს კითხულობდა არა მარტო საქართველოში, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბითაც. მაშინდელი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მივლინებული იყო ბაიკალ-ამურის მაგისტრალზე ლექციების წასაკითხად. ყავს მეუღლე, შვილი და შვილიშვილები.

გაზეთი „დიოსკურია“ ულოცავს ბატონ ჯემალ ბაშარულს დამსახურებულ აღიარებას და უსურვებს ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და შემოქმედებით წარმატებებს.

ვაჟა ეგრისელი

გაზეთ „დიოსკურიას“

მთავარი რედაქტორი

პირველი რესპუბლიკური კონფერენცია „სამედიცინო ლინგვისტიკის პრობლემები“

2007 წლის 20 თებერვალს, „სამედიცინო ლინგვისტიკის ინსტიტუტის“ ინიციატივით, ჩატარდა პირველი რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „სამედიცინო ლინგვისტიკის პრობლემები“. კონფერენციამ ძირითადად იმსჯელა „ინგლისურ-ქართული სამედიცინო ლექსიკონის“ რედაქტირების დროს გამოვლენილ და დაგროვილ პრობლემებზე. ჟურნალ „სიტყვის“ წინამდებარე ნომერში ვაქვეყნებთ ამ კონფერენციის მოხსენებათა თეზისებს. საინფორმაციო თანხლება „ქართული ფარმსაიტი“ <http://gps.iatp.org.ge>

**სამედიცინო ტერმინოლოგიის
აღდგენისა და შექმნის
პრობლემები
ნანა ამირანაშვილი. „სამედიცინო
ლინგვისტიკის ინსტიტუტი“**

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში იქმნებოდა მრავალი ახალი დარგი, მათ შორის მედიცინა. ამან დღის წესრიგში დააყენა ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის დამუშავების საკითხი. როგორც ამ წლების პრესიდან არის ცნობილი, ამავე პერიოდის დღის წესრიგში ქართული ლექსიკონების შედგენის გადაუდებელი ამოცანაც. პირველი სიტყვა ამ მიმართულებით რაფიელ ერისთავს ეკუთვნის, რომელსაც შემდგომში მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა, მაგრამ ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნაში ახალი ეტაპი მაშინ დგება, როცა მას ივანე ჯავახიშვილი უდგება სათავეში.

სისტემური, მეცნიერულ პრინციპებზე დამყარებული ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში ქართული უნივერსიტეტის დაარსებას უკავშირდება, როცა ტერმინოლოგიის შედგენა ცალკეულ მამულიშვილთა კერძო ინიციატივა კი აღარ იყო, არამედ სახელმწიფოებრივ ამოცანად იქცა და განათლების სახალხო კომისარიატთან ივ. ჯავახიშვილის თავმჯდომარეობით ჩამოყალიბდა სამეცნიერო საბჭო, რომელიც გახდა ტერმინოლოგიური მუშაობის კოორდინატორი.

**-ალ (-al) სუფიქსიან
ზედსართაულ ფუძეზე -ურ (ლ)
სუფიქსის დართვის
საკითხისათვის
მანანა კიკნაძე, პროექტი
„ქართული ელოექტრონული
სამედიცინო ენციკლოპედია“**

ინგლისურ-ქართული სამედიცინო ლექსიკონის სარედაქციო სამუშაოე-

ბის დროს, კიდევ ერთხელ წამოიჭრა **-ალ (al)** სუფიქსიან ზედსართაულ ფუძეზე **-ურ (ლ)** სუფიქსის დართვის პრობლემა. კერძოდ, ტერმინის „პერორალური“ გადმოცემისას. რ. ზექალიშვილი თვლის: „ძალზე ხშირია შეცდომა **-ალ (al)** სუფიქსიან ზედსართაულ ფუძეზე **-ურ (ლ)** სუფიქსის დართვისას. უცხოურ **-al** და ქართულ **-ურ** სუფიქსებს ერთნაირი ფუნქცია აქვს, ამიტომ აღარაა საჭირო **-al, -ურ** უნდა დაერთოს უშუალოდ ფუძეს. ნ. ამირანაშვილის მიხედვით: os, oris – ოპირი; or lis, e – პირის. რუსულ სამედიცინო ლექსიკონებში გაბატონებულია განმარტება: (per-oralis; . per +os, oris) -

ამ პოზიციის თანახმად, ლექსიკონში შეტანილი უნდა იქნეს ფორმა „პერორული“. სპეციალისტთა მეორე ჯგუფი თვლის, რომ შეტანილ უნდა იქნეს ფორმა „პერორალური“. ამ შემთხვევაში მოტივაცია ასეთია: საერთაშორისო ტერმინის მაწარმოებელი ელემენტი არის არა „ორ“, არამედ „ორაალ“. შესაბამისად, ქართული ტერმინიც უნდა იწარმოოს არა „ორ“-იდან, არამედ „ორაალ“-იდან.

**ეპონიმების პრობლემისათვის
ქართულ სამედიცინო
პროფესიულ ენაში
ლალი დათეშიძე. პროექტი
„ქართული ელექტრონული
სამედიცინო ენციკლოპედია“**

ეპონიმები ეწოდება გვარებისაგან წარმომავალ ტერმინებს. ეპონიმები ე.წ. ნეიტრალურ ტერმინთა ჯგუფს განეკუთვნება. ეს ის ტერმინებია, რომელთა ეტიმოლოგია და სემანტიკა ერთმანეთთან კავშირში არაა. ნეიტრალურ ტერმინთა დიდ ჯგუფს ეპონიმები ქმნიან. ეპონიმების ქართულ სამედიცინო ლექსიკონებში შეტანისას გადასაჭრელია პრობლემათა ორი ჯგუფი: 1. ეპონიმების ოპტიმიზაციის საკითხი; 2. ეპონიმების გადმოცემის საკითხი.

მოხსენებაში ილუსტრირებულია სალექსიკონო ეპონიმური მასალა და დასმულია საკითხი ეპონიმების გადმოცემის პრინციპების შეცვლის აუცილებლობის შესახებ, რამდენადაც რეალურად (დიდი ღირებულების გამო), ვერ მოხერხდება ენათმეცნიერებაში მიღებული პრინციპების რეალიზება.

**ანატომიის ილუსტრირებული
ონლაინ ლექსიკონისათვის
ამირან დათეშიძე, არჩილ
შენგელია. პროექტი „ქართული
ელექტრონული სამედიცინო
ენციკლოპედია“**

ნაშრომში აღწერილია ანატომიის ონლაინ ილუსტრირებული ლექსიკონის აგების პრინციპები. იგი ეყრდნობა ანატომიის ნომენკლატურულ ლექსიკონს (პროფ. ლ. შელიას ვერსია) და ილუსტრირებულია 6000-მდე სურათით. ლექსიკონი შეადგენს ელექტრონული დისკის „სამედიცინო-ბიოლოგიური ატლასების გალერეა“ ნაწილს.

**ტერმინწარმოების ქართული
მორფოლოგიური ინვენტარის
პროდუქტიულობის ანალიზი
ქართულ სამედიცინო
პროფესიულ ლექსიკაში
თეა ჯოხაძე. საინფორმაციო
ტექნოლოგიების ინსტიტუტი**

მოცემულია საერთაშორისო და ინგლისური ტერმინების ქართული მორფოლოგიური ინვენტარით გადმოცემის პოლიტიკური ანალიზი. მოხსენება ეყრდნობა ლალი დათეშიძის საერთო რედაქციით მომზადებულ „ინგლისურ-ქართული სამედიცინო ლექსიკონის“ მასალებს.

**ლექსიკონების შექმნის
კომპიუტერული ტექნოლოგიების
შესახებ**

**მანანა კაპანაძე. პროექტი
„ქართული ელექტრონული
სამედიცინო ენციკლოპედია“**

პროექტის „ქართული ელექტრონული სამედიცინო ენციკლოპედია“ ფარგლებში (ლალი დათეშიძის პროექტი) მიმდინარეობს რუსულ-ქართული და ინგლისურ-ქართული სატერმინოლოგიო ლექსიკონების მომზადება. ლექსიკონების მოსამზადებლად შეიქმნა სპეციალური კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა. მოხსენებაში გადმოცემულია მისი გამოყენების გამოცდილება.

**სამედიცინო-ლინგვისტური
დისკის სტრუქტურა და
ტექნოლოგია
ლევან შენგელია, გიორგი
კირცხალია, რევაზ გუჯაბიძე.
„სამედიცინო
ლინგვისტიკის ინსტიტუტი“**

მოხსენებაში განხილულია „სამედიცინო-ლინგვისტური დისკის“ სტრუქტურა და აგების პრინციპები. ეს დისკი სპეციალურად გამოდის სამედიცინო და მომიჯნავე სპეციალობების სტუდენტებისათვის. იგი ქართულ რეალობაში პირველი ელექტრონული სახელმძღვანელოა. მასზე თავსდება ვრცელი სამედიცინო ლექსიკონები (ინგლისურ-ქართული,

რუსულ-ქართული, ლათინური), ლათინური ენის სახელმძღვანელო, ელექტრონული სამედიცინო ჟურნალი „სამედიცინო ლინგვისტიკა“ და სხვა.

თანამედროვე სამკურნალწამლო საშუალებათა დასახელების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზისათვის
ლალი დათეშიძე, არჩილ შენგელია. პროექტი „ქართული ელექტრონული სამედიცინო ენციკლოპედია“

დღეისათვის ფარმაცევტულ სივრცეში 80000 პრეპარატის დასახელება არსებობს. მათი რაოდენობა სწარაფად იზრდება. ბუნებრივია, სულ უფრო აქტუალური გახდება ამ დასახელებების ქართულად გადმოცემის საკითხი დღეისათვის არსებული მეთოდები გადახედვას მოითხოვს, ყოველ შემთხვევაში მედიცინის ფარგლებში. ამ ეტაპზე შეზღუდულია რესურსები აღნიშნული თემატიკის დასამუშავებლად, მაგრამ ვთვლით, რომ უკვე წინაწინააღმდეგობა იქნება პრობლემის დასმა, მასზე ყურადღების მიპყრობა და დასახელებათა პილოტური სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი.

წინამდებარე ანალიზი ეყრდნობა „ქართული ელექტრონული სამედიცინო ენციკლოპედიის“ მასალებს (ლალი დათეშიძის პროექტი). გამოყენებულ იქნა ამ ენციკლოპედიისათვის შექმნი-

ლი სპეციალური კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა.

1. სამკურნალწამლო საშუალებების დასახელებები შეიძლება დაიყოს ორ დიდ ჯგუფად:

ერთსიტყვიანები (Aquaphor) და მრავალსიტყვიანები (Interferonum leucocyticum humanum siccum).

2. ეტიოლოგიური წარმომავლობის მიხედვით დასახელებებში გვხვდება:

– ლათინურ-ბერძნული ფუძეები (Ferrohaematogenum),

– ხელოვნური ფრაგმენტები (Penadur),

– თანამედროვე სიტყვები (Coldrex, ინგლისური სიტყვა cold „გაცივება“).

3. მოტივაციის თვალსაზრისით სამკურნალწამლო დასახელებებში გვხვდება სხვადასხვა ნიშნები:

– ფარმაცევტული ჯგუფები (Macropen მაკროლიდების ჯგუფის ანტიბიოტიკი);

– სავაჭრო ფირმების მფლობელის დასახელება Glucobay (ჰორმონალური სამკურნალო საშუალება, გლუკოზიდაზის ინჰიბიტორი, გერმანული ფირმა Bayer-ის სახელწოდებიდან;

– გამოშვების ფორმა: Beconase (ნაზალური აეროზოლი);

– წარმოების წყარო: Colchicum (სიმსივნის საწინააღმდეგო საშუალება, მცენარე. Colchicum speciosum);

– დაავადება: Finlepsin (ეპილეფსიის სამკურნალო საშუალება);

– დაავადების გამომწვევი: Aciclovir (ანტივირუსული საშუალება).

4. სარეკლამო ელემენტები:

დასახელებებში მატულობს მწარმოებელი ელემენტების რაოდენობა, რომლებიც პრეპარატის ამა თუ იმ აღმატებულ თვისებაზე მიუთითებენ. დასახელებაში ამგვარი ელემენტის შეტანით მწარმოებელს ეძლევა შერჩეულ მარკეტინგულ ნიშაზე ზემოქმედებისა და სარეკლამო რესურსების დაზოგვის საშუალება.

– chron, long, retard, depo „პროლონგირებული მოქმედების“;

– fast, rapid სწრაფმოქმედი;

bene, plus, well „კარგი“ (Fastum, Wellferon, Influbene, Beres Drops Plus) etc.

5. დასახელებათა მიმსგავსება

მოტივაციის მიხედვით, ცალკე ჯგუფს ქმნიან დასახელებები, რომელთა მოტივაცია არის სხვა, ბრენდირებულ პრეპარატებთან ფონეტიკური ან დაწერილობითი მსგავსება.

6. ცხადია, არსებობს დასახელებები, რომელთაც არა აქვთ გამჭვირვალე მოტივაცია. მაგალითად

„სალზინო“. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარ დასახელებათა ფარდობითი რაოდენობა იკლებს, რადგან მათი ბრენდირება მნიშვნელოვნად მეტ რესურსებს მოითხოვს.

მეორე რესპუბლიკური კონფერენცია „სამედიცინო ლინგვისტიკის პრობლემები“

2007 წლის 10-15 მარტს „სამედიცინო ლინგვისტიკის ინსტიტუტის“ ინიციატივით გაიმართა მეორე რესპუბლიკური კონფერენცია „სამედიცინო ლინგვისტიკის პრობლემები“, საინფორმაციო „ქართული ფარმაცევტული საიტი“ <http://gps.iatp.org.ge>. კონფერენციამ მოისმინა მოხსენებები:

ინგლისურ-ქართული სამედიცინო ლექსიკონის პრობლემური საკითხები მანანა კიკნაძე, ინგლისურ-ქართული სამედიცინო ლექსიკონის სარედაქციო კოლეგია

ინგლისურ-ქართული სამედიცინო ლექსიკონის რედაქტირების პროცესში გამოიკვეთა პრობლემური საკითხები, რომელთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ლექსიკონის სიტყვების საერთო რაოდენობაა (ინგლისური ნაწილია) 70000 ტერმინი. შეიცავს 45000 ჩანაწერს. მოხსენებათა ციკლში გაანალიზებულია 4000-მდე პრობლემური ტერმინი. მასალები მომზადებულია ამირან დათეშიძის, ლალი და-

თეშიძის, რუსუდან ზეკალიშვილის, მანანა კიკნაძისა და ლევან შენგელიას სარედაქციო შენიშვნების ბაზაზე.

**ტერმინწარმოება ინგლისურ
ენაში**

**ლალი დათეშიძე. პროექტი
„ქართული ელექტრონული
სამედიცინო ენციკლოპედია“**

მიმოხილვითი, კომპილიაციური ნაშრომი. გაანალიზებულია ინგლისურ ენაში ტერმინწარმოების მექანიზმები. მოხსენების მიზანია ხელი შეუწყოს ინგლისურ-ქართული სამედიცინო ლექსიკონის სარედაქციო სამუშაოებს.

**ტერმინწარმოების ქართული
მორფოლოგიური ინვენტარი
ინგლისურ-ქართულ სამედიცინო
ლექსიკონში**

**თეა ჯოხაძე, საინფორმაციო
ტექნოლოგიების ინსტიტუტი**

ტერმინწარმოების ქართული მორფოლოგიური ინვენტარის გამოყენების თვალსაზრისით გაანალიზებულია ინგლისურ-ქართული სამედიცინო ლექსიკონის 22000 ტერმინი და შემუშავებულია რეკომენდაციები სარედაქციო კოლეგიისათვის.